საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პედაგოგიური ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლალი (ბარბარე)  აბდალაძე

# სასულიერო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება

# XIX საუკუნის გურია–სამეგრელოს ეპარქიაში

დისერტაცია

განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა  03.01 - პედაგოგიკის თეორია და ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე

ქუთაისი-2014

## სარჩევი

შესავალი——————————————————————————4

თავი I. სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გურია-სამეგრელოში

§ 1. ეკლესიის როლი და ადგილი სასულიერო განათლების განვითარებაში გურია-სამეგრელოში სამთავროების რუსეთთან შეერთებამდე——11

§ 2. საეკლესიო-სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ——————————————————————17

§ 3. სასულიერო სასწავლებლები გურია-სამეგრელოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ——————————————————————34

§ 4. გურიისა და სამეგრელოს ეპარქიებში სასულიერო განათლების დარგის თვალსაჩინო მოღვაწეები——————————————————60

თავი II. სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში

§ 1. საეკლესიო-სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში———65

§ 2. სასულიერო სასწავლებლები გურია- სამეგრელოს ეპარქიაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში——————————————————74

§ 3. რუსეთის იმპერიული ენობრივი პოლიტიკა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გურია-სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების მიხედვით ——————————————————————122

თავი III. სასულიერო განათლების საკითხები მე-19 საუკუნის აფხაზეთში, გურია-სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობაში

§ 1. საეკლესიო-სამრევლო სკოლები აფხაზეთში ———————————134

§ 2. სოხუმში სასულიერო სასწავლებლის გახსნის მცდელობა —————143

§ 3. ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში ——————————————— 147

დასკვნები ——————————————————————————152

დანართი 1. 2. 3.———————————————————————159

გამოყენებული ლიტერატურა ———————————————————164

**ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტში**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი-ჯემალ ჯინჯიხაძე,** პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

**ოფიციალური შემფასებლები:**

1. **ლელა თავდგირიძე**-შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის პროფესორი
2. **ირმა ქურდაძე**-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2014 წლის 5 ივნისს 13:00 საათზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1114.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59

ავტორეფერატი დაიგზავნა 2014 წლის 5 მაისს

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო
საბჭოს სწავლული მდივანი,
პროფესორი გ. ბერძულიშვილი

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება მე-19 საუკუნის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სასულიერო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების საკითხს, რომელიც ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. კვლევის შედეგები ქვეყნის იმდროინდელი სოციალ-კულტურული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო მდგომარეობის შეფასების კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1811 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით, გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და იგი რუსეთის სინოდს დაექვემდებარა. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა რუსეთის სინოდის განყოფილება – დიკასტერია, ამიერიდან რუსი სასულიერო პირები განაგებდნენ ქართულ ეკლესიას (ეგზარიატს). XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოს ეკლესია-მონასტრები რუსეთის ეკლესიის შემადგენელი უჯრედი გახდა, 1874 წლიდან ოდიშის ეპარქია გურიის კათედრასთან გაერთიანდა და გურია-ოდიშის ეპარქია ეწოდა, ხოლო 1869 წლის 30 მაისიდან აფხაზეთის ეპარქია შეუერთეს იმერეთის ეპარქიას (1885 წლამდე). რაც შეეხება გურიას, იგი რუსეთ-ოსმალეთის ომის ფრონტმა საკმაოდ დააზარალა და ქვემო გურია თურქეთის ბატონობისაგან მხოლოდ 1878 წელს გათავისუფლდა. ასეთ ვითარებაში ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სასულიერო განათლების კერების შექმნას, მით უფრო, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გურიის ეპარქიამ, როგორც დამოუკიდებელმა საეკლესიო ერთეულმა, თავისი არსებობა დაასრულა.

მიუხედავად ცარიზმის იმპერიული საგანმანათლებლო პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გადაგვარებას, გარუსებას, ქართული ეკლესია მედგრად იცავდა ეროვნულ ინტერესებს, განათლებისა და კულტურის ტრადიციებს. ამ საყოველთაო შევიწროების ფონზე კვლავ განაგრძობდნენ არსებობას ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები.

ჩვენი შესწავლის საგანი გახდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო განათლების კერების ისტორია, მათი ქსელი, სწავლებისა და განათლების შინაარსი, აღზრდის სისტემა; ქართველ საერო და სასულიერო მოღვაწეთა

ბრძოლა დემოკრატიული და ეროვნული განათლებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მთავართა და ეპარქიის მმართველთა მიერ გატარებულ ღონისძიებებს. განხილულია სასულიერო სკოლების ტიპები, განსაკუთრებული კვლევის საგნად ვაქციეთ მარტვილისა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლების ისტორიას. საქართველოში იმჟამად არსებული საგანმანათლებლო სისტემის საკითხი შესწავლილია რუსული საგანმანათლებლო პოლიტიკის ისტორიასთან ორგანულ კავშირში. შეფასებულია რუსეთის სინოდის გამარუსებელი პოლიტიკა.

საგანგებოდაა შესწავლილი რუსეთის იმპერიული ენობრივი პოლიტიკის საკითხი საქართველოში, გურია-სამეგრელოს ეპარქიების მაგალითზე. აღნიშნულია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან 50-იანი წლების ნახევრამდე ქართული ენა სავალდებულო იყო თითქმის ყველა სასწავლებლისათვის, ხოლო მეორე ნახევრიდან მეფის მთავრობამ საქართველოში, და, ცხადია, გურია-სამეგრელოს ეპარქიაშიც, გააძლიერა რეაქციული საასიმილაციო პოლიტიკა, რაც გამოიხატა არა მარტო ქართული ენის გაძლიერებულ დევნაში, არამედ მთავრობის ცდაში, დაერღვია, დაექუცმაცებინა ქართული ენის ეროვნული ორგანიზმი, კერძოდ, მისგან გამოეთიშა მეგრული და აფხაზური და ამით გაეადვილებინა მისი გადაგვარება.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების XIX საუკუნის პერიოდის წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკმაოდ მწირია. მასთან დაკავშირებული საკითხები ძალზე ფრაგმენტულია, ბუნდოვანია, კერძოდ, აფხაზეთის ეპარქიაში სასულიერო სასწავლებლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიასთან დაკავშირებული მასალები, რაზედაც ობიექტური მიზეზების გამო ქართველ მკვლევარებს ხელი არ მიგვიწვდება.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ სხვადასხვა სახის წყაროები, რომლებიც ეხება სასულიერო განათლების საკითხებთან. ამ ცნობების საფუძველზე საშუალება მოგვეცა, შესასწავლ საკითხს ახლებურად

მივსდგომოდით და პედაგოგიკის ისტორიის პრობლემაზე ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა.

საკვლევი საკითხის შესახებ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ზუგდიდისა და ქუთაისის საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმებში, საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცული ხელნაწერი ფონდები და დოკუმენტური მასალა, მათ შორის, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სამეგრელოსა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლების რევიზიის, დასავლეთ საქართველოს სასულიერო სასწავლებელთა ხარჯთაღრიცხვისა და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესახებ წლიურმა ანგარიშებმა. მართალია, აღნიშნული ცნობები ხშირად ტენდენციურია, მაგრამ მათ გარკვეული ისტორიული ღირებულება მაინც გააჩნიათ.

სადისერტაციო ნაშრომის ისტორიული და პედაგოგიკური ბაზის მიმოხილვისას აღსანიშნავია ა. ასათიანის, ი. ბასილაძის, ელ. ბუბულაშვილის. ვ. გაგუას, სვ. გამსახურდიას, ნ. დურნოვოს, ნ. ვასაძის, ვ.ზენკოვსკის, გ. თავზიშვილის, ა. კოკაიას, ი. მიქაძის, ნ. პაპავას, თ. ქადარაიას, ვ. წვერავასა და ტრ. ხუნდაძის განსაკუთრებული ღვაწლი სასულიერო განათლების ისტორიის კვლევის საქმეში.

ნაშრომების ანალიზისა და კვლევის შედეგად ჩამოვაყალიბეთ ძირითადი დასკვნები და ხაზი გავუსვით იმ პრობლემებს, რომლებიც არსებობდა საკითხის შესწავლის საქმეში. ჩვენ მიერ წარმოდგენილია დღემდე უცნობი საარქივო მასალები, რომლებიც ადრე სპეციალური კვლევის საგნად არ ქცეულა და არ იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.

თემის აქტუალობას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არსებული სასულიერო სასწავლებლების კვლევა რამდენადმე მაინც შეავსებს იმ ხარვეზებს, რაც სასულიერო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში არსებობს.

**კვლევის მიზანია** სასულიერო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების

საკითხების კვლევა XIX საუკუნის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. XX საუკუნეში სამოცდაათწლიანი კომუნისტური ათეისტური იდეოლოგიის გამო აკრძალული იყო და, შესაბამისად, არ ხდებოდა საქართველოს ეკლესიისა და სასულიერო განათლების მდიდარი ისტორიის შესწავლა, ამიტომ სადისერტაციო ნაშრომის ამოცანაა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სასულიერო განათლებასა და პედაგოგიკურ აზროვნებასთან დაკავშირებული მოვლენების წინა პლანზე წამოწევა და პრობლემატური საკითხების კვლევა-ძიება, კერძოდ:

1. გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების საქმიანობის მიმართულებისა და შინაარსის გამოკვლევა;

2. გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების როლის განსაზღვრა ქართული განათლებისა და ღვთისმსახურების საქმეში;

3. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდგომ პერიოდში გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სასულიერო განათლების მდგომარეობის, განვითარების ტენდენციის, სასწავლებელთა რაოდენობრივი ზრდის, სწავლებისა და განათლების შინაარსის ანალიზი;

4. გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სასულიერო განათლების სფეროში სინოდის გამარუსებელი პოლიტიკის შეფასება;

5. ქართველ განმანათლებელთა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის ღვთისმსახურთა როლის განსაზღვრა სასულიერო განათლების ქსელის გაფართოებაში, იმ ბრძოლის ძირითადი მომენტების დაზუსტება, რომელსაც ისინი ეწეოდნენ განათლების ეროვნული მიმართულებისათვის.

**კვლევის საგანს** შეადგენს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არსებული საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და სასულიერო სასწავლებლების შესწავლა და აღწერა, მათი როლის განსაზღვრა ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში, მათგან სადღეისოდ მისაღები სწავლებისა და აღზრდის პრინციპების გამოყოფა, დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს XIX საუკუნის გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლები და სასულიერო სასწავლებლები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში შესწავლილია XIX საუკუნის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სასულიერო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების საკითხები. დისერტაცია წარმოადგენს პირველ ცდას, სადაც მონოგრაფიულადაა შესწავლილი ეს საკითხი. საკითხის შესწავლა გაამდიდრებს პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სფეროს, რადგან წამოიჭრა მრავალი აღმზრდელობითი და სასწავლო პრობლემა, გამოიკვეთა მათი გადაწყვეტის რაციონალური გზები.

**კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება** მდგომარეობს იმაში, რომ სადისერტაციო ნაშრომს შეუძლია, თავისი წვლილი შეიტანოს პედაგოგიკი თეორიისა და ისტორიის კვლევის საქმეში. კვლევის შედეგები შემოქმედებითი მიდგომის პირობებში გამოადგება თანამედროვე საერო და სასულიერო სასწავლებლებს. მიღებული მონაცემების გამოყენება შესაძლებელია, აგრეთვე, უნივერსიტეტებში პედაგოგიკის სპეცკურსებსა და სემინარებში. შეიძლება მომზადდეს ქართული სასულიერო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის ზოგადი სალექციო კურსი, რომელიც განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტის პედაგოგიკის სპეციალობის, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებს, ქართული პედაგოგიკის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველთა ფართო წრეს. ნაშრომი გამოდგება საქართველოს პედაგოგიკის ისტორიის სრულყოფილი სახელმძღვანელოს შედგენის დროს.

**ჰიპოთეზა** მდგომარეობს მასში, რომ თუ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი სასულიერო განათლების წარსულის მემკვიდრეობა, თუ ობიექტური შეფასება და ანალიზი გაუკეთდება ამ სასწავლებლების განვითარებას, სწავლა-განათლების შინაარსს, გამოვლინდება დადებითი და უარყოფითი მხარეები, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება წარსული მემკვიდრეობის კულტურულ ათვისებაში და რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია, დადებითი მომენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დღევანდელ პირობებში, საქართველოში სასულიერო განათლების ქსელის სულ უფრო მეტად განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.

**ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია.** დისერტაციაში განხილულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვდიოდით საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებზე. გამოკვლევის შედეგები სისტემატურად ეცნობოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტთან არსებულ სამეცნიერო სემინარს, ხოლო დასრულებული ნაშრომი რეცენზირებულ და შეფასებულ იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის მიერ.

**კვლევის ეტაპები:**

1. პედაგოგიკური ლიტერატურის დამუშავება, ბიბლიოგრაფიის შედგენა, კვლევის ამოცანისა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება;

2. საარქივო, სამუზეუმო და პრესის მასალების გაცნობა და დამუშავება;

3. მეცნიერული ლიტერატურის, საარქივო მასალების ანალიზური დამუშავება;

4. კვლევის მეთოდების რეალიზაცია;

5. კვლევის შედეგად დაგროვილი მასალის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური ანალიზი, დისერტაციის გაფორმება.

**დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები:**

1. გურია-სამეგრელოს ეპარქიის განათლების წარსული მემკვიდრეობის შესწავლა-ათვისებას აქვს მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება. დადებითი ისტორიული გამოცდილების შესწავლა-ანალიზი და მისი გათვალისწინება ქმნის თანამედროვეობის სამსახურში მისი ჩაყენების შესაძლებლობას, რაც პროგრესის დაჩქარებას უწყობს ხელს.

2. ეკლესიას დიდი როლი ეკისრა სასულიერო განათლების განვითარებაში გურია-სამეგრელოში, ჯერ კიდევ სამთავროების რუსეთთან შეერთებამდე. XIX საუკუნის დასაწყისიდან ქვეყანაში დაიწყო კულტურული გამოცოცხლება და ეკლესია-მონასტრებმა კვლავ დაიბრუნა დაკარგული ფუნქციები განათლების დარგში, ისინი სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ. გურია-სამეგრელოში საერო და სასულიერო განათლების საკითხის გადაწყვეტა განაპირობა აღნიშნული სამთავროების სოციალ-კულტურულმა და

პოლიტიკურმა მდგომარეობამ, კერძოდ, საკუთრივ გურიაში ამ პერიოდში ისლამის პროპაგანდის გაძლიერებამ, გურიისა და სამეგრელოს სამთავროების რუსეთის ავტონომიურ ერთეულებად ქცევამ, რუსეთის მთავრობის მიერ საეკლესიო რეფორმის გატარებამ და ეკლესიის, როგორც იდეოლოგიის მძლავრი იარაღის, მისი ინტერესებისადმი დამორჩილებამ.

3. სასულიერო სასწავლებლების ერთი ნაწილის არსებობა გურია-სამეგრელოში მე-19 საუკუნემდე საქართველოში კათოლიციზმის ისტორიას უკავშირდება. მისიონერების მიერ დაარსებული თეოლოგიური ხასიათის სკოლები ხელს უწყობდა კათოლიკური სარწმუნოებისა და ზოგადად, ხალხში განათლების გავრცელებას.

4. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ გურია-სამეგრელოში ახალი სასულიერო სასწავლებლების ქსელის შექმნა რუსეთის იმპერიული ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდა, კერძოდ – ქართული ენის ხმარებიდან ამოღებას, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციას. გურია-სამეგრელოს ეპარქიაში დაარსებული საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და სამაზრო სასულიერო სასწავლებლების სასწავლო გეგმები და პროგრამები მთელი რუსეთის იმპერიის ერთიანი, უნიფიცირებული სტატუსითა და შინაარსით ფუნქციონირებდა, რაც ყოველგვარ ეროვნულს გამორიცხავდა.

5. სასულიერო სასწავლებლები სასულიერო განათლების მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდნენ. ისინი დაწყებითი სასწავლებლების ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ და მიზნად ისახავდნენ სასულიერო კონტიგენტის მომზადებას და დაწყებითი სასულიერო განათლების მიცემას ახალგაზრდებისათვის. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოზურგეთისა (დარსდა 1829 წელს) და მარტვილის (დაარსდა 1830 წელს) სასულიერო სასწავლებლებია, რომლებიც თავიდან სამრევლო სკოლებს წარმოადგენდა.

6. სამეგრელოსა და გურიის სასულიერო სასწავლებლები რელიგიური და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია, რაც დასტურდება საარქივო წყაროების შესწავლის შედეგად, კერძოდ, ზუსტდება საეკლესიო-რელიგიური სწავლა-აღზრდის, პედაგოგთა კვალიფიკაციის,

სასწავლო კურსის, საგნობრივი თემატიკის, სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და შედეგების და სხვ. საკითხები.

7. სასულიერო სასწავლებლების გარდა მე-19 საუკუნის გურია-სამეგრელოში სასულიერო განათლების, პედაგოგიკური აზროვნებისა და სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ასევე საერო, სახალხო განათლების კერები: სამაზრო სასწავლებლები, მონასტრებთან არსებული, საკვირაო, საშინაო და კერძო სკოლები, ასევე ფართოდ გავრცელებული ინდივიდუალური ტიპის სასულიერო სასწავლებლები, ასევე – ინდივიდუალური სწავლების ფორმები.

8. ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის საუკეთესო წარმომადგენლები საეკლესიო-სამრევლო სკოლებში და სასულიერო სასწავლებლებში ამკვიდრებდნენ სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორებიც არის: ლექციური მეთოდი, საჯარო პაექრობა, საჯარო დისპუტები, საზეიმო შეკრებები, იამბიკოები, მაგალითი გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, საქმიანობიდან და სხვ. სავარაუდოდ, ცნობილი ლანკასტერის ანუ ურთიერთსწავლების სისტემის მეთოდი, რომელიც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ფართოდ იყო გავრცელებული, აუცილებლად იქნებოდა გამოყენებული გურია-სამეგრელოს ეპარქიის სკოლებში.

9. მე-19 საუკუნის II ნახევარში გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გაიზარდა სასულიერო სასწავლებლების რიცხვი, მათ შორის, დაწყებითი განათლების სკოლების რიცხვი, რომელიც ორი ტიპისა იყო: საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის. სასულიერო სასწავლებლების მრავალრიცხოვნება ადასტურებს, რომ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულებში დიდი ყურადღება ეთმობოდა სასულიერო განათლების მიღების აუცილებლობას და სახალხო განათლების კერებს.

10. ხელისუფლება სეპარატიზმის პოლიტიკის გამტარებელი იყო და გააძლიერა რეაქციული საასიმილაციო პოლიტიკა, ცდილობდა დაექუცმაცებინა ქართული ენის ეროვნული ორგანიზმი და ამით გაეადვილებინა მისი გადაგვარება, კერძოდ, ისწრაფოდა მეგრელთა და აფხაზთა გათიშვას ქართული

ეროვნული ორგანიზმიდან, ქართული კულტურული სივრცისაგან. მეგრულისა და აფხაზურის, როგორც სამწერლობო ენების შექმნა, სკოლებიდან ქართული ენის გამოძევების პოლიტიკას ემსახურებოდა.

11. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გურია-სამეგრელოში ქართული ენა სავალდებულო საგანი იყო თითქმის ყველა სასწავლებლის მოსწავლისათვის, მეორე ნახევარში კი იწყება რუსული ენის გაძლიერება და გამარუსებელი პოლიტიკით გამოწვეული ქართული ენის თანდათანობით შევიწროება.

12. აფხაზეთის საეპისკოპოსო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გურია-იმერეთის ეპარქიის შემადგენელი ნაწილია. ამდენად, აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების პროგრამა არსებითად კავკასიის დაპყრობის იმპერიული გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. მართლმადიდებლობის გავრცელების საქმეში დიდი მნიშვნელობა სკოლას ენიჭებოდა.

13. სასულიერო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების საკითხის განხილვა ეპოქის სოციალ-პოლიტიკურ და ისტორიულ პროცესებთან კავშირში აფართოებს სამეცნიერო თვალსაწიერს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით, როგორიცაა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიების მდგომარეობა, რუსიფიკატორულ პოლიტიკას დაქვემდებარებული ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, სასულიერო სასწავლებლების დაარსება, ქართველ მოღვაწეთა დამსახურება სასულიერო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების განვითარების საქმეში.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, საერთო დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. შესავალში დასაბუთებულია სადისერტაციო თემის შერჩევის მიზანი და ამოცანები, გამოკვლეულია მისი აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, განსაზღვრულია პრობლემა, მითითებულია გამოკვლევის ზოგადი ამოცანები.

ნაშრომის სტრუქტურა ასეთია:

**შესავალი**

**თავი I. სასულიერო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება XIX საუკუნის პირველი ნახევრის გურია-სამეგრელოში**

§1. ეკლესიის როლი და ადგილი სასულიერო განათლების განვითარებაში გურია-სამეგრელოში სამთავროების რუსეთთან შეერთებამდე
§2. საეკლესიო-სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოში XIX საუკუნის ირველ ნახევარში
§3. სასულიერო სასწავლებლები გურია-სამეგრელოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში
§4. გურიისა და სამეგრელოს ეპარქიებში სასულიერო განათლების დარგის თვალსაჩინო მოღვაწეები

**თავი II. სასულიერო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევრის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში**

§1. საეკლესიო-სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში
§2. სასულიერო სასწავლებლები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში
§3. რუსეთის იმპერიული ენობრივი პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში გურია-სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების მიხედვით

**თავი III. სასულიერო განათლების საკითხები XIX საუკუნის აფხაზეთში, გურია-სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობაში**

§1. საეკლესიო-სამრევლო სკოლები აფხაზეთში
§2. სოხუმში სასულიერო სასწავლებლის გახსნის მცდელობა
§3. ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში

**ზოგადი დასკვნები**

**დანართი**

**გამოყენებული ლიტერატურა**

## დისერტაციაში მიღებული ძირითადი სამეცნიერო შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ქრისტიანული სკოლების მნიშვნელობისა და მართლმადიდებლური პედაგოგიური მეცნიერების განვითარების ზოგიერთი საკითხისათვის.

საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“. თბილისი. 2013. № 3 (47). გვ.17-19. თანაავტორი იმერი ბასილაძე.

2. უცნობი მასალები რელიგიური განათლების შესახებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში (XIX საუკუნის ბოლოს). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი IV საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია მიძღვნილი აკაკი წერეtლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ფაკულტეტის 80 წლის იუბილესადმი. „სწავლებისა და აღზრდის პრობლემები“, შრომები. ქუთაისი. 2013. გვ. 66-73.

3. საგანმანათლებლო ტექნოლოგიები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი III საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია. „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. შრომები. ქუთაისი. 2012. გვ. 80-85. თანაავტორი მაია ახვლედიანი.

4. სამეგრელოში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული ჟურნალი „ინტელექტი“. თბილისი. 2012 №1(42). გვ. 22-23.

5. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული ჟურნალი „ინტელექტი“. თბილისი. 2009 №3 (35). გვ. 150-152

6. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ისტორიის ფურცლებიდან. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული ჟურნალი „ინტელექტი“. თბილისი. 2009 №3(35). გვ. 153-155. თანაავტორი მაია ახვლედიანი

## თავი პირველი

## სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის პირველი ნახევრის გურია-სამეგრელოში

### §1. ეკლესიის როლი და ადგილი სასულიერო განათლების განვითარებაში გურია-სამეგრელოში სამთავროების რუსეთთან შეერთებამდე

საქართველოს ისტორიაში XIX საუკუნე უაღრესად დრამატული პერიოდია, უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების – ისტორიული ქარტეხილების, მსოფლიო ომების, რევოლუციების, ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის, სოციალური და კულტურული დაწინაურების ხანა. XIX საუკუნის პირველი ნახევარი აღსავსეა მეტად რთული, წინააღმდეგობრივი მოვლენებით. ამ საუკუნის დასაწყისში რუსეთთან შეერთებამ განსაზღვრა საქართველოს ისტორიული ბედი. 1801 წლიდან საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე აღარ არსებობს, ვინაიდან რუსეთმა უსამართლოდ, ვერაგულად დაარღვია საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტის სამართლებრივი ნორმები და დაქუცმაცებული, მაგრამ დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების ანექსია მოახდინა. კოლონიური პოლიტიკის ინტერესებს დაუქვემდებარეს რელიგიაც.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე სამეგრელოს სამთავრო მოცული იყო შინაური უწესრიგობებით. სამეგრელოს თავადაზნაურობა ორ ერთმანეთის მიმართ მტრულ ბანაკად იყო დაყოფილი. მთავრის მოწინააღმდეგეთა ბანაკს სათავეში ედგნენ მთავრის დედა, დედოფალი ანა და ძმები – მანუჩარი და ტარიელი, გრიგოლ დადიანის მომხრეებში კი ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა მთავრის ბიძა გიორგი ოტიას ძე დადიანი. მთავრის

მოწინააღმდეგეებს ზურგს უმაგრებდა იმერეთის მეფე სოლომონ II, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა მათ სამეგრელოს სამთავროს მორჩილებაში მოსაყვანად და გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუთავებელი საშინაო ომების შედეგად სამეგრელოს სამთავროში მოიშალა სამოხელეო აპარატი, დაეცა მთავრის სახლის ეკონომიკური მდგომარეობა. ოდიშში გაბატონებული იყო ტყვეებით ვაჭრობა, ანარქია, ყაჩაღობა, ძარცვა და სხვა სახის ძალადობა, რომლის საწინააღმდეგო ღონისძიებებსაც დადიანი ვერ ღებულობდა მისი ხელისუფლების სისუსტის გამო.

1803 წლის დეკემბერში გაფორმდა რუსეთის ქვეშევრდომობაში სამეგრელოს სამთავროს შესვლის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სამეგრელოს მთავარმა შეინარჩუნა ავტონომიური უფლებები, მაგრამ იმპერიის ხელისუფლება აქტიურად ერეოდა სამთავროს საშინაო საქმეებში. საქართველოს მთავარმართებელმა ციციანოვმა სამეგრელოში, ვითომცდა მეფე სოლომონსა და სამეგრელოს მთავარ დადიანს შორის უთანხმოების მოსაწესრიგებლად, გამოგზავნა საგანგებო მოხელე ლიტვინოვი.

1811 წელს სამთავროს უკვე სრულწლოვანი ლევანი განაგებდა, ფაქტობრივად კი მთელი მართვა-გამგეობა ნიკოლოზ დადიანის ხელში აღმოჩნდა. ლევან დადიანმა შეირიგა ოპოზიციონერები და იმპერატორის ერთგული გახდა. მან რუსეთის მთავრობის წინაშე დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა სამხედრო ექსპედიციებში თავისი რაზმებით აქტიური მონაწილეობის მიღებით. ყოველივე ამის შედეგად შეძლო მოეგვარებინა სამთავროს საშინაო საქმეები, თანდათანობით აღსდგა ადმინისტრაციული აპარატი, მთავრის სახლის ეკონომიკური მდგომარეობა, ჯეროვანი ყურადღება დაეთმო განათლების საკითხს.

სამეგრელოს თავადაზნაურობა ვერ იღებდა იმ პრივილეგიებს, რომლებიც გააჩნდა უშუალოდ რუსეთის გუბერნიებად გამოცხადებული რაიონების თავადაზნაურობას და გამოთქვამდა მთავრის ხელისუფლების მიმართ აშკარა უკმაყოფილებას.

რაც შეეხება გურიის სამთავროს, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ ოსმალეთი თანდათან იპყრობდა მის მიწა-წყალს და მას ქობულეთის მხარე გამოგლიჯა. დაიწყო ქვემო გურიის გამაჰმადიანების პროცესი, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებამდე გაგრძელდა. ქვემო გურიის მოსახლეობის ნაწილი გურიის სხვა მხარეებში გადასახლდა. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში გურია ოსმალთა ბოლომოუღებელი შემოსევების ასპარეზად იქცა. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა 1784 წლის მარტში სცადა ქვემო გურიიდან ოსმალების განდევნა, მაგრამ ნაჭიშკრევთან დამარცხდა. ამის შემდეგ ეს მხარე 1878-მდე ოსმალეთის ხელში იყო.

გურიის სამთავრო მუდმივ ბრძოლაში იმყოფებოდა იმერეთის სამეფოსთან და ოსმალეთის იმპერიასთან. გურიის სამთავროს ძირითადი მოკავშირე ოდიშის სამთავრო იყო. გურიის ზოგმა მთავარმა მოახერხა იმერეთის მეფის ტახტის დროებით დაპატრონება. ოსმალეთის იმპერიასთან მუდმივი ბრძოლების შედეგად გურიის სამთავრომ დაკარგა ქვემო გურია. 1804 წელს რუსეთის მთავრობამ სცადა იმერეთის სამეფოსთან ერთად თავისი მფარველობა გურიის სამთავროზეც გაევრცელებინა, მაგრამ უშედეგოდ.

1810 წლის 19 ივნისს მამია V გურიელმა რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულება დადო. გურია რუსეთის იმპერიაში შევიდა, როგორც ავტონომიური სამთავრო. ამის შემდეგ ოსმალთა შემოსევები შემცირდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. მამია V გურიელის დროს (1809-1826) გურიის სამთავროში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: გაუმჯობესდა მმართველობის სისტემა, დიდი ყურადღება მიექცა განათლების საკითხს, დაწესდა ყოველწლიური ბაზრობა ნაგომარში, მოწესრიგდა სახელმწიფო კანცელარიის საქმიანობა, ჩატარდა მნიშვნელოვანი სააღმშენებლო სამუშაოები, განვითარდა ვაჭრობა და შინამრეწველობა.როგორც თ. ქართველიშვილი მიუთითებს თავის წიგნში ,,გურიის საეპისკოპოსოები", „მამია V-ის მმართველობის პერიოდში სამთავროში ჩნდება ევროპული ყოფისათვის დამახასიათებელი ნიშნები. შემოდის ევროპული ნივთები, ევროპული ტანსაცმელი, მთავრის კარზე იმართება ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი მეჯლისები. მამია V დიდად ზრუნავდა საგანმანათლებლო საქმის

დაწინაურებისათვის. მან ოზურგეთში დააარსა სკოლა“ (ქართველიშვილი თ. 114 : 134).

იმერეთის აჯანყების დროს რუსეთის სარდლობამ გურიაში ჯარი შეიყვანა და იმერელ აჯანყებულთა დამხმარე ქაიხოსრო ბატონიშვილის შეპყრობა სცადა. შემოქმედის ციხესთან მოკლეს რუსთა რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი პუზირევსკი. რუსთა დამსჯელმა რაზმმა ქაიხოსროსა და მის მომხრეთა მამულები მოარბია. ქაიხოსრო ბატონიშვილი თავისი მომხრეებით ემიგრაციაში წავიდა. 1826 წლის 26 ოქტომბერს გარდაიცვალა მამია V გურიელი. რუსეთის სარდლობის მოთხოვნით გურიის გამგებლობა დაევალა სამმართველო საბჭოს, რომელსაც სოფიო გურიელი თავმჯდომარეობდა.

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დროს გურია ომის ასპარეზად იქცა. სოფიომ სცადა ეს ვითარება თავისი ხელისუფლების გასაძლიერებლად გამოეყენებინა, მაგრამ მოსახლეობის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. გურიაში რუსეთის ჯარი შევიდა და 1828 წლის მიწურულს გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. დედოფალი სოფიო შვილებით ემიგრაციაში წავიდა.

რუსეთთან შეერთების წინ გურიის სამთავროს ახლანდელი ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონების ტერიტორია ეკავა (საჯავახო მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან იმერეთის მეფეს ჰქონდა დაკავებული), ე.ი. თავისი ტერიტორიის მესამედი დაკარგული ჰქონდა. ქვემო გურია თურქეთის იმპერიის ტრაპიზონის ვილაიეთის შემადგენლობაში შევიდა.

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 ომში გურიის მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ. 1829-1840 წლებში გურიას განაგებდა დროებითი მმართველობა, რომელშიც შედიოდნენ გურიის თავადები რუსი ოფიცრის თავმჯდომარეობით. 1840 წელს გურიის სამთავრო, დროებითი მმართველობა, გაუქმდა და გურია ოზურგეთის მაზრის სახით ქუთაისის გუბერნიაში შევიდა. თავის მხრივ, ოზურგეთის მაზრა 12 თემად იყოფოდა. რუსეთის მმართველობით გამოწვეული უკმაყოფილება დიდი იყო, განსაკუთრებით გლეხობაში, რაც 1841 წლის აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

აჯანყება სასტიკად ჩაახშვეს, თუმცა უკმაყოფილება დარჩა და 1862 წელს კიდევ ერთი აჯანყება მოხდა ბატონყმობის წინააღმდეგ.

გურიის სამთავროში სოციალური წყობა და ურთიერთობანი ძირითადად საქართველოს ბარის სხვა მხარეთა მსგავსი იყო. XV-XVI საუკუნეების მიჯნიდან გურიის სამთავროს ეკლესია, რომელიც XI საუკუნიდან ქუთათელის სამწყსოში შედიოდა, გურიელთაგან დასმულ მღვდელთმთავრებს დაექვემდებარა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურიის სამთავროში სამი ეპარქია შედიოდა: შემოქმედის, ჯუმათისა და ხინოწმინდისა. იყო რამდენიმე მონასტერი და ეკლესია, რომლებიც სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ.

როგორც ცნობილია, იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ეკლესია პირველად დამოკიდებული იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქზე, შემდეგ კი გადავიდა იმერეთის კათალიკოსის გამგებლობაში. 1390 წელს ბიჭვინთის საარქიეპისკოპოსომ მიიღო ავტოკეფალია, სახელწოდებით – აფხაზეთისა და ბიჭვინთის ეპისკოპოსი. აფხაზეთის კათალიკოსს, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით თითქმის უტოლდებოდა იბერიის კათალიკოსს, დაექვემდებარა იმერეთის, სოჭის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის ეპარქიები. 1455 წლიდან ბიჭვინთის კათალიკოსი იწოდებოდა აფხაზეთისა და იმერეთის კათალიკოსად, ხოლო 1657 წელს კათედრის გელათში გადატანასთან დაკავშირებით – იმერეთისა და აფხაზეთის კათალიკოსად, „1783 წელს იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე ნიჟარაძე წავიდა კიევში, სადაც გარდაიცვალა 1795 წელს ისე, რომ არ დაუტოვებია მემკვიდრე. ამის შემდეგ იმერეთის ეკლესიის (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) მმართველობა გადავიდა გელათის მიტროპოლიტის ხელში. იმერეთის რუსეთთან უშუალოდ შეერთების შემდეგ იმერეთისა და აფხაზეთის კათალიკოსი დაემორჩილა წმინდა სინოდს და საქართველოს ეგზარქოსს“ (ქადარია თ. 113 : 57).

სამეგრელოს სამთავრო რუსეთს შეუერთდა, როგორც ავტონომიური ერთეული. „სათხოვარი პუნქტებით“ გათვალისწინებული იყო სამთავროს შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, მაგრამ მასში საგანგებოდ არაფერი იყო ნათქვამი ეკლესიაზე. ეს შემთხვევით არ ყოფილა, რადგან რუსეთის მთავრობა თავიდანვე

ფიქრობდა ხელიდან გამოეცალა დადიანისათვის იდეოლოგიის ეს მძლავრი იარაღი და დაემორჩილებინა ის საკუთარი ინტერესებისათვის, რაც ერთ-ერთი უმძლავრესი წინაპირობა იქნებოდა სამთავროს ავტონომიის გასაუქმებლად.

თავის მხრივ, „დადიანებს კარგად ესმოდათ ეკლესიის მნიშვნელობა სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მთელი ძალით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ის თავიანთ ხელში. სამეგრელოს დედოფალი ნინო მოითხოვდა მთავრობისაგან, რომ სამეგრელოს მთავარეპისკოპოსებს ჰქონოდა სამთავროში უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება" (ქადარია თ. 113:58). ისინი, თავის მხრივ, მთავარს ემორჩილებოდნენ. 1809 წელს რუსეთის იმპერატორის მიერ სამეგრელოს დედოფალ ნინოსადმი მიცემულ მითითებებში სამთავროს საშინაო მართვის მოწყობის შესახებ ნათქვამი იყო, რომ „სასულიერო საქმეები იყო სამთავროს შინაური საქმე და მთავრობა ამ საქმეში არ ჩაერეოდა, მაგრამ მაინც მისცეს მითითება მთავარს, რომ სამეგრელოს ეკლესიებში წირვა უნდა წარმოებდეს როგორც ქართულად, ისე რუსულად" (Акты. 146 : 178). ამით ფაქტობრივად ჩაერივნენ სამთავროს სასულიერო საქმეებში. ეს მითითება საფუძველს მოკლებული იყო, რადგან სამეგრელოს სამთავროში არ იყვნენ სასულიერო პირები, რომელთაც წირვა შეეძლოთ რუსულად ჩაეტარებინათ. მთავრობის მიზანი იყო საქართველოს ეკლესიებში შემოეღოთ რუსული წირვა-ლოცვა და ამით მოსახლეობაში რუსეთისადმი ერთგულება დაენერგათ. ეს გეგმა რომ განხორციელებულიყო, რუსები მიისწრაფოდნენ, თვითონ ჩაეგდოთ ხელში სასულიერო სასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობა.

ფაქტობრივად, პირველად რუსული წირვა ჩატარდა მარტვილის მონასტერში, მას შემდეგ, რაც 1832 წლის 12 დეკემბერს აქ დიაკვნად ხელდასმულ იქნა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი რომან ბორისოვი. ესეც განხორციელდა თვით ლევან დადიანის მრავალგზის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის აზრითაც, „მონასტერი ეს არის პირველი ამა მხარეთა შორის შესაკრებელი უფლისწულთა და ეგრეთვე მრავალთ პატიოსანთა რუსეთის გვამთა და ესე ვითარი ხშირად ინებებენ რუსნი გულითადს წადილითა მოსმენას საღვთო მსახურებასა მონასტერს ამა შინა" (სსცა. 104 : ფ. 488 საქმე № 2956, ფურც.

1). ამდენად, ეს განახორციელა ლევან დადიანმა სამეგრელოში მყოფი რუსი მოხელეებისადმი ანგარიშის გაწევით. გარდა ამ მონასტრისა, რუსულად წირვა სამეგრელოს ავტონომიის არსებობის წლებში სხვა ეკლესია-მონასტერზე არ გავრცელებულა, მიუხედავად იმისა, რომ მარტვილის მონასტერთან სასულიერო სასწავლებლის გახსნას მთავრობა ამ ინტერესებს უკავშირებდა, სადაც გაძლიერებული რუსულის სწავლება იყო, რათა მათ კურსდამთავრებულებს შესძლებოდათ სამეგრელოს ეკლესიებში რუსულად წირვა-ლოცვა. ამდენად, 1815 წლამდე სამეგრელოს ეკლესია დამოუკიდებელი იყო და მასზე უმაღლეს ხელისუფლებას მთავარი ახორციელებდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქვეყანაში იწყება კულტურული გამოცოცხლება. ეკლესია-მონასტრები კვლავ იბრუნებს დაკარგულ ფუნქციებს განათლების დარგში. ერი უბრუნდება წარსულის ტრადიციების აღორძინებას, დასავლეთ საქართველოში ამის მოთავედ ჭყონდიდის ეპარქია გვევლინება, რომელსაც მხარს უჭერდა სამეგრელოს მთავარიც, ზრუნავდა რა სამთავროში ეკლესია-მონასტრების განახლებისა და ახლის მშენებლობისათვის. მისი მიბაძვით სამეგრელოს არისტოკრატიაც გარკვეულ ხარჯებს სწირავდა ეკლესიების სასარგებლოდ.

სამეგრელოს ავტონომიის არსებობის პერიოდში სამეგრელოს სამღვდელოება ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. სამეგრელოს მთავარი პირველ ხანებში სარგებლობდა მათი მხარდაჭერით და ამდენად წარმატებით იგერიებდა რუსეთის მთავრობის შემოტევებს, მიმართულს იქითკენ, რომ სამეგრელოს ეკლესია რუსეთის ეკლესიის შემადგენელი და განუყოფელი უჯრედი ყოფილიყო, მაგრამ შემდგომში მთავარმა დაკარგა მხარდაჭერა. სამეგრელოს სამღვდელოებამ საკუთარ ეკონომიკურ კეთილდღეობას შესწირა ავტონომიური უფლებები. სამეგრელოს მთავრის მისწრაფება, შეენარჩუნებინა ავტონომიური უფლებების მქონე ეკლესია თავისი უზენაესი ხელისუფლების ქვეშ, მარცხით დამთავრდა. სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი პირველ ხანებში ეწინააღმდეგებოდა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გეგმას, მინიმუმამდე შეემცირებინათ ეკლესია-მონასტრების რიცხვი. პირიქით, ის

იღვწოდა მათი რიცხვის გადიდებისათვის. დავით დადიანმა ეს კურსი შეცვალა, რის გამოც XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მკვეთრად მცირდება ეკლესია-მონასტრების რიცხვი.

## § 2. საეკლესიო-სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, კოლონიზატორების რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად, ძველმა საეკლესიო განათლების კერებმა საქართველოში არსებობა შეწყვიტა. მთავრობა შეუდგა იმპერიული ინტერესებისადმი დაქვემდებარებული ახალი სასულიერო სასწავლებლების ქსელის შექმნას. რუსული პოლიტიკა განათლების დარგში იქითკენ იყო მიმართული, რომ წარმატებით განეხორციელებინათ რუსიფიკატორული გეგმები, ხმარებიდან ამოეღოთ ქართული ენა და თავიანთი საგანმანათლებლო პოლიტიკით ხელი შეეწყოთ ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციისათვის.

რუსეთთან შეერთებამდე არსებული ქართული სასწავლებლები თითქმის მთლიანად დაიხურა და დაიწყო რუსული სკოლების დაარსება. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობას ბევრი საშუალება ჰქონდა: სამოქალაქო სამსახური, სადაც მთელი საქმისწარმოება მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა; სამხედრო სამსახური, სადაც უკიდურესი თვითმპყრობელობის ატმოსფერო იყო გამეფებული და ეკლესია, რომელსაც თვითმპყრობელობა იყენებდა თავისი ამოცანებისთვის, მაგრამ უმთავრესი და ძირითადი საშუალება იყო სკოლა, საიდანაც განდევნილი იყო მშობლიური ენა, სამშობლოს ისტორია, გეოგრაფია და სხვ. სწორედ „სკოლის საშუალებით ამზადებდა თვითმპყრობელობა სხვადასხვა ასპარეზზე სამოღვაწეოდ ისეთ პირებს, რომლებიც მხოლოდ რუსულ ენაზე იღებდნენ განათლებას. ასეთი მდგომარეობა დიდ საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ კულტურას და იწვევდა ერის გადაგვარებას“ (გიორგაძე გ. 35 : 227-228). აქვე

მივუთითებთ, რომ ჩვენ მიერ საგანგებოდაა შესწავლილი ქართული ენის მდგომარეობის საკითხი გურია-სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლებში მე-19 საუკუნეში, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, აღვნიშნოთ, რომ მისი სწავლების საკითხი გასცდა პედაგოგიური კამათის სფეროს და ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გახდა, მით უფრო, რომ „ახალთაობის აღსაზრდელად თვითმპყრობელობა არაფერს ზოგავდა: არც თვალთმაქცობას, არც დაჯილდოებას, არც სიმკაცრეს და არც ვითომდა მცირე ერების ინტერესების დაცვას. სწორედ რუსიფიკაციის ცხოვრებაში გასატარებლად თვითმპყრობელობა გამოდიოდა ვითომ მეგრელების, აფხაზების და სვანების ეროვნულ-კულტურული ინტერესების დამცველად, როდესაც მათთვის თხზავდა, ვითომ ახალს, იგივე რუსულ ანბანს ქართული მწერლობის და ანბანის წინააღმდეგ“ (გიორგაძე გ. 35 : 59).

ცნობილია, რომ რუსეთში განათლების საქმეს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან განაგებდნენ სასწავლო ოლქები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, იმპერიაში იმ დროს სულ 6 სასწავლო ოლქი იყო. სასწავლო ოლქის სათავეში იდგა მზრუნველი (პოპეჩიტელი). რუსეთში განათლების სამინისტრო დაარსდა 1802 წელს და დაიწყო სასწავლებლების ერთიანი, ცენტრალიზებული მართვა. ყველა ტიპის სასწავლებელში სწავლება უფასო იყო. ეს წესდება 1828 წლამდე მოქმედებდა. იგი ლიბერალურ-პროგრესულად იყო აღიარებული.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულს მიაქციეს ყურადღება იმას, რომ სასულიერო სასწავლებლებისთვის არ არსებობდა ერთიანი დებულება. 1807 წელს ცნობილი სპერანსკის თავმჯდომარეობითა და სინოდის ობერპროკურორ გოლიცინის მონაწილეობით შეიქმნა კომისია სასულიერო განათლების ერთიანი დებულების შესამუშავებლად. 1808 წელს სპერანსკის უკვე მზად ჰქონდა „მოხსენება სასულიერო სასწავლებელთა გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც „1809 წლიდან დებულების სახით ძალაში შესულა, მაგრამ სათანადო შესწორებითა და ცვლილებებით ის საბოლოოდ მეფეს 1814 წელს დაუმტკიცებია“ (Эницк. словарь. 160 : 21). ძირითადად ამ დებულებაზე იყო აგებული რუსეთში

სასულიერო განათლება 1867 წლამდე, როდესაც სასულიერო სასწავლებელთა ახალი დებულება დამტკიცდა. 1817 წელს თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია. საქართველოში 1818 წლიდან დაიწყეს სასულიერო სამაზრო და სამრევლო სასწავლებლების გახსნა.

მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში (1804-1828 წ.წ.) რუსეთში სახალხო განათლება 1804 წლის დებულებაზე იყო აგებული. ამ დებულებით საშუალო განათლება სამსაფეხურიანი იყო: სამრევლო სკოლა, სამაზრო სასწავლებელი და გიმნაზია. თითოეულ მათგანს დასრულებული სახეც ჰქონდა და შემდეგი საფეხურის სკოლის მოსამზადებელ სასწავლებელსაც წარმოადგენდა. 1814 წლის დებულებით, რუსეთში სასულიერო განათლება 4 საფეხურისაგან შედგებოდა: სასულიერო აკადემია, სასულიერო სემინარია, სამაზრო სასულიერო სასწავლებელი და სამრევლო სკოლა. 1828 წელს დამტკიცდა დებულება ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ, რომლითაც თბილისში გიმნაზია არსდებოდა, ხოლო მაზრებში – ოცი სამაზრო სასწავლებელი: თბილისში, გორში, თელავში, სიღნაგში, დუშეთში, ქუთაისსა და სამეგრელოში (სამეგრელოს მთავრის ნებართვით).

1828 წლის დებულებით, დაწყებითი და საშუალო განათლება სამსაფეხურიანი იყო: სამრევლო სკოლები, სამაზრო სასწავლებლები და გიმნაზიები, ხოლო ეს საფეხურები ერთმანეთის გაგრძელებას, 1804 წლის დებულების მსგავსად, არ წარმოადგენდა, არამედ თითოეული მათგანი დასრულებულ სახეს ატარებდა და განკუთვნილი იყო შესაბამისი წოდების ბავშვთათვის: სამრევლო სკოლა –გლეხებისთვის, სამაზრო სასწავლებელი – ვაჭრებისთვის, ხელოსნებისა და მეშჩანებისათვის, ხოლო გიმნაზია – აზნაურთათვის. ამიერკავკასიის დებულებით, სამრევლო სკოლა ნაგულისხმევი არ იყო, სამაზრო სასწავლებელი ორწლიანი არსდებოდა (ნაცვლად სამწლიანისა) და ამით ის ჩვენში დაწყებით სკოლას ემსგავსებოდა, გიმნაზია კი შვიდწლიანი სასწავლებელი იყო, რომლის პირველი კლასიც მოსამზადებლად იყო მიჩნეული, II და III კლასებს სამაზრო კლასები ეწოდებოდა, ხოლო საკუთრივ გიმნაზიურს IV, V, და VII კლასები შეადგენდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ

საეკლესიო- სამრევლო სკოლებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო: საღვთო სჯული, რუსული და ქართული წერა-კითხვა (რუსული წერა-კითხვა ზოგიერთ სკოლაში ისწავლებოდა) და არითმეტიკა (ოთხი მოქმედება), ,,მასწავლებლობა დავალებული ჰქონდა სოფლის ადგილობრივ მღვდელს, ვინაიდან XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არ ყოფილა არც ერთი სპეციალური სასწავლებელი დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად“ (ბასილაძე ი. 13 : 68).

30-40-იან წლებში საქართველოს დაბა-სოფლებში საკმაოდ ბევრი დაწყებითი სკოლა იყო, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა თავისი ინიციატივით ხსნიდა და ინახავდა კიდეც, მაგალითად კულაშში, ოქუმში, ხონში, ახალქალაქში და სხვ.

დებულების მიხედვით, სემინარია შეიცავდა სამ ორ-ორ წლიან კლასს: რიტორიკის, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისას, თბილისის სემინარია კი მხოლოდ რიტორიკის კლასისაგან შედგებოდა. ფილოსოფიის კლასი მოგვიანებით, მხოლოდ 1823 წლის სექტემბერში გაიხსნა, ღვთისმეტყველებისა კი – 1827 წელს, მაგრამ ამ კლასებშიც დებულებით გათვალისწინებული ყველა საგანი არ ისწავლებოდა, მაგალითად, ძველი ენები, ახალი ენები, ებრაული ენა, მათემატიკა. ლათინური და ბერძნული ენები საქართველოს არც სამაზრო სასწავლებლებში ისწავლებოდა, მაგრამ ყველა კლასში ისწავლებოდა ქართული გრამატიკა და განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „უბნობას“ – „разговор“-ს – ქართულიდან რუსულზე და რუსულიდან ქართულზე თარგმნას. გიმნაზიის პირველი ანუ მოსამზადებელი კლასისათვის, სადაც მხოლოდ რუსული წერა-კითხვა და არითმეტიკის ოთხი მოქმედება ისწავლებოდა, ვადა განსაზღვრული არ იყო, ხოლო შემდეგი კლასები თითო წლისთვის იყო ნავარაუდევი.

1840 წელს კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიასთან დაწესდა სასწავლებლების ინსპექტორის შტატი. ინსპექტორი ექვემდებარებოდა კავკასიის მთავარმართებელს და რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების სამინისტროს.

1848 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა მ. ს. ვორონცოვმა პეტერბურგიდან მიღებული ნებართვის საფუძველზე დაამტკიცა „დებულება კავკასიის სასწავლო

ოლქისა და მისდამი დაქვემდებარებულ სასწავლებელთა შესახებ.“ ამავე წელს დაარსდა კავკასიის სასწავლო ოლქიც. მის პირველ მზრუნველად დაინიშნა ვ. ნ. სემიონოვი, ხოლო 1852 წლიდან 1860 წლამდე ოლქს ბარონი ა. პ. ნიკოლაი მართავდა.

კავკასიის სასწავლო ოლქი 5 დირექციად იყოფოდა: თბილისის, ქუთაისის, შემახა-დერბენტის, სტავროპოლისა და შავი ზღვისპირეთის. სასულიერო სასწავლებლები რჩებოდნენ სასულიერო უწყების დაქვემდებარებაში. სასკოლო ოლქის მზრუნველს ჰყავდა 2 თანაშემწე და სახელმწიფო სასწავლებელთა ინსპექტორი. მზრუნველთან არსებობდა აგრეთვე საბჭო, სახელმძღვანელოების კომიტეტი და საცენზურო კომიტეტი.

პროფესორ გიორგი თავზიშვილის მოსაზრებით, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ, 1818 წლიდან, საქართველოში დაიწყეს დაბალი საფეხურის სასწავლებლების – საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და სამაზრო სასულიერო სასწავლებლების გახსნა. სამაზრო სასულიერო სასწავლებლები დასაწყისში იყო ერთკლასიანი ორი განყოფილებით, ერთწლიანი კურსით, საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლები კი – ორკლასიანი ორწლიანი კურსით. სამაზრო სასულიერო და საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების სასწავლო გეგმა განსაზღვრული იყო 1809 წლის წესდებით.

*სამაზრო სასწავლებლებში ისწავლებოდა:* 1. საღვთო სჯული, 2. არითმეტიკა,
3. რუსული ენა (გრამატიკა, თარგმანები ქართულ ენაზე და ქართულიდან რუსულზე), 4. ქართული ენა (გრამატიკა, თარგმანები რუსულ ენაზე და რუსულიდან ქართულზე).

*საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებში ისწავლებოდა:* I კლასში: 1. რუსულ ენა (წერა-კითხვა), 2. ქართულ ენა (წერა-კითხვა), 3. „საუბრები“ (ქართულ-რუსულ ენებზე); II კლასში: 1. საღვთო სჯული, 2. რუსული ენა (გრამატიკა), 3. ქართული ენა (გრამატიკა), 4. არითმეტიკა.

საეკლესიო-სამრევლო სკოლები, როგორც გ. თავზიშვილი შენიშნავს, უნდა არსებულიყო სამაზრო სასწავლებლებთან, როგორც მოსამზადებელი საფეხური ამ

სასწავლებლებისთვის ისე, როგორც სამაზრო სასწავლებლები სასულიერო სემინარიებისათვის, მაგრამ, არსებითად, სამაზრო სასწავლებლები და საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლები არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან არც სტრუქტურით, არც სწავლების ვადებით და არც სასწავლო გეგმებით. ამის გამო სინამდვილეში ისინი ერთად და ერთსა და იმავე დროს თითქმის არ არსებობდნენ (მაგალითად, 1829 წლისათვის საქართველოში 7 სასულიერო სასწავლებლის არსებობის დროს იყო მხოლოდ ერთი საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი სოფ. ონში). ამავე დროს, ცნობილია, რომ 1833 წლიდან სასულიერო სასწავლებელთა ქსელი გაფართოვდა და შემდეგ გადაიქცა 4-კლასიან სასწავლებლებად 4-წლიანი კურსით, საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლები კი 40-იან წლებამდე აღარ გახსნილა, არამედ მხოლოდ 40-იანი წლების დასაწყისიდან, სამაზრო სასწავლებელთაგან დამოუკიდებლად, როგორც ელემენტარული სასწავლებლები 2- ან 3-წლიანი კურსით.

ჩვენს საკვლევ პერიოდში, კერძოდ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სასწავლო წლისათვის ერთიანი, მტკიცე ვადები არ არსებობდა. როგორც გ. თავზიშვილი მიუთითებს, „სრულიად რუსეთის სასწავლებელთა 1804 წლის წესდების თანახმად, სასწავლო წლის ვადა გიმნაზიებისთვის შეადგენდა პერიოდს 1 აგვისტოდან 1 ივლისამდე. რაც შეეხება საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებს, რომლებიც უმეტესად სოფლად არსებობდა, სწავლა გრძელდებოდა 6 ან 7 თვეს წელიწადში (ოქტომბრიდან აპრილამდე), იმ მიზნით, რომ დანარჩენი დრო მოწაფეებს სასოფლო სამუშაოებში გაეტარებინათ... მეცადინეობა ტარდებოდა ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა. გაკვეთილი გიმნაზიებსა და სამაზრო სასწავლებლებში გრძელდებოდა 1 ს. და 30 წუთს (1828 წლის წესდებით), საეკლესიო-სამრევლო და სასოფლო სკოლებში კი – თითო საათს. როგორც წესი, დღეში იყო ოთხი გაკვეთილი: ორი დილით და ორი ნაშუადღევს, გარდა პირველი კლასებისა, სადაც ნაშუადღევს მეცადინეობა არ მიმდინარეობდა. ამავე დროს, სასწავლო წლის განმავლობაში ტარდებოდა „დახურული“ და საჯარო გამოცდები. დახურული ეწოდებოდა ისეთ გამოცდებს, რომლებსაც საგაზაფხულო არდადეგების წინ ატარებდნენ თვით სკოლის

მასწავლებლები და ადმინისტრაცია უცხო პირების დაუსწრებლად. საჯარო გამოცდები წარმოებდა სასწავლო წლის დამლევს კლასიდან კლასში გადაყვანისას და სასწავლებლის დამთავრების დროს. მას ჰქონდა საზეიმო ხასიათი, ესწრებოდნენ მთავრობის ორგანოების წარმომადგენლები. სასწავლო წელი მთავრდებოდა საზეიმო სხდომით, რომელზეც ისმენდნენ სასწავლებლის უფროსის ანგარიშს განვლილი წლის მუშაობის შესახებ, მასწავლებელთა მოხსენება-რეფერატებს, მოწაფეთა დახასიათებებს და მათი თვითშემოქმედების ნიმუშებს. ცხადდებოდა შემდეგ კლასში გადასულ (ან კურსდამთავრებულ) მოწაფეთა სია, აჯილდოვებდნენ საუკეთესო მოწაფეებს და კურსდამთავრებულთ ურიგებდნენ ატესტატებს“ (თავზიშვილი გ. 52 : 156). თავად ატესტატი სამი სახის ყოფილა: ბრწყინვალე წარმატებისა (ეძლეოდა მოწაფეებს, რომლებმაც გამოსაშვები გამოცდების დროს მიიღეს ყველა საგანში ნიშანი 5), მოწონებული წარმატებისა (რომლებმაც ყველა საგანში მიიღეს ნიშანი არა ნაკლებ 4-ისა) და საკმაო წარმატებისა (ანუ ჩვეულებრივი, ეძლეოდა მოწაფეებს, რომლებმაც მიიღეს ნიშანი არა ნაკლებ 3-ისა)“ (თავზიშვილი გ. 52: 158).

საარქივო მასალების მიხედვით, 5 წლის განმავლობაში (1841-1845 წწ.) „მარტო აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ-კახეთში) გაიხსნა 55 სასოფლო სამრევლო სკოლა 56 მასწავლებლით და 558 მოწაფით. დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის სკოლების რიცხვის შესახებ ზუსტი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ვინაიდან ასეთი სკოლების გახსნა სავალდებულო იყო სოფლის საშტატო ეკლესიების მღვდლებისთვის, ვიზიარებთ მკვლევარ გ. თავზიშვილის თვალსაზრისს, რომ „მათი რიცხვი აქ ნაკლები არ იქნებოდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში“ (თავზიშვილი გ. 52 :160).

სასწავლებლის გახსნა დიდხანს სამეგრელოს მკვიდრთა აუხდენელი ოცნება იყო. ჯერ კიდევ 1804 წელს სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის მიერ უნგრელ პროფესორ შამუელ მარტინისადმი ბოძებული წყალობის წიგნიდან ირკვევა, რომ “მთავარმა მას შესთავაზა სამეგრელოში დარჩენა, ყოველწლიურად 140 მარჩილის გადახდის, ოდიშსა და ლეჩხუმში 12 კომლი ყმა-გლეხის, ბევრი სხვა რამის ბოძების პირობით (საბადოების აღმოჩენის შემთხვევაში მათი მიცემის

პირობითაც), მისი შვილის, ტახტის მემკვიდრე ლევანის აღსაზრდელად" (Акты. 146 : 512). 1810 წლის 3 ოქტომბერს გენერალი სიმონოვიჩი მთავარმართებელ ალ. ტორმასოვს წერდა: „აქაურმა (ე.ი. იმერეთის) და სამეგრელოს მიტროპოლიტებმა, თავადებმა და აზნაურებმა მთხოვეს გახსნა სასულიერო სასწავლებლისა, სადაც ისწავლიან ქართულ ენას, რუსულ ენასა და არითმეტიკას. მათი ეს სურვილი სასარგებლოდ და სამართლიანად მიმაჩნია და თავს ვალდებულად ვთვლი, გთხოვთ გამოგზავნოთ აქ ენებისა და არითმეტიკის მცოდნე მასწავლებლები თქვენი შეხედულებისამებრ ხელფასის დანიშვნით" (Акты. 146 : 336).

სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა, ,,რომელმაც შეძლო საეკლესიო ყმა-მამულების შენარჩუნება, იკისრა, რომ თვითონ იზრუნებდა სამეგრელოში ახალი ტიპის სასულიერო სწავლების მოწყობაზე" (ქადარია თ., 113:190). სასულიერო სასწავლებლების მოწყობაზე დიდად ზრუნავდა მთავრის პირველი მოხელე ნიკოლოზ დადიანი (1780–1834), რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა სამეგრელოს სამთავროში თითქმის ყველა საკითხის გადაჭრაში. მან მთავრისადმი 1818 წელს წარდგენილ „დასტურლამაში", რომელიც სამთავროს მართვა-გამგეობის გარდაქმნის გეგმას წარმოადგენდა, ლევან დადიანს ამოცანად დაუსახა: ,,არიან სამფლობელოსა შინა შენსა... ყრმანი კეთილშობილნი მშვენიერნი, მარჯვე ჭაბუკნი, ბუნებით გონიერნი, გარნა სასწავლებელნი არა სადა და უსწავლელნი მიეცემიან უბედურებას... უმჯობეს არის და უპირველეს ამისა, სახსოვრად შენისა ვინაობისა და კეთილობისათვის და აგრეთვე საზოგადოდ მზრუნველობისათვის შვილთა მამულთა შენთასა მოიყვანოთ ერთი სქოლასტიკოსი /ე.ი. მასწავლებელი/, რომელმაც იცოდეს ქართული და რუსული სამეცნიერო წერილი და დაადგინეთ სადაცაა ჯერ გაჩნდეს სამფლობელოსა თქვენსა, თვისასა სახლითა და სახმარებლითა, რათა განანათლოს ძენი შენნი და შვილნი მამულთა შენთანი და იქნეს ყოვლითურთ ბედნიერება სამფლობელოსა შინა შენსა და შენ დაუვიწყებლად გადიდებდნენ და სახელი შენი დაიწეროს აღუხორცელსა ძეგლსა ზედა და იქმნენ შენ მამა ძველისა კოლხიდისა, ვითარცა რუსეთის პირველი პეტრე ალექსის ძე და გეწოდოს ლეონ განმანათლებელი კოლხიდისა /ე.ი. მენღრელიისა/" (დადიანი ნ. 37:38).

ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს ნიკო დადიანის სულისკვეთება. ის სამეგრელოში სასწავლებლის დაარსების აუცილებლობაშია დარწმუნებული. ლევან დადიანმა სწორედ მისი, როგორც ბრძენი მრჩევლის, გავლენით გადადგა ის ნაბიჯები, რომლებმაც ოდნავ მოგვიანებით განაპირობეს სამეგრელოში პირველი სასწავლებლის – მარტვილის სასწავლებლის გახსნა. იგი გულმოდგინედ ეკიდებოდა განათლების საქმეს. მისი დავალებით სამეგრელოს მიტროპოლიტმა ბესარიონმა ააშენა სემინარიისათვის საჭირო შენობები, ,,სახლი სამი ხისა მახლობლად ჭყონდიდის მონასტრის ხარების ეკლესიისა ზედა" (ნაგულისხმევია სამოთახიანი შენობა). ამის შემდეგ, 1827 წელს, ლევან დადიანმა ჭყონდიდის ტაძართან სასულიერო სასწავლებლის გახსნის წინადადებით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გორჩაკოვს, სამეგრელოს ეპისკოპოსმა (ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა) ბესარიონ დადიანმა კი – საქართველოს ეგზარქოსს მიმართეს.

მარტვილი უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც განათლებისა და კულტურის დიდი კერა. ცნობილი ქართველი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ქუთაისიდან და რკინიგზის სხვა სადგურებიდან 40 ვერსის დაშორებით, ლეჩხუმის მთების სიღრმეში, არის დიდი სოფელი მარტვილი, რომელიც 3–4 ვერსზეა გაჭიმული. სოფელი განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველ ტაძარს, ეპისკოპოს ჭყონდიდელის ყოფილ კათედრას, რომელიც თავის დროზე დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში" (ნიკოლაძე ნ. 76: 426). სწორედ დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის გამო გადაწყდა აქ სასულიერო სასწავლებლის დაფუძნება. 1878 წელს გაზეთი „ივერია" წერდა: „სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, სრულიად ბუნებრივად, უნდა გახსნილიყო მარტვილში, ჭყონდიდის ტაძრის გვერდით, ჭყონდიდისა და მონასტრის გავლენის ქვეშ, რადგან სამეგრელოში მარტვილს ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც რომის ქალაქს ფრანგთა შორის დასავლეთ ეკლესიაში" (ნიკოლაძე ნ. 84 : 428).

1827 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსმა იოანემ საქართველო იმერეთის სინოდის კანტორის სხდომის განსახილველად გამოიტანა სამეგრელოს

მთავარ ლევან დადიანის მიმართვა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გორჩაკოვისადმი და სამეგრელოს მიტროპოლიტ ბესარიონის 1827 წლის 25 სექტემბრის მიმართვა საქართველოს ეგზარხოსისადმი სამეგრელოში ჭყონდიდის მონასტერთან სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ, მაგრამ დადებითი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, საკითხი ვერ გადაწყდა მასწავლებლის საკითხის გამო. როგორც თ. ქადარია შენიშნავს, იქ დასანიშნი მასწავლებლის გამოძებნა ვერ შეძლეს (ქადარია თ. 113 : 92).

სამეგრელოს მიტროპოლიტი ბესარიონ ჭყონდიდელი ,,ითხოვდა თბილისის სემინარიიდან რუსულის მასწავლებლის გამოგზავნას, ამავე დროს ატყობინებდა ეგზარხოსს, რომ მას არ ჰქონდა სახსრები იმისათვის, რომ მასწავლებლისათვის ხელფასი გადაეხადა, ამიტომ თხოვდა სამეგრელოში მასწავლებლად გამოეგზავნათ თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული იოათიმ შელია, რომელიც, მისი მტკიცებით, იყო სამეგრელოს ეკლესიის ყმა და, ამდენად, დაავალდებულებდა მას სამეგრელოს სასწავლებელში ემუშავა უხელფასოდ“ (სსცა.105 : ფ.489.საქმე N2186, ფურც. 8), მაგრამ სამეგრელოს მიტროპოლიტს ეს იმედები გაუმტყუნდა. „იოათიმ შელიამ სემინარიის ხელმძღვანელობას და ეგზარხოსს წარუდგინა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ არ იყო საეკლესიო ყმა, არამედ იყო აზნაური და მან უარი განაცხადა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობაზე. იმედგაცრუებული მიტროპოლიტი ისევ ეგზარხოსს სთხოვს დახმარებას. ეგზარხოსის თხოვნით ამ საკითხთან დაკავშირებით ლევან დადიანთან მიმოწერა გამართა თბილისის სამხედრო გუბერნატორმა სიპიაგინმა იმ მიზნით, რომ ლევან დადიანს ეკისრა მასწავლებლისათვის ხელფასის გადახდა“ (სსცა.105 : ფ.489.საქ. №2186, ფურც. 114).

ლევან დადიანი მას შეპირდა, რომ „სემინარიიდან გამოგზავნილი მასწავლებელი უზრუნველყოფილი იქნებოდა ბინით, შეშით, განათებით, მსახურით, გარდა ამისა, დაუნიშნავდა ყოველწლიურად 100 მანეთს ვერცხლით“ (სსცა 105 : ფ. 489. საქმე N2186, ფურც. 114). როგორც ნ. საპიაგინისათვის ლევან V-ის მიერ 1827 წელს გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, ბესარიონ ჭყონდიდელს

ჭყონდიდის მონასტრის ხარების ეკლესიის ახლოს სადგომად სამი ოთახი აუშენებიათ. ამ სასწავლებელში ჩასარიცხად „მომზადებულ არიან ოცდაათი ყრმანი, მაგრამ სასწავლებლისა ამის გახსნასა აბრკოლებს მხოლოდ ერთი უმცნობელობა ღონისძიებათა, რომელნიცა მასწავლებელ-ოსტატთა და ობოლთა სარჩოსათვის აუცილებლად საჭირონი არიან“ (ქადარია თ. 113 : 192).

მიუხედავად ამისა, მასწავლებელთათვის ხელფასის გადახდა მთავარმა, რომელიც სამეგრელოს ეკლესიასაც თავის საკუთრებად მიიჩნევდა, მაინც ბესარიონ ჭყონდიდელს დააკისრა, რომელსაც ის საეკლესიო შემოსავლიდან უნდა გადაეხადა. 1828 წლის 2 აპრილს წერილში საქართველოს ეგზარხოსისადმი ბესარიონ ჭყონდიდელი სწერს: ,,მხოლოდ ჩემი ეკლესიის შემოსავლიდან მიეცემის ნახევარი ჯამაგირი რუსულის მასწავლებელსა და ნახევარი მთავარმა მისცეს სხვა ეპარქიებიდან“ (სსცა. 105 : ფ. 489. საქ. №2186. ფურც. 114).

მარტვილის საეკლესიო-სამრევლო სკოლას სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი ერქვა. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა მარტვილის ხარების ეკლესიის იღუმენი დავით ასათიანი, რომელსაც ბესარიონ ჭყონდიდელი ასე ახასიათებს: ,,პატივცემული და ნიჭიერი პიროვნება, საეკლესიო მეცნიერებებისა და საღვთო წერილების ღრმად მცოდნე“. რუსული ენის მასწავლებლად დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის უმაღლესი კლასის მოსწავლე რომან ბორისოვი, თბილისის მაზრის, სოფ. მცხეთის საეკლესიო გლეხის პეტრეს შვილი, 19 წლის.“ (სსცა.105 : ფ.489. საქ. № 31. ფ.148–**155)**

მასწავლებლების საკითხი გადაწყდა, მაგრამ ამჯერად სასწავლებლის გახსნა გადაიდო ბესარიონ ჭყონდიდელის გარდაცვალების გამო (გარდაიცვალა 1828 წლის 16 ივლისს), ახალი მიტროპოლიტის დანიშვნამდე. 1830 წელს ჭყონდიდელ (სამეგრელოს) ეპისკოპოსად ეკურთხა დავით წერეთელი, მაგრამ როდესაც ახალი მიტროპოლიტი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: მარტვილის ეკლესია მდებარეობდა ისეთ ადგილას, რომ ძლიერი ქარები დიდად ვნებდა შენობებს და ბესარიონ ჭყონდიდელის მიერ აშენებული ხის შენობა ქარმა დაანგრია, მაგრამ

მიტროპოლიტმა დავითმა შეძლო სასწრაფოდ გამოენახა სასწავლებლისთვის ახალი შენობა. მან სთხოვა ეგზარქოსს,

24-ე ეგერთა პოლკის ყოფილი ,,შტაბ-კვარტირის“ შენობა, რომელიც მდებარეობდა მონასტრის ახლოს, დაეთმო სასწავლებლისთვის. 1830 წლის 20 ივლისისათვის შენობა მზად იყო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგში არც ის აღმოჩნდა ბუნებრივი პირობებისაგან დაცული. სკოლის შენობა ამის შემდგომაც მრავალგზის დაზიანდა და ადგილშეცვლილ ან შეკეთებულ იქნა, მხოლოდ 1835 წელს ააშენა მაშინდელმა მიტროპოლიტმა გიორგიმ შედარებით მკვიდრი და მაგარი ქვითკირის შენობა. შენობა ორსართულიანი იყო. ზედა სართული ხის ოთხი ოთახისაგან შესდგებოდა, რომელთაგან სამი საკლასო ოთახი იყო, ხოლო ერთი – ბიბლიოთეკა. ქვედა სართული ქვითკირის კიდევ სამ ოთახად იყო დაყოფილი.. მაგრამ ვერც ამ შენობამ გაუძლო ბუნებრივი მოვლენების შემოტევას. 1841 წლის 17 სექტემბერს მიტროპოლიტი გიორგი სწერს საქართველოს ეგზარქოსს, რომ ,,პალატასა მასსა შინა აღმოჩნდა მდინარობა წყლისა, რომელმაც მისცა ცუდი ვნება და სამ ოთახად გაკეთებული პალატა შეადგინა ერთ სახლად, ამაზედ მრავალნი სხვადასხვა მეცადინეობანი შევამზადე. გარნა მცირედ მდინარობა წყლისა, ვერ მოშალე უმეტეს ზამთრივ, ხოლო სასტიკი მათ ქარისაგან და შენობათათვის მავნებლობისა სასწავლებელთა დაცვა ვერა რომელიმე ღონისძიება მოუპოვებიათ წინამდგომთა ჩემთა და ვერც მე“ (სსცა.104 : ფ. 488. საქმე N4188, ფურც.4). ასე რომ, სასწავლებლის შენობა თითქმის მუდმივ საზრუნავს წარმოადგენდა ამ სკოლის მესვეურთათვის.

1830 წლის 1 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მარტვილის სამრევლო სასწავლებელი. „გახსნას დაესწრო ლევან დადიანი, სამეგრელოს სამღვდელოება და თავადაზნაურობა. სამეგრელოს მიტროპოლიტმა დავითმა აკურთხა სასწავლებელი. სასწავლებელში სწავლას შეუდგა 50 მოსწავლე“ (ქადარია თ. 113 : 184).

1831 წლიდან მარტვილის სამრევლო სკოლა თბილისის სემინარიის გამგეობას დაუქვემდებარეს და არა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს. 1831 წლის 4 მარტს სამეგრელოს მიტროპოლიტი დავითი იწერება, რომ „თანახმად

მასწავლებლის რომან ბორისოვის განცხადებისა, მოწაფეებს უკვე დაუსრულებიათ რუსული ანბანი, სხვა წიგნებსაც კითხულობენ არც თუ ცუდად და საჭიროა მათთვის რუსული ენის გრამატიკის, საღვთო ისტორიისა და არითმეტიკის პირველი ნაწილის სახელმძღვანელოები 30-30 ცალიო“ (სსცა. 102 : ფ. 440. საქ. №49. ფ.17). 1833 წლიდან მარტვილის სამრევლო სკოლა საბაზისო სასულიერო სასწავლებელი იყო.

მარტვილის სასწავლებელში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სასწავლებელში, სწავლების დონე დიდად იყო დამოკიდებული მასწავლებლის როგორც განათლებაზე, ასევე პირად თვისებებზე.

მასწავლებლების, დიმიტრი კოლუბანსკის და გიორგი გურგენიძის, შესახებ სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგი კუხალაშვილი წერდა: ,,მათ საკმაოდ უჩვენეს გულმოდგინება და მაშინ ვხედავდი მე თვით თითქმის განსხვავებითს წარმატებას მოწაფეთაგან“. დიმიტრი ფომინზე კი, რომელიც 1836 წელს დაინიშნა მარტვილის სასწავლებლის მასწავლებლად, ეპისკოპოსი გიორგი კუხალაშვილი წერდა: „მოსწავლეები არა თუ მიიღებენ მისგან წარმატებასა სწავლისაგან, არამედ მრავალსა უწესობასა ხსენებულის უჩიტელისაგან. მართალია, ხასიათითა და ზნეობით მასწავლებელ ხარიტონოვს, რომელიც მარტვილის სკოლაში 1839 წელს დაინიშნა, დასაწუნი არაფერი არ ჰქონდა, მაგრამ სწავლების პროცესს ვერ ხელმძღვანელობდა. სამრევლო სასწავლებლის პირველი მასწავლებელი რომან ბორისოვი, მიტროპოლიტ გიორგის დახასიათებით, ,,მეცადინეობდა ფრიად გულმოდგინებით“ (სსცა.104 : ფ. 488. საქმე N7709, ფურც. 4). მან პირველი სასწავლო წლის ბოლოს, 1831 წლის 27 ივნისს მოაწყო სასწავლებლის პირველ კლასდამთავრებულთათვის საჯარო გამოცდა. გამოცდას ესწრებოდნენ ლევან დადიანი, სამეგრელოს მიტროპოლიტი დავითი, სამეგრელოს თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლები, აგრეთვე რუსი მოხელეები. გამოცდა ჩააბარა 42 მოსწავლემ. დამსწრე საზოგადოება მოხიბლული დარჩა სასწავლებლის წარმატებებით. დავითს მოწაფეთა საზაფხულო დათხოვნაზე უარი უთქვამს – მშობლებთან ყველაფერს დაივიწყებენო, ხოლო მეორე კლასის გახსნის გამო „წინადადება მისცა ბორისოვს, პირველ კლასში

რუსულისა და ქართულის მასწავლებლად იმავე სკოლის მოწაფე შეერჩია“ (სსცა. 102 : ფ.440. საქ.N 51 ფ.66 ).

სამრევლო სასწავლებლების პირველ კლასში ისწავლებოდა: 1. რუსული ენა /წერა-კითხვა/; 2. ქართული ენა /წერა-კითხვა/; 3. ეგრეთწოდებული საუბრები ქართულ და რუსულ ენებზე. როგორც ირკვევა, დაახლოებით ამ პროგრამით მიმდინარეობდა სწავლა სამეგრელოში გახსნილი სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში (რომლის ცხრილსაც ქვემოთ წარმოვადგენთ). 1831 წელს გახსნილ მეორე კლასში კი ასწავლიდნენ: 1. საღვთო სჯულს; 2. რუსულ ენას /გრამატიკა/; 3. ქართულ ენას /გრამატიკა/; 4. არითმეტიკას. აღნიშნული, 1809 წლის სასწავლებლების წესდების თანახმად, წარმოადგენდა სამრევლო სასწავლებლების პროგრამას.

როგორც მკვლევარი თ. ქადარია შენიშნავს, ,,სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს ოფიციალურ მიმოწერებში უწოდებენ სამაზრო სასულიერო სასწავლებელს, სინამდვილეში კი აქ პირველად სამრევლო სასწავლებელი გაიხსნა, რასაც მოწმობს სწორედ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის პირველი კლასის სასწავლო საგნებისა და საათების რაოდენობის ცხრილი.

| სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის სამრევლო კლასის სასწავლო საგნებისა და საათების რაოდენობის ცხრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი |
| დილით | | | | | | |
| კითხვა რუსულად | 8.9 | 8.9 | 8.9 | 8.9 | 8.9 | |
| კითხვა ქართულად | 10.11 | 10.11 | 10.11 | 10.11 | 10.11 | |
| ნაშუადღევს | | | | | | |
| სუფთა წერა | | | | | დილით | |
| რუსულად | 3.4 | | 3.4 | 3.4 | 10.11 | |
| სუფთა წერა | | | | | | |
| ქართულად | | 3.4 | | 3,4 | | |

(ქადარია თ. 113 : 194-195)

ამ სკოლაში „მეცადინეობა 8 საათზე იწყებოდა. ყოველდღე პირველი

ორი საათი რუსულად კითხვას, მომდევნო 2 საათი კი ქართულად კითხვას ეთმობოდა, კვირაში 2–2 საათი, ორშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, ხოლო პარასკეობით დილის მესამე და მეხუთე გაკვეთილები რუსულ სუფთა წერას ქონდა დათმობილი, ქართულ სუფთა წერას კი – მხოლოდ 2–2 გაკვეთილი სამშაბათობით და ხუთშაბათობით" (სსცა.104 : ფ.488. საქ.#1701, ფურც.31). საგნების ეს „სახე და საათების რაოდენობა ემთხვევა 1809 წლის სასწავლებლების წესდების საფუძველზე მოქმედი სამრევლო სკოლების პროგრამას" (ქადარია თ. 113 : 195).

სამეგრელოს სამრევლო სასწავლებელს ხელმძღვანელობას უწევდა და სწავლების პროცესზე ინსტრუქციებს აძლევდა თბილისის სასულიერო სემინარია, რომელიც სწავლებაში მთავარ ყურადღებას მიმართავდა რუსული ენის სწავლების დაჩქარებისაკენ. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის პირველი კლასისთვის სწორედ თბილისის სასულიერო სემინარიის თავკაცთა მიერ შედგენილ ცხრილს ასეთი მინაწერი ჰქონდა: „ძალიან კარგი იქნება ვაიძულოთ მოწაფეები პირველ კლასშივე ისწავლონ რუსული ენა და თარგმნა" (ქადარია თ. 113 :11).

სამეგრელოს საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელს სამთავროს ავტონომიის გაუქმებამდე ძალიან უჭირდა მასწავლებლებისათვის ხელფასის გადახდა. ამის გამო „სამეგრელოს მიტროპოლიტს სამრევლოს სასწავლებლის მეორე კლასის მასწავლებლად 1836 წელს სურდა დაენიშნა ამავე სასწავლებლის პირველი კლასის კურსდამთავრებული" (სსცა. 104 : ფ.488. საქმე N2458, ფურც. 3-9), რადგან ის იმუშავებდა უხელფასოდ იმიტომ, რომ სამეგრელოს ეპარქიის ხელმძღვანელობა მასწავლებლებისათვის ხელფასის გადახდას ვერ ახერხებდა და სამეგრელოში მასწავლებლად წამოსვლა არავის არ სურდა, მაგრამ სასწავლებელი თბილისის სასულიერო სემინარიის ხელშეწყობით მაინც ახერხებდა, რომ სასწავლებელში ყოველთვის ჰყოლოდათ მასწავლებლები. მასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში უხელფასოდ მუშაობდნენ.

თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობა აქ გამოსაგზავნი მასწავლებლების წახალისებას და ზოგ შემთხვევაში ძალდატანებასაც

მიმართავდა. 1835 წელს, როდესაც ახალგაზრდა მასწავლებელი დიმიტრი კოლუბანსკის მამამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია თავისი შვილის სამეგრელოში სამუშაოდ გაგზავნას, სემინარიის ხელმძღვანელობამ დ. კოლუბანსკის მამის დასჯა მოითხოვა.

უფრო მეტად „სამეგრელოში სამუშაოდ წასვლა თანხმობისათვის მასწავლებელთა წახალისება ხდებოდა. მაგალითად, იგივე დ. კოლუბანსკიმ სამეგრელოს სამთავროში მუშაობისათვის ჯილდოდ კოლეგიის რეგისტრატორის ჩინი მიიღო, მასწავლებელი დ. ფომინი, რომელმაც სამეგრელოში უხელფასოდ იმუშავა, თბილისის სასულიერო სემინარიის შუამდგომლობით ეგზარქოსმა მღვდლად აკურთხა და მისთვის სასურველ დიღმის ეკლესიაში განამწესა. მასწავლებელ გიორგი გურგენიძის ოჯახს, რომელსაც ძალიან უჭირდა, ეგზარქოსის განკარგულებით, ერთდროული დახმარების სახით 35 მანეთი გადაეცა ოქროთი. სამეგრელოს ეპისკოპოსი მასწავლებელ ეპიფანე გაწერელიას დაჯილდოებას ითხოვდა მისი უანგარო შრომისთვის“ (სსცა. 104 : ფ. 488. საქმე 130909. ფურც. 8). 1835 წელს ამ სასწავლებელში გამოგზავნილი მასწავლებელი დიმიტრი კოლუბანსკი ორი წელი უხელფასოდ მუშაობდა, „1838-1839 წლებში უხელფასოდ მუშაობდა დიმიტრი ფომინიც. 1835 წელს დანიშნულმა მასწავლებელმა გიორგი გურგენიძემ კი ჯამაგირიდან მხოლოდ 50 მანეთი მიიღო“ (ქადარია თ . 113 : 197).

სამეგრელოს მიტროპოლიტი კმაყოფილდებოდა მასწავლებლებისადმი მხოლოდ საჩუქრების გაცემით. 1841 წელს ის სწერს ეგზარხოსს, რომ მასწავლებელმა ფომინმა ,,მენგრელიიდან წასვლისას მიიღო საქები ცხენი და ფულიცა საჩუქრად“, ხოლო მასწავლებელმა ხარიტონოვმა – კარგი ცხენი, უნაგირი, ტანისამოსი და თეთრი საჩუქრად“ (სსცა.104 : ფ.488. საქმე N7709. ფურც. 11). რა თქმა უნდა, ასეთი გასამრჯელო არ აკმაყოფილებდა მასწავლებლებს და ისინი ხშირ შემთხვევაში სტოვებდნენ სამეგრელოს, რის გამოც ადგილი ჰქონდა მასწავლებელთა ხშირ ცვლას, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენდა სწავლების ხარისხზე.

ოფიციალურ მიმოწერებში სამეგრელოს სასწავლებლის სამაზრო

სასულიერო სასწავლებლად მოხსენიება ეტყობა შემთხვევითი არ იყო. სამაზრო სასწავლებლის გახსნა უახლოეს პერიოდში იყო ნაგულისხმევი, მაგრამ რადგან სამეგრელოს სამრევლო სასწავლებელი მთლიანად სამეგრელოს ხარჯებით არსებობდა და მთავრობა მას არავითარ ფინანსურ დახმარებას არ უწევდა, სახსრების უქონლობის გამო სამეგრელოში გათვალისწინებულ დროს ვერ მოხერხდა მისი გახსნა. „მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამეგრელოს ავტონომია გაუქმდა და საეკლესიო მამულები გადაეცა ხაზინას, საეკლესიო შემოსავლების გაანგარიშების შედეგად შესაძლებელი გახდა სამაზრო სასულიერო სასწავლებლის გახსნა, რაზედაც ნაშრომის შესაბამის თავში ვისაუბრებთ, ამთავითვე კი მხოლოდ მივუთითებთ, რომ  ეპისკოპოს გერონტის ინიციატივით 1860 წელს გაიხსნა სამეგრელოში სასწავლებლის მესამე კლასი და ამიერიდან გახდა სამაზრო სასულიერო სასწავლებელი“ (ქადარია თ.113:196).

მარტვილის საეკლესიო–სამრევლო სკოლა ერთადერთი სასულიერო სასწავლებელი იყო სამეგრელოს სამთავროში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. 1846 წელს, სინოდის კანტორის მოთხოვნის საფუძველზე, სამეგრელოს მიტროპოლიტმა წარადგინა ცნობები 1838 წლიდან 1845 წლამდე მონასტრებთან და ეკლესიებთან არსებული სასოფლო სკოლების შესახებ, რომელშიც წერს: ,,ესე ვითარნი სახელობითი სასწავლებელნი არ ყოფილან. და არც იქნებიან თვინიერ მეგრელიის სასულიეროს პროხოდის სასწავლებლისა, რომელიც გახსნილია მენგრელიას შინა მარტვილის მონასტერზედ“ (სსცა.100 : ფ. 4 საქმე 10775. ფურც. 9).

1836 წლის 28 ოქტომბერს, უწმინდესი სინოდის მითითებით, საქართველოს ეგზარქოსი შეუდგა ერთკლასიანი სამრევლო სკოლების გახსნის საკითხის შემუშავებას. მათი გახსნა საქართველოში მხოლოდ 1848 წლის სასწავლო დებულებით იქნა გათვალისწინებული და 50-იან წლებში პრაქტიკულად შეუდგნენ მათ განხორციელებას. ამრიგად, სასულიერო სასწავლებლის ფართო ქსელი სამეგრელოში ვერ შეიქმნა.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ მრავალრიცხოვნებით სამეგრელოს და

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლები გამოირჩევა. თავად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი ერთკლასიანი იყო და 1844 წელს დაარსდა, ხოლო 1846 წელს მას მე-2 კლასი მიემატა, მისი გამგე და მასწავლებელი ბეშკენოვი (ბეშკენაძე) იყო. სამწუხაროდ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში გურიის ეპარქიაში არსებულ სასწავლებელზე მეტად მწირი ცნობები მოიპოვება, რის გამოც აღნიშნული საკითხი ჩვენი მხრიდან განსაკუთრებული კვლევისა და განხილვის საგნად მხოლოდ ნაშრომის შესაბამის თავში წარმოდგება, სადაც საუბარია აღნიშნულ სასწავლებელზე XIX საუკუნის მეორე ნახევრის მასალების მიხედვით.

## § 3. სასულიერო სასწავლებლები გურია-სამეგრელოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

ცნობილი ფაქტია, რომ „საქართველოში სასულიერო სასწავლებლები უძველესი საუკუნეებიდან არსებობდა და მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სასულიერო კადრების მომზადებაში" (როგავა ა. 93:36). მათი ერთი ნაწილის არსებობა გურია-სამეგრელოში XIX საუკუნემდე საქართველოში კათოლიციზმის ისტორიას უკავშირდება. საკუთრივ კათოლიკური ეკლესიის მისია საქართველოში XIII საუკუნიდან დაიწყო, XIV საუკუნეში კი აფხაზეთში კათოლიკური ეპარქია გაიხსნა, რომელიც XVII ს-ის დამდეგიდან გააქტიურდა. აკად. კ. კეკელიძის მოსაზრების თანახმად, „მისიონერების დახმარებით ქართველებს უნდოდათ დაემსახურებინათ რომის პაპის ყურადღება, ხოლო უკანასკნელთა საშუალებით – დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებისა, რომელთაგან ისინი შველას მოელოდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში" და თავისთავად, მისიონერები, რომლებიც „ნამდვილად იყვნენ დახელოვნებული აგენტები დასავლეთ ევროპის კაპიტალსა და კაპიტალისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ექსპანსიისა აღმოსავლეთში", მოხერხებულად იყენებდნენ ადგილობრივ ხელისუფალთა ამ მისწრაფებას და ავრცელებდნენ კათოლიკურ სარწმუნოებას მოსახლეობაში (კეკელიძე კ. 68 : 77). ამ მიზნით ისინი

სწავლობდნენ ქართულ ენას და აარსებდნენ სხვადასხვა თეოლოგიური ხასიათის სკოლებს.

პატრ კლემენტე გალანოს მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ მისიონერებმა გურიის პროვინციაში დააარსეს სკოლები, სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და თეოლოგიას. ანალოგიური ვითარება აქვს აღწერილი სამეგრელოს მაგალითზე პატრ ძამპს, რომელიც აცხადებს: „კოლხიდის მთავარმა ბევრი კეთილშობილი ყმაწვილი მოგვაბარა გასაწვრთნელად და სარწმუნოების პირველ დასაწყისის ცოდნის სასწავლელად“. აღნიშნული ციტატის შესახებ ვეცნობით მკვლევარ ს. გამსახურდიას ნაშრომში, სადაც ასევე მითითებულია: „ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს რომის საეკლესიო (პროპაგანდის) კოლეგიის სასწავლებელში აგზავნიდნენ, სადაც ისინი თეოლოგიასთან ერთად ღრმად ეუფლებოდნენ ფილოსოფიურ მეცნიერებას და სპეციალური უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულნი, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას ხელს უწყობდნენ“ (გამსახურდია სვ. 34 : 115-117).

ზოგადად, „საქართველოს სოფლებში განაწილებული კათოლიკე მღვდლები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ იქ სკოლები დაეარსებინათ. მღვდელსა და ეკლესიას სოფელი ინახავდა, „სოფლის სკოლებში უფრო მეტად ერთი მღვდელი მოღვაწეობდა და ის ბავშვებს დაწყებით განათლებას აძლევდა, ასწავლიდა წერა-კითხვას, მშობლიურ ენას, გრამატიკას, თეოლოგიას. სკოლებისთვის განკუთვნილი ზოგიერთი სახელმძღვანელო წიგნი რომში დაარსებულ ქართულ სტამბაში იბეჭდებოდა. მისიონერები ხშირად ადგილობრივ მთავართა და კათალიკოსთა მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ. აქტიურობისაკენ მათ ხშირად ქართველი ღვთისმსახურები მოუწოდებდნენ, შთააგონებდნენ, დარჩენილიყვნენ სამრევლოებში, საზოგადო ღვთისმსახურება შეესრულებინათ და ხალხის განათლებაზე ეზრუნათ. კათოლიკეები მართლმადიდებლების ტაძრებში წირვას ხშირად უპრობლემოდ ასრულებდნენ. აღნიშნული ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოს მულტირელიგიური მოსახლეობა ურთიერთობის საკმაოდ მაღალი კულტურით გამოირჩეოდა.

1629 წელს ბიჭვინთის ეკლესიას დომინიკანელთა ორდენის ოთხი მისიონერი ეწვია, 1634 წელს კი გურიის შემოქმედელი ეპისკოპოსის თხოვნით, თეატინელ მისიონერთა პრეფექტმა, რადგან თეატინელ მისიონერთა მუშაობა გორში (სპარსეთის ჯარის იქ ყოფნის გამო) მეტად ძნელი ხდებოდა და ვატიკანისგან ნება ჰქონდათ, წასულიყვნენ საქართველოს სხვა მხარეებში, გორიდან გურიაში სამოღვაწეოდ წარგზავნა სამი პიროვნება: ორი იტალიელი – მხატვარი, ექიმი და მისიონერი დონ კრისტოფორო კასტელი, ქართულის მცოდნე დონ ანტონიო ჯორდინა (დონ ანტონიო ჯორდინამ შეისწავლა ქართული ენა. მან შეადგინა ქართული ენის გრამატიკა, იტალიურ-ქართული სიტყვარი) და ფრანგი – ძმა კლავდიო. მისიონერებმა ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს, მაგრამ მათ მოღვაწეობას წინ აღუდგა ალავერდელი ეპისკოპოსი, რომელიც იმ დროს სამეგრელოში მოღვაწეობდა და შემოქმედელი ეპისკოპოსისგან კატეგორიულად მოითხოვა მათი განდევნა. გურიის კათალიკოსმა მალაქიამ, რომელიც სიმპათიით იყო განწყობილი მისიონერების მიმართ, ისინი ოზურგეთში ჩაიყვანა და ბინა და პატარა ეკლესია მისცა გურიელის სასახლის ბაღში (საგულისხმოა, რომ შემდგომში ალავერდელმა ეპისკოპოსმა მისიონერების გავლენით კათოლიკობა მიიღო და კათოლიკედ გარდაიცვალა). ,,მისიონერთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კასტელი, რომელმაც 26 წელი დაჰყო საქართველოში, ძირითადად აფხაზეთში, სადაც ქადაგებდა, წირავდა, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ჩანაწერებსა და ჩანახატებს აკეთებდა, რომელთა მეცნიერული ღირებულება დღეს ერთობ დიდია,“ – მიუთითებენ სამეცნიერო ლიტერატურაში (პაპუაშვილი ნ. 199 : http://matiane.wordpress.com).

მნიშვნელოვანი მისიონერთა მოღვაწეობიდან იყო ის, რომ მათ თავი მოუყარეს 20-მდე ბავშვს და შექმნეს თავისებური სკოლა-კოლეჯი, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას ქართულად და იტალიურად, ქრისტიანულ მოძღვრებას. მასწავლებელი იყო დონ ანტონიო ჯორდინა, ვის შესახებაც დონ არქანჯელო ლამბერტი წერდა: „იგი დიდი სიადვილით ეუფლებოდა ენებს ... მან უკვე შეადგინა ქართული გრამატიკის კარგი ნიმუში. ამ ენაზე ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ ამ ქვეყნის მკვიდრი გეგონებოდათ. ასევე ფლობდა თურქულს.

იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ყველას წინაშე, განსაკუთრებულად კათოლიკოს-მთავრის მალაქიას წინაშე.“ დონ ანტონიოს მიერ წამოწყებული საქმეები დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯერ მისიონერის სახლს ერთ ბნელ ღამეს, როდესაც ძლიერი ქარი ქროდა, ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს და ვერაფერი გადაარჩინეს, მეორე დიდი უბედურება კი ის იყო, რომ 1637 წლის ზაფხულში გარდაიცვალა დონ ანტონიო ჯორდინა და სკოლამაც შეწყვიტა არსებობა.

როგორც ი. ტაბაღუა მიუთითებს, „მისიონერებს ბევრი მტერი ჰყავდათ. მათ სახელს უტეხდნენ. ხალხმა მოითხოვა მისიონერთა გურიიდან განდევნა. 1639 წელს კათოლიკოს-მთავარ მალაქიას გარდაცვალების შემდეგ ლევან დადიანმა დონ კრისტოფორო კასტელი სამეგრელოში გადაიყვანა და ამით დასრულდა თეატიანელ მისიონერთა მოღვაწეობა გურიაში“ (ტაბაღუა ი. 109 : 1-2). „ლევან დადიანი ევროპიდან სამეგრელოში ჩამოსულ კათოლიკე მისიონერებს დიდი პატივით იღებდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ საქმიანობას. მათი საშუალებით სცადა სამეგრელოს მთავარმა რომის პაპთან ურთიერთობის დამყარება. “ (საქართველო XVII საუკუნეში, 198 : ttp://ka.wikipedia.org).

თავად ლევან II დადიანი, როგორც კათოლიკე, ისე მოინათლა და საქვეყნოდ აღიარა კათოლიკობა. მას მიუღია პროპაგანდის კოლეგიის დაარსების შესახებ პაპის ბულლა (წიგნი), რომლითაც პაპი მოუწოდებდა ყველა ტომის ხალხს, გაეგზავნათ ყმაწვილები აღნიშნულ სკოლაში ,,კათოლიკე სარწმუნოების მოძღვრებაში გასაწვრთნელად“. მთავარს საპასუხო წერილი გაუგზავნია პაპისთვის, რომლითაც დიდ მადლობას უცხადებდა მისიონერების გამოგზავნისათვის, სთხოვდა სხვების გამოგზავნას, აღიარებდა პაპს ყველა ქრისტიანის მწყემსად და აუწყებდა რომის ეკკლესიასთან თავისი შეერთების ამბავს.

რომის ეკლესიის წარმომადგენლობა დასავლეთ საქართველოში ჰუმანიტარულ მისიას XIX ს-ის პირველ ნახევარშიც აქტიურად ახორციელებდა. როგორც მიუთითებენ, ,,საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტის დაკარგვამ ამ ქვეყნის კათოლიკური ეკლესიების უფლებებიც შელახა. რუსეთის თვითმპყრობელმა მთავრობამ 1844-1845 წლებში კათოლიკე მისიონერები

დასავლეთ ევროპის აგენტებად გამოაცხადა და ისინი ქვეყნიდან გააძევა. ამ გარემოებამ ქართველი კათოლიკეები აიძულა მეტად ეზრუნათ ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადებისთვის. და მართლაც, XIX ს-ის 40-50-იან წლებში ქართველი კათოლიკე სამღვდელოება გააქტიურდა. კულტურისა და განათლების სფეროს განსაკუთრებული ამაგი მღვდლებმა – პეტრე ხარისჭირაშვილმა, ივანე გვარამაძემ და მიქაელ თამარაშვილმა დასდეს“ (პაპუაშვილი ნ. 199 : http://matiane.wordpress.com).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როგორც ს. გამსახურდია აღნიშნავს, „ქვეყნის მმართველთა მიერ სწავლა-განათლებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევამ და ამასთან დაკავშირებით ჩატარებულმა ღონისძიებებმა განამტკიცა საზოგადოებრივი აზრი განათლების მიღების აუცილებლობის შესახებ, ხელი შეუწყო განათლებული კადრის შექმნას“ (გამსახურდია სვ. 34 : 203). მკვლევარ ი. ბასილაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ, აღიმაღლა რა ავტორიტეტი, დააკანონა თავისი მაღალი უფლებები, უდიდესი ამაგი დასდო ქართული ენის, ლიტერატურის, მართლმადიდებლური პედაგოგიური აზროვნების საქმეს. ეკლესია-მონასტრები ქართული განათლების, მწიგნობრობისა და პედაგოგიური აზროვნების კერებს წარმოადგენდა. ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკა ქართველ ახალგაზრდებს ცოდნას უმთავრესად ამ კერებში აზიარებდა. წინა პლანზე წამოვიდა ქრისტიანული აღზრდისა და აღმზრდელის როლი. ახორციელებდა რა თავის მიზანს, ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკა ახალგაზრდობას ამზადებდა იმქვეყნიური ცხოვრებისათვის, ამასთანავე, ცდილობდა მათ ზნეობრივ სრულყოფას. სწავლების პროცესში მასწავლებელს უნდა ეზრუნა მოსწავლის ზნეობრივ აღზრდაზეც, მასში ქრისტიანული თვისებების ჩამოყალიბებაზე და ეს ზრუნვა მას გამოემჟღავნებინა არა მარტო სიტყვიერი ქადაგებით, არამედ პირადი ცხოვრების მაგალითითაც“ (ბასილაძე ი., 13 : 64).

საგულისხმოა, რომ სასულიერო სასწავლებლების გარდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის გურია-სამეგრელოში სასულიერო განათლების,

პედაგოგიური აზროვნებისა და სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ასევე საერო, სახალხო განათლების კერები: სამაზრო სასწავლებლები, მონასტრებთან არსებული, საკვირაო, საშინაო და კერძო სკოლები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი ნაშრომის ძირითად თემატიკასთან კავშირში გვაქვს განხილული და ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა.

საქართველოს ავტოკეფალიისა და კათედრების გაუქმებით (1811) მრავალი საეკლესიო-სამონასტრო სკოლა გაუქმდა, მაგრამ დროთა ვითარების გამო მოთხოვნილება ელემენტარულ განათლებაზე ისე იზრდებოდა, რომ ბევრი ასეთი სკოლა კვლავ გაიხსნა 20-30-იან წლებში. აღნიშნულის თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მკვლევარი ი. ბასილაძე: „XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოებდა ჯრუჭის, ოზურგეთის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკისა და შემოქმედის ეკლესია-მონასტრებთან არსებულ საეკლესიო სამრევლო სკოლებსა და სასწავლებლებში. მათ შორის აღსანიშნავია შემოქმედის მონასტერთან არსებული სკოლა. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ამ მონასტერთან აქტიურ სასწავლო-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა ამავე მონასტრის ბერი დუმბაძე და ეს სკოლაც ცნობილია „დუმბაძე ბერის სკოლის“ სახელწოდებით. აქ ასწავლიდნენ წერას, კითხვას, გალობას, გრამატიკას, ღვთისმეტყველებას, საღვთო წიგნებს, კატეხიზმოს და სხვ.“ (ბასილაძე ი. 12 : 20).

სასულიერო სასწავლებლები სასულიერო განათლების მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდნენ. ისინი დაწყებითი სასწავლებლების ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ და მიზნად ისახავდნენ სასულიერო კონტიგენტის მომზადებას და დაწყებითი სასულიერო განათლების მიცემას ახალგაზრდებისათვის. სწავლების კურსი ოთხწლიანი იყო და გიმნაზიის პირველ სამ კლასს შეესაბამებოდა. ზოგადი დისციპლინის გარდა სასულიერო სასწავლებლებში ისწავლებოდა საღვთო სჯული, ეკლესიის ისტორია, კატეხიზმო, ღვთისმსახურების წესები და სხვ.

პირველი სასულიერო სასწავლებლები საქართველოში რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველ ათწლეულში შეიქმნა. ამ სასწავლებლების ქსელი, მართალია, ფართო არ იყო, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი იყო მოსწავლეთა სიმრავლე და მყარი არსებობა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი დაარსდა. მათი რიცხვი მომდევნო 50 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

პირველი სასულიერო სასწავლებელი 1818 წელს თბილისის სასულიერო სემინარიასთან გაიხსნა. შემდეგში ასეთი სასწავლებლები დაარსდა ქუთაისში (1821 წ.), ოზურგეთსა (1829 წ., რომელიც შემდეგ 1877 წელს ოთხკლასიანად გადაკეთდა) და მარტვილში. საქართველოს სასულიერო სასწავლებლები საქართველოს ეგზარქოსს ექვემდებარებოდნენ.

საინტერესოა სასულიერო სასწავლებლებში მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობის საკითხი. სასულიერო სასწავლებლებში, როგორც წესი, უმრავლესობას სასულიერო წოდების შვილები შეადგენდნენ. სემინარია და სასულიერო სასწავლებლები, პირველ რიგში, სასულიერო პირთა შვილების აღსაზრდელად და მათი საეკლესიო საჭიროებისათვის მოსამზადებლად იყო დაარსებული, მაგრამ მაზრაში გახსნილ სასულიერო სასწავლებლებში საკმაო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი საერო წოდების შვილებიც, განსაკუთრებით ამ სასწავლებელთა არსებობის პირველ ათეულ წლებში, რაც უნდა აიხსნას მაშინ საერო სასწავლებელთა უქონლობით.

სხვა წოდებიდან სასულიერო სასწავლებლებს თავადაზნაურთა შვილებიც ეტანებოდნენ, უფრო ნაკლებად – მოქალაქეთა და საეკლესიო და სახაზინო გლეხთა შვილები. იყო შემთხვევა, როდესაც აღნიშნულ სასწავლებლებში ყრმათა შვილები ახერხებდნენ მოწყობას, ხშირად გამოცვლილი გვარით, მაგრამ საკმარისი იყო ამის შესახებ საჩივარი აღეძრა ყრმის მფლობელს და ასეთებს სასწავლებლიდან რიცხავდნენ. მემამულეთაგან განსაკუთრებული დავის საგანს წარმოადგენდნენ ყოფილ ყრმა სასულიერო პირთა შვილები, რომლებიც დაახლოებით 1808 წელს იყვნენ დაბადებულნი.

საარქივო წყაროს მიხედვით, „მეფის 1808 წლის 7 ივლისის კანონი

ათავისუფლებდა მემამულეთა ყმა მღვდლებს ყმობისგან. მათი შვილები, ამ თარიღზე ადრე დაბადებულნი, ყმობაში რჩებოდნენ, შემდეგ დაბადებულნი კი ყმობიდან თავისუფალნი იყვნენ. ადმინისტრაციას არ შეეძლო მოეთხოვა ყმობაში გაჩენილი მღვდლის შვილების სასწავლებელში მოყვანა, რაც ევალებოდა სასულიერო პირებს" (სსცა 102 : ფ. 440. საქ.#4.ფ.84-86). სასულიერო სასწავლებელში შესულ გლეხის შვილებს მაშინვე ერეკებოდნენ სასწავლებლიდან, როგორც კი ეს გამოირკვეოდა.

სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში საეკლესიო წოდების მოწაფეთა გარდა საკმაო რაოდენობას შეადგენდნენ „სხვაწოდებისანი". ესენი იყვნენ: თავადები, აზნაურები, საეკლესიო გლეხები, სახაზინო გლეხებისა და მოქალაქეთა შვილები. „სხვაწოდებისანებს" განსაკუთრებით მაზრებში მოთავსებულ სასწავლებლებში ვნახულობთ, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ თბილისში 1839 წლამდე ერთი საერო სასწავლებელი – კეთილშობილთა სასწავლებელი – მაინც იყო, მაზრებში კი მხოლოდ 1839-იანი წლებიდან იწყება საერო სამაზრო სასწავლებლების გახსნა (თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისში, სამეგრელოში). სასულიერო სასწავლებელი მაზრაში მაზრის სასულიერო პირთა აღსაზრდელად იხსნებოდა, სემინარია კი მთელ ეპარქიას უწევდა მომსახურებას.

როგორც ვიცით, „სამაზრო სასწავლებლები საქართველოში შეიქმნა 1828წ. 8 დეკ. გამოცემული დებულებით, 1830 წლიდან, იმ მიზნით, რომ რუსეთის მეფის მთავრობას მოხელეთა კადრები ადგილობრივ მკვიდრთაგან დაეკომპლექტებინა, განკუთვნილი იყო „ყველა მდგომარეობის ხალხისთვის" და მიზნად ისახავდა დაწყებითი ცოდნის გავრცელებას" (თავზიშვილი გ. 53 : 109). ის იყო დაბალი ტიპის სკოლა, ღატაკი პროგრამითა და მშრალი, უსულგულო შინაარსით, მის უვარგისობას ემატებოდა უცხო (რუსულ) ენაზე სწავლება. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, ,,რუსეთის მდგომარეობა ამ დროს ამიერ-კავკასიაში არც ისე მტკიცე და სახარბიელო იყო; აჯანყებათაგან დამფრთხალს, მეფის მთავრობას ყველგან და ყოველთვის ღალატი და შფოთი ელანდებოდა. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ იგი თავის უშუალო

კონტროლის გარეშე არ დატოვებდა ადგილობრივ ცხოვრების არც ერთ კუნჭულს, არც ერთ კერძო ორგანიზაციას, მათ შორის კულტის და განვითარების სფეროსაც. ნიკოლოზ პალკინს საერთოდ საკმაოდ დახელოვნებული აგენტურა გააჩნდა. კერძოდ განათლების დარგში ასეთი აგენტურის ბუდეს წარმოადგენდა სამაზრო სასწავლებელი“ (ძიმისტარაშვილი სოკ., 130 : 127).

რაც შეეხება კერძო სასწავლებლებს, მათ გახსნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხელს უწყობდა წერა-კითხვისა და ანგარიშის გასაგებ, მშობლიურ ენაზე სწავლებას, რაც აუცილებელი გახდა იმ პერიოდში სავაჭრო და სავახშო კაპიტალის განვითარების გამო. საინტერესო ისტორიული ფაქტია, რომ მთავარმართებელმა დიდი ყურადღება მიაქცია კერძო სასწავლებლების საკითხს და ამიერკავკასიის პროვინციების მმართველებს დაუგზავნა ბრძანება, წარედგინათ მისთვის კერძო სასწავლებლების შესახებ ვრცელი მოხსენებები. პროვინციათა მმართველებისაგან მიღებული პასუხები საყურადღებო მასალას შეიცავს და იმდროინდელი სწავლა-განათლების ნათელ სურათს გვიშლის. აღნიშნულის დამადასტურებლად ქვემოთ მოგვყავს იმერეთის მმართველის ნაცვლის პოლკოვნიკ ჟიხარიოვის მოხსენება, რომელიც დათარიღებულია 1834 წლით. მასში ვკითხულობთ: ,,იმერეთის მმართველისადმი თქვენი მაღალაღმატებულების ა/წლის 17 სექტემბრის თარიღით №5277 ბრძანების შესასრულებლად შეგროვილ იქნა ცნობები იმ პირებზე, რომელნიც კერძოდ ასწავლიან ახალგაზრდობას და აღმოჩნდა შემდეგი: ... გურიაში: ქართველი და სომეხი მღვდლები და თათრის მოლები ახალგაზრდებს არ ასწავლიან, გარდა ისეთი მღვდლებისა, რომელნიც ასწავლიან თავიანთ შვილებს ქართულ დიალექტზე წერა-კითხვას. ამ მღვდლების წოდების და სახელის აღმოჩენა შეუძლებელი შეიქმნა, აქ ზოგი ქართველი მღვდელი ასწავლის თავის შვილებს ქართულ წერა-კითხვას, მეტს არაფერს. გურიაში არავითარი სასწავლებელი არ არსებობს, რის გამო მიმდინარე წლის პირველი სექტემბრისათვის იქ არც ერთი მოწაფე არ იყო. მღვდლად გასულ წელს გურულ მოწაფეთაგან არავინ კურთხეულა. იმის გამოანგარიშება თუ რამდენი მოწაფე იყო გურიაში ამა წლის 1 იანვრისათვის შეუძლებელი გახდა, ვინაიდგან თუმცა ზოგიერთი მშობლები

თავიანთ შვილებს ასწავლიან წერა-კითხვას, მაგრამ არა სისტემატიურად და მაშინ, როდესაც ამას მოსწავლენი მოისურვებენ და მანამდის, სანამ ამაზე მოწაფის თანხმობა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საქმე ეძლევა სამუდამო დავიწყებას...” (ბიმისტარაშვილი სოკ., 130 : 130).

წარმოდგენილი მოხსენებიდან ვეცნობით, რომ რუსის მთავრობის მიერ სწავლა-განათლების საქმე იმერეთსა და გურიაში სრულიად მივიწყებულია. მასში არ არის მოხსენიებული ზუგდიდის სამაზრო სკოლა (როგორც ცნობილია, სამეგრელო იმ დროს წარმოადგენდა ავტონომიურ სამთავროს). ფაქტია, რომ მთავრობამ საჭირო და სარწმუნო ცნობებიც ვერ შეკრიბა ოთხი თვის განმავლობაში, მაგ., დამახინჯებულია ცნობები გურიის შესახებ. ასევე არაა საუბარი საშინაო სკოლებზე (მათზე უფრო ვრცლად ქვემოთ მივუთითებთ),

რომელთა შესახებაც ს. ბიმისტარაშვილი შენიშნავს: ,,ზოგიერთ ოჯახებში იმ დროს, ოჯახის დედებს საპატიო საზოგადოებრივ ღვაწლად მიაჩნდათ თავიანთ სახლში ნათესავ-მოყვრების შვილებისათვის ესწავლებიათ საღვთო სჯული და წერა-კითხვა“ (ბიმისტარაშვილი სოკ., 130 :130-131). აღნიშნული დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რაზედაც მკვლევარი თავზიშვილი საუბრობს: „ოფიციალურ ანგარიშებსა და მიმოხილვებში კერძო სასწავლებელთაგან შედიოდა მხოლოდ მთავარმართებლის (მეფისნაცვლის) ან სასწავლო ოლქის სათანადო ნებართვის მქონე, ოფიციალურად აღრიცხული სკოლები, ამ ნებართვის გარეშე მოქმედი კერძო, საშინაო და ეკლესიებთან არსებული სკოლები, რომლებიც მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე ქართველთა შორის პირველდაწყებითი სწავლა-განათლების მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ, – ოფიციალური ანგარიშების გარეშე რჩებოდნენ და ჩვენი ხალხის განათლებაზე ლაპარაკის დროს მათ როლსა და მათ ქსელში ჩაბმულ ახალგაზრდობას მხედველობაში არ იღებდნენ. ესეც იმ მიზნით ხდებოდა, რომ ქართველ მოსწავლეთა რიცხვი და მათი ხვედრითი წონა შემცირებულად წარმოედგინათ“ (თავზიშვილი გ. 53 :100).

ქვემოთ უწინარესად მივუთითებთ სამეგრელოს სამაზრო (ანუ საერო) სასწავლებელს სოფ. ნოღალევში, რომელიც გაიხსნა 1830 წლის 23 დეკემბერს.

ნოღალევის სასწავლებელი მას პირობითად შეიძლებოდა რქმეოდა, რადგან „სასწავლებელი წელიწადში რამდენჯერმე იცვლიდა ადგილ-სამყოფელს იმის მიხედვით, თუ სად იმყოფებოდა მთავარი – ზუგდიდში, სენაკში, გორდში თუ სხვაგან. ეს კი, ცხადია, უარყოფითად მოქმედებდა სწავლების პროცესსა და ხარისხზე“ (ქ.ც.ა.124: ფ.86. საქმე №2, ფურც. 2-4).

ნოღალევის სასწავლებელში პირველ წელს 16 მოსწავლე ჩაირიცხა, მომდევნო წლებში მათი რაოდენობა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა და „1834 წლისათვის 45-ს მიაღწია, მაგრამ ამის შემდეგ ამ სასწავლებელში სწავლის მსურველთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო“ (ქ.ც.ა.124 : ფ.86. საქმე №2, ფურც. 5-6). სამაზრო სასწავლებლის პირველი მასწავლებელი ნაზაროვი, ,,როგორც მოსალოდნელი იყო ყოყლოჩინა, შოვინისტი მასწავლებლისაგან, ამის მიზეზად მეგრელთა ველურობას მიიჩნევდა. მას სასწავლებლის არსებობა სამეგრელოში უაზროდ მიაჩნდა და მთავრობას მის დახურვას ურჩევდა. საბედნიეროდ, ამიერკავკასიის სასწავლებლების დირექტორი მასზე ბევრად გონიერი აღმოჩნდა. მან, გაითვალისწინა რა სამაზრო სასწავლებლების მსგავსი მდგომარეობა მთელ დანარჩენ საქართველოში, ნაზაროვს დაავალა სასწავლებლების ამ ჩიხიდან გამოყვანის მიზნით გამოეცხადებინა სამაზრო სასწავლებლებში არა მარტო თავად-აზნაურთა შვილების, არამედ თავისუფალ მოსახლეთა შვილების მიღება, ამასთან ერთად, შეხვედროდა სამთავროს პატივდებულ პირებს და ეთხოვა მათთვის შვილების სამაზრო სასწავლებელში შეყვანა“ (ქ.ც.ა.124 : ფ.86 საქმე №2, ფურც. 8-9).

ყოველივე ცდა, ნოღალევის სამაზრო სასწავლებლის ჩიხიდან გამოყვანისა ამაო აღმოჩნდა. ძირითადი მიზეზი, რის გამოც მეგრელებს არ სურდათ ამ სასწავლებელში შვილის მიბარება, აქ გამეფებული აუტანელი სწავლების პროცესი იყო. ამიტომ, იმავე მასწავლებელ ნაზაროვის თქმით, „მეგრელებს არ სურდათ ჩაერიცხთა თავიანთი შვილები ასე სისაძაგლეში“ (ქ.ც.ა. 124 : ფ.86. საქმე №2, ფურც. 7). 1832 წლის ცხრილიდან სამეგრელოს სამაზრო სასწავლებლის შესახებ ირკვევა, რომ ყველაზე მეტი და საუკეთესო დრო ეთმობოდა საღვთო სჯულს და რუსულ ენას, ყველაზე ნაკლები და თანაც უარესი დრო (ნაშუადღევის ბოლო

გაკვეთილები, როცა მოსწავლეები უკვე დაღლილ-დაქანცული იყვნენ) – ქართულს. ცხადია, ეს ქართველთა გარუსებაზე იმთავითვე მეოცნებე რუსი მოხელეების მიერ იყო წინასწარ განზრახული.

კავკასიის სასწავლებლების შესახებ 1835 წელს შემუშავებული დებულება, როგორც თ. ქადარია მიუთითებს, ,,ადგილობრივ მცხოვრებთა შვილებისათვის, რომლებმაც არ იცოდნენ რუსული ენა, გიმნაზიის პირველ ორ კლასში გაკვეთილის მშობლიურ ენაზე ახსნის ნებას იძლეოდა, სამაზრო სასწავლებელში კი მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში დედაენისათვის უნდა მიემართათ უფროს კლასშიც (უფროს კლასად III კლასი ითვლებოდა). სამეგრელოში ადგილობრივ, მშობლიურ ენად ცნობილ იქნა მეგრული და რადგან იგი არ იყო სალიტერატურო ენა, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლება იქნა შემოღებული“ (ქადარია თ. 113:204).

ფაქტია, რომ თვითმპყრობელობამ საქართველოში მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან რუსეთის მსგავსი სასკოლო სისტემა შემოიღო ,,ტუზემური“ ენების გაძლიერებით, რაც ადგილობრივი მართვა-გამგეობის აპარატის საჭიროებით იყო გამოწვეული. ქართული ენის ცოდნის დიდი საჭიროება იგრძნობოდა მაშინ ყველგან და მის შესწავლას ერთგვარი ყურადღება ექცეოდა, ხდიდნენ რა სავალდებულოდ არაქართველთათვისაც. ქართული ენის სწავლების საქმემ რამდენიმე საფეხური განვლო, სანამ მისი სწავლება სრულ უარყოფამდე მიაღწევდა:

სამაზრო სასწავლებელში, სანამ ის ორკლასიანი იყო (1835 წლამდე), ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა, ადგილობრივი ენა, ანგარიში და სუფთა წერა. ადგილობრივ ენას ორ-ორი საათი ჰქონდა დათმობილი;

ორკლასიანი სამაზრო სასწავლებელი, ორი წლის კურსით, ვერც გიმნაზიისთვის ამზადებდა მოწაფეთა კონტინგენტს და არც სამსახურისთვის იყვნენ კურსდამთავრებულნი შესაფერისად მომზადებულნი. მთავარმართებელ როზენის პროექტით, 1835 წლიდან სამაზრო სასწავლებელში სამწლიანი კურსი იქნა შემოღებული და გაძლიერდა ადგილობრივი ენების სწავლება. ამიერიდან სამაზრო სასწავლებელში ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენის

გრამატიკა, გეოგრაფია, ისტორია, არითმეტიკა, დაწყებითი გეომეტრია, სუფთა წერა, ხატვა, ხაზვა და ადგილობრივი ენები. საისტორიო წყაროს მიხედვით, „სამეგრელოში თუმცა ხალხური ენა მეგრულია, მაგრამ, რადგან მას მწერლობა არა აქვს, – ნათქვამია მიწერ-მოწერაში, – იქაურ სასწავლებლებში ისწავლება ქართული, დიდი ხნიდან აქ შემოღებული“. ყველა მოსწავლეს ევალებოდა, მათ შორის რუსებსაც, ადგილობრივი ენის შესწავლა.

რა თქმა უნდა, მოწაფეთა ამდენი ენის შესწავლით დატვირთვა არაპედაგოგიური იყო და უშედეგო, მაგრამ ხელისუფლება ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა არა იმით, რომ ახალგაზრდობა საჭირო ცოდნით შეეიარაღებინა, არამედ – ვიწრო უტილიტარული მიზნებით: მას სახელმწიფო აპარატისთვის რუსულ ენასთან ერთად ადგილობრივი ენების მცოდნე მოხელეები, განსაკუთრებით – თარჯიმნები სჭირდებოდა. ქართული ენისადმი ყურადღება აიხსნებოდა იმ დიდი გავლენითა და საჭიროებით, რომელიც მას მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ეჭირა ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში.

ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან 50-იანი წლების ნახევრამდე ქართული ენა სავალდებულო საგანი იყო თითქმის ყველა სასწავლებლის მოსწავლისათვის, XIX საუკუნის პირველ ნახევარში გურია-სამეგრელოში ქართული ენის გაბატონებული მდგომარეობა აიძულებდა მთავრობას, გაეხადა ის სავალდებულო შესწავლის საგნად, რასაც ვერ ვიტყვით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ ვითარებაზე.

სამაზრო სასწავლებლის სასწავლო პროგრამაში, გარდა იმ საგნებისა, რომლებიც ზემოთ დამოწმებულ სამეგრელოს სამაზრო სასწავლებლის 1832 წლის გაკვეთილების ცხრილში იყო შეტანილი, 1835 წლიდან შეტანილ იქნა ისეთი საგნები, როგორიცაა: ისტორია, გეოგრაფია და დაწყებითი გეომეტრია. სამაზრო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება გიმნაზიაში. მართალია, ეს ახალი დებულება წინანდელთან შედარებით აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ არსებითი ცვლილება სწავლების ხარისხს არ განუცდია. კავკასიის სასწავლებლების დირექტორიც კი აღიარებდა, რომ

„სამაზრო სასწავლებლების მოსწავლეები სამი წელიწადი მხოლოდ წერა-კითხვის შესწავლას უნდებოდნენ“ (სსცა.99 : ფ.2. საქ. №4444, ფურც. 24).

პედაგოგიკურ მეცნიერებაში დღეს გაბატონებულია აზრი და მას ჩვენც ვიზიარებთ იმის თაობაზე, რომ ქართველ მოწაფეთა ჩამორჩენილობისა და სწავლაში წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ის რეჟიმი და არაპედაგოგიური აზროვნება უნდა დავასახელოთ, რომელიც მაშინ გაბატონებული იყო სასწავლებლებში. აღმზრდელები აღსაზრდელებზე მოქმედებდნენ არა დარიგებით, შეგონებით, პირადი მაგალითებით, არამედ შიშითა და მუქარით, ცემა-ტყეპითა და როზგით.

ვფიქრობთ, მოსწავლეთა სწავლაში წარუმატებლობისა და სკოლაში გამოუცხადებლობის რამდენიმე ძირითადი მიზეზი უნდა იქნეს დასახელებული: სასულიერო სასწავლებლები სრულიად არ იყვნენ შეგუებული ადგილობრივ პირობებსა და მოთხოვნებს; სასწავლებელში სწავლება ბავშვებისათვის სრულიად უცნობ, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა; გაუგებარ ენაზე რამდენიმე საგნის გაკვეთილის დასწავლა მოწაფისთვის ყოველდღიურ წამებად იყო გადაქცეული; სასწავლებელში მოსვლისას მას ფიზიკური სასჯელი მოელოდა გაკვეთილის დაუსწავლელობისა და სხვა რაიმე დანაშაულის გამო; მრავალი ზრდასრული მოწაფე 17-19 წლისა 7-8 წლიან ბავშვებთან ერთად ერთ კლასში იჯდა; მოზრდილებს გაკვეთილების შეუგნებლად დაზეპირება უფრო უჭირდათ, რაც მათ სწავლაში ჩამორჩენასა და მათ მიერ სასწავლებელზე გულის აყრას იწვევდა; საქართველოში არასტაბილური, შფოთიანი მდგომარეობა, მღელვარებანი, ომიანობა, ლეკთა თარეში, მოარული სენი, შავი ჭირი, საერთო შიშს ბადებდა მოსახლეობაში და ისეთ განწყობილებას ქმნიდა მშობლებში, რომლის გამოც მათ სკოლისთვის არ ეცალათ; სხვადასხვა მოარული სენი, განსაკუთრებით შავი ჭირი, რაც განუწყვეტელი მოვლენა იყო საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ სამ-ოთხ ათეულ წლებში, რომლის შედეგადაც მთელი სოფლები წყდებოდა, რა თქმა უნდა შეგნებულ მშობლებსაც ვერ წააქეზებდა, ასეთ პირობებში გაეგზავნათ ბავშვები სასწავლებელში; სიღარიბე ერთ-ერთი მიზეზი იყო, რაც მოწაფეთა წარმატებას აბრკოლებდა და სასწავლებელზე ხელს აღებინებდა; სასწავლებლის

რეჟიმი, ფიზიკური სასჯელი, რაც ნებადართული იყო, გულს უცრუებდა მოწაფეებს სწავლაზე.

1836 წელს სამეგრელოს სამაზრო სასწავლებელი უმოწაფოდ დარჩა, ის მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. ამიტომ „კავკასიის სასწავლებლის დირექტორმა მთავარმართებელს მისი დახურვა სთხოვა, რასაც როზენი დაეთანხმა, მაგრამ ამავე დირექტორის წინადადება, ეს სასწავლებელი გადაეტანათ რუსების მიერ ალექსანდროპოლად გადარქმეულ გუმრში, არ მიიღო, რადგან აქ სიშორის გამო მეგრელები არ გაგზავნიდნენ თავიანთ შვილებს. ამიტომ როზენმა საჭიროდ ჩათვალა სამეგრელოს სამაზრო სასწავლებლისათვის გამოყოფილი სახსრები გადასცემოდა ქუთაისის სამაზრო სასწავლებელს, რადგან ამ სასწავლებელში, სიახლოვის გამო, მეგრელებს შეეძლოთ შეეყვანათ შვილები“ (სსცა.99 : ფ.2. საქ. №4444, ფურც. 4). საბოლოოდ მაინც გადაწყდა სამეგრელოს სამაზრო სასწავლებლისათვის გამოყოფილი თანხა გადასცემოდა არა ქუთაისის სამაზრო სასწავლებელს (რომლის სასწავლო პროგრამა და სწავლების სახეც იდენტური იყო სამეგრელო სამაზრო სასწავლებელში გამოყენებული სასწავლო პროგრამისა, სწავლების სახისა და, ამდენად, მეგრელთა დამოკიდებულება მისი, როგორც მსგავსი მახინჯი სასწავლებლის მიმართ, უარყოფითი იქნებოდა), არამედ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს, რომელიც ყოველწლიურად სამეგრელოდან მიიღებდა 10 მოსწავლეს. „რუსეთის ხელმწიფის 1839 წლის 22 სექტემბრის ბრძანებით, სამეგრელოს სამაზრო (საერო) სასწავლებელი გაუქმდა. თანხა, რომელიც მისთვის ყოველწლიურად გამოიყოფოდა 1530 ვერცხლის მანეთის ოდენობით, გადაეცა თბილისის კეთილშობილთა პანსიონს, ხოლო სამაზრო სასწავლებლის კუთვნილი ავეჯი და სხვა ქონება – ქუთაისის სამაზრო სასწავლებელს“ (სსცა 99:ფ. 2. ა.საქ. №4444, ფურც. 24-25).

ცხოვრების მძიმე პირობები, მასწავლებელთა დაბალი განათლების დონე, სწავლების არაპედაგოგიური მეთოდები, სწავლება მეგრელი ახალგაზრდებისათვის სრულიად უცხო, რუსულ ენაზე, იყო ის უმთავრესი მიზეზი, რომლებმაც განაპირობა სამეგრელოს სამაზრო სასწავლებლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მოსახლეობის მხრიდან. ნაზაროვმა, კავკასიის

სასწავლებლების დირექტორმა, ყოველივე ამის მიზეზად თვით მასწავლებელი მიიჩნია და ამიტომ 1834 წლის 22 ივნისს მის ნაცვლად სამეგრელოს სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველად იოსებ მიზანდარი დანიშნა. მას სასწავლებლის წარუმატებლობის მიზეზების დადგენა და მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად რჩევების წარმოდგენა დაავალა.

იოსებ მიზანდარმა გულმოდგინედ შეისწავლა სასწავლებლის მდგომარეობა და მისი წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნია ამ სასწავლებლის გადატანა სენაკში, რომელიც, გეოგრაფიული და ეკონომიური თვალსაზრისით, სამეგრელოს სამთავროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა და სადაც ჰაერი შედარებით ჯანსაღი იყო. ამასთან, „სასწავლებელთან უნდა მოწყობილიყო მოსწავლეთა კვების სახლი, რომელიც სურსათით სამეგრელოს მთავარს უნდა მოემარაგებინა, უნდა გაუქმებულიყო სასწავლებელში საზაფხულო არდადეგები, რომლის დროსაც მოსწავლეები განვლილი მასალის მსუბუქი გამეორებით, ხატვით, სიმღერით, ცეკვით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი“ (ქ.ც.ა 124 : ფ.86. საქმე №2, ფურც. 27). ი. მიზანდარის ეს რჩევები რჩევებად დარჩა. ისინი არ განხორციელებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებში დასავლეთ საქართველოში სახაზინო, სასულიერო და კერძო სკოლების გარდა არსებობდა სამეგრელოსა და გურიის მთავართა მიერ დაარსებული სასწავლებლებიც. დიდი იყო მოსახლეობის, განსაკუთრებით, გაბატონებული კლასის მისწრაფება სწავლა-განათლების მიღებისაკენ, მაგრამ ამას ხელს უშლიდა სამთავროების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. საისტორიო წყაროების მიხედვით, ამ პერიოდში მამია გურიელმა „ყმაწვილთა სასწავლებლად“ გააჩინა ოზურგეთში სკოლა, წამოიყვანა ევროპიდან მუსიკის მასწავლებელი, შეადგინა მუსიკა და ჩვეულებად გააჩინა ევროპული ტანცები...“ (გაზ. „მოგზაური“ 174 : №12). როგორც ჩანს, გურიელი ხელს უწყობდა გურიაში ევროპული მუსიკალური ხელოვნებისა და კულტურის დანერგვას.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მთავრობა საქართველოს იმ კეთილშობილ ოჯახთა შვილების აღზრდის საქმისათვის, რომლებშიც რუსეთის

ერთგულების ჩანერგვა რუსეთის მომავალი გეგმების განხორციელებას დიდად შეუწყობდა ხელს. ასეთი მზრუნველობა მთავრობამ სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე ლევან დადიანის მიმართ გამოიჩინა. ლევან დადიანის მიერ აფხაზეთიდან სამეგრელოში საგანგებოდ მივლინებულ ლიტვინოვს საქართველოს მთავარმართებელმა ციციანოვმა გაუგზავნა მომავალი მთავრის აღზრდის გეგმა, რომელიც შემდეგ მუხლებს შეიცავდა:

1. მის აღსაზრდელად სასწრაფოდ მოვიწვიოთ ფელდფებელი ან უნტერ-ოფიცერი, რომელიც მას რუსულ წერა-კითხვას შეასწავლის, ხოლო ქართულს შეასწავლის ქართულის კარგი მცოდნე;

2. ასწავლეთ ცხენოსნობა, სროლა თოფითა და მშვილდ-ისრით;

3. არ მიაჩვიოთ ზედმეტ მგრძნობიარობას, რათა არ შეიძინოს ქალის თვისებები;

4. მოვაჩვიოთ იყოს ეკლესიის ერთგული და ჭეშმარიტი ქრისტიანი;

**5.** როცა რუსულს შეისწავლის, მაცნობეთ, ვის შეუძლია მას დაასწავლოს გერმანული და ლათინური და არითმეტიკა. თუკი ასეთი ვინმე არ არის, მას მოვძებნი და მოგწერ" (Акты 141 : 511).

ეს გეგმა მთლიანად ვერ განხორციელდა, მაგრამ ლევან დადიანში რუსეთის ერთგულებისა და მხედრული თვისებების აღზრდას უდავოდ მიაღწიეს. ბრწყინვალე მხედრული თვისებებით შემკულმა ლევან დადიანმა მრავალგზის ისახელა თავი რუსეთის მიერ წარმოებულ სხვადასხვა ლაშქრობაში.

დიდ მზრუნველობას იჩენდა მეფის მთავრობა მთავრის მემკვიდრეების მიმართ, რათა თავისი გეგმები რაც შეიძლება უმტკივნეულოდ განეხორციელებინა, ხოლო სამეგრელოს სამთავროს მოსახლეობის განათლების საკითხი მათ ნაკლებად აფიქრებდათ, იმდენად, რამდენადაც გაუნათლებელ მოსახლეობას უფრო კარგად იყოლიებდნენ მორჩილებაში, მაგრამ თვითონ ცხოვრებამ და ისევ საკუთარმა გეგმებმა დააყენა კოლონიზატორები მოსახლეობის განათლების ამაღლების აუცილებლობის წინაშე. მათი გეგმების განსახორციელებლად საკმარისი არ აღმოჩნდნენ საკუთრივ რუსი მოხელეები, ამიტომ საჭირო გახდა ისინი გამოეგზავნათ ადგილობრივი მოსახლეობიდან.

ამისთვის დღის წესრიგში დადგა განათლების ახალი სისტემის შექმნა, რომელიც გარკვეულ საფუძველს შექმნიდა იმისათვის, რომ კოლონიზატორებს წარმატებით შესძლებოდათ დამორჩილებული მოსახლეობის ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ჩაგვრა.

სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საერო სასწავლებლების ქსელი და ასევე ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები (თეკლათის) ცოტა იყო და ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას სწავლაზე. ამიტომ მოსახლეობა ხშირად მიმართავდა საოჯახო ინდივიდუალურ აღზრდას.

საოჯახო ინდივიდუალური აღზრდის პრაქტიკა გავრცელებული იყო უმთავრესად თავადაზნაურობაში. ამ წოდების ბევრი წარმომადგენელი ქირაობდა გუვერნიორებს, აღმზრდელებს, მასწავლებლებს და დიდი ხნით აძლევდა მათ თავიანთ შვილებს. ეს პრაქტიკა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში არაფრით გამოირჩეოდა ამავე პერიოდის დასავლეთ ევროპასა და რუსეთში არსებული ასეთივე პრაქტიკისაგან. საჭიროა მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ „ქართველ არისტოკრატიას შვილების აღსაზრდელად ხშირად ჰყავდა უცხოელები ან რუსები. მათ უმთავრესად იწვევდნენ უცხო ენების მასწავლებლებად. მაგ., ლევან დადიანს თავისი შვილების აღმზრდელად ჰყოლია უნგრელი მარტინი, ფილოსოფიის მცოდნე“ (თავზიშვილი გ. 52 : 117). ამაზე ცნობას გვაწვდის უცხოელი მოგზაური ჟაკ ფრანსუა - გამბა, კერძოდ, შენიშნავს, რომ „ის შეხვდა სამეგრელოს დედოფლის მართა წერეთლის ამალას, რომელსაც თან ახლდა ორი ვაჟი და მათი გუვერნიორი“ (გამსახურდია სვ., 34:114). იყო შემთხვევები, როდესაც ადგილობრივ მასწავლებლებსაც აბარებდნენ თავიანთ შვილებს. მაგალითად, „ბეკო საბახტარი თავისმა მამამ სასწავლებლად მიაბარა საკუთარ მდივან ბერუკა ჯიქიას,“ (ბოროზდინი კ. 27 : 70) სახალხო და კერძო სკოლის განათლებულ მასწავლებელს, რომლის შესახებაც გაზეთი „Кавказ“ წერდა: ,,ადამიანი ჭაღარაშერეული, მეტად საზრისიანი და გამომეტყველი სახით. ზეპირად იცოდა მან საღვთო წერილი, საეკლესიო წიგნები, ვეფხისტყაოსანი და ჩახრუხაძის თხზულება. კითხულობდა ვახუშტსა და ვახტანგს და ხელნაწერ თარგმანებში ჰეროდოტესა და არისტოტელს“ („Кавказ“, 180 : 1864, №14). მის

შესახებ სამართლიანად შენიშნა მკვლევარმა თავზიშვილმა: ,,მართალია, ეს ბერუკა ძველი, დახავსებული მეთოდით ასწავლიდა ბავშვებს წერა-კითხვას, მაგრამ ეს უფრო მის სოციალურ-პედაგოგიური განათლების უქონლობაზე ლაპარაკობს, ვიდრე ზოგადი განვითარების“ (თავზიშვილი გ. 52 : 176-187). ის ერთ-ერთი ყოფილა მათ შორის, რომლებსაც თავიანთი ცოდნითა და პედაგოგიური საქმის სიყვარულით საყოველთაო სიმპათია და პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული.

ზოგადად, ისევ ხსენებული მკვლევრის სიტყვებს დავესესხებით და ვიტყვით, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სახელმწიფო სკოლებში იყვნენ მოწინავე და განათლებული მასწავლებლები, მაგრამ არა სპეციალური განათლების მქონენი, რომ ,,საქართველოს სახელმწიფო სასულიერო და კერძო სკოლებში ბევრ შემთხვევაში ასწავლიდა სრულიად შეუფერებელი ხალხი: კანცელარიის მოხელენი, დიაკვნები, დემობილიზებული სალდათები და ურიადნიკები, წერა კითხვის ოდნავ მცოდნე დედაკაცები, კუტი, დავრდომილი და სხვა დასახიჩრებული ადამიანები, რომლებიც აღარავითარი მუშაობისათვის არ ვარგოდნენ, გარდა ,,პედაგოგიური“ მოღვაწეობისა“ (თავზიშვილი გ. 52 : 176-187). აღნიშნული, კერძოდ, კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალის ნაკლებობა, განაპირობა იმ ფაქტმა, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე საქართველოში არ იყო სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი, რომელიც პროფესიული განათლების პედაგოგებს მოამზადებდა. ზოგადად, ვიზიარებთ გ. თავზიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ,,XIX საუკუნის პირველი ნახევრის პედაგოგიური კულტურის დაბალმა დონემ თავისი ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სწავლების მეთოდებსა და ფორმებში. ზოგადი დიდაქტიკისა და კერძო მეთოდიკების სიღარიბე, პირველ ყოვლისა, ემჩნევა სწავლების ხერხებსა და სახელმძღვანელოებს“ (თავზიშვილი გ. 52 : 235). XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სკოლების სახელმძღვანელოთა შესახებ ლაპარაკის დროს მკვლევარს მხედველობაში აქვს არა მარტო სპეციალური სასწავლო ლიტერატურა, არამედ ყველა წიგნი, რომლებიც სკოლებში იხმარებოდა სათანადო საგნის სწავლების მიზნით, ,,ძალიან მცირე

იყო სპეციალური სახელმძღვანელოების ხვედრითი წონა საერთო ლიტერატურულ პროდუქციაში, მაგრამ სამაგიეროდ დაბეჭდილი თუ ხელნაწერი წიგნების დიდი უმრავლესობის მთავარი მომხმარებელი იყო სკოლა და მოსწავლე-ახალგაზრდობა“ (თავზიშვილი გ. 52: 261). ამ პერიოდში სახელმძღვანელო და საკითხავი ლიტერატურის ნაკლებობა განაპირობებდა, რომ ხშირად ოფიციალურ სასწავლო უწყებათა მიერ სახელმძღვანელოდ დაშვებული წიგნები თავისი შინაარსით შორს იყო შესასწავლი მეცნიერებისგან. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ფართოდ იყო გავრცელებული კარნახისა და კონსპექტების ყოვლად უმსგავსო და საზიანო პრაქტიკა, ,,სახელმძღვანელო ლიტერატურის ნაკლებობას განიცდიდა არა მარტო საშინაო, კერძო და ეკლესია მონასტრებთან არსებული სკოლები, არამედ სახელმწიფო და სასულიერო უწყებათა სასწავლებლებიც“ (თავზიშვილი გ. 52 : 261).

ქვემოთ წარმოვადგენთ იმ სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, რომლებიც გამოიყენებოდა სასწავლებლებში XIX საუკუნის პირველ ნახევარში:

ქართული ენისა და მწერლობის სახელმძღვანელოები:

1. სულხან-საბა ორბელიანი – „ანბანი პირველად სასწავლო ყრმათათვის“;

2. გაიოზი – „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა“;

3. პროკოპოვიჩი თეოფანე – „პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა შინა არის ანბანი და დამწერლობა ასოთა“ (თარგმანი რუსულიდან (ქართული ანბანის ჩართვით), გაბრიელ ჩხეიძის, გასწორებული და რედაქტირებული არქიმანდრიტ გერმანეს მიერ, დაბეჭდილი ქ. მოსკოვში 1739 წელს, ხოლო ახლად გადაწერილი დიმ. ოქროაშვილის მიერ 1820 წელს. და სხვა საანბანო და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნები);

4. ინდივიდუალური წესით სწავლებისას იხმარებოდა: „ანბანთქებანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“, „დავითიანი“, „ყარამანიანი“, „ლოცვანი“, „დავითნი“, „სახარება, სამოციქულო და სხვა საეკლესიო თუ საერო წიგნები და ხელნაწერები“ და სხვ.;

5. ტარასი ალექსიშვილი (მღვდელ-მონაზონი) – „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულისა წერილისა“. სახელმძღვანელო დაბეჭდილია მოსკოვში 1825 წელს;

6. პლატონ იოსელიანი – „ანბანი ქართული, სასარგებლოდ ქართველთა ახალ მოსწავლეთა ყრმათა“., თფილისი, 1838 წ.;

7. კერესელიძე ივანე – „ანბანი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“, ტფილისი, 1856 წელი;

8. ქართველიშვილი იოანე – „ქართული ღრამატიკა“, გამოცემული 1815 და 1825 წწ.;

9. დოდაშვილი (დოდაევი) სოლომონ – „შემოკლებული ქართული გრამატიკა“;

10. ქართული ენისა და ლიტერატურის ერთიანი ქრესტომათიული სახელმძღვანელოები. მაგ. მღვდელ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ 1774-1779 წ. შედგენილ-გადაწერილი „კრებული“; გიორგი ავალიშვილის (ავალოვის) „კრებული“;

11. თუმანიშვილი გიორგი – „მრავალ-ყვავილოვანი“;

12. ანდრია წიწვიანიძის თარგმანი რუსულიდან – „სასიამოვნო წალკოტი ყრმათათვის ანუ კრება სასიამოვნოთა და რჩეულთა ზღაპართა ცხადითა და ადვილისა ზნეობითისა სწავლითა“, გამოცემული 1842 წელს;

13. ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) დავითი – „ქართული ქრესთომატია, ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართველთა წერილთაგან“, დაბეჭდილი სანკტ-პეტერბურგს, 1846 წელს;

14. ქართული წერის დედნები, ხელნაწერის სახით;

რუსული ენის სახელმძღვანელოები:

1. ნიკოლაი გრეჩი – „Пространная русская грамматика“ გამოცემული 1828 წელს;

2. ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) დავითი „ Русско-грузинский словар“, გამოცემული 1846 წელს და სხვ.;

ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები:

1. ბაგრატიონი (ბატონიშვილი) დავით – „ისტორია, რომელსაც ეწოდების ნარკვევი“. თბილისი, 1800 წ.;

2. ბაგრატიონი თეიმურაზ – „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი, გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველო“, დაბეჭდილი 1848 წელს, პეტერბურგს;

3. რუდოლფ ფოსტრატის – „ღირსი ცოდნისა ქალაქთა ევროპისათა“ – აღწერილი იოანე ქართველ მღვდელ-მონაზონისაგან“;

4. ვახუშტი – ისტორია და გეოგრაფია და სხვ.;

ფიზიკა-მათემატიკის სახელმძღვანელოები:

1. არითმეტიკა – თარგმნილი ფრანგულიდან დიმიტრი ციციშვილის მიერ და მიძღვნილი ვახტანგ VI-ის შვილის ბაქარისადმი.;

2. ფიზიკაში იხმარებოდა ანტონ I-ის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული „შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკებრი“, სრულ იქმნა 1814 წელს, თბილისში.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ენციკლოპედიური წიგნი, რომელიც არ იყო დაწერილი მხოლოდ სასწავლო მიზნით, მაგრამ ფაქტობრივად ასრულებდა უნივერსალური სახელმძღვანელოს როლს საშუალო და საშუალოზე უფრო მაღალი განათლების მაძიებელთათვის, ,,ეს არის იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) „კალმასობა“ (დაწერილიXVIII საუკუნის დიდი „ფრანგული ენციკლოპედიის“ მიბაძვით), პეტერბურგი, 1828 წ.“ (თავზიშვილი გ. 52 : 261).

აქვე მოგვყავს 1802 წელს მთავარმართებელ კნორინგის მიერ თბილისში დაარსებულ ,,პირველ დაწყებით სასწავლებელში“ პედაგოგთა ,,წესებში“, იგივე ეთიკის ნორმებში განსაზღვრული პედაგოგთა მოვალეობანი: ,,წოდება მასწავლებლისა არის თანამდებობა ჩინებული და საყურადღებო, ვინაიდან იგი ამზადებს საზოგადოების სასარგებლო წევრებს... მასწავლებლებს მოეთხოვება აგრეთვე, რომ ისინი საკუთარი ყოფაქცევით და მოქმედებით მაგალითს აძლევდნენ თავის მოწაფეებს კეთილსინდისიერებაში, ალერსიანობაში, ზრდილობაში, კაცთმოყვარეობაში და მუყაითობაში. უნდა მოარიდონ მათ სიტყვით და საქმით ყოველგვარი მაცდუნებელი, უკადრისი და უმართებულო“

(თავზიშვილი გ. 52 :181-182). სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ მასწავლებლები, მღვდლები და დიაკვნები ან ადგილობრივ ეპარქიულ სასწავლებლებში იყვნენ აღზრდილი, ან საგანმანათლებლო საქმიანობაში ამ სკოლებთან ახლოს მდგომი. ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის საუკეთესო წარმომადგენლები საეკლესიო-სამრევლო სკოლებში და სასულიერო სასწავლებლებში ამკვიდრებდნენ სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორებიც არის: ლექციური მეთოდი, საჯარო პაექრობა, საჯარო დისპუტები, საზეიმო შეკრებები, იამბიკოები, მაგალითი გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, საქმიანობიდან და სხვ.

სწავლებისადმი მიდგომებიდან გვინდა გამოვყოთ ცნობილი ლანკასტერის ანუ ურთიერთსწავლების სისტემის მეთოდი, რომელიც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ფართოდ გავრცელდა და ამიერკავკასიის სასწავლებელთა დებულებებით იყო განსაზღვრული. ჩვენი ვარაუდით, იგი აუცილებლად იქნებოდა გამოყენებული გურია-სამეგრელოში, ვინაიდან მისი გავრცელებისთვის ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენდა სწორედ მასწავლებელთა სიმცირე და მოსწავლეთა დიდი რიცხვი, რაც იმჟამად ახასიათებდა სასულიერო სასწავლებლებსა და საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, ზოგადად, ქართულ საგანმანათლებლო კერებს.

ლანკასტერის მონიტორული სისტემის მიხედვით, გარკვეული კლასის (უმთავრესად დაბალი კლასის) მოწაფეები პატარა, 4-5 წევრიან ჯგუფებად იყო დაყოფილი. თითოეულ ჯგუფს კლასის წარჩინებული მოსწავლეებიდან უნიშნავდნენ უფროსს ან ხელმძღვანელს, რომლებიც წარმოადგენდნენ მასწავლებლის თანაშემწეებს (მონიტორებს). მათ მოვალეობაში შედიოდა, დახმარებოდნენ თავის ჯგუფებს გაკვეთილის სწავლაში, გამოეკითხათ ეს გაკვეთილი და დაესვათ სათანადო ნიშანი. გაკვეთილის დაწყებისას მონიტორები ამ ნიშნებს ურიგებდნენ მასწავლებელს. მასწავლებელი საერთო და მონიტორის კონტროლის მიზნით რამდენიმე მოწაფეს კვლავ გამოკითხავდა გაკვეთილს და ამოწმებდა როგორც მათ ცოდნას, ისე მონიტორების მიერ ამ ცოდნის შეფასების სისწორეს. იმ კლასებში, სადაც მონიტორებად ამავე კლასის წარჩინებული

მოწაფეები ინიშნებოდნენ, მასწავლებელი (ზედამხედველი) გამოჰყოფდა ხოლმე საუკეთესო მოწაფეთაგან ერთ უფროს მონიტორს (თავის თანაშემწეს). მას ევალებოდა თვით მონიტორისათვის გაკვეთილის გამოკითხვა და ნიშნის დასმა, აგრეთვე მონიტორთა მიერ სხვა მოწაფეთა ცოდნის შემოწმების კონტროლი... აღნიშნულ თემაზე ვიზიარებთ გ. თავზიშვილის შეფასებას: ,,ურთიერთ-სწავლების, მონიტორულ ფორმას მიმართავდნენ ჩვენში (ისე როგორც სხვაგან) იმიტომ, რომ ამ ფორმით შესაძლებლად მიაჩნდათ მრავალრიცხოვან კლასებთან მუშაობა, მასწავლებელთა სიმცირით გამოწვეულ სიძნელეთა გადალახვა (რამდენადაც უფროს მოწაფეებს ეკისრებოდათ მათთი ფუნქციები) და, რაც მთავარია, ურთიერთსწავლების სისტემით მომუშავე სკოლების შენახვა, აღნიშნული გარემოების გამო, იაფი უჯდებოდა მეფის ხელისუფლებას" (თავზიშვილი გ. 52 :259).

მკვლევარ ი. ბასილაძის მოსაზრებით, ,,მასწავლებელს ევალებოდა შეეცნო მოსწავლის სულიერი სამყარო, მისი ჭირ-ვარამი, დაერიგებინა და აღეზარდა იგი, ემხილებინა და აღმოეფხვრა მასში სიზარმაცე და მანკიერებანი, ესწავლებინა მისთვის კაცთმოყვარეობა, ზრდილობა, პატიოსნება, პირდაპირობა, თავმდაბლობა და სხვ. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სასწავლო პროცესიდან გამორიცხული იყო მოსწავლის ფიზიკური დასჯა. თუ მოწაფე გულმოდგინებას არ იჩენდა, მას ფიზიკურად კი არ სჯიდნენ, არამედ ამხელდნენ, მრავალგზის დაარიგებდნენ, ასწავლიდნენ, მზრუნველობას გაუწევდნენ... ერთი სიტყვით, სამღვდელოება იყო ამ სკოლების მთავარი მოჭირნახულე და, რა თქმა უნდა, სასულიერო პირებად და ქრისტიანული პედაგოგიკური იდეებით აღსაზრდელთა სწავლა-განათლება სწორედ ამ სასწავლებლებში მიდიოდა" (ბასილაძე ი. 13 : 66 ). ვფიქრობთ, აღნიშნული სრულად არ ასახავს რეალურ სურათს და მხოლოდ იდეალური პედაგოგისა და სწავლების ფორმას წარმოგვიდგენს, რამდენადაც ჩვენ მიერ სრულიად საწინააღმდეგო ინფორმაცია იქნა მოპოვებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გურია-სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების შესახებ საისტორიო წყაროებში, რაზედაც მოგვიანებით ნაშრომის შესაბამის თავებში ვისაუბრებთ.

აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ფიზიკური დასჯის მაგალითები საუკუნის დასაწყისშიც გამოვლინდებოდა, მაგრამ გადაჭარბებულად მიგვაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით ცალკეული შეფასებები და ყველაფრის მხოლოდ რუსეთის იმპერიული განათლების პოლიტიკაზე გადაბრალება. აქვე დავსძენთ, რომ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მკვლევარ ი. ბასილაძეს, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ ქრისტიანული რელიგია და პედაგოგიკა განსაზღვრავდა სწავლისა და სწავლების ჭეშმარიტ პრინციპებს, რომლებიც გამოიხატებოდა არა მოწაფისადმი არაქრისტიანულ მოპყრობაში, არამედ აუცილებლად მის მხილებასა და შეგონებაში და ამ გზით სასურველი შედეგის მიღწევაში.

ზემოთ მივუთითეთ, რომ ინდივიდუალური სწავლების სახეები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის წარმომადგენელთათვის. რაც შეეხება მოსახლეობის დაბალ ფენებს, მათთვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში გურია-სამეგრელოში არსებობდა საშინაო სკოლები მღვდლების, ზოგჯერ გლეხების ოჯახებთანაც. ამ სკოლებში სწავლების ხარისხი ძალზედ დაბალი იყო. ბოროზდინი წერდა: „სოფლებში აქა-იქ თავისთავად გაიხსნა სკოლები, სადაც მასწავლებლად თითქმის უვიცნი არიან. ერთ ამგვარ სკოლათგანში ერთადერთი წიგნი შეგვხვდა რუსული – სამხედრო დებულება და ამ წიგნის მეშვეობით ბავშვები რუსულ კითხვას სწავლობდნენ“ (ბოროზდინი. კ. 27: 65). ასეთი სკოლები იყო: დადიანისა, ჩიქოვანისა (სამეგრელოში), გურიელისა (გურიაში) და სხვ.

ამასთან, როგორც ცნობილია, ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები უმთავრესად მამრობითი სქესის ბავშვებს ემსახურებოდნენ. ამის გამო მათ პარალელურად საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა ე.წ. „საშინაო სკოლები“, სადაც ,,ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვებს, ხოლო გოგონებს, ამის გარდა ხელსაქმეს. ასწავლიდნენ მეტ შემთხვევაში „საშინაო სკოლების“ მქონე ქალები, იშვიათად კი სათანადო სახელმწიფო ან სასულიერო სასწავლებლებში სწავლამიღებული პირები. „საშინაო სკოლებში“ ასწავლიდნენ მამაკაცებიც, მაგრამ ყველა ესენი, გარდა მცირე გამონაკლისისა, იყვნენ მოხუცებულნი ან ინვალიდები, მაგრამ მათ შორის ხშირად ერივნენ მცოდნე

(თვითგანათლების გზით) და ხანგრძლივი პრაქტიკით პედაგოგიურად დახელოვნებული, ავტორიტეტული მასწავლებლები...“ (თავზიშვილი გ. 52 : 114-115).

სამეგრელოში მოსახლეობის დაბალ ფენებში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული ხელოსნობის სწავლება. ხელოსნობის სწავლებას მოზარდს ადრეული პერიოდიდან აწყებინებდნენ და სწავლა გრძელდებოდა ოთხი-ხუთი, ზოგჯერ ათი წლის განმავლობაში. „ხელოსნობის სასწავლებლად თვით მთავრები აგზავნიდნენ თვიანთ ყმებს იმისდა მიხედვით, თუ რა ხელობის ხელოსანი სჭირდებოდა მათ. მეუნარგიას ცნობით, დავით დადიანი წელიწადში 12 კაცს აგზავნიდა ხელობის შესასწავლად. მთავარი თვითონ იხდიდა სწავლების გადასახადს“ (მეუნარგია ი. 72 :167).

ხშირ შემთხვევაში გლეხები თვითონ მიაბარებდნენ ხელოსნობის სასწავლებლად თავიანთ შვილებს და სწავლის ქირასაც თვითონ იხდიდნენ. ჩვენ ხელთ აღმოჩნდა ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი. ეს არის პირობის წიგნი, მიცემული 1851 წლის 20 მარტს სწავლის ქირის გადახდის შესახებ ქაჯაიას მიერ მიქელაძისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „მე, ქვემორე ხელისმომწერმა ოდიშის მცხოვრებმა სოფელ თამაკონის საბატონო ყმამ ბეხუ ქაჯაიამ, მოგეცი წერილი, შენ დათა მიქელაძეს მას შინა, რომელ მოგაბარე ჩემი მკვიდრი დუტუ ქაჯაიას და შენ უნდა ასწავლო მას დალაქობა და აგრეთვე წიგნი, რომელიც უნდა იქნას შენთან ოთხი წლის ვადით და შენ ამ დადებულს ვადამდე უნდა ასწავლო დალაქობა და წიგნი, ხოლო ხარჯში და საოსტატოშიდ უნდა მოგართვათ ოცი მანეთი ვერცხლის ფული, ამ აღნიშნული ფულის ნახევარი  უნდა მოგცე ექვსი თვის განმავლობაში და ნახევარი როდესაც ვადა შესრულდება, რითაც სახელმწიფო გადასახადი შეგხვდეს მისი მომცემი მე ვიყო, გარდა ამისა, თუ ჩემმა შვილმა რამე ხელუკუღმართობა ქნას მისი მზღვეველი მე ვიყო. ხელს ვაწერ ბეხუ ქაჯაია იოანე დავითის ძე ცანავა და აზნაური მაქსიმე მდივანი“ (ქადარია თ. 113 : 213).

დოკუმენტებიდან ირკვევა, თუ რა ფორმით ფორმდებოდა ხელშეკრულება, რა სახის  გადასახადს იხდიდნენ და როგორ, რა ვადით მიმდინარეობდა სწავლება და რაც ყველაზე მთავარია, ხელობასთან ერთად ხელოსანს შეგირდებისთვის

უნდა ესწავლებინა წიგნი, ე.ი. წერა-კითხვა. აქ საქმე გვაქვს ხელოსნობის სწავლების განსაკუთრებულ ფორმასთან. საქართველოში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული და ის, უპირველეს ყოვლისა, შეიცავდა შრომით აღზრდას და ზნეობრივი აღზრდის გარკვეულ ელემენტებს, ხოლო წერა-კითხვას ასწავლიდნენ, როგორც სვ. გამსახურდია წერს, „ხელოსან-მოსაქმეთა გარკვეულ ჯგუფს, რომელიც წიგნთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწეოდა, სწავლების ეს ფორმა გონებრივ აღზრდასაც შეიცავდა, ეს ჯგუფი ძირითადად საეკლესიო წრეში მზადდებოდა და ხელოსნობასთან ერთად წერა-კითხვას, გრამატიკას, და საერთოდ ქართულ მწიგნობრობას სწავლობდა“ (გამსახურდია სვ. 34 :129). ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ხელოსნობის არა ისეთ მაღალ ფორმასთან, როგორიცაა წიგნის გაფორმება ან ოქრომჭედლობა და სხვა., რომლებიც აუცილებლად განათლებულ ადამიანებს მოითხოვდა, არამედ უბრალო დალაქობასთან, რომელსაც თავისი ხელოსნური საქმიანობისათვის სრულებითაც არ სჭირდებოდა წერა-კითხვის ცოდნა. აქედან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: ხელოსნობის სწავლება გონებრივი სწავლების გარკვეულ ელემენტებს შეიცავდა და ზოგ შემთხვევაში წერა-კითხვის სწავლებასაც გულისხმობდა. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ უბრალო ხელოსნებიც კი სამეგრელოში ელემენტარული განათლების მქონენი მაინც ყოფილან XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

სამეგრელო მდიდარი იყო საერო აღზრდის მეტნაკლებად გავრცელებული სხვა ფორმებითაც, რომელიც უძველესი დროიდან იღებდა საფუძველს. დიდი ყურადღება ექცეოდა რაინდულ აღზრდას. მართალია, რაინდული აღზრდა გონებრივ აღზრდასაც მოიცავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს უფრო ფიზიკური აღზრდა. იშვიათად იყო სამეგრელოში მამაკაცი, რომელიც არ ყოფილა კარგი ცხენოსანი, მონადირე, მოისრე, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას თავადაზნაურობაზე. ბეკო საბახტარს კ. ბოროზდინი ასე ახასიათებს: „უნაგირზე მშვენივრად იჯდა, აჭენებდა უბელო გადარეულ ცხენებს, ხუთმეტი ნაბიჯის მანძილზე დანას თოფიდან ტყვიას ახვედრებდა, ოცდაათიდან კვერცხებს ამტვრევდა, ჰაერში ძერას კლავდა,

მიმინოთი მწყერებზე ნადირობდა და ძაღლებით ირმებს, მელიებს იჭერდა, შინაყმებთან ყოველგვარ მეგრულ სიმღერებს მღეროდა, თამაშობდა აფხაზურად და ლეკურად“ (ბოროზდინი კ. 27 : 72). ეს თვისებები ახასიათებდა როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის წარმომადგენლებსაც. ისინი მემკვიდრეობით ღებულობდნენ ამ თვისებებს.

„სამეგრელოში ფართოდ იყო გავრცელებული შვილების გაზარება-გაძიძავება, რომელსაც მაღალი წოდების წარმომადგენლები მიმართავდნენ. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სამეგრელოს თავადაზნაურობა შვილებს აძიძავებდა აფხაზეთში, ხოლო აფხაზები – სამეგრელოში. მაგ., ლევან ახმედბეგ შარვაშიძე იზრდებოდა სამეგრელოში პეტრე მხეიძის ოჯახში, ბეკო საზახტარი კი – აფხაზეთში“ (ქადარია თ. 113 : 214).

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში განათლების ძველი კერები თანდათანობით ქრება და მის ადგილს იკავებს განათლების ახალი ქსელი. იქმნება რუსეთის განათლების სისტემისადმი დაქვემდებარებული სასულიერო საერო სასწავლებლები. ფართოდ ვრცელდებოდა ინდივიდუალური ტიპის სასულიერო სასწავლებლები, ინდივიდუალური სწავლების ფორმები. კვლავინდებურად დიდი ყურადღება ეთმობოდა რაინდულ აღზრდას და ა.შ.

## § 4. გურიისა და სამეგრელოს ეპარქიებში სასულიერო განათლების დარგის თვალსაჩინო მოღვაწეები

ქვემოთ უშუალოდ წარმოვადგენთ გურიისა და სამეგრელოს ეპარქიებში მოღვაწე იმ პირებს, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს სასულიერო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარებას.

როგორც ვიცით, მწიგნობრობის ტრადიციებს საქართველოში შორეულ წარსულში აქვს გადგმული ფესვები და XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც სწავლა-განათლების უმთავრეს კერებს გურია-სამეგრელოში, ისევე როგორც სრულიად საქართველოში, ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ.

საკვლევ პერიოდში სამეგრელოში წარმატებით განაგრძობენ არსებობას მწიგნობრობის კერები მარტვილსა და საირმეში, რომელიც დადიანებს ეკუთვნოდათ ამ დროს.

ხსენებულ ცენტრებში მოღვაწეობდნენ წიგნის გადამწერი ოსტატები: მონაზონი რომანოზი, მღვდელ-მონაზონი გიორგი ქავთარაძე, ბერი გრიგოლ მიქელაძე, გიორგი მდივანი, მონაზონი იოანე, დიაკონი ბასილ ცხაკაია, ანტონ კაჭარავა, ნიკიფორე და სხვა.

„მონაზონი რომანოზი მოღვაწეობდა ჯერ საირმის უდაბნოში, ხოლო შემდეგ მარტვილში, მას გადაუწერია ,,ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ (1830 წელი). 1838 წელს მას ეს წიგნი მეორეჯერ გადაუწერია, პირველი მიუძღვნია სამეგრელოს ეპისკოპოსის გიორგისადმი, ხოლო მეორე – მიტროპოლიტ ანტონ დადიანისადმი“

(თაყაიშვილი ე. 55 : 88-89). 1832 წელს, კაცია დადიანის ბრძანებით, მას გადაუწერია ,,მეტაფრაზი“. „საირმის მონასტრის არქიმანდრიტ გიორგის დაკვეთით მასვე გადაწერილი აქვს ,,თხრობანი წმინდათა მამათანი“ (თაყაიშვილი ე. 55 : 87).

მარტვილის მონასტერშივე მოღვაწე გიორგი მდივანს გადაუწერია მიტროპოლიტ დავითის დაკვეთით ნუსხა-ხუცურით 1830 წელს ,,სვინაქსარი“, უფრო ადრე კი გრიგოლ და ნინო დადიანის დაკვეთით – ,,პარაკლიტონი“ (თაყაიშვილი ე. 55 : 96-97). გიორგი მიქელაძეს გადაუწერია 1833 წელს ,,ლოგიკა ანტონ კათალიკოსისა.“ (თაყაიშვილი ე. 55 : 101-102), ,,გიორგი მიქელაძე იყო ხობის მონასტრის არქიმანდრიტი 1856 წელს. გიორგი ქავთარაძეს გადაუწერია და ცაიშის მონასტრისათვის შეუწირავს ,,ღვთივ-განათლებული თხრობა, ანუ სამოთხის ყვავილი“ (1833 წელი)“ (თაყაიშვილი ე. 55 : 96–100). 1854 წელს ბასილი დიდის „ექვსთა დღეთა“ გადაუწერია დიაკონ ბასილ ცხაკაიას, 1864 წელს „ლოცვანი“ გადაუწერია ანტონ კაჭარავას“ (ქ.ი.მ. 118 : 60).

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული კულტურის ყველაზე მთავარი დარგებია მეცნიერება და მხატვრული ლიტერატურა. ამ პერიოდში ქართული მეცნიერების განვითარება უმთავრესად ჰუმანიტარულ დარგში გამომჟღავნდა. ამ

დარგებიდან აღსანიშნავია ისტორიულ-ფილოლოგიური და ფილოსოფიური მეცნიერებანი. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლების, თეიმურაზ ბაგრატიონის, პლ. იოსელიანის, მიხეილ ბარათაშვილისა და სხვათა გვერდით შეგვიძლია დავასახელოთ ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანი („დიდი ნიკო"). მის მიერ დაწერილი „ქართველთ ცხოვრება" მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას გვაძლევს XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის. სიმონ ჯანაშიას აზრით, „ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნიკო დადიანი უფრო იმითაც არის ძვირფასი, რომ ის ერთადერთია ძველ ქართველ ისტორიკოსთა შორის, რომელიც წარმოშობით დასავლეთ საქართველოს ეკუთვნის. ავტორი, როგორც „შვილი მამულისა", არის ქართველთ ისტორიის „და არა განვითარებული პროვინციის თავგადასავლის მწარმოებელი. სამეგრელოს სამთავროს ამბები შედარებით უფრო ვრცლად მოთხრობილია იმიტომ, რომ ავტორი მათ იცნობს, არც კი არის გამოყოფილი საერთოდ თხრობიდან დასავლეთ საქართველოს ვითარების შესახებ XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, ე.ი. იმ ნაწილში, სადაც ავტორი სავსებით ორიგინალურია" (ჯანაშია ს. 143 : 72-74).

ნიკოლოზ დადიანის შრომა ძალზე მნიშნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ლევან დადიანის ყველა ღონისძიების მონაწილე, ის გვევლინება მისი პოლიტიკის აპოლოგეტად. აღსანიშნავია ნიკოლოზ დადიანის მიერ 1818 წელს დაწერილი „დასტურლამა", რომელიც სამთავროში ადმინისტრაციული რეფორმების გეგმას წარმოადგენდა. ამ დოკუმენტში ნათლად ჩანს ნიკოლოზ დადიანის, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა და მოაზროვნის, დიდი ნიჭიერება, ის მოუწოდებს ლევან დადიანს: „განიღვიძე ხელმწიფევ და განიფრთხე პატივმოყვარეობა, ადიდე სახელი შენი, მოიძიე პატიოსნება, შეიმოსე სიბრძნის მოყვარებით, გამოდი სიყრმისა ნებისაგან და ქმენი იგი, რაიცა სრულგყოფს შენ და მდგომარეობას შენსა" (დადიანი ნ. 37 : 40). ეს რჩევები განზოგადებული რჩევაა არამარტო სახელმწიფო მოღვაწისათვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისათვის, რამეთუ თითოეულ ადამიანს ევალება იყოს მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, იდგეს ადამიანური მოწოდების სიმაღლეზე. თუ რა მიაჩნია ავტორს ამ სიმაღლედ,

ამას ადასტურებს მინაწერი ნიკო დადიანის დღიურზე: „ჯეროვან არს რომელ ყოველთვის  წინ უნდა უსწროს საზოგადოებამ კეთილობამან, კერძოობითსა სარგებლობასა“ (ზსიემ. 46 : 2339/ 32).

ყურადღების ღირსია მის მიერ დასტურლამაში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მოღვაწის სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ უნდა სცილდებოდეს: „ხელმწიფევ ჩემო, აღქმასა და ბრძანებასა შინა იყავ მტკიცე და შეურყეველი... იყავ ძვირ აღქმასა შინა, ხოლო აღსრულებასა აღთქმულისა ფრიად უხვი“ (დადიანი ნ. 37 : 39).  გარდა ამისა, ის ლევან დადიანს ურჩევს, იყოს მტკიცე გადაწყვეტილებაში, იზრუნოს ეკონომიკის, განათლების განვითარებისათვის, მოსახლეობის გამდიდრებისათვის. მისი რეფორმების გეგმა ეხება ცხოვრების ყველა მხარეს. მნიშვნელოვანია მისი დამოკიდებულება სასამართლოსადმი. მისი აზრით, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმე სამართლიანად და ამ გადაწყვეტილების დარღვევა შემდეგ არ უნდა შეეძლოს არავის. ნიკოლოზ დადიანი, როგორც ისტორიული პიროვნება და როგორც მოაზროვნე, მივიდა  იმ დასკვნამდე, რომ სასამართლო უნდა იყოს მთავრობისაგან გამიჯნული და დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რაც სამართლებრივი აზროვნების მაღალ დონეზე მიუთითებს, თუმცა მისი პრაქტიკულად განხორციელების საფუძვლები ამჟამად არ არსებობდა.

XIX  საუკუნის საეკლესიო მოღვაწეებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ანტონ (დადიანს) ჭყონდიდელს. ის იყო სამეგრელოს მიტროპოლიტი 1849-1858 წლებში. 1821 წელს მან შექმნა სახელმძღვანელო ყრმათათვის, რომლის ორიგინალიც დაცულია ქუთაისის მუზეუმში. სახელმძღვანელოზე მინაწერები ამტკიცებს, რომ ის ანტონ დადიანს შეუქმნია რომელიღაც უკვე არსებული სახელმძღვანელოებისაგან ან წყაროსგან. „მივიღე შრომა და გადმოვიღე წიგნი ესე, ყრმათათვის სასწავლო, მე იღუმენმა ანტონ დადიანოვმა 1821 წლის მარტის II დღესა, სამთავროს პალატს ზუგდიდსა“ – ასეთი მინაწერი აქვს მესამე თავს (ქიმ. 119: 60). პირველ თავს აქვს აგრეთვე მინაწერი: „გადმოიღე წიგნი ესე ყრმათათვის სასწავლოდ დადიანოვმა 1821 წლის მარტს 8, სამთავროს პალატს ზუგდიდს“ (ქიმ. 119 : 60). სახელმძღვანელო დაყოფილია სამ ნაწილად, პირველი ნაწილი არის

ქართული გრამატიკა, მეორე თავი – არითმეტიკის ელემენტარული კურსი, ხოლო მესამე – გეოგრაფიის და ისტორიის ელემენტარული კურსი. ამ სახელმძღვანელოს მოსწავლეებისათვის უნდა მიეცა ქართული ენის გრამატიკის, ისტორიის გარკვეული ცოდნა და ის მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან გვიქმნის წარმოდგენას, თუ როგორი სახის ცოდნას აძლევდა სამეგრელოს სამონასტრო სკოლები მოსწავლეებს. რა თქმა უნდა, ეს იყო მხოლოდ დაწყებითი განათლების მისაღებად განკუთვნილი სახელმძღვანელო.

XIX საუკუნის მოღვაწეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გრიგოლ ლევანის ძე დადიანს (1814-1901 წწ), როგორც სამხედრო პიროვნებას, მეცენატსა და პოეტს, „მან წერა ადრეულ ასაკში დაიწყო, პოემა „რუხის ბრძოლა“ დაწერა 22 წლის ასაკში. 1901 წელს გამოვიდა მისი ლექსთა კრებული, რომელშიც, გარდა დასახელებული პოემისა, შესულია 56 ლექსი, რაც უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მისი პოეტური მოღვაწეობა უმნიშვნელო არ ყოფილა, თუმცა ის პირადად თავის თავს ყოველთვის თვლიდა მხედრად და ძირითადად მოღვაწეობას ამ დარგში წარმართავდა“ (ქადარია თ. 113 : 221). გრიგოლ დადიანის ლიტერატურულ მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ფაქტია რუს პოეტ იპოლიტ ბარდტინსკისთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა.

სამთავრო სახლის ლიტერატურული სალონების ორგანიზატორები და აქტიური მონაწილენი იყვნენ თვითონ მთავარი დავით დადიანი და მისი მეუღლე ეკატერინე. დავით დადიანს, პოეზიის უდიდეს ტრფიალს, თვითონაც უწერია ლექსები. მთავრის ოჯახს ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან: ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, გრიგოლ ორბელიანთან, პლატონ იოსელიანთან, თეიმურაზ ბატონიშვილთან, ცნობილ ქართველოლოგთან, აკადემიკოს მარი ბროსესთან, ცნობილ მართლმადიდებლური ეკლესიისა და ადრინდელი ქრისტიანობის მკვლევარ-ისტორიკოსთან ანდრია მურავიოვთან. ზუგდიდის მუზეუმში დაცულია ამ უკანასკნელის წერილი დავით დადიანისადმი, რომლითაც ირკვევა, რომ ,,ის ყოფილა სტუმრად დადიანებთან და დიდი სიყვარულით მოიკითხავს ოჯახის ყველა წევრს“ (ქადარია თ. 113 : 222). მურავიოვს თავის ნაშრომში „Грузия и Армения“ აღწერილი აქვს სამეგრელოს

ზოგიერთი ეკლესია-მონასტერი და სამეგრელოს მთავრის სტუმართმოყვარეობასაც უსვამს ხაზს.

ამრიგად, სასულიერო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების საკითხი ჩვენ მიერ განხილულია ეპოქის სოციალ-პოლიტიკურ და ისტორიულ პროცესებთან კავშირში. აღნიშნული აფართოებს სამეცნიერო თვალსაწიერს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით, როგორიცაა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიების მდგომარეობა, რუსიფიკატორულ პოლიტიკას დაქვემდებარებული ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, სასულიერო სასწავლებლების დაარსება, ქართველ მოღვაწეთა დამსახურება სასულიერო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში.

# თავი მეორე

# სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევრის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში

## §1. საეკლესიო-სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში

XIX საუკუნის II ნახევარი საქართველოში დაწყებითი სკოლებისა და სამაზრო სასულიერო სასწავლებლების ერთგვარი ზრდით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, საქართველოში მათი რიცხვი მცირე იყო. ქართული საზოგადოებრიობა, პირველ რიგში, დაწყებითი განათლების ქსელით იყო დაინტერესებული, რადგან იგი შედარებით დაბალი ფენებისათვის იყო ხელმისაწვდომი. 60-იანი წლების II ნახევარში სახალხო დაწყებითი განათლების სკოლების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. საქართველოში საეკლესიო დაწყებითი სკოლები ორი ტიპისა იყო: საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლები. სასკოლო ქსელის გაშლის მთავარ ძალას საქართველოში ხალხი

წარმოადგენდა; ქართველი გლეხობა გრძნობდა, რომ მარტო მეფისა და სამღვდელოების იმედით ვერ შეძლებდა შესაფერისი განათლების მიღებას. გლეხობა თვად კისრულობდა საკუთარი შვილების სწავლა-აღზრდის საქმის მოგვარებას.

1836 წლის 28 ოქტომბერს უწმინდესი სინოდის მითითებით, საქართველოს ეგზარქოსი შეუდგა ერთკლასიანი სამრევლო სკოლების გახსნის საკითხის შემუშავებას. მათი გახსნა საქართველოში მხოლოდ 1848 წლის სასწავლო დებულებით იქნა გათვალისწინებული და 50-იან წლებში პრაქტიკულად შეუდგნენ მის განხორციელებას. „1852 წელს მთავრობამ ყულევში დააარსა ერთკლასიანი სპეციალური სამრევლო სკოლა. ამ ტიპის სკოლებში ასწავლიდნენ: 1. საღვთო სჯულს რწმენის მიხედვით; 2. რუსულ წერა-კითხვას; 3. ადგილობრივი ენების წერა-კითხვას; 4. მარტივი რიცხვის ოთხ მოქმედებას. ამის გარდა, ასწავლიდნენ აგრეთვე სოფლის მეურნეობასა და მებაღეობას, თუ მოსახლეობა სოფლის მეურნეობას ეწეოდა, ხოლო სადაც მოსახლეობა ვაჭრობას მისდევდა, – სავაჭრო წიგნების წარმოებასა და ბუღალტერიას. ხაზინა ყულევის სასწავლებელთათვის გამოჰყოფდა ყოველწლიურად 1000 მანეთს“ (სსცა.103 : ფ.481. საქმე N14789, ფურც. 3,7). აღნიშნულის მიუხედავად, ,,ამ სასწავლებელმა ფუნქციონირება ვერ დაიწყო, ყირიმის ომის გამო, ხოლო 1754 წლის 7 მაისს სასწავლებელი დაწვა ინგლის-საფრანგეთის გემებიდან დაშენილმა ყუმბარებმა“ (ხუნდაძე ტრ., 140 : 54).

1885 წელს საქართველოში გაიხსნა 15 სამრევლო სკოლა, 1886 წელს – 18, 1887 წელს – 17, 1888 წელს – 17, 1889 წელს – 39, 1890 წელს საქართველოში იყო 121 სამრევლო სკოლა, 1895 წელს – 304, 1899 წელს – 371. იზრდებოდა არა მარტო სკოლების რიცხვი, არამედ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც 1895 წლიდან 1899 წლამდე 9.477-დან 17.070-მდე გაიზარდა. განსაკუთრებით საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი დასავლეთ საქართველოში, იმერეთის ეპარქიაში გაიზარდა. 1886 წელს თბილისის გუბერნიაში მხოლოდ 12 სამრევლო სკოლა იყო, იმერეთის ეპარქიაში კი – 67 სკოლა. საეკლესიო-სამრევლო სკოლები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართველი მოსახლეობის დაბალი ფენების ელემენტარული

ცოდნით შეიარაღების, ეთიკური ნორმების ჩამოყალიბების, ეროვნული და ქრისტიანულ-რელიგიური სულისკვეთებით აღზრდისა და ქართული ენის შენარჩუნების საქმეში.

ჩვენ მიერ საარქივო მასალებზე მუშაობის დროს მოვიპოვეთ უნიკალური ცნობები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სკოლების შესახებ, კერძოდ:

1. კავკასიის სასწავლო ოლქის ანგარიში სახელმწიფო დაწესებულებების მდგომარეობის შესახებ, 1889 წლის მონაცემები (იხ. დანართი 1);

2. კავკასიის სასწავლო ოლქის ანგარიში სახელმწიფო დაწესებულებების მდგომარეობის შესახებ, 1897 წლის მონაცემები (იხ. დანართი 2);

3. კავკასიის სასწავლო ოლქის ანგარიში საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მდგომარეობის შესახებ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში 1896-97 სასწავლო წელს (იხ. დანართი 3.). ეს უკანასკნელი წარმოადგენს არა ცალკეული სასწავლებლის შესახებ ინფორმაციას, არამედ მხოლოდ საერთო მონაცემებსა და სკოლათა რაოდენობას მაზრების მიხედვით.

ყველა ცნობა ცხრილის სახითაა მოცემული და მნიშვნელოვანია იმით, რომ მათი შესწავლით საშუალება მოგვეცა დაგვეზუსტებინა:

ა) სასწავლო დაწესებულებათა სახელწოდება, კერძოდ, საეკლესიო-სამრევლოს წარმოადგენდნენ თუ წერა-კითხვის სკოლებს;

ბ) სასწავლებლების მდებარეობა ოლქებისა და მაზრების მიხედვით;

გ) დაარსების თარიღი;

დ) მოსწავლეთა რაოდენობა როგორც გენდერულ ჭრილში, ასევე მთლიანობაში,

ე) მოცემული სასწავლო წლის ხარჯები ჯამურად.

პირველ ცხრილში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ვაჟთა სასულიერო სასწავლებლები არსებობდა გურიაში – ოზურგეთსა და სამეგრელოში – სენაკის დასახლებაში (მათი დაარსების თარიღად, შესაბამისად, მითითებულია 1877 და 1830 წლები), საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლა 38 იყო სამეგრელოში, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში, 21 – გურიაში, ოზურგეთის მაზრაში, 1 – ლეჩხუმის მაზრაში და 3 – სოხუმის ეპარქიაში, სოხუმის ოლქში. ეს

სკოლები მე-19 საუკუნის 80-იან წლებშია დაარსებული და უკვე 1889 წელს მთლიანობაში ითვლის 3032 მოსწავლეს. რაც შეეხება მათზე გაწეულ ხარჯებს, უნდა ითქვას, რომ სასულიერო სასწავლებლებს სახელმწიფო აფინანსებდა, საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლები კი ეპარქიას ეკუთვნოდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდებოდა. სახელმწიფო აფინანსებდა აგრეთვე სოხუმის ოლქში მდებარე სკოლებს. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი ცხრილით, რომლის მიხედვითაც დაფინანსება მიღებული აქვთ მხოლოდ ოზურგეთისა და სენაკის ვაჟთა სასულიერო სასწავლებლებს და სოხუმის ოლქში მდებარე სკოლებს.

მეორე ცხრილში მხოლოდ სოხუმის ეპარქიაში, კერძოდ, სოხუმის ოლქსა და ლეჩხუმის მაზრაში, 1897 წელს არსებულ 22 საეკლესიო-სამრევლო სკოლას ვეცნობით. საგულისხმოა, რომ მათგან ყველაზე ადრინდელი არის 1861 წელს სოხუმის ოლქში, დიხაზურგაში დაარსებული სკოლა, დანარჩენი კი შექმნილია მე-19 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იან წლებში. მოსწავლეთა რიცხვი აქაც გენდერულ ჭრილშია წარმოდგენილი და მთლიანობაში არის 765. საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება მხოლოდ სოხუმის ოლქის სკოლებს მიუღია და არა – ლეჩხუმის მაზრაში არსებულს.

მესამე ცხრილი დაწვრილებით ციფრებს გვაწვდის 1896-1897 სასწავლო წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების საერთო მონაცემების შესახებ, მაზრების მიხედვით, კერძოდ: გურიაში ოზურგეთის მაზრაში ყოფილა 36 საეკლესიო-სამრევლო და 17 – წერა-კითხვის სკოლა; სამეგრელოში სენაკის მაზრაში – 36 საეკლესიო-სამრევლო და 19 – წერა-კითხვის სკოლა; ზუგდიდის მაზრაში კი – 38 საეკლესიო-სამრევლო და 13 – წერა-კითხვის სკოლა. მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ ყველაზე მრავალრიცხოვანია ოზურგეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლები, სადაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 1881-ს აღწევს.

ნაშრომში ასევე გვინდა წარმოვადგინოთ ცაიშის სასწავლებლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მწირია, ვინაიდან სათანადო საისტორიო წყაროები ჩვენ

მიერ ვერ იქნა მოპოვებული და ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კვლევას სამომავლოდაც დავგეგმავთ.

ფრანგი სწავლული ჟიულ მურიე, თავის 1883 წელს გამოცემულ წიგნში „La Mingrelie" წერს, რომ „ევროპული ყაიდის სკოლების დაარსებამდე სამეგრელოში მათ ცვლიდა ეკლესია-მონასტრებთან არსებული სასწავლებლები" (J. Mourier 160 : 269). „ასეთი სკოლები არსებობდა ჭყონდიდის, ცაიშის, წალენჯიხისა და ხობის მონასტრებთან" (თავზიშვილი გ. 52 :113).

დეკანოზი მიხეილ მეუნარგია ცაიშის ტაძართან არსებული სასწავლებლის შესახებ 1886 წელს წერდა: „უწინდელს დროში ცაიში იყო საეპისკოპოსო კათედრა. ცაიშელი მიტროპოლიტისგან ვრცელდებოდა და ითესებოდა ღვთის სიტყვა, სჯული და სარწმუნოება მთელს ოდიშში. ჰყვაოდა სწავლა-განათლება. აქ იყო სასწავლებელი, სადაც ღებულობდნენ განათლებას აქაური თავად-აზნაურები, სამღვდელონი და გლეხები" (183 : ჟურ. „მწყემსი"1886, წ.№6).

გაზეთი „ივერია" ამ სასწავლებლის შესახებ იმავე წელს წერდა: „კათედრის გაუქმებასთან ერთად გაუქმდა სასულიერო სწავლა-მოძღვრებაც, როცა სხვა სოფლებში აარსებდნენ სკოლებს და ავრცელებდნენ სწავლა-განათლებას, ცაიშელები იგონებდნენო ძველ დროს" (170 : გაზ. „ივერია", 1886 წ. № 66). კორნელი ბოროზდინი, რომელიც 1857-1867 წლებში მთავრის შვილების მასწავლებლად იყო მიწვეული, გვაუწყებს, რომ „თავად ბეკო საბახტრის მამას თავისი შვილი სასწავლებლად მიუბარებია თავისი ყმა აზნაურ ბერუკ ჯიქიასთვის" (ბოროზდინი კ. 27 : 71).

ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფელ ბანძის ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა, რომელიც დაარსებულა 1875 წელს. ამის შესახებ ვეცნობით გაზეთ „ცნობის ფურცლის" 1897 წლის 19 აპრილის ნომერში, სადაც ვკითხულობთ: „სოფელ ბანძაში მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს 700 კომლზე მეტს... ამ სოფელში 1875 წლიდან არსებობს ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა... ამისთანა დიდ სოფელში არ არსებობს არც ბიბლიოთეკა და არც სამკითხველო, მაგრამ ამის დაარსება თავის-თავზე მიუღია ჩვენს მამულიშვილს, ცნობილ მოღვაწე ქალს კნეინა დარია ფაღავას" (კოკაია ა. 72 : 7).

აქვეა აღნიშნული, რომ „ბანძის ერთკლასიან სკოლას 1895 წლის აპრილიდან მიეცა საბაღო ადგილი, რომელიც ნახევარ ფასად დაუთმო ადგილობრივმა გლეხმა რომანოზ ურიდიამ. 1896 წელს სკოლამ გამოიწერა ნიკიტის სახელობის საბაღოსნო და მეღვინეობის იალტის სასწავლებლის ბაღიდან მცენარეები. 1896 წელს გაიხსნა სოფელ ბანძის ორკლასიანი სამრევლო სკოლა, რომლის გამგე ანტ. კეკელიასაც საკუთარი სახსრებით აუშენებია ხუთოთახიანი შენობა და უფასოდ გადაუცია სკოლისთვის. მისივე ინიციატივით ზემდგომმა ორგანოებმა სკოლას ყოველწლიურად გამოუყვეს 1500 მანეთი" (გაზ. „ცნობის ფურცელი", 176 : №29).

საინტერესოა გურიის საეპისკოპოსოში სოფელ ბახვის სასოფლო სკოლა, რომლის დაარსებაც 1872 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის სახელს უკავშირდება და რომლის თაობაზეც თავად მიუთითებდა: ,,ოზურგეთის მაზრაში, სოფ. ბახვში, 1872 წელს მე დავაარსე სოფლის სკოლა, სკოლასა და მასწავლებლებს ჩემს ხარჯზე ავუშენე ორსართულიანი შენობა ეკლესიასთან". იგი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ პედაგოგიურად გამოუცდელი სასულიერო პირისათვის ჩაებარებინა სასწავლებელი. ,,სასულიერო უწყებას ვერ ჩავაბარებთ ჩემს სკოლას, ვიცი, კარგ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევს იგი, ამ საქმისათვის სამოქალაქო უწყება უფრო მომზადებულია, შედარებით მეტი კარგი პედაგოგები ჰყავს, მეტი საშუალებაც აქვს, ამიტომ ეს სკოლა ამ უწყებას უნდა ჩავაბაროთ", – აღნიშნავდა გაბრიელ ეპისკოპოსი" (ჯანაშვილი მ. 144 : 271). ამავდროულად, სამღვდელოების ყოველგვარი ცდა – ბახვის სკოლა სამრევლო სკოლად გადაექცია და საეკლესიო სინოდის გამგებლობისთვის ჩაებარებინა –მარცხით დამთავრდა. როგორც ვხედავთ, ბახვის სკოლა სასულიერო პირთა მიერ შეიქმნა, მაგრამ საერო განათლების კერას წარმოადგენდა.

1874 წელს გაიხსნა ბახვის ერთკლასიანი სასწავლებელი, სამი განყოფილებით, და მას სათავეში ჩაუდგა გ. შარაშიძე. მასთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ნინო ქიქოძე, რომელსაც, მართალია, პედაგოგიური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ბუნებრივმა ნიჭმა და ბავშვების სიყვარულმა წარმატებული მასწავლებელი გახადა. ღარიბი გლეხის შვილებს

პირველად მიეცათ საშუალება მიეღოთ დაწყებითი განათლება. პირველივე სასწავლო წელი წარმატებით აღინიშნა, რაზეც გაზეთი „დროება“ წერდა: „ეს სკოლა კარგი ორეტაჟიანი შენობაა და რიგიანი მასწავლებელიცა ჰყავს. ამ სკოლაში ეხლა 138 მოსწავლენი დაიარებიან, რომლებსაც ძლიერ კარგად და მოსაწონად ასწავლის ახალი მეთოდით სკოლის მასწავლებელი და მოსწავლენიც ძლიერ ხალისიანად სწავლობდნენ“ (კალანდარიშვილი კ. 64 : №34).

სკოლაში ძირითადად წერა-კითხვა და არითმეტიკა ისწავლებოდა. დიდი დრო ეთმობოდა ზეპირ ვარჯიშს ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე. ი. გოგებაშვილის „ბუნების კარს“, ი. სარლიშვილის ქართულ ენას და საკითხავ წიგნებს შემოქმედებითად იყენებდნენ სწავლებისას. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „გამრჯე და ნიჭიერი პედაგოგები თვითგანათლებით იძენდნენ პედაგოგიურ ცოდნას. ბევრს კითხულობდნენ და სწავლობდნენ ევროპის და რუსეთის მოწინავე პედაგოგების თხზულებებს, ვერ ეგუებოდნენ  მაშინდელი სკოლების სწავლების პრაქტიკაში გაბატონებულ რეჟიმს, ერთფეროვნებას და ზეპირობას, რაც მეცადინეობის ხალისს უკარგავდა ბავშვებს. მათი  გაკვეთილები საინტერესო და სახალისო იყო. სასწავლო პროგრამის გარდა, დამატებით ასწავლიდნენ საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიის ელემენტებს, რითაც ბავშვებში აღვივებდნენ და ზრდიდნენ მშობლიური მხარის სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობას. სასწავლო პროცესის ახალ გაგებას, ახალი პედაგოგიური პრინციპების გაბედულ და პროგრესულ იდეებს ახალგაზრდა შარაშიძე იძენდა დემოკრატიული პედაგოგიკიდან: იან ამოს კომენსკის, კორფის, რუსოს, უშინსკის, დისტერვეგის, პიროგოვის და ქართული კლასიკური პედაგოგიკის ფუძემდებლის ი. გოგებაშვილის წიგნებიდან“ (თავართქილაძე შ., 48 : 17-19). 1897 წლიდან ბახვის დაწყებითი სასწავლებელი სახალხო განათლების ორკლასიან სასაწავლებლად გარდაიქმნა, როგორც ვ. ჭელიძე მიუთითებს, გაბრიელ ეპისკოპოსის თაოსნობით და მისი უშუალო მონაწილეობით, ამასთან, ,,ეს არ ყოფილა სპეციალური სამეურნეო სკოლა, სოფლის სახალხო სკოლა იყო, მაგრამ ბავშვები სასწავლო საგნებთან ერთად, შრომას ეჩვეოდნენ და იყვარებდნენ“ (თავართქილაძე შ. 48 : 7-

19). ცალკეულ მონასტრებთანაც (ხობის, ზუგდიდისა და სხვ.) იყო სამრევლო სკოლები, რომლებშიც თითო-ოროლა მოწაფე სწავლობდა და ისინი წერა-კითხვისა და საღვთო სჯულის შემსწავლელ წრეებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სკოლებს. მათი არსებობა ოფიციალურ დოკუმენტებში არ ჩანს.

აქვე არ შეიძლება არ მივუთითოთ იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელ ქიქოძის ღვაწლი და დამსახურება იმჟამინდელი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის, ქართული სასულიერო განათლების ისტორიასა და პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში. ამ პერიოდში იმერეთის ეპარქია, რომელსაც იგი მართავდა 1860 წლიდან გარდაცვალებამდე, ფაქტობრივად, მთელს დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა, სხვადასხვა დროს მოიცავდა სამეგრელოს, გურიას, აფხაზეთს, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს.

გაბრიელ ეპისკოპოსი, როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას განათლების დარგში და წინ აღუდგა იანოვსკი-ლევიცკის ,,მუნჯური მეთოდით" სწავლებას, რომლის მიზანიც იყო ქართული ენის სრული განდევნა. იგი სამართლიანად ამტყუნებდა კავკასიის მხარის მზრუნველს იანოვსკის, რომელმაც ,,დააპირა მეტად გაიძვერული, მაგრამ ფარული ხერხებით, საქართველოში სამღვდელოებისათვის წაერთმია ხალხის მართლმადიდებლური რწმენით აღზრდის წმინდა უფლება და საეკლესიო-სამრევლო სკოლების მთავარ მიზნად ექცია რუსული ენის შესწავლა და არა სარწმუნოებისა. გაბრიელი უერთგულესი მომხრე იყო რუსეთის ტახტისა და მისდამი სამსახური თვის მოვალეობად მიაჩნდა. იგი გრძნობდა, რომ ასეთი შეუფერებელი პოლიტიკით ადგილობრივ ხელისუფლებას შეეძლო დიდი უკმაყოფილება გამოეწვია ქართველ საზოგადოებაში, გამოეხლიჩა „ტახტსა" და სამშობლოს შორის ერთგულებისა და მორჩილების შეგნება. რუსეთთან პოლიტიკური ერთიანობა მას მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა" (ბასილაძე ი. 11 : 16).

სწორედ „გაბრიელ ეპისკოპოსის თაოსნობით გაიხსნა დასავლეთ საქართველოში ასზე მეტი სამრევლო სკოლა და მრავალი ბიბლიოთეკა, 1890 წელს

დააარსა ქუთაისის ქალთა სასწავლებელი, 1894 წელს კი – სასულიერო სემინარია. მისი დახმარებით მრავალმა ღარიბმა მოსწავლემ მიიღო განათლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. იგი დიდი სიყვარულით ექცეოდა საკუთარ მოსწავლეებს“ (ნიკოლეიშვილი ა. 85 : 23), რასაც მოწმობს 1884-85 წლებში ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარი ამბავი: „უნიჭობის გამო, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დაითხოვეს 120 მოსწავლე, ყველა ქართველი, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ, ქუთაისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში წირვის ჩატარებისას, ეპისკოპოსმა გაიხსენა ეს ფაქტი და დამოძღვრა მრევლი, მიუთითა სწორი პედაგოგიური აღზრდისა და სწავლების მნიშვნელობა. მისი სიტყვებით, ზარმაცი, გაუგონარი და ცუდი ყოფაქცევის ბავშვების თავიდან მოშორება იოლია, მაგრამ ეს არ არის აღმზრდელის დანიშნულება. ,,მას მეტი მოთმენა სჭირია, ვიდრე რაც გინდა სხვა ხელობის კაცს, და მეტი კიდევ სიყვარული მათდამი, ვინც ხვალინდელ საზოგადოებას წარმოადგენენ. აღმზრდელს არა აქვს უფლება თქვას, რაც შემეძლო ვქენ და მეტი აღარ შემიძლიანო. დასაჯეთ, გაუჯავრდით, დატუქსეთ ზარმაცი და გაუგონარი და კიდევ უფრო შეეცადეთ სიყვარულით და მოთმინებით მიუგნოთ მისი ბუნების კეთილი მხარენი და მისი ნაკლოვანების მიზეზები‘‘ – განაცხადა ეპისკოპოსმა“ ( ზურაბიშვილი ი. 47:19).

როგორც ვხედავთ, ეპისკოპოსი გაბრიელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პედაგოგიურ აღზრდას, რომელსაც, ფაქტობრივად, იმდროინდელ სასწავლებლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მასწავლებელთა და ადმინისტრაციის მხრიდან. ი. ბასილაძის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, აღზრდა-განათლების ზოგად მიზნად გ. ქიქოძეს მიაჩნდა ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი და იმქვეყნიური ცხოვრებისათვის; მისი შეიარაღება იმ ცოდნით, რომელიც მას შესძენს ბუნების ძალთა გამოყენებისა და ცხოვრებაში გარკვევის უნარს. აღზრდა-განათლების ასეთი მიზანი, გაბრიელის აზრით, უნდა გულისხმობდეს ბავშვის სულის ჰარმონიულად განვითარებას. ამასთან, იგი უნდა ემსახურებოდეს ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული აღზრდის ინტერესებს; მომავალი საზოგადოების შემქმნელი და აღმშენებელი უნდა იყოს გამსჭვალული სამშობლოს და ხალხის მგზნებარე სიყვარულით, მაღალი ჰუმანური გრძნობებით,

შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებებით. მღვდელთმთავრის შეხედულებით, აღზრდა-განათლებას დიდი გავლენა აქვს პიროვნების განვითარებაზე. გონივრულმა აღზრდამ უნდა აზიაროს ადამიანი გარკვეულ განწყობას, რომელიც მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჰყვება. იმერეთის ეპისკოპოსი სწავლასა და ზნეობას შორის გადაუვალ ზღუდეს ვერ ხედავს. „სწავლა-განათლება, მისი აზრით, უნდა სცვლიდეს სრულებით საუკეთესოდ კაცის მთელ ბუნებას, როგორც ზნეობრივ, ისე გონებრივ“ (ბასილაძე ი. 11 : 17). ჰარმონიული განვითარება და აღზრდა მოიცავს ხუთ ძირითად შემადგენელ ნაწილს - გონებრივს, ზნეობრივს, ესთეტიკურს, ფიზიკურსა და შრომით აღზრდას. გაბრიელ ეპისკოპოსს არა აქვს პირდაპირი მითითება აღზრდის მთლიანი პროცესის ნაწილებად დაყოფის შესახებ, მაგრამ მის მიერ აღზრდის მიზნებისა და ამოცანების გარკვევის ყველა შემთხვევაში ნათლად მოსჩანს, რომ იგი აღზრდა-განათლების მიზანში გულისხმობს არა ხუთ შემადგენელ ნაწილს, არამედ ექვსს: გონებრივს, ზნეობრივს, ესთეტიკურს, რელიგიურს, ფიზიკურსა და შრომით აღზრდას.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალების თანახმად, საეკლესიო-სამრევლო სკოლების უმეტესობა მე-19 საუკუნის საქართველოში მუშაობდა ორგანიზებულად, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით. ამიტომ, ი. ბასილაძის სიტყვებით, ,,მათი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს გარკვეული წარმოდგენა, რომ საქართველოში დიდ მონასტრებსა და ეკლესიებთან აქტიური ქრისტიანული საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა. უეჭველია მათ არანაკლები ღვაწლი მიუძღვით ჩვენში მაშინდელი სახალხო განათლების განვითარებისა და ამაღლების საქმეში, ვიდრე სხვა სახის სასწავლებლებს. ვინაიდან ეს სკოლები ჯერ კიდევ არ იყო ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი, ისინი აღმოჩნდა ერთადერთი, სადაც გასაგებ, მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება. XIX საუკუნეში ქართული მართლმადიდებლური და ქრისტიანული პედაგოგიკის წარმომადგენლებმა შეძლეს პრაქტიკულად განეხორციელებინათ აღზრდის პრობლემების ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა: „ცოცხალი კავშირი ეკლესიას, ოჯახსა და სკოლას შორის“ (ბასილაძე ი. 13 : 69).

ამდენად, საეკლესიო-სამრევლო სკოლები და სასულიერო სასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდნენ იმისათვის, რომ ახალგაზრდობას სარწმუნოების ჭეშმარიტი მარცვალი მიეღო.

## § 2. სასულიერო სასწავლებლები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ქვემოთ ჩვენ მიერ მოპოვებული საარქივო წყაროს – ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ვასილი ბელიაევის 1898-1899 სასწავლო წლის ანგარიშის – მიხედვით წარმოვადგენთ ამავე სასწავლებელში არსებულ ვითარებას, კერძოდ, მასწავლებელთა დახასიათებებს, სასწავლო კურსს, პროგრამებს, აკადემიური მოსწრების, ფინანსურ, სამეურნეო, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს. მას თან ერთვის მინაწერი, რომელიც გვაცნობს, რომ იგი წაუკითხავს ეპისკოპოს ალექსანდრეს 1899 წლის ოქტომბერში. ანგარიშში განხილულია სასწავლებლის ხელმძღვანელთა და პედაგოგთა პირადი შემადგენლობა, საკადრო ცვლილებების გათვალისწინებით.

საანგარიშო წელს სასულიერო სასწავლებლების № 31 წესდების თანახმად, პირად შემადგენლობას წარმოადგენდნენ შემდეგი პირები: მმართველობის თავმჯდომარე, სასწავლებლის ზედამხედველი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, სახელმწიფო მრჩეველი – ვასილი ბელიაევი, წევრები – ზედამხედველის თანაშემწე, სასულიერო აკადემიის სტუდენტი სასამართლოს მრჩეველი – ალექსანდრე სოსინოვსკი, მასწავლებელი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, სახელმწიფო მრჩეველი – ტარასი ჭიჭინაძე, მმართველობის წევრი 1899 წლის 15 მარტამდე. ამ დროიდან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ ოზურგეთის სასწავლებლის მმართველობის წევრად დანიშნულია გიორგი

მარგალიტაძე, თუმცა სასწავლებლის ზედამხედველი ითხოვდა მმართველობის წევრად მასწავლებლის, მღვდელ გიორგი თოხაძის დანიშვნას.

მმართველობის წევრები სამღვდელოების მხრიდან იყვნენ: სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული, მღვდელი ანტონ ცეცხლაძე და სემინარიის კურსდამთავრებული პირველი თანრიგით, მთავარხუცესი, მღვდელი ნესტორ ურუშაძე, რომელიც გარდაიცვალა 1899 წლის იანვარში. მისი ადგილი საანგარიშო წელს ვაკანტური დარჩა.

მასწავლებელთა შემადგენლობა, საგნების მიხედვით, შემდეგია:

კატეხიზმოსა და საეკლესიო წესდების, მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურების მოკლე განმარტებების მასწავლებელი მე-3 და მე-4 კლასებში (6 გაკვეთილით), სასწავლებლის ზედამხედველი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, სასამართლოს მრჩეველი – ვასილი ბელიაევი, რომელიც სასწავლო სასულიერო სამსახურშია 1885 წლის 18 სექტემბრიდან, ზედამხედველის თანამდებობაზეა 1890 წლის 12 თებერვლიდან, ამ უკანასკნელ თანამდებობაზე კი – 1896 წლის 14 აგვისტოდან;

საღმრთო ისტორიის მასწავლებელი ძველსა და ახალ აღთქმაში, პირველსა და მეორე კლასებში (6 გაკვეთილით), ზედამხედველის თანაშემწე, სასულიერო აკადემიის სტუდენტი, სახელმწიფო მრჩეველი – ალექსანდრ სოსინოვსკი, რომელიც სასწავლო სასულიერო სამსახურში ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობაზეა 1878 წლის 27 ივლისიდან;

რუსული ენისა და საეკლესიო სლავური ენის მასწავლებელი მე-3 და მე-4 კლასებში (12 გაკვეთილით), 1898 წლის 24 ოქტომბრამდე, ღვთისმეტყველების კანდიდატი მიხეილ ტიჩინინი, რომელიც სინოდალური ობერპროკურორის ბრძანებით გადაყვანილ იქნა სარატოვის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწის თნამდებობაზე. მის ნაცვლად უფროს კლასებში რუსულის მასწავლებლად ობერპროკურორის 1898 წლის 29 ოქტომბრის №7056 ბრძანებით დანიშნულია სარატოვის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე, ღვთისმეტყველების კანდიდატი – ლეონიდ დაშკიევი, რომელიც დადიოდა სამსახურში დაახლოებით 10-დღიანი შუალედით, 1899 წლის 21 თებერვალს კი

თავი მოიკლა. დატოვა შემდეგი შინაარსის წერილი: „არავინ დაადანაშაულოთ, დაშკიევი.“ ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი უცნობი დარჩა;

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის 1899 წლის პირველი მარტის №3 ჟურნალით, რუსული ენის გაკვეთილები უფროს კლასებში მასწავლებლის არყოფნის გამო მიეცა სასწავლებლის მეთვალყურეს, სემინარიის სტუდენტს – მელქისედეკ ქავჟარაძეს. საანგარიშო წლის ბოლოს უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის 1899 წლის 13 მაისის №3270 ბრძანებით რუსული ენის მასწავლებლად უფროს კლასებში დაინიშნა სანკტპეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატი – ივან მოსტიპანი;

რუსული და საეკლესიო სლავური ენის მასწავლებელი პირველ და მე-2 კლასებში (14 გაკვეთილით) და სუფთა წერის მასწავლებელი ამავე კლასებში (4 გაკვეთილით), სასულიერო სემინარიის სტუდენტი, გუბერნიის მდივანი, გრიგორი პავლოვი, სასულიერო სასწავლო სამსახურშია და ამავე დროს თანამდებობაზეა 1890 წლის 2 ნოემბრიდან;

არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებელი (19 გაკვეთილით) – ღვთისმეტყველების კანდიდატი, სახელმწიფო მრჩეველი – ტარასი ჭიჭინაძე, საეკლესიო სასწავლო სამსახურშია და ამ თანამდებობაზეა 1888 წლის 24 ნოემბრიდან;

ბერძნული ენის მასწავლებელი მე-2, მე-3 და მე-4 კლასებში (15 გაკვეთილით), სასულიერო სემინარიის სტუდენტი, ალექსანდრე ხორბალაძე, სასულიერო სასწავლო სამსახურშია 1879 წლის 4 სექტემბრიდან, აღნიშნულ თანამდებობაზე კი – 1894 წლის 19 ივლისიდან;

ქართული ენის მასწავლებელი (12 გაკვეთილით) 1899 წლის 1 იანვრამდე იყო სასულიერო სემინარიის სტუდენტი, სასწავლებლის ეკლესიის მღვდელი მამა არსენი თოხაძე, 1899 წლის 1 იანვრიდან მისი ფოთის საკათედრო ტაძარში გადაყვანის გამო ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობა ვაკანტური დარჩა, 7 იანვრიდან კი გაკვეთილები გაყოფილ იქნა ტარასი ჭიჭინაძესა და (მე-3 და მე-4 კლასებში) და ალექსანდრე ხორბალაძეს (პირველ და მე-2 კლასებს) შორის;

საღმრთო სჯულის მასწავლებელი, რუსული ენისა და სუფთა წერის მასწავლებელი მოსამზადებელი კლასების უფროს განყოფილებაში (16 გაკვეთილით), თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი, სასწავლებლის ეკლესიის მღვდელი მამა გიორგი თოხაძე, სასულიერო სასწავლო სამსახურში და აღნიშნულ თანამდებობაზეა 1896 წლის 29 ოქტომბრიდან;

საღმრთო სჯულის, რუსული ენის და სუფთა წერის მასწავლებელი მოსამზადებელი კლასის უმცროს განყოფილებაში (16 გაკვეთილით), თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი – დავით აბაშიძე, სასულიერო სასწავლო სამსახურშია 1889 წლის 11 მაისიდან, აღნიშნულ თნამდებობაზე კი – 1896 წლის 1 იანვრიდან;

არითმეტიკისა და ქართული ენის მასწავლებელი მოსამზადებელი კლასის ორივე განყოფილებაში (16 გაკვეთილით), სასულიერო სემინარიის სტუდენტი გიორგი მარგალიტაძე, სასულიერო სასწავლო სამსახურშია და მოსამზადებელი კლასის მასწავლებლის თანამდებობაზეა 1893 წლის 1 სექტემბრიდან;

საეკლესიო სლავური გალობის მასწავლებლად სასწავლებელსა და მოსამზადებელ კლასებში 6 გაკვეთილით, 1898 წლის 1 დეკემბრიდან, დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სემინარიის მეხუთე კლასიდან გამოსული აქვსენტი მეგრელიძე;

საეკლესიო გურული გალობის მასწავლებლად სასწავლებელსა და მოსამზადებელ კლასებში (6 გაკვეთილით), შინაური განათლება მიღებული, ოზურგეთის სობოროს ეკლესიის დიაკვანი, მაქსიმ სვანიძე, სასწავლებელში მსახურობს 1885 წლის 15 ოქტომბრიდან. უფროს მასწავლებლად, გასამრჯელოს უმაღლესი სახელფასო ანაზღაურებით (მე-3 თანრიგი), დანიშნულია ბერძნული ენის მასწავლებელი, სემინარიის სტუდენტი, კოლეჯის ასესორი – ალექსანდრე ხორბალაძე (1896 წლის 15 აგვისტოს დამტკიცებულია აღნიშნულ თანამდებობაზე უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის მიერ);

სასწავლებელში წინასაანგარიშო პერიოდში განხორციელებულა შემდეგი ცვლილებები: რუსული ენის მასწავლებლის (უფროს კლასებში) მიხეილ ტიჩინინის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის გამო 1898 წლის 24 ოქტომბერს

დანიშნულია სარატოვის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ლეონიდ დაშკიევი, ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო კი 1899 წლის 6 მაისიდან დაინიშნა სანკტ პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატი – ივან მოსტიპანი;

1899 წლის 1 იანვარს ქართული ენის მასწავლებელ არსენ ფოფხაძის სხვადასხვა თანამდებობაზე გადაყვანის გამო სასწავლო წლის ბოლომდე მისი ადგილი ვაკანტური რჩებოდა. 1899 წლის 10 ოქტომბრიდან მასწავლებელთა შემადგენლობა დატოვა საეკლესიო სლავური გალობის მასწავლებელმა სერგეი წერეთელმა, მის ნაცვლად 1899 წლის 1 დეკემბერს დაინიშნა აქვსენტი მეგრელიძე. მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი დავით აბაშიძე ასწავლიდა საღმრთო სჯულს, რუსულ ენასა და სუფთა წერას უმცროს მოსამზადებელ კლასში მაშინ, როცა გასულ წელს ამავე საგნებს ის ასწავლიდა უფროს მოსამზადებელ კლასში, ხოლო მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი მღვდელი გიორგი თოხაძე საანგარიშო წელს ასწავლიდა საღმრთო სჯულს, რუსულ ენას და სუფთა წერას მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილებაში, გასულ წელს ის იგივე საგნებს ასწავლიდა მოსამზადებელი კლასის უმცროს განყოფილებაში.

აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა სასწავლებლის მმართველობის 1896 წლის 8 იანვრის №28 ჟურნალის დადგენილებით (დამტკიცებული ეპარქიალური მთავრობის მიერ). როგორც ვხედავთ, მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა სწავლება, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ.

ქვემოთ გავეცნობით საერთო მონაცემებს სასწავლო კურსის საგნების სწავლების შესახებ, იმ პედაგოგიურ მიდგომებს, რითაც ძირითადად წარმოებდა სწავლების პროცესი.

ანგარიშის მიხედვით, დადგენილი პროგრამები ყველა საგანში საანგარიშო წლის განმავლობაში შესრულდა. სასწავლო კურსის საგნების სწავლება მიმდინარეობდა განმარტებითი ჩანაწერების თანახმად, უწმინდესი სინოდისა და ჯანსაღ პედაგოგიკასთან არსებული სასწავლო კომიტეტების მიერ განხილული პროგრამებით.

აღსაზრდელთა ასაკის გათვალისწინებით აღმზრდელები არ გამოიყენებდნენ ეგრეთ წოდებულ აკადემიურ სწავლებას, არამედ გამოცოცხლებული, ცოცხალი, თვალსაჩინო საუბრით, კითხვა-პასუხის გზით ცდილობდნენ აეხსნათ თავისი საგანი, ახსნის დროს ყურადღებას აქცევდნენ არა მხოლოდ მეტად ნიჭიერ მოსწავლეებს, როგორც ეს ხშირად ხდება, არამედ, შეძლებისდაგვარად, მთელ კლასს. რაც უფრო პატარა იყო მოსწავლე, მით უფრო ცხადად და თვალსაჩინოდ ცდილობდა მასწავლებელი აეხსნა გაკვეთილი. დავალება ეძლეოდათ მოსწავლეებს შესაძლებლობების გათვალისწინებით, მასწავლებლები ცდილობდნენ შეემსუბუქე-ბინათ კლასგარეშე სამუშაო მოსწავლისათვის, დაწვრილებით და მრავალმხრივად უხსნიდნენ გაკვეთილებს, რომლებიც ეძლეოდათ საშინაოდ. ზოგჯერ დავალება იწერებოდა საკლასო დაფაზე მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლეებს მკაფიოდ წარმოედგინათ, რა უნდა მოემზადებინათ მომავალი დღისთვის. გაკვეთილების გამოკითხვის დროს მასწავლებლები ცდილობდნენ გამოეკითხათ მოსწავლეთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა, რომ კლასის ყველა მოსწავლეს მიეღო მონაწილეობა მასში. მოსწავლეები ცდილობდნენ, ყურადღებით მოესმინათ მოპასუხისთვის და მარჯვენა ხელის აწევით ენიშნებინათ მასწავლებლისთვის შეცდომების შესახებ. მოსწავლეთა პასუხები გამოცემული უნდა ყოფილიყო სრულად და ზუსტად, მთელი წინადადებებით და არა – მინიშნებებითა და ნახევარსიტყვებით.

გაკვეთილები ტარდებოდა ცხრილის მიხედვით, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში წარედგინა ქუთაისის სასულიერო სემინარიის მმართველობას. ქუთაისის სემინარიას ასევე სასწავლო წლის დასაწყისში წარედგინებოდა იმ თემების სია, რომლებიც ეძლეოდათ თხზულებებისათვის განსაკუთრებული განრიგით ყველა ნორმალურ კლასში, ორკვირიან ვადაში შემდეგ საგნებში: კატეხიზმო, საღმრთო ისტორია, რუსული ენა და ქართული. ამასთანავე, მე-3 და მე-4 კლასებში თხზულება ქართული ენიდან ითარგმნებოდა რუსულ ენაზე (ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის 1896 წლის 3 დეკემბრის დადგენილების თანახმად). მეოთხე კლასში განმეორებულა მესამე კლასში გავლილი მასალა.

ოზურგეთის სასწავლებელში გაკვეთილის სწავლების ფორმები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ ,,საქართველოს სასულიერო სასწავლო-საგანმანათლებლო კერებში სწავლება არა მარტო ვერბალურად, არამედ უფრო მეტად თვალსაჩინოდ მიმდინარეობდა. ვინაიდან კარგად იცოდნენ, რომ თვალსაჩინოება ხელს უწყობს ცოდნის შეგნებულად და გააზრებულად ათვისებას. როგორც ჩანს, ისინი ითვალისწინებდნენ, რომ ახალგაზრდობა სააქაო ცხოვრებისათვის, მოქმედებისათვის უნდა მოემზადებინათ და არა მხოლოდ სამუდამო სასუფევლისათვის, ამიტომ მასწავლებელს ცხოვრებაში სამოქმედოდ სასარგებლო ცოდნა უნდა მიეცა მოსწავლისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თანამიმდევრობის პრინციპს, რაც განაპირობებდა ცოდნის მარტივიდან რთულზე გადასვლის გზით, მტკიცედ, ღრმად და გააზრებულად შეთვისებას. წინა პლანზე წამოვიდა აღზრდისა და აღმზრდელის განმსაზღვრელი როლი პიროვნების ქრისტიანული სულისკვეთებით ფორმირების საქმეში“ (ბასილაძე ი. 13 : 64).

ავტორი მიუთითებს, რომ კატეხიზმოს სახელმძღვანელოს განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებაა მკაცრი სიზუსტის დაცვა წმინდა მართლმადიდებლური სარწმუნოების მთავარი ჭეშმარიტებების გადმოცემისას, რაც განხორციელდა სასწავლებელში, როცა მასწავლებლის ყურადღება განსაკუთრებით იქნა მოპყრობილი როგორც მთელი კატეხიზმოს, ისე ქრისტიანთა მორალური ვალდებულებების დაწვრილებით განმარტებაზე. სახელმძღვანელოში გამოყენებული ტექსტები წმ. წერილიდან სლავურ ენაზე ისწავლებოდა ზეპირად, ითარგმნებოდა რუსულად და ხდებოდა მათი განმარტება.

საეკლესიო წესდებას, მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურების მოკლე განმარტებით, სასწავლებლის ზედამხედველი ასწავლიდა. პროგრამის თანახმად, მე-3 და მე-4 კლასებში გამოყენებულ იქნა ნიკოლაევსკის სახელმძღვანელო. მე-3 კლასში შესწავლილ იქნა საკითხი ტაძრისა და ღვთისმსახურების შემსრულებელი პირების შესახებ. მასწავლებელს

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმია ყოველი მსახურების წესისა და საღვთისმსახურო წიგნების გაცნობისათვის.

საღმრთო ისტორიას ასწავლიდა ზედამხედველის თანაშემწე ალექსანდრე სოსინოვსკი, პირველ კლასში გავლილ იქნა ძველი აღთქმა, მე-2 კლასში – ახალი აღთქმა, სოკოლოვის სახელმძღვანელოს მიხედვით. მასწავლებელი ასწავლიდა ძველ აღთქმას მოსწავლეებს არა როგორც ებრაელი ხალხის ისტორიას, არამედ როგორც ხალხის გადარჩენის აღმშენებლობის ისტორიას. პირველ პლანზე იყო წმინდა ისტორიული მოვლენების შესწავლა, რომელთაც ჰქონდა დოგმატური მნიშვნელობა – მითითება რწმენის წინა ჭეშმარიტებაზე, ზნეობის მასწავლებელზე – სიყვარულის, მოთმინების, ცოდვების მონანიების, იმედის და უფლის მიერ გადარჩენის. მხედველობაში იქნა მიღებული პირველი კლასის მოსწავლეთა მიერ რუსული ენის სუსტი ცოდნა. საღმრთო ისტორიის მასწავლებელი ცდილობდა, ახალი გაკვეთილის ახსნას ჰქონოდა ბავშვებისათვის იოლად გასაგები მოთხრობის ხასიათი, შესაძლებლობის ფარგლებში ერიდებოდა რთული წინადადებების გამოყენებას და იმავეს დაჟინებით მოითხოვდა მოსწავლეთაგან. მოსწავლეები მასწავლებლის სათანადო მიმანიშნებელი პასუხების დახმარებით ადგენდნენ მოთხრობებს საღმრთო ისტორიის ცნობილ მოვლენებსა და პირებზე.

II კლასში საღვთო ისტორიის სწავლებისას მასწავლებელი პირველ რიგში ცდილობდა, მოეთხრო იესო ქრისტეს, მხსნელის მორალურ, ზნეობრივ ხასიათზე, რომელმაც, იხსნა რა ადამიანთა მოდგმა, იხსნა თითოეული ჩვენთაგანი, იმ პირობით, რომ ჩვენ ვეცდებით, ვიცხოვროთ ისე, როგორც იცხოვრა და გვასწავლა მან და ამ ცოცხალი მაგალითიდან გადახვევის შემთხვევაში მოვინანიებთ და ვილოცებთ. სახარების ყოველი ისტორიის გადმოცემას აუცილებლად უძღოდა წინ სახარების შესაბამისი ტექსტის კითხვა თვით მოსწავლეთა მიერ. ამ დროს მასწავლებელი შესაბამის საჭირო ახსნა-განმარტებას იძლეოდა. სახარების ტექსტის კითხვისას მოითხოვებოდა წაკითხული ტექსტის ზეპირი გადმოცემა შეძლებისდაგვარად მარტივი, მაგრამ სიღრმისეული, სახარებისეული ციტატებით. როცა ისწავლებოდა სახარებისეული ამბავი დღესასწაულების

შესახებ, მასთან ერთად ისწავლებოდა ამ დღესასწაულთა ტროპარი, როგორც საეკლესიო გალობა, მოკლედ, მაგრამ ამა თუ იმ დღესასწაულის მნიშვნელობის ახსნით. საღმრთო ისტორიის სწავლისას მოსწავლეები ეცნობოდნენ ბიბლიურ ქრონოლოგიას და გეოგრაფიას. ამ დროს ყოველთვის გამოიყენებოდა საკლასო, კედლის ბიბლიურ-ისტორიული რუკები.

მასწავლებლისთვის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა: 1) Толковое евангелие арх. Михаила (სახარების განმარტება - არხ. მიხეილისა); 2) Библейская историа Лопухина (ბიბლიური ისტორია - ლოპუხინის); 3) Библииская История – Богословенского (ბიბლიური ისტორია - ბოგოსლოვენსკის); 4) Жизнь Иисуса Христа – Фаррара (იესო ქრისტეს ცხოვრება - ფარარის); 5) Земная жизнь Господа спасителя нашего Иисуса Христа (უფალი იესო ქრისტეს, მაცხოვრის, მხსნელის მიწიერი ცხოვრება).

ნაშრომში დაწვრილებით წარმოვადგენთ ინფორმაციას საეკლესიო სლავური ენის სწავლების შესახებ.

ვ. ბელიაევის შეფასებით, საეკლესიო სლავური პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა რუსულ ენაში სრულად არის გავლილი, გარდა ამისა, II, III და IV კლასებში განმეორებულია წლის განმავლობაში განვლილი მასალა. განმეორების დროს მასწავლებელთა მიერ ხდებოდა ადრე შესწავლილი ცოდნის გაღრმავება.

სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა: I და II კლასებში – რუსული გრამატიკის კურსი, ნაწ. I (ეტიმოლოგია ვ. მიროპოლსკის), II და III კლასებში – რუსული გრამატიკის კურსი, ნაწ. II, (В качестве учебных пособии სინტაქსი, ვ. მიროპოლსკი, სამშობლო – როდონეჟსკის, რუსული სიტყვიერების სანიმუშო ნაწარმოებების კრებული – ნევზოროვის, ნაწ. I და II, ბავშვთა სამყარო – უშინსკის, ნაწ. I და II).

საკითხავი სტატიებისა და შესასწავლი ლექსების არჩევა ხდებოდა უწმინდესი სინოდის ცირკულარის მიხედვით, 1840 წლის №8 სასულიერო-სასწავლო უწყების და სასწავლებლის მმართველობის საჟურნალო დადგენილებით (1897 წ. 8 იანვარი, ჟურნ. №1), დამტკიცებულით ეპარქიალური

მთავრობის მიერ. სასწავლო ლოცვებისა და ტექსტების შერჩევა ასევე ხდებოდა უწმინდესი სინოდის 1891 წლის №9 ცირკულარისა და 1885 წლის 6 ნოემბრის №21 საჟურნალო დადგენილების მიხედვით.

საეკლესიო-სლავური ენის სწავლებას ეთმობოდა კვირაში 2 სთ, ყველა ნორმალურ კლასში. სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა „საეკლესიო-სლავური ენის მოკლე გრამატიკა“, რომლის ავტორიც იყო მიროპოლსკი. ასევე გამოიყენებოდა დამხმარე სახელმძღვანელოდ Учебная псалтырь (სასწავლო ფსალმუნნი).

აღნიშნულ სასწავლო კურსს განვიხილავთ კლასების მიხედვით:

I კლასში (კვირაში 8 გაკვეთილი) გავლილია კურსი ასოებისა და ბგერების შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იყო: მარცვლები და მისი აგებულება, სიტყვები მნიშვნელობისა და აგებულების მიხედვით, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა. გაცნობილ იქნა რუსული სიტყვიერების ნიმუშები: ჩიტი; მელა და ყურძენი, მაიმუნი და სათვალე, სპილო და ფინია, ზღაპარი მეთევზესა და თევზზე, მოსწავლე, ვირი და ბულბული, სარკე და მაიმუნი, მელია და ვირი... და სხვ. საზეპიროდ I კლასის მოწაფეებს მიეცათ: დილის ლოცვა, საღამოს ლოცვა, ლოცვა ზიარების წინ, „მოწამეო, უფალო“, ეფრემ ასურის ლოცვა, ,,მოვედით, თაყვანი ვსცეთ“, ქერუბიმთა მიმართ გალობა. წაკითხულ და განმარტებულ იქნა ფსალმუნები: 20, 109, 90, 84, 138, 83, 33, 26, 85.

II კლასში რუსულ ენაში (6 გაკვეთილით), პროგრამის თანახმად, გავლილია. (104 : ქცა.ფ. 10-14 ა ) ехо (пушк); Цыганский табор; Сказка о рыбаке и рыбке (Пушк.); Уж как пал туман (нар. Песня); Летописец (пушк.); Ангел (лерм.); Поэт, Киев, наводнение в Петербурге; „Памятник“ (Пушкина).

მე-4 კლასში საეკლესიო სლავურ ენაში შესწავლილ იქნა ზეპირად საღვთისმეტყველო დოგმატები, ტროპარები დილის (ყველა 8 ხმა,) ქრისტეს შობის კანონისა და სააღდგომო კანონისთვის, რუსული სიტყვიერების ნიმუშებიდან ყველა ლექსი და იგავ-არაკი – ზეპირად, სტატიები და მოთხრობები – თხრობით.

მასწავლებლები რუსული ენის გრამატიკის სწავლებისას იყენებდნენ პრაქტიკულ და თეორიულ მეთოდებს. ეტიმოლოგიური და სინტაქსური შესწავლა ხდებოდა მოსწავლეთა მიერ მაგალითების გარჩევის საფუძველზე. მოსწავლეთა მიერ ახსნილი მასალის გაგების და ათვისების შესამოწმებლად ბავშვებს მასწავლებლები ავალებდნენ ზეპირად ან წერილობით შეედგინათ დამოუკიდებელი მაგალითები ან მოეყვანათ მაგალითი გავლილი ლექსებისგან და სტატიებიდან. კარნახისთვისაც შერჩეული იყო ცალკეული წინადადებები ან მცირე ზომის სტატიები, რომლებიც კავშირში იყო მოცემულ მომენტში გასავლელ გრამატიკულ წესებთან. კარნახის შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებლები დროს უთმობდნენ შეცდომების გასწორებას. ამისთვის მასწავლებლებს რვეულები მიჰქონდათ სახლში და ფერადი მელნით ხაზს უსვამდნენ სიტყვებს, სადაც დაშვებული იყო გრამატიკული შეცდომები და მოჰქონდათ კლასში გარჩევისთვის. გარჩევას ექვემდებარებოდა მოსწავლეთათვის საერთო გრამატიკული შეცდომები, შემდეგ – კერძო შემთხვევები. შეცდომების მითითება ხდებოდა თვით მოსწავლეთა მიერ, მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

მესამე და მეოთხე კლასებში, სინტაქსური შეცდომების გარდა, მითითება ხდებოდა ეტიმოლოგიაშიც, ამეორებინებდნენ შესაბამის წესებს. რვეულები ურიგდებოდათ მოსწავლეებს იმ პირობით, რომ შემდეგი გაკვეთილისთვის ყველა შეცდომა, სიტყვა თუ გამოთქმა, უნდა ყოფილიყო გასწორებული. გასწორებული ნამუშევარი ისევ უბრუნდებოდა მასწავლებელს, რომელიც განიხილავდა შეცდომების გასწორებას. ასეთივე წესით ხდებოდა სასწრაფო წერითი დავალებების გასწორებაც, რომლებიც, გარდა ამისა, გასწორებული სახით გადაიწერებოდა მეორედ და წარედგინებოდა მასწავლებელს. მოსწავლეთა წერითი სამუშაოები ფასდებოდა შესაბამისი ქულებით, ქულები კი გათვალისწინებული იყო ყოველთვიური ან ჯამური შეფასების (ქულის) დაწერისას რუსულ ენაში.

ბერძნული ენა ისწავლებოდა უწმინდესი სინოდის 1894 წლის 19 ივლისის № 3178 ბრძანებულების თანახმად. ბერძნულ ენას ასწავლიდა სემინარიის სტუდენტი ალექსანდრე ხორბალაძე. სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა მ.

გრიგორევსკის „ბერძნული ენის კურსი“, 1896 წლის 7 ოქტომბრის სასწავლებლის მმართველობის №47 საჟურნალო დადგენილების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ ეს სახელმძღვანელო სხვებზე მეტად შეესაბამება სასულიერო სასწავლებლების პროგრამას და მოწონებული იყო სასწავლო კომიტეტის მიერ.

მეორე კლასში (6 გაკვეთილი) გავლილ იქნა ასოები და მათი გამოთქმა, ხასზედა და ხაზქვედა ნიშნები, მარცვლებად დაყოფა, მარცვლების რაოდენობა, მახვილები, არსებითი სახელის სქესი, ბრუნება, ზედსართავი სახელის ბრუნება, ფუძეთანხმოვნიანი და ფუძეხმოვნიანი სახელები, არაწესიერი ზედსართავი სახელები, ზედსართავის შედარების ხარისხები, ზმნიზედა, შედარების ხარისხები, ნაცვალსახელის ბრუნება, რიცხვითი სახელი.

მესამე კლასში (5 გაკვეთილი) ზმნის უღლება, განვლილი მასალის შესაბამისად, მუდმივად ისწავლებოდა. რუსულ გრამატიკაში შესწავლილ იქნა მარტივი წინადადებების სინტაქსი. გამეორებულ იქნა ეტიმოლოგია. რუსული სიტყვიერების ნიმუშებიდან მე-3 კლასში შესწავლილ იქნა: „Кавказ“.кавказ – Пушкин, дава – лермонтов, მგელი და ძაღლები – კრილოვის, გრძნეული ირემი – პუშკინის, ორი გოლიათი, მატყუარა – კრილოვის, „Червонец“ эхо ბოშათა ბანაკი, Минини (карам), ჟამთააღმწერელი და სხვ.

საეკლესიო სლავურ ენაში შეისწავლეს ეტიმოლოგია, სინტაქსიდან ის თავისებურებები, რომლებიც გვხვდება მასალების შესწავლისას. საეკლესიო სლავურის გაკვეთილზე ითარგმნა „ექვსფსალმუნება“. შესწავლილია ზეპირად საკვირაო ტროპარები, საღვთისმეტყველო, ღვთისმშობლის, რვა ხმისა.

მეოთხე კლასში რუსულ ენაში გავლილია: მცნება წინადადების შედგენის შესახებ, შერწყმული და რთული წინადადება, შერწყმის სახეები; წინადადების შედგენის 4 საშუალება – შემაერთებელი, მაპირისპირებელი, მიზეზობითი და დასკვნითი; პერიოდის მცნება, პერიოდის შემადგენლობა და მისი სახეობები; სასვენი ნიშნები. გარდა ამისა, გამეორდა მთელი სინტაქსი, მე-3 და მე-4 კლასებში გავლილი მასალა, ზოგადად, გავლილ იქნა ეტიმოლოგიაშიც.

რუსული სიტყვიერების ნიმუშებიდან მე-4 კლასში შესწავლილ იქნა: წინასწარმეტყველი – პუშკინის, წინასწარმეტყველი – ლერმონტოვის, კავკაზი – პუშკინის, კულიკოვოს ბრძოლა; Кочубей, Кочубей в темнице (Пушк.) Брожуль я вголь улиц Осень Осень (Пушк.) Пушки и паруса (Кр.) Вода и лес (Акс.) Отправление в сечь (Гоголь) Полтавский бой (Пушк.). Лес Червонец Днепр (гоголь). Ларчик Волк на псарне (кр.) Спор (Лерм.) Листы и корни (Кр.) Бородино (Лерм.).Ветка Палестины Что ты спишь, мужичок?

მოსწავლეებს ავარჯიშებდნენ ბერძნულიდან რუსულად და რუსულიდან ბერძნულად თარგმანში. გამეორებულ იქნა მეორე კლასში გავლილი მასალა. მე-4 კლასში ბერძნულ ენაში გაიარეს: (4 გაკვეთილი) ზმნების უღლება, უსრული ზმნების უღლება, არაწესიერი ზმნები. გამეორდა მე-2 და მე-3 კლასებში გავლილი მასალა, იგავ-არაკების თარგმნა. შეისწავლეს საკითხები წინა ისტორიიდან: „ადამიანის შექმნა, პირველი ადამიანის სამყოფელი, მცნება ადამს, ევას შექმნა, ადამისა და ევას ცოდვით დაცემა, ლუკას სახარებიდან – მხსნელის შობა და მისი ტაძრად მიყვანა“ (ახალი აღთქმა. 7 : ლუკა. 2. 1-40). წერითი სამუშაოები ბერძნულ ენაში სამივე კლასში ტარდებოდა ბერძნულიდან რუსულად და რუსულიდან ბერძნულად თარგმნაში. მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსული თარგმანის სისწორეს. წერითი სამუშაოები მოწმდებოდა და შეცდომების გარჩევა და გასწორება ხდებოდა შემდეგ გაკვეთილზე.

ქართული ენა (4 ნორმალურ კლასში 12 გაკვეთილი) ისწავლებოდა თბილისის სემინარიის მმართველობის მიერ დამტკიცებული პროგრამით, გამოიყენებოდა გრამატიკაში – ქუთათელაძის, ქრესტომათიაში – ბუნების კარი. გრამატიკის შესწავლისას მასწავლებელი იყენებდა ქართული სიტყვიერების ნიმუშების გარჩევის საშუალებას და ამ მაგალითებიდან თეორიულ წესებს აყალიბებდა.

საეკლესიო ქართული ენის სწავლებას ეთმობოდა ქართული ენის ერთი გაკვეთილი თითოეულ ნორმალურ კლასში. მასწავლებელი განიხილავდა საეკლესიო ქართული ენის თავისებურებებს, აჩვევდა მოსწავლეებს სწორ, ზუსტ კითხვას. მასალა კითხვისთვის, გარჩევისა და სწავლისათვის აღებული იყო

კვიცარიძის წიგნიდან „რჩეული ადგილები საღვთისმეტყველო წიგნებიდან“ და ფსალმუნებიდან – ის ფსალმუნები, რომლებიც ხშირად იკითხებოდა ღვთისმსახურების დროს. კითხვისას ხდებოდა უცნობი სიტყვებისა და გამონათქვამების ახსნა და მათი თანამედროვე ენაზე განმარტება. ზოგიერთი მათგანი რუსულად ითარგმნებოდა.

თითოეულ კლასში იწერებოდა სასწრაფო თხზულებანი ქართულ ენაში. მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეები თხზულებებს რუსულ ენაზეც თარგმნიდნენ.

არითმეტიკის კურსი განისაზღვრებოდა 3 გაკვეთილით თითოეულ ნორმალურ კლასში. მას ასწავლიდა ღვთისმეტყველების კანდიდატი ტარასი ჭიჭინაძე. სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა „არითმეტიკის სისტემატური კურსი“ კისელევისა და „არითმეტიკული ამოცანების კრებული“ მალინინისა და ბურენინისა. ახალი მათემატიკური მცნებებისა და წესების ახსნისას მასწავლებელი ცდილობდა, გამოეყენებინა მოსწავლეთათვის უკვე ცნობილი მასალა. რამდენიმე მარტივი მაგალითის და ამოცანის ამოხსნის შედეგად მოსწავლეებს გამოჰყავდათ ახალი წესი და ფორმულირებას ახდენდნენ რიცხვებზე მოქმედებისას. როცა ფორმულირება იყო ნაწილობრივი, არასრულყოფილი ან უხვსიტყვიანი, მასწავლებელი მოკლე და გასაგები ფორმით აძლევდა მათ მოქმედების განსაზღვრებას, რომელსაც იმეორებდნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც მასალა სრულიად უცნობი იყო ბავშვებისათვის, მასწავლებელი ამ მცნებას ხსნიდა გავლილი მასალის გამოყენებით. ზოგადად, ის იყენებდა სწავლების ყველა ფორმას, რომელიც ემსახურებოდა სწორი მსჯელობის და აუცილებელი ცოდნის განვითარებას და განმტკიცებას. ზოგჯერ მასწავლებელი იყენებდა სწავლების კატეხიზისურ ან აკროამატიურ ფორმას დიალოგის ფორმასთან ერთად. ამოცანის ამოხსნისას მოსწავლეს კარგად უნდა გაეგო პირობა, თავისი სიტყვებით გაემეორებინა იგი, გაეკეთებინა დასკვნები და განესაზღვრა მთავარი უცნობი. ამასთან, ზეპირად ან წერილობით ხდებოდა მსჯელობის წარმართვა. პირველ და მეორე კლასებში ამოხსნა იყოფოდა რამდენიმე კითხვად, ზეპირად ან წერილობით. მესამე და მეოთხე კლასებში მათემატიკური მეტყველების განვითარებასთან ერთად ეჩვეოდნენ

დამოუკიდებლად მსჯელობას ამოცანის ამოხსნის დროს. რვეულებში წერილობით ხსნიდნენ ამოცანებს.

გეოგრაფიის მასწავლებელი იყო ზემოთ ნახსენები ღვთისმეტყველების კანდიდატი ტარასი ჭიჭინაძე (მე-3 კლასსში – 3 გაკვეთილი და მე-4 კლასში – 4 გაკვეთილი). გეოგრაფიის გაკვეთილი გადაიცემოდა გასაგები ფორმით, მოსწავლეების მიერ გამეორების შემდეგ იკითხებოდა გაკვეთილი სახელმძღვანელოდან საჭირო განმარტებებით და დამატებებით. შედარებით ადვილი გაკვეთილები იკითხებოდა სახელმძღვანელოში, შემდეგ იმეორებდნენ მოსწავლეები მასწავლებლის კითხვების დახმარებით და მის გარეშე. მასწავლებელი იყენებდა კედლის რუკებს, რომლებზეც მოსწავლეებს უნდა ეჩვენებინათ ესა თუ ის პუნქტი. მასწავლებელი ავალებდა მოსწავლეებს რუკის უკეთ აღქმისათვის დაეხაზათ სასკოლო დაფაზე ან ამისთვის განკუთვნილ რვეულებში, საშინაო დავალებების შესრულებისას.

საეკლესიო სლავური და საეკლესიო გურული გალობა (თითო გაკვეთილი თითოეულ კლასში) აღნიშნულ წელს ისწავლებოდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის მიერ შემუშავებული პროგრამის თანახმად. მასწავლებელი მუშაობდა სათანადო გულმოდგინებით გუნდთან. ღვთისმსახურების დროს გუნდი მწყობრად და საკმაოდ ჰარმონიულად გალობდა. ზოგიერთი გალობა, მაგალითად: ლიტურღიაზე „მრწამს“, „ღირს არსი“, „ Милость мира“, „На всенощном бдении“ – „ღვთისმშობელო ქალწულო გიხაროდენ“ და სხვანი იგალობებოდა ყველა მოსწავლის მიერ. საეკლესიო გურული გალობის მასწავლებელი, დიაკონი მაქსიმ სვანიძე, სასწავლებლის ეკლესიაში რჩეულ მოსწავლეებთან ერთად ასრულებდა ზოგიერთ გალობას საეკლესიო ქართულ ენაზე.

სუფთა წერა, სასულიერო სასწავლებლების წესდების მიხედვით, ისწავლებოდა პირველ და მეორე კლასებში (ორ-ორი გაკვეთილი თითოეულ კლასში). ამ საგნის მასწავლებელი იყო რუსული ენის მასწავლებელი გრიგორი პავლოვი. ასოების ელემენტების წინასწარი გაცნობისა და მათი სწორად გამოხატვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევდა დავალებას,

გადმოეწერათ წიგნიდან. ეძლეოდათ ასევე ზეპირი და მათთვის გასაგები სტატიები. მოსწავლეთა ხელწერის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებელი სისუფთავის, აკურატულობის და წესრიგის ჩვევების გამომუშავებასაც ცდილობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოზურგეთის სასწავლებელს გააჩნდა მოსამზადებელი კლასი, რომელიც შედგებოდა ორი, უფროსი და უმცროსი განყოფილებებისგან. ორივე განყოფილების კურსი ათწლიანი იყო. ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული და ქართული ენები, არითმეტიკა, სუფთა წერა, გალობა. სწავლება მიმდინარეობდა საგნობრივი სისტემით, კერძოდ: სემინარიის სტუდენტი დავით აბაშიძე ასწავლიდა საღმრთო სჯულს, რუსულ ენასა და სუფთა წერას მოსამზადებელი კლასის უმცროს განყოფილებაში, სემინარიის სტუდენტი, მღვდელი გიორგი თოხაძე კი – საღვთო სჯულს, რუსულ ენასა და სუფთა წერას მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილებაში. საეკლესიო-სლავურ და საეკლესიო-ქართულ გალობას ორივე განყოფილებაში ასწავლიდნენ ნორმალური კლასების ამ საგნის მასწავლებლები.

მოსამზადებელი კლასების მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ პროგრამებით, რომლებიც შემუშავებული იყო სასწავლებლის მმართველობის მიერ და გადაგზავნილი (თავის დროზე თბილისის სასულიერო სემინარიის მიერ, რომლის უწყებაშიც შედიოდა ადრე ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი) უწმინდესი სინოდის სასწავლო კომიტეტში დასამტკიცებლად.

ანგარიშში მითითებულია, რომ განსაკუთრებული სამეცნიერო ნაშრომები ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს არა აქვთ. მიმდინარე სასწავლო წელს მათ არც განსაკუთრებული დავალებები არ შეუსრულებიათ.

საინტერესოა შემდეგი სტატისტიკა – ხელახლა შემოსულ, განმეორებით კურსზე დარჩენილ და დაბალი აკადემიური მოსწრების გამო გარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა:

საანგარიშო წელს (1898/99 სასწ. წელს) განმეორებით შემოვიდა 46 მოსწავლე, მათგან: მოსამზადებელი კლასის უმცროს განყოფილებაშია – 31, მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილებაში – 10, I კლასში – 5.

სასწავლო წლის ბოლოს განმეორებით კურსზე დარჩა 49 მოსწავლე, ამათგან უმცროს განყოფილებაში – 9, უფროს განყოფილებაში –15, I კლასში – 13; II კლასში – 7; III კლასში– 2; IV კლასში – 3 მოსწ.

გარიცხულია 7 მოსწავლე. მათგან უმცროს განყოფილებაში – 3; უფროს განყოფილებაში – 2; I კლასში – 1; II კლასში – 1.

ქვემოთ განვიხილავთ, წლის განმავლობაში რომელ საგნებში შეიმჩნეოდა არადამაკმაყოფილებელი ქულების მაღალი პროცენტი, რაზე იყო დამოკიდებული მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრება და რა ზომები იქნება მიღებული მოსწავლეთა წარმატების ასამაღლებლად, ზეპირ პასუხებსა და წერით სავარჯიშოებში.

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში საანგარიშო წლის განმავლობაში მაღალი პროცენტი შეინიშნებოდა რუსულ ენაში. ამის მიზეზი იყო ის, რომ გურული მოსწავლეები არასაკმარისად თავისუფლად ფლობდნენ სამეტყველო რუსულ ენას. სასწავლებლის მმართველობა, თავის მხრივ, ღებულობდა ზომებს იმისთვის, რომ მოსწავლეებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ესაუბრათ რუსულად. მაგალითად, 1897 წ. 19 დეკემბრის №18 ჟურნალში არის ასეთი დადგენილება: „გამოეცხადოთ მოსწავლეებს, რომ სასწავლებლის შენობაში ისინი აუცილებლად რუსულად ესაუბრონ ერთმანეთს, მიეცეთ მათ წინადადება, რომ თავიანთ ბინებშიც ისაუბრონ რუსულად, ერთმანეთთან მაინც, შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი დასჯილი იქნებიან.“ ხელმძღვანელი პირები თვითონაც აკვირდებოდნენ ამ პირობის შესრულებას და მორიგე მოსწავლეებსაც ავალებდნენ, დაკვირვებოდნენ თავიანთ ამხანაგებს, რომ მათ აუცილებლად ესაუბრათ რუსულად. მორიგე მოსწავლეებს ურიგდებოდათ სპეციალური წიგნაკები, რომელშიც იწერდნენ დამრღვევთა სახელებს. შემჩნეული მოსწავლეები ისჯებოდნენ, მაგალითად, მეცადინეობის შემდეგ სასწავლებელში დატოვებით.

კლასგარეშე რუსული წიგნების კითხვასაც ექცეოდა სათანადო ყურადღება. სასწავლებლის ბიბლიოთეკიდან ზედამხედველი ვასილი ბელიაევი გასცემდა

რუსულ წიგნებს. III და IV კლასების საუკეთესო მოსწავლეებს წაკითხულის შინაარსი შეჰქონდათ თავიანთ რვეულებში.

მოსწავლეთა წერით დავალებებთან დაკავშირებით სასწავლებლის მოსწავლეები ხელმძღვანელობდნენ სასწავლებლის მმართველობის 1896 წ. 3 დეკემბრის #5 დადგენილებით (ეპარქიალური მთავრობის მიერ დამტკიცებულით), რომლის მიხედვითაც, უნდა: ა) დაევალოს III და IV კლასების მოსწავლეებს, სასწრაფოდ თხზულებები ქართულ ენაში გადათარგმნონ რუსულ ენაზე; ბ) შემოწმებითი კარნახი (ლექსიკ.) რუსულ ენაში „მიეცეთ კვირაში ერთხელ მოსამზადებელ კლასებში, საშუალო განყოფილებაში მიეცეთ სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან, უფროს განყოფილებაში – ყოველთვის, სასწავლო წლის დაწყებისთანავე, I კლასში – ორი კარნახი კვირაში, II კლასში – 2-ჯერ კვირაში, III და IV კლასებში – ერთხელ კვირაში; გ) წერითი სამუშაოები არითმეტიკაში მიეცეთ არანაკლებ ერთჯერ თვეში, თითოეულ ნორმალურ კლასში, დაევალოთ მოსწავლეებს, დაწერონ მათ მიერ წაკითხული წიგნების შინაარსი (რომლებიც ეძლევათ კლასგარეშე საკითხავად), ამისთვის განკუთვნილ რვეულებში, ამოიწერონ მათთვის საინტერესო ადგილები.“

№14 ცირკულარის თანახმად, განისაზღვრა საშინაო წერითი დავალებების ვადა, რომელიც დარჩა ორკვირიანი, კერძოდ, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მმართველობის დადგენილებით, მოსწავლეებს წერითი სამუშაოებისათვის მიეცათ დრო არა უმეტეს 5 დღისა, შემდეგი 4 დღე მიეცა მასწავლებელს სავარჯიშოების გასასწორებლად, შემდეგი ორი დღე დაეთმო მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორებას. მასწავლებლების მითითებებით, ორკვირიანი ვადის დარჩენილი დრო მიეცათ მასწავლებლებს ნამუშევრების ხელმეორედ განსახილველად. მათ დაევალათ აღენიშნათ ჟურნალებში მოსწავლეთათვის ამ სასწრაფო თხზულებების ხელზე გადაცემის დრო.

საანგარიშო წელს ქუთაისის სასულიერო სემინარიის მმართველობის წევრის ვ. ვასილიევის მიერ განხორციელდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის რევიზია. შედეგი ამ რევიზიისა იყო ქუთაისის სასულიერო

სასწავლებლის მმართველობის ანგარიში მისი უგანათლებულესობის ალექსანდრეს მიმართ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისადმი.

მოხსენებაში წარმოდგენილია ქუთაისის სასულიერო სემინარიის მმართველობის, რომელმაც 18 მაისის სხდომაზე განიხილა ანგარიში რევიზიის შესახებ, რეკომენდაციები და დასკვნები.

პირველ რიგში, სემინარიის მმართველობას, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა: სასწავლებლის შენობისა და მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი ფასის მქონე ბინების საცხოვრებლად უვარგისობა, უკიდურესად არაჰიგიენური გარემო და არახელსაყრელი ადგილობრივი კლიმატი, აუცილებლად მიაჩნია სასწავლებლისთვის ახალი შენობის აგება, მასთან მდებარე საერთო საცხოვრებლით. აღნიშნული შენობა, მათი აზრით, უნდა იყოს ერთსართულიანი, ხის, რკინის სახურავით, ქვის ფუნდამენტზე, უნდა გააჩნდეს ეკლესია, ხელმძღვანელობისა და ინსპექციის ბინები, სასწავლებლისა და პანსიონისთვის აუცილებელი ყველა ნაგებობა, გათვლილი დაახლოებით ორას ადამიანზე. ამასთან, პანსიონერები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საკვებითა და ტანსაცმლით. აქვე მოყვანილია არქიტექტორის მიერ მსგავსი შენობის ასაგებად განსაზღვრული თანხის ოდენობა, რომელიც შეადგენს დაახლოებით 300 000 მანეთს. სამეურნეო მმართველობის ცირკულარის განკარგულების მიხედვით (23 სექტ. 1855 წ. №18692), 1899 წლისთვის უნდა წარმოქმნილიყო სამშენებლო კაპიტალი 21952 მანეთის ოდენობით, რომლის გათვალისწინებითაც სთხოვდნენ უწმინდეს სინოდს, სესხის სახით, გარკვეული ვადით, თანხის დარჩენილ ნაწილს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გურიის სამღვდელოებას არ აღმოაჩნდებოდა სახსრები მოკლე დროში აღნიშნული კაპიტალის აღდგენისთვის, სინოდისგან მოითხოვდნენ მთელი თანხის დაფარვას სამღვდელოების ხელფასიდან გამორიცხვით, ამასთან, სასწავლებლის უფლების გადასახადიდან შემოსული თანხები, სესხის დაფარვამდე, უნდა ყოფილიყო სამღვდელოების განკარგულებაში.

ანგარიშში წარმოდგენილია მიმართვა საქართველოს ეგზარხოსის, ფლავიანის მიმართ, რომელიც შეიცავს თხოვნას სასწავლებლის თანამშრომელთა

დახასიათებების გათვალისწინებით, საკადრო ცვლილებების გატარების შესახებ, კერძოდ:

ა) ზედამხედველი ვ. ბელიაევი წარმოდგენილია, როგორც არასაკმარისი ენერგიულობის და მზრუნველი დამოკიდებულებების მქონე სწავლებისა და აღზრდის პროცესისადმი, რომელსაც ახასიათებდა უწესრიგობა როგორც სასწავლო, ისე სამეურნეო დარგში. იგი არ აკონტროლებდა ინსპექციის საქმიანობას და არ ეწეოდა აღსაზრდელებზე ზედამხედველობას (მეთვალყურეებზე) ბინებსა თუ სასწავლებლის შენობაში, აგრეთვე – მასწავლებლებზე, წერითი სამუშაოების წარმოებისას. მას არ ჰქონდა განხორციელებული სასწავლებლის ინვენტარის, ბაღისა და არქივის აღწერა, რის გამოც ითხოვენ მისთვის არქიპასტირისგან შენიშვნის მიცემას;

ბ) ზედამხედველის თანაშემწე ა. სოსინოვსკი წარმოდგენილია, როგორც უმოქმედო, სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების მქონე, რის გამოც ითხოვენ აღიძრას შუამდგომლობა უწმინდესი სინოდის მიმართ, მასწავლებლის თანამდებობაზე მისი ჩამოქვეითების შესახებ: გადაყვანილ იქნეს რუსული ენის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო მის ნაცვლად ზედამხედველის თანამდებობაზე ოზურგეთის სასწავლებელში დაინიშნოს ქუთაისის სასწავლებლის I კლასის განყოფილების რუსული ენის მასწავლებელი, ღვთისმეტყველების კანდიდატი ლეონიდ კალპიტინი, ახალგაზრდა, მაგრამ ყოველმხრივ ღირსეული ადამიანი;

გ) არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებელს ჭიჭინაძეს ავალებენ, სასწავლებლის წესდების თანახმად, გამოუმუშაოს მოსწავლეებს რუსული მეტყველების ჩვევები, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აფრთხილებენ, რომ დატოვებს მასწავლებლის ადგილს;

დ) მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს, დ. აბაშიძეს, სურთ, რომ გადაეცეს არქიპასტირის კურთხევა საქმისადმი გულმოდგინე და ერთგული დამოკიდებულებისათვის;

ე) სტატსკი სოვეტნიკის, ნ. ტატიევის საქმეს (იმჟამად საეკლესიო-სამრევლო სკოლის ეპარქიალური მეთვალყურე) სასწავლებლის თანხის – 51

მანეთის მითვისებისა და ბაღის გაძარცვის შესახებ გადასცემენ განსახილველად საქართველოს ეგზარხოსს, ფლავიანს;

ვ) ითხოვენ ასევე საეკლესიო-სლავური გალობის მასწავლებლის, დიაკვან მ. სვანიძის გათავისუფლებას თანამდებობიდან, თავისი საგნის უცოდინრობის გამო და მის ნაცვლად სხვა პირის დანიშვნას.

ანგარიშში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს მიმართ გამოთქმულია აზრი, მიიღოს ზომები სასწავლებლის მმართველობის მიერ განაწილებული 1361 მან. 18 კაპ. ოდენობის თანხის წყაროს გამოსარკვევად, და თუ ეს თანხა აღებულია სამშენებლო კაპიტალიდან, ამოიღოს ის მმართველობის წევრებისგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჟურნალის შესაბამის სტატიას. ასევე ითხოვენ საეკლესიო-სამრევლო სკოლისთვის განკუთვნილი ბაღის ნაწილის გამიჯვნას სასწავლებლის კუთვნილი ბაღისა და მიწისაგან, მასწავლებელთა საბჭოს განყოფილების სახსრებით. სასწავლებლის მმართველობის მიმართ გამოთქმულია შენიშვნა, მხედველობაში მიიღონ მოსწავლეთა ბინებში ხატების არქონა, შემდგომში კი მოსწავლეები გამოიყვანონ ასეთი ბინებიდან, თუ ბინების მეპატრონეები არ შეასრულებენ მმართველობის მოთხოვნებს. თვლიან, რომ შემდგომში აღარ უნდა გადმოირიცხოს ხარჯთაღრიცხვის გასავალი დასაფარი თანხები სასწავლებლის უფლების გადასახადზე სხვა წოდების მოსწავლეთა მიერ შემოსული თანხიდან, ასევე – გვირგვინებისა და გამოხსნის ლოცვის ფურცლებისგან. მათგან პირველი, გვირგვინების, უნდა იყოს სასწავლებლის მმართველობის განკარგულებაში და დაიხარჯოს სასწავლებლის კეთილმოწყობისათვის ან გადაირიცხოს სამშენებლო კაპიტალის შესავსებად, მეორე კი, გამოხსნის ლოცვის ფურცლებისგან, ადგილობრივი სამღვდელოების განკარგულებაშია, მაგრამ მაინც ხმარდება ღარიბი მოსწავლეების შენახვას.

განსაზღვრულია ზედამხედველის ფუნქციები. მოითხოვენ, რომ მას დაევალოს: მოსთხოვოს მოსწავლეებს, უფრო გულმოდგინედ შეასრულონ წერითი დავალებები; ყველა კლასის მოსწავლეს ჰქონდეს ფანქარი და სამუშაო რვეული, წინადადება მიეცეს სამღვდელოებას, გამოყოს თანხები ბაღის შემოსაღობად და შემდგომში მოეთხოვოს მმართველობას, დაიცვას იგი; წინადადება მიეცეს

მმართველობას, გამოასწოროს უწესრიგობანი სამეურნეო ნაწილში; მოახდინოს აღწერა სასწავლებლის ქონების, დააზღვიოს ქონება (ინვენტარი), მოახდინოს ბაღის დაწვრილებითი აღწერა, მოახდინოს სასწავლებლის ქონების, ბიბლიოთეკისა და არქივის აღწერა; ხელი შეუწყოს სასწავლებელში მებაღეობის და მებოსტნეობის სწავლებას, ამის შესახებ მოხსენიებულ იქნეს პედაგოგიურ ანგარიშში; მიიღოს ზომები, რომ ბავშვების ბინები იყოს ახლოს სასწავლებელთან, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მიეცეთ წერითი სამუშაოები. ანგარიშში საუბარია ასევე საგნებისა და მასწავლებლების განაწილებაზე.

ავტორთა აზრით, ქართულ ენაში სამოქალაქო წერის სწავლება უნდა დამთავრდეს სასწავლებლის II კლასში, ხოლო III და IV კლასები დაეთმოს მხოლოდ საეკლესიო-ქართულ ენას, თანამედროვე ენის წერითი სამუშაოებისთვის უნდა შეირჩეს აღმზრდელობით-რელიგიური სახის თემები.

სინოდის 1887 წლის 20 თებერვლის #547 ბრძანების თანახმად, მომავალი სასწავლო წლიდან მაღალ კლასებში რუსულ ენას უნდა დაეთმოს, ნაცვლად 12-ისა, 18 საათი კვირაში, ე.ი. დაემატოს 6 გაკვეთილი მე-2 კლასში, ხოლო უმცროსი კლასების რუსული ენის მასწავლებელს მიეცეს ამავე საგნის გაკვეთილები მოსამზადებელ კლასში (გარდა გალობისა) და განაწილდეს სამ მასწავლებელს შორის: ა) პავლოვს, 8 გაკვეთილის გარდა I საშუალო კლასში, რუსულ ენაში, მიეცეს 10 გაკვეთილი ამავე საგანში მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილებაში; ბ) მეორეს (ამჟამად მღვდელ გ. თოხაძეს) მიეცეს 3 გაკვეთილი საღმრთო სჯულში, 4 – ქართულ ენაში, 3 – სუფთა წერაში, 4 – არითმეტიკაში, მოსამზადებელი კლასის იმავე განყოფილებაში და 4 – არითმეტიკაში, უმცროს განყოფილებაში; გ) მესამეს, აბაშიძეს, 20 გაკვეთილი დაეთმოს უმცროს განყოფილებაში, გარდა სიმღერის 2 გაკვეთილისა და არითმეტიკის 4 გაკვეთილისა, მასწავლებელი მარგალიტაძე კი უნდა დარჩეს შტატის გარეშე, როგორც ნაკლებად სასარგებლო სასწავლებლისთვის.

ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსული ენის სწავლებას, რომლის დონის ასამაღლებლადაც, თვლიან, რომ ძალაში უნდა

დარჩეს სემინარიის მმართველობის ძველი გადაწყვეტილება, დამტკიცებული საქართველოს ეგზარხოსის, ფლავიანის მიერ 1889 წ. 10 ივნისს. აგრეთვე საუბარია დისციპლინური ზომების მიღებაზე, სასწავლო განრიგის მკაცრად დაცვის მიზნით, კერძოდ, მიაჩნიათ, რომ უნდა დაწესდეს წინასწარი ზარის დარეკვა ღვთისმსახურებისა და დილის ლოცვის დროს: პირველი – ნახევარი საათით ადრე, მეორე – 10 წუთით ადრე (დაწყებამდე), ინსპექციას კი უნდა დაევალოს შემოწმება და დაგვიანებულების დასჯა დისციპლინარული წესით.

შემუშავებულია ერთგვარი წესი, რომლის მიხედვითაც საინსპექტორო მეთვალყურეობის შემსრულებელმა პირებმა უნდა შეამოწმონ ბავშვების ჩაცმულობა (განსაკუთრებით ზამთარში) და დროებით დაითხოვონ ისინი სასწავლებლიდან სათანადო ტანსაცმლის შეძენამდე; ისინი ისე უნდა განლაგდნენ ეკლესიაში მსახურების დროს, რომ ყველა მოსწავლისთვის შეძლონ თვალყურის დევნება; დილის ლოცვაზე უნდა შემოიღონ სახარების კითხვა; სასწავლებლის ეკლესიაში მსახურება უნდა ჩატარდეს რიგ-რიგობით, საეკლესიო-სლავურ და საეკლესიო-რუსულ ენაზე, დისციპლინარული სასჯელის ზომების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი მექანიკურობა, დარღვევის ხასიათი; მოსამზადებელ კლასებში შეწყდეს მეცადინეობა ორი დღით ადრე გამოცდებამდე.

მმართველობასა და თავმჯდომარეს წარმოდგენილი ანგარიშით მკაცრად დაევალათ, თვალყური ადევნონ მოსამსახურე პირთა მოქმედებას (განსაკუთრებით, მოძღვრის), ხოლო დარღვევის შემთხვევაში აცნობონ ეპარქიის წინამძღვარს.

როგორც ვხედავთ, ანგარიში აღწერს, თუ როგორ ზრუნავდა სასწავლებლის მმართველობა სასწავლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესებაზე და როგორი იყო რეალური სურათი მთელ სასწავლებელში.

სასწავლებელში არსებობდა ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა, რომლის გამგეც იყო ვასილი ბელიაევი. იგი გასცემდა კვირაში ორჯერ, ორშაბათობით და ხუთშაბათობით, წიგნებს მოსწავლეებზე, ხოლო სასწავლებლის ბიბლიოთეკის უფროსი იყო ზედამხედველის თანაშემწე ალექსანდრე სოსინოვსკი, რომელიც

სასწავლო წლის დასაწყისში გასცემდა სახელმძღვანელოებს მოსწავლეებზე. ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში იყო 1640 წიგნი, 923 დასახელების.

განყოფილებების მიხედვით, წიგნები ასე იყოფოდა: საღვთისმეტყველო შინაარსის – 457, დასახელება – 289; წმინდა წერილები და საეკლესიო – საღვთისმსახურო – 85, დასახელება – 42; ე.წ. მჭევრმეტყველება – 312; დასახელება – 214; გეოგრაფია – 90 წიგნი; დასახელება – 78; პედაგოგიკა და დიდაქტიკა – 106 წიგნი, დასახელება – 83; გალობა – 101 წიგნი, დასახელება – 55; პერიოდული გამოცემა – 308 წიგნი, 66 დასახელების; განყოფილება „შერეული" – 181 წიგნი, 96 დასახელების.

სასწავლო ბიბლიოთეკაში, რომელსაც წმინდა სინოდის სამეურნეო განყოფილება უანგაროდ (უფასოდ) ამარაგებდა, სულ იყო 1185 წიგნი, 85 დასახელების: საღმრთო სჯული – 411 წიგნი, 41 დასახელების; რუსული ენა – 487, 24 დასახელების; ბერძნული – 108, 5 დასახელების; გეოგრაფია – 31, 9 დასახელების; არითმეტიკა – 148, 6 დასახელების. სასწავლებელთან არსებობდა გასაყიდი წიგნების ბიბლიოთეკაც, რომლის დანიშნულებაც იყო მოსწავლეთათვის წიგნებისა და დამხმარე საშუალებების გაყიდვა.

საინსპექტორო ზედამხედველობის შემადგენლობაში შედიოდნენ: ზედამხედველის თანაშემწე, ალექსანდრე სოსინოვსკი და მეთვალყურე, სემინარიის სტუდენტი მელქისედეკ ქავჟარაძე. ანგარიშის მიხედვით, შეინიშნებოდა: კლასსა და ეკლესიაში დაგვიანება, საუბარი ეკლესიასა და კლასში, ნაადრევად ღვთისმსახურებიდან და გაკვეთილებიდან წასვლა, ერთმანეთს შორის ჩხუბი, წესრიგისა და დისციპლინის დარღვევა და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით იღებდნენ შემდეგ ზომებს: აწარმოებდნენ დაკვირვებას დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეებზე, ყოველთვიურად განიხილავდნენ დარღვევებს, მიმართავდნენ შეგონებებსა (დარიგებანი) და საყვედურებს მოსწავლეთა მიმართ გაკვეთილების შემდეგ, მოსწავლეებს რიცხავდნენ სასწავლებლიდან (ეს ზომა გამოყენებულ იქნა ორი მოსწავლის მიმართ, რომლებიც აიძულებდნენ თანაკლასელებს, არ ეპასუხათ გაკვეთილი არითმეტიკაში). დასჯის სხვა ზომებსაც იყენებდნენ. მაგალითად, მოცემულ

წყაროში ვკითხულობთ, რომ ერთ ჟურნალს მისმა ყოვლადუსამღვდელოესმა, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ დაადო შემდეგი რეზოლუცია: „მოსწავლეები“ - კალანდაძე და კობიძე დატოვებულ იქნან გაკვეთილების შემდეგ ორი საათით ათი დღის განმავლობაში“ (ქ.ც.ა.121 : ფ.5. .საქ.228. ფ.22).

გამოსასწორებული ზომების მიღების შემთხვევაში სასწავლებლის მმართველობა ითვალისწინებდა მოსწავლეთა ასაკის, ხასიათის, დანაშაულის დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებებს. ასევე ყოფაქცევაში აკლებდნენ ნიშანს, რაც დამსჯელი ზომა კი არა, ყოფაქცევის შეფასება იყო (მოსწავლის გამოსწორების შემთხვევაში ყოფაქცევის ქულა იმატებდა). აღნიშნულის დამადასტურებლად მოგვყავს თითოეულ კლასში ყოფაქცევაში წლიური ქულები. საანგარიშო წელს მოსწავლეთა რაოდენობა იყო 198. მათი ყოფაქცევის ქულებს აჩვენებს შემდეგი ცხრილი.

მოსწავლეთა ყოფაქცევის წლიური ქულები კლასების მიხედვით:

| კლასები | მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში | მათგან შეფასებულნი ყოფაქცევაში ქულებით | | |
|---|---|---|---|---|
| | | 5 | 4 | 3 |
| მოსამზადებელი კლასის უმცროსი განყოფილება | 37 | 35 | 2 | - |
| მოსამზადებელი კლასის უფროსი განყოფილება | 46 | 30 | 16 | - |
| პირველი კლასი | 40 | 27 | 13 | - |
| მეორე კლასი | 27 | 16 | 11 | - |
| მესამე კლასი | 27 | 19 | 8 | - |
| მეოთხე კლასი | 21 | 21 | - | - |
| სულ | 198 | 148 | 50 | |

(121: ქცა.ფ. 5 საქ # 228 .ფურ.23)

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, სახაზინო ან ეპარქიალური სტიპენდიები ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში არ იყო, საერთო საცხოვრებელი სასწავლებელთან არ მდებარეობდა და მოსწავლეები ცხოვრობდნენ კერძო ბინებში. საინსპექტორო მეთვალყურეობას სირთულეს

უქმნიდა ორი გარემოება: პირველი – ის, რომ მოსწავლეთა ბინები, რომელთა რიცხვიც 130-ს შეადგენდა, გაფანტული იყო მთელ ქალაქში და მეორე – სასწავლო ინსპექცია მხოლოდ ორი პირისგან, ზედამხედველის თანაშემწისა და მეთვალყურისგან შედგებოდა. საინსპექტორო წიგნში არის ქ157 ჩანაწერი (საანგარიშო წელს) ბინების შემოწმების შესახებ, თითოეულ შემოწმებაზე საშუალოდ 5-10 ბინაა ჩაწერილი.

ასევე აღნიშნულია, რომ ,,გიმნასტიკის მასწავლებელი“ სასწავლებელს არ ჰყავდა და შესვენებებსა და ნასადილევს მოსწავლეები ერთობოდნენ, როგორც შეეძლოთ, თამაშობდნენ ბურთით და აგრეთვე – კატათაგვობანას. ნებადართული იყო, მოკრძალებულ ფარგლებში, ჭიდაობა.

ვ. ბელიაევი ასევე გვაწვდის ინფორმაციას ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ავადმყოფ მოსწავლეთა შესახებ 1898-99 სასწავლო წელს. მოცემულია ლაზარეთში მყოფ და ამბულატორულ ავადმყოფთა რაოდენობა.

ლაზარეთი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელთან არ იყო. სამედიცინო დახმარებას მოსწავლეებს უწევდა სასწავლებლის ფელდშერი, სერიოზული დაავადებების შემთხვევაში – მოწვეული ექიმი. წამლები მოსწავლეებზე გაიცემოდა აფთიაქართან, ოზურგეთის სასწავლო ოლქის სამღვდელოების მიერ ასიგნირებული ფულით.

| # | ავადმყოფობა | სექტ | ოქტ | ნოემ | დეკ | იან | თებ | მარ | აპრ | მაისი | რაოდ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ციება | 40 | 42 | 22 | 5 | 29 | 13 | 27 | 13 | 28 | 219 |
| 2 | ფაღარათი | - | - | - | - | - | 3 | 2 | 2 | 2 | 9 |
| 3 | საყმაწვილო | - | 1 | 1 | - | 3 | - | - | 2 | - | 7 |
| 4 | მუცლის ჭია | - | 2 | 4 | - | 5 | 2 | 2 | 2 | - | 17 |
| 5 | მუცლის კატარი | 4 | 2 | - | - | 4 | 1 | 1 | 1 | 2 | 15 |
| 6 | ელენთის გადიდება | 4 | 7 | 2 | - | - | - | 2 | - | 2 | 17 |
| 7 | სისხლნაკლებობა | 3 | 53 | 3 | - | - | - | - | - | - | 11 |
| 8 | მოტეხილობები | - | 1 | - | - | - | - | - | - | - | 1 |
| 9 | სურავანდი | - | - | - | - | 4 | - | - | 2 | - | 3 |
| 10 | შეკრულობა | 7 | 6 | 5 | - | - | 2 | 2 | - | 3 | 25 |
| 11 | კუჭის აშლილობა | 5 | 6 | - | 1 | 4 | - | 3 | - | - | 19 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | გამონაყარი | - | - | - | - | 2 | 5 | - | - | 2 | 9 |
| 13 | კბილის ტკივილი | - | 1 | - | 3 | 3 | - | 2 | - | - | 9 |
| 14 | ნოსტოედა | - | - | 1 | - | 1 | - | - | - | - | 2 |
| 15 | ფეხის მოყინვა | - | - | - | - | 1 | 2 | - | - | - | 3 |
| 16 | ჯირკვლების ადიდება | 1 | - | 2 | 1 | 2 | - | - | - | - | 6 |
| 17 | სახსრების დაჭიმულობა | 1 | - | - | - | - | - | 1 | - | - | 2 |
| 18 | ღრძილების ანთება | 2 | - | 2 | 2 | - | 1 | - | 1 | - | 8 |
| 19 | აბსცესი | - | 1 | - | 3 | - | - | - | - | 1 | 5 |
| 20 | ეგზემა | 1 | 1 | - | - | 2 | 1 | 2 | - | - | 7 |
| 21 | გულისცემა აჩქარებ. | 5 | - | - | - | - | - | 2 | - | - | 7 |
| 22 | ბრონქების ანთება | 1 | 1 | - | 1 | 1 | - | - | 1 | 2 | 7 |
| 23 | ყურის დაავადება | - | 2 | - | - | - | - | - | 1 | | - |
| 24 | მალარია | 2 | - | 3 | - | - | - | 2 | - | - | 7 |
| 25 | ფლუსი (დაჩირქება) | - | - | 2 | - | - | - | - | - | - | 2 |
| 26 | სისხლდენა ცხვირიდან | 2 | 2 | - | - | - | - | - | 2 | - | 6 |
| 27 | კუჭის ანთება | - | - | - | 1 | 3 | - | - | - | - | 4 |
| 28 | ბღერი | - | 6 | 4 | 2 | 3 | 2 | 2 | 6 | - | 25 |
| 29 | საერთო სისუსტე | 2 | 2 | 5 | - | 7 | 3 | - | 3 | 3 | 25 |
| 30 | თავის ტკივილი | 5 | 1 | 8 | 4 | 8 | 5 | 11 | 4 | 6 | 42 |
| 31 | ყელის ანთება | 3 | 2 | 1 | - | 4 | 1 | 1 | 1 | 2 | 15 |
| 32 | სისხლიანი ფაღარათი | 12 | - | - | - | - | - | - | - | - | 1 |
| 33 | ხველა | 2 | 4 | 5 | 2 | 4 | - | 9 | 1 | 1 | 28 |
| 34 | რევმატიზმი | 3 | 3 | 1 | - | 3 | 1 | 4 | 1 | 3 | 19 |
| | სულ | 94 | 98 | 71 | 25 | 90 | 42 | 75 | 43 | 57 | 582 |

(113: ქცა.ფ.5საქ. #228, ფურ.24)

ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება საანგარიშო წელს არ ყოფილა. ანგარიში შედგენილ იქნა სასწავლებლის საქმეებზე დაყრდნობით (საქმეების საფუძველზე). ანგარიშს ხელს აწერენ: მმართველობის თავმჯდომარე, სასწავლებლის ზედამხედველი ვასილი ბელიაევი; მმართველობის წევრი, ზედამხედველის თანაშემწე ალექსანდრ სოსინოვსკი; მმართველობის წევრები სამღვდელოებისგან: მღვდელი ანტონ ცეცხლაძე; მღვდელი სოლომონ ანდღულაძე; მასწავლებელი ტარასი ჭიჭინაძე; მასწავლებელი დავით აბაშიძე; მასწავლებელი გრიგორი პავლოვი; მასწავლებელი, მღვდელი გიორგი თოხაძე.

სასულიერო განათლების ისტორიისათვის საინტერესოა 1898/99 წწ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა მიერ დაწერილი სასწრაფო თხზულებების სია, რომელიც სრულად გვიჩვენებს სასწავლო საგნებში – კატეხიზმოში, საღმრთო ისტორიაში, რუსულ ენაში, გეოგრაფიასა და ქართულ ენაში – პროგრამის მიხედვით შესრულებული დავალებების თემატიკას. ფაქტობრივად, ვეცნობით სასწავლებელში სწავლებისა და განათლების შინაარსს, აღზრდის სისტემას. თითოეული საგნის თემატიკა წარმოდგენილია კლასების მიხედვით.

კატეხიზმოში შესრულებული თემებია:

მე–4 კლასში: ,,საუფლო ლოცვის მე–5 თხოვნის ახსნა“ (,,მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი“...) და ,,რა იკრძალება მე–6 მცნებით, გარდა უშუალოდ მკვლელობისა?“

მე–3 კლასში: ,,ღვთაებრივი გამოცხადების შესახებ“; ,,როგორი სიკვდილი მოხდა ადამის ცოდვის დაცემის შედეგად?“.

საღმრთო ისტორიაში შესრულებული თემებია:

მე–2 კლასში: ,,მოენეთ მდგომარეობა ქვეყნად მაცხოვრის მოსვლის წინ“; ,,იესო ქრისტეს მიერ კაპერნაუმში დიდებულის შვილის განკურნება“; ,,იესო ქრისტეს წინასწარმეტყველება იერუსალიმის ტაძრის დანერგვაზე და ამ წინასწარმეტყველების ასრულება“;

პირველ კლასში: ,,იაკობის მიერ კიბის ნახვის სურათის ახსნა“; ,,ებრაელთა მდგომარეობა ეგვიპტეში მოსეს შობამდე“; ,,იერუსალიმის პირველი ტაძრის აშენებისა და კურთხევის შესახებ“; ,,ძველი აღქმის წმინდა წერილების წიგნები, რომლებიც ცნობილი გახდა ჩვენთვის გავლილი მასალიდან საღმრთო ისტორიაში და მათი მოკლე შინაარსი“.

რუსულ ენაში შესრულებული თემებია:

მე–4 კლასში: ,,როგორ გავატარე ზაფხულის არდადეგები“; ,,გურულთა სასოფლო– სამეურნეო სამუშაოები წლის სხვადასხვა დროს“; ,,ლომის, მგლის, მელიის, მაიმუნის დახასიათება კრილოვის იგავ–არაკის მიხედვით“; ,,როგორ გავატარე ქრისტეშობის დღესასწაული“; ,,ჩვენი სოფლის აღწერა“;

მე–3 კლასში: ,,კრილოვის იგავ–არაკი ,,მგელი საძაღლეში“ (შინაარსი), იმ ისტორიული მოვლენების მითითებით, რომლებზეც ეს არაკი მიუთითებს; ,,როგორ და რისთვის დაისაჯა ღმერთისგან ეპისკოპოსი ვატონი“ (ბალადის მიხედვით: უფლის სამსჯავრო ეპისკოპოსზე); ,,ჩვენი სასწავლებლის ადგილმდებარეობის აღწერა“; ,,არასუფთა გლეხი“ (შინაარსი); ,,გლეხის კაცის გამოცანა“ (შინაარსი);

მე–2 კლასში: ,,კეთილგონიერი ჭაბუკი“ (ბრუნება); არაკი ,,ცნობისმოყვარე“ (საკუთარი სიტყვებით გადმოცემა); ,,როგორ გადაწყვიტა განაყოფის დავა ანისიმიჩმა“ (სტატია ,,მხვნელი“ ანისიმიჩი); ,,რა მოხდა როსტოვის ოლქში, როგორ ავხსნათ გრძნეულის შიმშილის მიზეზი და რა მოუვიდა მათ?“ (სტ. ჯადოქარი კარამაზინი); ,,რა მოუვიდა ივანს უსუფთაობით და როგორ განიკურნა იგი? (სტ. უსუფთაო გლეხი);

პირველ კლასში:

1. გაეცით სრული პასუხი კითხვებს:

    ა) უარი უნდა ეთქვა თუ არა ცხენს ვირის თხოვნაზე?

    ბ) როგორ დაისაჯა ცხენი ვირისთვის უარის თქმის გამო? (იგავ–არაკი)

2. გაეცით სრული პასუხი კითხვებს:

    ა) რატომ ამღერდა ბულბული?

    ბ) კარგად მღეროდა ბულბული?

    გ) როგორი იყო ვირის პასუხი ბულბულის გალობაზე?

3. დაწერეთ ათი წინადადება არსებითი სახელებით
4. არსებითი სახელი ,,дитья“ აბრუნეთ მაგალითების მიხედვით.
5. აბრუნეთ ,,ყველაზე კარგი სოფელი“.
6. შეადგინეთ ათი წინადადება შედარებითი რიცხვითი სახელებით.

გეოგრაფიაში შესრულებული თემებია:

მე–4 კლასში: ,,მდინარე ვოლგას დინება“; ,,რით შეიძლება აიხსნას რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრალურ სივრცეში დამუშავებითი მრეწველობის მეტად განვითარება?“; ,,მეცხოველეობა რუსეთის იმპერიაში“; ,,იზოთერმები, ზოგადად და კერძოდ, რუსეთში“;

მე–3 კლასში: ,,რისთვისაა გამოგონებული გრადუსული ბადე“; ,,ჰაერის ტემპერატურა“; ,,რაში გამოიხატება მიწისქვეშა ძალების მოქმედება?“.

ქართულ ენაში შესრულებული თემებია:

მე–4 კლასში: ,,გადათარგმნეთ რუსულ ენაზე სტატიის ,,წმ. ღირსი მამა შიო მღვიმელის ცხოვრება და მოღვაწეობა“ – პირველი ნაწილი“; ,,კახეთი“ (ბუნების კარის მიხედვით);

მე–3 კლასში: ,,სურათის – ,,იესო ქრისტე ჯვარზე“ – აღწერა“; ,,გურია“ (ბუნების კარის მიხედვით);

მე–2 კლასში: ,,გადათარგმნეთ ქართულად სტატია“ მგლის შიშით ტყეში ვინ არ დადის.?“ ,,გადათარგმნეთ რუსულ ენაზე საღმრთო წერილის – ისტორიული მოთხრობა ,,ქვეყნიერების შექმნა“ (გოგებაშვილის ,,დედა ენიდან“); ლექსის ,,საქართველო“ შინაარსის გადმოცემა; ,,თქვენი სიტყვებით გადმოეცით იგავ-არაკი ,,მამალი და მარგალიტის მარცვალი“;

პირველ კლასში შესრულებული თემებია: ,,შეადარეთ დოქი და ბოთლი“; ,,დილის ლოცვის ნაწილებად დაყოფა და ყოველი ნაწილის შინაარსი“; ლექსი ,,მერცხლის“ შინაარსი.

ვფიქრობთ, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის შესახებ რევიზორ ბელიაევის ანგარიში, თანდართული რეკომენდაციებითურთ, სრულ წარმოდგენას გვიქმნის აღნიშნულ სასწავლებელზე, როგორც სასულიერო განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერაზე, გურიის ეპარქიაში, გვისურათებს რა დაწვრილებით იქ არსებულ ვითარებას, გარემო პირობებს, პედაგოგთა კვალიფიკაციის საკითხს, მოსწავლეთა ცოდნის დონეს, სასწავლო კურსს, საგნობრივ თემატიკას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, ზოგადად, სასულიერო სასწავლებლებიდან სემინარიაში შესასვლელად გამოცდებზე მხოლოდ საუკეთესო მოწაფეები იგზავნებოდნენ, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ აბარებდა გამოცდებს. 1879 წლიდან სემინარიაში მისაღები გამოცდები აგვისტოდან ივნისში გადმოიტანეს, რათა მოსწავლეებს ჩაჭრილ საგნებში ზაფხულში მომზადებისა და ხელმეორედ გამოცდების ჩაბარების საშუალება ჰქონოდათ. ამ წელს გამოცდაზე

გამოცხადდნენ: თბილისიდან – 13, ქუთაისიდან – 24, გორიდან – 9, სამეგრელოდან – 5, ოზურგეთიდან – 4, თელავიდან – 2. სასულიერო სასწავლებლების საუკეთესო მოწაფეთაგან ზოგჯერ ნახევარიც ვერ ახერხებდა სემინარიაში შესვლას. რიცხობრივად ქუთაისის სასწავლებელი ყველაზე მეტს გზავნიდა სემინარიაში შესვლის მსურველებს, ხოლო მომზადების დონით პირველი ადგილი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს ეჭირათ.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლები, ისევე როგორც გურიისა, რელიგიური და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. ქვემოთ უშუალოდ ვისაუბრებთ იმ მნიშვნელოვან პროცესებზე, რომლებმაც განაპირობა სწორედ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის იმჟამინდელი მდგომარეობა, წარმოვადგენთ როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფალთა მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგებს მე-19 საუკუნის შუახანებიდან.

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი მიხვდა, რომ მთავრობა კვლავაც არ დაანებებდა თავს საეკლესიო მამულებისა და ეკლესიების საკითხს, ამიტომ გადაწყვიტა სამეგრელოში თვითონ გაეტარებინა საეკლესიო რეფორმა. მისი გეგმა ასეთი იყო: „აღეწერა თვითონ საეკლესიო მამულები და გლეხები, საეკლესიო შემოსავალი მთლიანად გადაეცა მთავრის ხაზინისათვის, დაეწესებინა საეკლესიო საშტატო კანცელარია, შემოეღო ეკლესიაში შტატები, სამღვდელოება გადაეყვანა ჯამაგირის გადახდაზე. ეს იქნებოდა ფაქტობრივად ეკლესიის მოწყობა რუსეთის ეკლესიის მსგავსად სამთავროს ფარგლებში, ეკლესიაზე მთავრის უმაღლესი ხელისუფლების აღიარებით. ამდენად, მას მთავრობა ვერ შეედავებოდა საეკლესიო საქმეების მოუწესრიგებლობაში. მან კიდევაც დაიწყო თავისი გეგმის განხორციელება. 1852 წელს ჩაატარა საეკლესიო მამულებისა და გლეხების ზუსტი აღწერა“ (ქ.ც.ა.124 : ფ.86. საქმე N61, ფურც. 24). ამასთანავე, „მისი ბრძანებით ცაიშისა და ხობის მონასტრის შემოსავლის ნახევარი გადაეცა მთავრის ხაზინას“( ქ.ც.ა.124 ფ.86. საქმე საქმე N72, ფურც.5). დავითის გარდაცვალების შემდეგ მისი გეგმის

განხორციელება განაგრძო ეკატერინე დადიანმა, „1854 წელს მან ეკლესია-მონასტრებში შემოიღო საშტატო ერთეულები და ბრძანება გასცა საეკლესიო გადასახადები ნატურალურიდან გადაეყვანათ ფულად ერთეულზე, მარტვილის ეკლესიასთან შექმნა საეკლესიო ხაზინა, რომელსაც უნდა ეწარმოებინა ეკლესიის შემოსავალ-გასავლის საქმე. პირველ რიგში, საშტატო ერთეულებზე გადაიყვანეს მარტვილისა და სუჯუნის ეკლესიები და მათ კუთვნილ ეკლესიებს დაუწესეს ფულადი გადასახადი“ (სსც.103 : ფ.481. საქმე N 17749, ფურც. 55-54). სხვა დანარჩენ ეკლესია-მონასტრებში ამის გატარება ვერ მოასწრო, რადგან ყირიმის ომმა მოუსწრო.

1855 წელს ეკატერინე დადიანმა საეკლესიო პირები ჩამოაშორა საეკლესიო მამულების მართვას და გადასცა ის საერო ხელისუფალთ, რომლებსაც ერქვათ საეკლესიო მამულების მზრუნველები. გატარებული რეფორმები მეტად გაბედული იყო, იგი საეკლესიო მამულების და გლეხების ხელში ჩაგდების გზას უჭრიდა სინოდის კანტორას. ამდენად, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა სამეგრელოს მთავრებს და რუსეთის მთავრობას შორის საეკლესიო მამულებისა და გლეხების გამო სამეგრელოს გამარჯვებით მთავრდებოდა. ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია რუსეთის მთავრობის აღშფოთება, არ შეესრულებინა გარკვეული როლი სამეგრელოს სამთავროს ავტონომიის გაუქმების დაჩქარებაში. სამთავროს ავტონომიის გაუქმების შემდეგ საქართველოს ეგზარხოსის გეგმების განხორციელებას ხელ-ფეხი გაეხსნა, „ავტონომიის გაუქმების შემდეგ საეკლესიო გლეხები ფულად გადასახადზე გადაიყვანეს“ (ქ.ც.ა. 124 : ფ.86. საქმე N 71, ფურც. 25). შემოსავალი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სამღვდელოება სამეგრელოში გადაყვანილიყო ფულად ჯამაგირზე. გაიზარდა საშტატო კანცელარიის შტატები და ხელფასი.

სამეგრელოს სამღვდელოება არ უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო თავისი როლით სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამღვდელოების ხელმძღვანელობა მონაწილეობას ღებულობდა სამთავროს ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში. არც ერთი პოლიტიკური დოკუმენტი არ ფორმდებოდა მათი მონაწილეობის გარეშე. უმეტეს შემთხვევაში მათი წარმომადგენელი თან ახლდა სამეგრელოს მთავარს

ლაშქრობებში. სამეგრელოში ორჯერ შეიქმნა დროებითი მმართველი საბჭო, ორივეში შეყვანილი იყვნენ სამეგრელოს მიტროპოლიტები. მათ ინტერესებს იცავდა მთავარი. იგი ეხმარებოდა სამღვდელოებას თავიანთ სამწყოში წესრიგის დამყარებაში.

1856 წელს, როდესაც ეკატერინე მეფე ალექსანდრე II–ის კორონაციას ესწრებოდა, სამეგრელოს ყმა გლეხებმა ღია ანტიფეოდალური და პრორუსული აჯანყება მოაწყვეს. ამან შექმნა წინაპირობა, რომ შემდეგ წელს სამეგრელოში რუსული მმართველობა ღიად დამყარებულიყო. რუსეთის მიერ სამეგრელოს დე ფაქტო ანექსიის მიუხედავად, ნიკოლოზ დადიანი ამ სამთავროს ტახტის მემკვიდრედ თითქმის ათი წლის მანძილზე ითვლებოდა, ვიდრე რუსეთის მმართველთა გავლენით ოფიციალურად არ გადადგა. 1867 წლის 4 იანვარს რუსეთის იმპერიამ სამეგრელოს დამოუკიდებელი სამთავრო ოფიციალურად გააუქმა.

სამეგრელოს სამღვდელოება დიდ გულმოდგინებას იჩენდა საქართველო-იმერეთის სინოდიალურ კანტორასა და საქართველოს ეგზარქოსის დავალებების შესრულებაში, განსაკუთრებით ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. სამეგრელოს სამღვდელოების წარმომადგენლები ამ მიმართულებით სამოღვაწეოდ მიდიოდნენ კავკასიის სხვადასხვა რაიონებში, მაგრამ ძირითადად მაინც ამ მიმართულებით ისინი თავიანთ საქმიანობას წარმართავდნენ აფხაზეთსა და სვანეთში.

50-იან წლებში სწავლა-აღზრდის საქმე მარტვილის სასწავლებელში საკმაოდ მაღალ დონეზე ასულა. აღნიშნულს ადასტურებს კ. ბოროზდინის მოგონება იმის თაობაზე, რომ იგი 1854 წელს ქალაქ სენაკში შეხვედრია მენიკ დადიანის (აფხაზეთის მთავრის ყოფილი მეუღლე) ამალის ახალგაზრდებს: ,,ეს მშვენივრად გაწაფული, ზრდილობიანი, მოხერხებული, გრაციოზული, თითქმის ყველა რუსულის მცოდნე, უმთავრესად მარტვილის სემინარიაში აღზრდილი მოსწავლე ახალგაზრდობა ოსტატურად ასრულებდა ყველა ცეკვებსა და გუნდურ მეგრულ სიმღერებს“ (ბოროზდინი კ. 27 : 108).

მარტვილის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, „1856 წლისთვის მოსწავლეთა რაოდენობამ 108-ს მიაღწია“ (Статистические описание 158 :146).

1860 წელს სამეგრელოს ეპისკოპოს გერონტის ინიციატივით გაიხსნა მარტვილის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასი (სსცა. 105 : ფ.489. საქმე N17716, ფურც.64). ეს იყო უკვე „სამაზრო სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც ასწავლიდნენ: 1. საღვთო სჯულს, 2. არითმეტიკას, 3. რუსულ ენას/გრამატიკა, თარგმანები ქართულიდან რუსულზე და რუსულიდან ქართულად/, 4. ქართულ ენას /გრამატიკა, თარგმანები რუსულ ენაზე ქართულიდან რუსულად, 5. გალობას. სასწავლებელს ჰყავდა ერთი ზედამხედველი, უფროსი მასწავლებელი, ერთი პირველი და ერთი მეორე კლასის მასწავლებელი. სამაზრო სასულიერო სასწავლებლის პარალელურად არსებობას განაგრძობდა სამრევლო სკოლა, რომელსაც ჰყავდა ერთი ზედამხედველი და ერთი პირველი კლასის მასწავლებელი“ (სსცა.105 : ფ.489.საქმე N17716, ფურც.42).

სამეგრელოს ავტონომიის გაუქმებისა და საეკლესიო მამულების უშუალოდ ხაზინისათვის გადაცემის შემდეგ „სასწავლებლის შესანახ ხარჯებად გამოიყო 8700 მანეთი ვერცხლით. 1860 წელს დაწესდა მასწავლებელთა ხელფასები. სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველს დაენიშნა სამასი მანეთი წელიწადში, პირველი კლასის მასწავლებელს – 75 მანეთი, სამაზრო სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს – 400 მანეთი, ამავე სასწავლებლის უფროს მასწავლებელს – 250 მანეთი, ამავე სასწავლებლის მეორე კლასის მასწავლებელს – 125 მანეთი“ (სსცა.105 : ფ.489. საქმე N17717, ფურც.42). მასწავლებელთა ჯამაგირის საკითხის მოგვარებამ ხელი შეუწყო სწავლა-აღზრდის საქმეში სასწავლებლის წარმატებებს.

„მე-19 საუკუნის ბოლოს მარტვილის სასულიერო სასწავლებელი სამეგრელოში ერთადერთი ოფიციალური და რელიგიური სასწავლებელი იყო“ (მიქაძე ი. 81 : 4), ამასთან, საქართველოს ეგზარქოსს დაქვემდებარებულ ახალ სასულიერო სასწავლებლებს შორის (თბილისისა და ქუთაისის შემდეგ) რიგით მესამე, სადაც სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა და მიზნად ცარიზმის

კოლონიური პოლიტიკის გატარებას ისახავდა. იგი ემსახურებოდა არა მარტო სასულიერო პირებს, არამედ მთელ საზოგადოებას.

აღნიშნული სასწავლებლის შენობა არაერთგზის დაიწვა: 1873წ., 1874წ., 1881წ., 1897წ... 1881წ. „მორიგმა ხანძარმა და თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ, რამაც აქ მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია, განაპირობა სასწავლებლის ახალსენაკში გადატანა“ (მიქაძე ი. 81 : 4). ამ დროიდან მარტვილის სასულიერო სასწავლებელი, „1831 წლიდან თბილისის სემინარიის გამგეობას დაქვემდებარებული, 1894 წლიდან დაუქვემდებარეს იმერეთის ეპარქიას (მას მართავდა მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე), კერძოდ, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს, რომლის ოლქიც განისაზღვრა დასავლეთ საქართველოს სამი (ქუთაისის, ოზურგეთისა და სამეგრელოს, იგივე მარტვილის) სასულიერო სასწავლებლით“ (ხუნდაძე ტრ. 139 : 164).

მე-19 საუკუნის შუახანებში მარტვილის სასწავლებელი ორი კლასისგან შედგებოდა, სწავლების ვადა იყო ორი წელი, ასწავლიდნენ: საღვთო რჯულს, რუსულ ენას, არითმეტიკას და სუფთა წერას. იონა მეუნარგია ასეთ ცნობას გვაწვდის: 1852 წელს მთავარი დავით დადიანი შეეკითხა ოდიშ-ლეჩხუმის მდივან-ბეგებს, მოეხსენებინათ მისთვის, სხვათა ცნობათა შორის, ისიც, თუ რამდენი სასწავლებელი იყო მათდამი რწმუნებულ მაზრებში. ამ კითხვაზე რვა მდივან-ბეგიდან შვიდმა მოახსენა, რომ მათ მაზრებში სასწავლებელი არ მოიპოვებოდა და მხოლოდ ერთმა, მარტვილის მდივანბეგმა მოახსენა, რომ მის მაზრაში არსებობდა ერთი სასწავლებელი, მარტვილის სასულიერო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში სწავლობდნენ: სასულიერო პირთა 97 შვილი, ხოლო სამოქალაქოთა – 5. პირველი ზედამხედველი იყო დეკანოზი რომანოზ ბორისოვი, შემდგომ – დეკანოზი დავით მაჭავარიანი. ეს სასწავლებელი იდგა მთაზე, მარტვილის გარეთ, ტაძართან, შემდეგ სკოლა ოთხკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა და 1867 წლის წესდების თანახმად, სხვა სასულიერო სასწავლებლებთან ერთად გარდაიქმნა.

1870 წლის 19 თებერვალს გაზეთი „დროება“ წერდა: „ამ სასწავლებელს ბევრი ცვლილება გამოუწვევია თავის სიცოცხლეში; თავის დაწესების შემდეგ ის

ხან სამ კლასად იყო და, საშუალო უქონლობის გამო, ორკლასიანად ხდიდნენ“. გაზეთის ცნობით, 1868 წლის სექტემბერში კრება გამართულა და საკუთარი სამმართველო შეუქმნიათ, რომელსაც სასწავლებელზე ზრუნვა ევალებოდა. „სამმართველომ მოიწვია კეთილსინდისიერი და მცოდნე მასწავლებლები, რომლის საშუალებით ჩვენი შვილების აღზრდა მარტვილის სასწავლებელში, იმედია, უკეთ წავა, ვიდრე აქამდე მიდიოდა“, – წერდა „დროება“.

„სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი 1871 წლიდან 1877 წლამდე მიხეილ გურგენიძე იყო. იგი აღნიშნავდა, რომ 1871 წელს, როდესაც მან სასულიერო სასწავლებელში დაიწყო სამსახური, მე–3 და მე–4 კლასის მოწაფეებსაც კი არ შეეძლოთ კითხვა რუსულად და არ ესმოდათ ის. მასწავლებლები მხოლოდ გაკვეთილებს აძლევდნენ: წკეპლავდნენ მოწაფეებს და როზგავდნენ. მარტვილის სასულიერო სასწვლებლის შენობა უკარ-უფანჯრო იყო, კლასში გაკვეთილებზე ბაყაყები დახტოდნენ; საკლასო ოთახები უიატაკო იყო და შიგ ტბა იდგა. მოწაფენი გათავხედებულნი იყვნენ: ქურდობა, ჩხუბი, თავხედობა მასწავლებლებთან ვაჟკაცობად ითვლებოდა და წახალისების საგნად იყო გამხდარი“ (ხუნდაძე ტრ.139: 197).

სასწავლებლის რეორგანიზაციას 1872 წელს, თანახმად 1867 წლის წესდებისა, მოწაფეებსა და მშობლებში დიდი მღელვარება მოჰყოლია, რაც ზედამხედველის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული. „განსაკუთრებული გულისწყრომა სუსტი მოწაფეების დატოვებასა და გარიცხვას გამოუწვევი. ერთ-ერთ დარჩენილ მოწაფეს 1873 წლის 12 სექტემბერს ღამეს სასწავლებლის მთელი შენობა გადაუწვავს“ (სსცა. 102: ფ.440. საქ.#729. ფ. 207–209). მას შემდეგ ამ სკოლისათვის მარტვილში არ აღმოჩნდა სასწავლებლისათვის დროებით გამოსადეგი შენობა, ამიტომ დაისვა საკითხი მისი სხვა ადგილზე გადატანის შესახებ, მაგალითად, ქუთაისში, ახალ სენაკში, ფოთში ან ძველ სენაკში.

ძველ სენაკში სასწავლებლის გადატანას მხარი დაუჭირა აკაკი წერეთელმა. 1873 წლის 19 ოქტომბერს გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის წერილი სამეგრელოს შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „მარტვილში იყო გამართული დიდის ხნიდამ სასულიერო სასწავლებელი... იმ სასწავლებლის წყალობით, როგორც დღეს

ვხედავთ, ბევრს მოუპოვია საზრდო და იძულებული აღარ არიან სხვა რამე უკადრისი საქმეები ჩაიდინონ. დღეს, რადგანაც მარტვილის სასწავლებელი დაიწვა, სულ თურმე აპირებენ სამეგრელოში იმ სასწავლებლის მოშლას და ქუთაისში გადატანას. ეს მოქმედება არავითარის გარეშე აზრით, არ ჩაითვლება მოხერხებულად, რადგანაც სასარგებლოზედ მაშინ ვნებას მეტს მოიტანს, აი, რა გვარათა: „ვინც მდიდარია და შეძლება აქვს, იმას შეუძლია პირდაპირ და ან ამ შკოლაში გათავების შემდეგ წაიყვანოს შვილი ქუთაისის სასწავლებელში. ამას კიდეც ასე ასრულებენ, მაგრამ ვისაც შეიძლება არა აქვს, მისთვის სულ სხვა ანგარიშია. სამეგრელოში აქვე თავის სახლში იაფად დაუჯდება შვილის შენახვა, და ქუთაისში წამოყვანის შეძლება კი არ ექნება და სულ თავს დაანებებს მის გამოზრდას. შეუცდომლად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იმ ას მამებიდან, რომელიც დღეს იქ შკოლაში შვილს ზრდის, ოთხმოცდათხუთმეტი სულ ხელს აიღებს შვილის გამოზრდაზედ და რა მოგებას ვიქნებით? არც ზნეობისათვის იქნება უკეთესი: იქ მამას შვილი ეყოლება თავის სახლში, ან ნათესავთან, ან მეგობარ-ნაცნობებთან, და აქ კი დუქნებში ან სლაბოდკაში უნდა დააყენოს და უკეთესი იქნება მათის ზნეობითის წვრთნისათვის? ჩვენის აზრით, ის შკოლა უნდა გაიმართოს ძველ სენაკში, სადაც ჰავაც უკეთესია და როგორც შუაგული, უფრო მოხერხებულია მეგრელებისათვის. ჩვენ კიდევაც შეტყობილი გვაქვს, რომ იმ შემთხვევაში სამეგრელოს საზოგადოება თანახმა იქნება და მზა აღმოუჩინოს ამ კეთილ საგანს ბევრგვარი შემწეობა“ (გაზ.„დროება“ 167 : №41).

ძველი სენაკი სამეგრელოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და XIX საუკუნის მე-2 ნახევრამდე ერთ-ერთ წამყვან დაბას წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი საგანმანათლებლო კერებს. აქ გაიხსნა პირველი სასწავლებელი. შალვა დადიანი ასე ახასიათებს მას: „წინათ სენაკი ერთი ყოფილა სამეგრელოში და ეს სენაკი იყო კიდეც ერთ დროს საგზაო და სავაჭრო ადგილი ამ არე-მარეზე. აქ მოდიოდნენ იმერლები, მოჰქონდათ ღვინო, ჰყიდდნენ და სამაგიეროდ ყიდულობდნენ ხარებს, ძროხებს, ზოგჯერ ცხენებსაც... მოდიოდნენ ბერძნებიც და იძენდნენ აბრეშუმს, სიმინდს და სხვ. ერთი სიტყვით, აქ დიდად გაცხოველებული აღებ-

მიცემობა იყო გაჩაღებული... ჩემ დროს კი მას ძველი სენაკი ერქვა და ახლაც ასე ჰქვიან. სახელი სენაკი ერთ დროს, როდესაც ფოთისაკენ რკინის გზა იქნა გაყვანილი, წაართვა თეკლათმა, მაგრამ თეკლათი კი არ დაირქვა, არამედ სხვა სენაკი და ამიტომ ძველ სენაკს სიტყვა „ძველი" მაინც შერჩა" (დადიანი. შ. 38 : 47-48).

ნიკო ნიკოლაძის ნაშრომში „სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი" ვკითხულობთ: „მე ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის გატანა იმ ოლქის გარეთ, რომელიც სასწავლებელს ინახავს, უკეთესი, ანდა უფრო სამართლიანი იქნებოდა. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი სამეგრელოში მის ცენტრში უნდა იყოს, რადგან სასულიერო პირთათვის ასე უფრო მოსახერხებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვქონდა არა ეს, არამედ სულ სხვა, რაც ნათლად ჩანს იმ ამბიდან, რომ მარტვილი სამეგრელოს ცენტრში კი არ მდებარეობს, არამედ მის საზღვარზე" (ნიკოლაძე ნ. 83 : 435).

ყრილობას წინადადება მისცეს დაფიქრებულიყო, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება სასწავლებელი, თუ მარტვილში გადაიტანენ, როგორ იცხოვრებენ იქ მოსწავლეები, სად მოაწყობენ საერთო საცხოვრებელს, სად იშოვიან ექიმს და, ბოლოს, როგორ შეასრულებს სასწავლებელი მარტვილში სასულიერო სასწავლებლის ახალი წესდების იმ მოთხოვნებს, რომლებიც სულ სხვაა, ვიდრე სამრევლო სკოლისა, მაგრამ დეპუტატებს არაფრის გაგონება არ უნდოდათ... დეპუტატებს შორის იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ხედავდნენ, რომ სასწავლებელს მიყრუებულ ადგილზე გადატანა დაღუპავს. წინადადება შეიტანეს სასწავლებლისათვის ისეთი ადგილი აერჩიეთ, სადაც ყველა მოსალოდნელი ნაკლის აღმოფხვრა შესაძლებელი იქნებოდა. ზოგი სენაკს ასახელებდა, ზოგი ახალ სენაკს. დეპუტატები ხედავდნენ, რომ შეიძლებოდა საქმე ჩაშლილიყო და ამიტომ მსჯელობა აღარ დაიწყეს. სჯობს დროებით გადავიტანოთ, შემდეგ კი ვიმსჯელებთო, გადაწყვიტეს მათ.

სასულიერო პირებმა გადაწყვიტეს, სანამ შენობის ასაგებად ადგილს აარჩევდნენ, სასწავლებელი მარტვილში გადაეტანათ. სამწუხაროდ, მარტვილში

არ არსებობდა შენობა. მაშინ იმ პირმა, რომელიც ამ საქმეს თავში ხელმძღვანელობდა, განაცხადა, რომ 2 თვეში ააგებს შენობას და მართლაც ააშენა ფარდული, რომელშიც სასწავლებელი გადაიტანეს.

სასულიერო პირთა ერთი ნაწილი ხედავდა მთელ იმ მავნებლობას და საფრთხეს, რასაც იწვევს არსებული მდგომარეობის გაგრძელება და როცა ამა წლის ივლისის ყრილობაზე იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა დეპუტატებს წინადადება მისცა, გამოენახათ სახსრები სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად იმ გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის (დაახლოებით 40.000 მან.) მიხედვით, რომელიც სინოდმა დაამტკიცა, დეპუტატებმა განაცხადეს, რომ სამეგრელოში ასეთი შენობის აგება არ ღირს, რადგან სასწავლებლის მდგომარეობა ამით ოდნავადაც არ გაუმჯობესდება... ასე რომ, ეს საქმე უშედეგოდ დამთავრდა...

1875 წელს ადგილობრივმა ეპარქიის მმართველმა მიაღწია იმას, რომ სასწავლებელი მარტვილში გადაეტანათ და მათვე აეგოთ ახალი სასწავლებლის შენობა. შენობისთვის აურჩევია ერთი გლეხის ეზო, რომელიც ამ მიწაზე დიდი ხანია ცხოვრობდა. გლეხის სახლიდან სასწავლებელი სულ რამდენიმე ნაბიჯით იყო დაშორებული და ამიტომ ეზო საერთო ჰქონდათ.

1877 წელს თბილისის სასულიერო სემინარიამ მარტვილში გაგზავნა ერთ–ერთი მასწავლებელი რევიზიის ჩასატარებლად. რევიზორს არ შეეძლო არ შეენიშნა, თუ რა უხერხულობას ქმნიდა სასწავლებლის ეზოში ბატებისა და ღორების სეირნობა, რაც აღნიშნა კიდეც საანგარიშო მოხსენებაში, ამის შედეგად ეპარქიის მმართველმა მიიღო მითითება, გადაესახლებინა გლეხი სხვა ადგილას.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები ცხოვრობდენ სოფელში, ადგილობრივი გლეხების სახლში, ხშირად 3-4 კაცი ცალკე ქოხში. ქოხებს არც სხვენი ჰქონდათ და არც იატაკი, ირგვლივ სიღატაკე იყო. ,,საკვებისა და კეთილმოწყობის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მეგრელი უკან მოიტოვებს აღმოსავლეთ საქართველოს ქართველს. აღმოსავლეთ საქართველოში სახლები უმეტეს შემთხვევაში ქვისაა და ვერსად ვერ ნახავთ გლეხი საქონელს იმავე სახლში ამწყვდევდეს, სადაც თვითონ ცხოვრობს. აქ კი ყველა სახლი ან ხისაა, ანდა მოღობილი. შინაური ცხოველები, განსაკუთრებით ზამთრობით,

იმავე ჭერქვეშ ათევენ ღამეს, სადაც მათივე პატრონი. ნესტიანი ქარი, რაც ზღვის სიახლოვთაა გამოწვეული, ყოველ მხრივ დაჰქრის შენობაში ჭურჭუტანებიდან და ძვალ-რბილში ატანს. ჭამს გლეხი მხოლოდ ღომს ან მჭადს, ხოლო იშვიათად, ძალზე იშვიათად, ქათამს. საქონლის ხორცს კი წლობით ვერ ხედავს" (ნიკოლაძე ნ. 84 : 429).

ასეთ პირობებში ცხოვრობდნენ მოსწავლეები. ისინი დილაადრიან გადიოდნენ სახლიდან და სკოლისკენ მიეშურებოდნენ, სანამდეც 3-4 ვერსი იყო. ,,იღლება, წვალობს, ისვრება, სველდება და ისე ითოშება, რომ კბილები უწკაწკებს. ტანზე მხოლოდ ადგილობრივი შალისაგან შეკერილი ბლუზა აცვია, იშვიათია მოკლე ნაბადი, ხოლო კიდევ უფრო იშვიათია – პალტო. სწავლის დამთავრების შემდეგ იგივე ისტორია მეორდება. სახლში დაბრუნებული სახელდახელოდ საუზმობს, იღებს წიგნს და გაკვეთილებს ამზადებს, ანდა რვეული მუხლებზე უდევს და სამად მოხრილი წერით დავალებას ასრულებს. ცდილობს ყველაფერი მოასწროს, დრო არ ყოფნის, საღამოს ვერ იმეცადინებს, რადგან საღამოს სანთელია საჭირო, ხოლო სანთელი ყველას როდი მოეპოვება..." (ნიკოლაძე ნ. 84 : 430) – ვკითხულობთ აღწერაში. აქვე ვეცნობით, რომ სტატისტიკური მონაცემებით, ხშირი ყოფილა ხერხემლის გამრუდების შემთხვევები, რასაც სასწავლო მერხებისა და მაგიდების ცუდი აგებულება იწვევდა. შედეგად, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა ხერხემლის გამრუდება 80 და 90 პროცენტს აღწევდა.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, რომელსაც ჰქონდა პროგიმნაზიის პროგრამა ორი კლასიკური ენით, 4 ნორმალური და 3 მოსამზადებელი კლასით, ფარდულში იყო განთავსებული. თხელი კედლების წყალობით, ყველაფერი რაც ხდებოდა ანდა რასაც ლაპარაკობდნენ ერთ ოთახში, დაწყებული მასწავლებლის შეკითხვებით, გათავებული მოწაფეების პასუხით თუ დაფაზე წერით, ნათლად და გარკვევით ისმოდა მეორეში. გაკვეთილებზე სასწავლებლის შეუღობავი ეზოდან ისმოდა საძოვარზე მიშვებული ცხენების ჭიხვინი, ბატების სისინი და ღორების ღრუტუნი, რომელთაც ამაოდ დევნიდა სასწავლებლის დარაჯი. ნაშრომის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ზნეობრივ

სფეროზე, რომელშიც მოსწავლეს ცხოვრება უხდებოდა. მისი მკაცრი შეფასებით, ,,ბავშვი ვერაფერს ვერ ხედავს ირგვლივ ისეთს, რასაც შეუძლია კეთილი გავლენა მოახდინოს მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე, ზნეობაზე, მომავლის გრძნობის, სიმართლისა და სამართლიანობის დანერგვაზე. მე არ ვიცი, შეიძლება კი ასეთ პირობებში შთაუნერგო ბავშვებს ის გრძნობები და ცნებები, რაც არა მარტო მომავალ მღვდელს სჭირდება, არამედ ყველას...“ (ნიკოლაძე ნ. 84 : 430).

მისი რწმენით, სასწავლებლის ხელმძღვანელობას შეეძლო აღმოეფხვრა ყველაფერი ეს ,,ფხიზელი ზედამხედველობის, მოსწავლეთა ბინებზე ხშირი ინსპექციის, ჰიგიენის საკითხებზე რჩევა-დარიგების გზით, მაგრამ სასწავლებელს ჰყავს ერთი ინსპექტორი, ორი ზედამხედველი და ერთი მეთვალყურე. მოწაფეთა ბინები ისეთ ჯურღმულებში და მიუვალ ადგილებშია მიმობნეული, რომ ტალახში ძალიან ძნელია მიაღწიო მათ ადგილსამყოფელს. მეთვალყურეს ისედაც ბევრი მოვალეობა აწევს, ხოლო ინსპექტორი ამავე დროს სასწავლებლის საქმეთა მმართველიცაა. მათი სტუმრობა ვერაფერს შეცვლის. ნახავს, რომ ბავშვი ცუდად ცხოვრობს, ცივა, შია, მისი ჯანმრთელობა საფრთხეშია. ამის შემდეგ როგორ მოუბრუნდება ენა, ურჩიოს ჰიგიენურად, თბილად იცხოვროს და ა.შ. ეს ხომ მისი აბუჩად აგდება იქნება” (ნიკოლაძე ნ. 76 : 430).

ნ. ნიკოლაძე არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს მასწავლებლები აკლია და ამის მიზეზი მათი ხელფასის სიმცირეა. პირიქით, მიუთითებს, რომ აღნიშნულ მასწავლებლებს ისეთივე ხელფასი აქვთ, როგორც თბილისის, გორის, თელავისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლებს: ,,სამეგრელოს სასწავლებლის მასწავლებელს შეუძლია მიიღოს, და ღებულობს კიდეც, სხვა სასწავლებლების მასწავლებლებზე მეტს, რადგანაც მათ უფლება აქვთ 12 გაკვეთილის შემდეგ იქონიონ ფასიანი დამატებითი გაკვეთილები. ასე, რომ არცერთი მათგანი აღარ ღებულობს 48-50 მანეთზე ნაკლებს თვეში. სხვა სასწავლებლების სრულ შტატზე მყოფი მასწავლებლები კი 5 მანეთს ღებულობენ. ამგვარად, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლების ნაკლებობის მიზეზი ხელფასის სიმცირე კი არაა, არამედ სხვა გარემოება“ (ნიკოლაძე ნ. 84 : 432). აღნიშნულში ავტორი

გულისხმობს ზნეობრივ და მატერიალურ მხარეს, რაზედაც ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ.

ნ. ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის პედაგოგის მხრიდან გაწეული დაუღალავი შრომის შედეგზე, რომელიც ხშირად მიზნის მიღწევას არ ემსახურება, გამომდინარე იქიდან, რომ მიუხედავად საქმისადმი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა, ხელს უწყობს მხოლოდ „წერა-კითხვის მცოდნეთა გაზრდა-გამრავლებას, რომელთაც შერჩებათ მხოლოდ ის ცოდნა, რაც სასწავლებელში მიიღეს და ამ ცოდნას ცხოვრებაში მხოლოდ მოკეთის საზიანოდ და პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენებენ“ (ნიკოლაძე ნ. 84 : 432). ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ზერელედ ნასწავლი კაცი, რომელსაც არ გააჩნია მტკიცე ზნეობრივი საფუძველი, უმეცარზე უარესია. მისი მკაცრი შეფასებით, ასეთ პირობებში სასწავლებელი ვერასოდეს ვერ შთაუნერგავს მოწაფეებს მისწრაფებას, გააგრძელოს და დაამთავროს სწავლა. დაარსების დღიდან, სამი წლის მანძილზე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელმა საშუალოდ სასწავლებლებში გაგზავნა მხოლოდ 4-5 მოწაფე, რაც საკმაოდ მცირე რიცხვია.

აქვე ავტორი ეხება მასწავლებლის მოტივაციის საკითხს, რომელსაც განიხილავს პრაქტიკული თვალსაზრისით. მიუთითებს, რომ ,,მასწავლებლისთვის, რომელიც თანახმაა იშრომოს, მაგრამ შრომაში თხოულობს იმას, რაც ერგება ადამიანს, რომლისთვისაც მასწავლებლობა კაცობრიობის განმანათლებელი მიზანი კი არაა, არამედ უზრუნველყოფილი და მოხერხებული ცხოვრების საშუალება, მაშინ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში სამსახურს მისთვის აზრი არა აქვს და თუ მსახურობს, მსახურობს მხოლოდ დროებით, მანამდე, სანამ შემთხვევა არ მიეცემა უკეთეს ადგილზე გადავიდეს. ...რას წარმოადგენს იგი მარტვილში? მოწყვეტილ ადამიანს მთელი ქვეყნიდან, რომლის ცხოვრებას იგი ასე თუ ისე მიეჩვია. ორი-სამი თვის განმავლობაში მას წარმოდგენა არ აქვს რა ხდება მარტვილს იქეთ, ცხენის-წყალს გაღმა. დიდი ნუგეში არც მდინარის გადალახვას მოაქვს, რადგან გაზეთებსა და წერილებს თბილისიდან 16 დღის დაგვიანებით ღებულობენ მაშინ, როცა მოსკოვიდან

თბილისში ფოსტა 6 დღეში მოდის“ (ნიკოლაძე ნ. 84 : 433).

ავტორის აზრით, მასწავლებლის უნუგეშო მდგომარეობა არავის არ აინტერესებს და იგი სრულიად მოწყვეტილია გარე სამყაროს. იგი თავისი კრიტიკის ობიექტად აქცევს გავრცელებულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ მასწავლებელმა დრო მხოლოდ პროფესიულ საქმეზე უნდა დახარჯოს და არა სხვა რამეზე. მიაჩნია, რომ პროფესიული საქმის უკეთ წარმართვისათვის ადამიანს პირადი და გონებრივი ცხოვრება მატებს ძალას და არა ის მძიმე მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები, რაშიც მას უხდება ყოფნა.

ნ. ნიკოლაძე მარტვილში მასწავლებლის საცხოვრებელი გარემოს თვალსაჩინო სურათს გვაძლევს და ვფიქრობთ, რომ ეს არ არის მხოლოდ კონკრეტული მასწავლებლის ყოფის ამსახველი, არამედ მთელი იმდროინდელი ქართული საზოგადოების დუხჭირი ცხოვრების. მასწავლებელი სასწავლებლის მიერ აშენებულ „სახაზინო ბინაში“ ცხოვრობს, რომელიც შედგება 6 ძალიან პატარა ოთახისგან. თითო პერსონას თითო ოთახს აძლევენ, რომლებშიც ნაბიჯის გადასადგმელი ადგილიც კი არაა, ისეთი სივიწროვეა. ავტორის სიტყვებით, ,,ამ გალიების სახურავიდან წვიმის დროს უმოწყალოდ ჩამოდის წყალი, რომელიც იატაკის ხვრელებშიც დგება, ზაფხულში კი მასწავლებელი ხშირად პოულობს საწოლზე ანკარას“ (ნიკოლაძე ნ. 84 : 433). ასეთ პირობებში მასწავლებელი მოკლებულია სრულფასოვან კვებას, მისთვის არათუ საქონლის ხორცი, რომელსაც თუ ქუთაისში არ ჩავიდა, ისე ვერ იხილავს, პურიც კი ფუფუნებაა, რადგან ,,ადგილზე ერთი გირვანქა 10 კაპიკზე მეტი ჯდება“, თუ არა და უნდა გამოიწეროს ხონიდან ან ქუთაისიდან.

ყველაზე დიდ პრობლემად ნ. ნიკოლაძე თვლის ავადმყოფობას, რადგან ,,მარტვილს ექიმი შტატით არ ეკუთვნის“ და ხშირია ავად გახდომისას დაღუპვის შემთხვევები: ,,თუ რომელიმე მათგანი ავად გახდა – დაიღუპა კიდეც. თუ უშველის საკუთარი ბუნება – ხომ კარგი, თუ არა და რას იზამ! როცა 48 მან. ღებულობ, როგორ უნდა მოიწვიო ექიმი ქუთაისიდან ან სენაკიდან“ (ნიკოლაძე ნ. 84 : 434).

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძემ აღწერა მთელი რიგი ზნეობრივი და

მატერიალური (საყოფაცხოვრებო) საკითხებისა, რომლებიც განაპირობებს მარტვილის სასწავლებელში სწავლების დაბალ ხარისხს მასწავლებლის მხრიდან, მის ნაკლებ მოტივირებულობას. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ ასეთ პირობებში მასწავლებლისთვის სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი დროებითი გადასახადების ადგილს წარმოადგენს და ,,არ შეიძლება გაუჩნდეს მას სასწავლებლისადმი სიყვარული, მისი მდგომარეობისადმი, მისი რეპუტაციისადმი ისეთი ზრუნვის გრძნობა, რომელიც საქმის უკეთესად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს“ (ნიკოლაძე ნ. 84 : 434).

ბუნებრივია, როდესაც მასწავლებელი მარტვილში სამსახურზე თანხმობას აცხადებდა, მას მხოლოდ დროებით ჰქონდა გადაწყვეტილი იქ მუშაობა და არ გეგმავდა დიდხანს ან სამუდამოდ იქ დარჩენას და ყველაფრის მოთმენას. ასეთი დამოკიდებულება კი, ზოგადად, საზიანო იყო სწავლების პროცესისათვის, სასწავლებლის რეპუტაციისათვის, მით უფრო, რომ მასწავლებელთა ხშირი ცვლა უარყოფით გავლენას ახდენდა მოსწავლეების აღზრდასა და სწავლაზე.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ქუთაისის ცენტრალურ არქივში ჩვენ მიერ მოკვლეულია 165-ფურცლიანი დოკუმენტი (ქ.ც.ა. 121 : ფ.5. საქ.104) – სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის 1897 წლის რევიზიის მასალები, რომელიც წარმოადგენს 1897/98 სასწავლო წლის მონაცემებს და სრულად ასახავს მარტვილის სასულიერო სკოლაში სასწავლო პროცესისა და რელიგიური განათლების სავალალო მდგომარეობას. მასალებს ხელს აწერს ქუთაისის სემინარიის მმართველობის წევრი, მასწავლებელი, ღვთისმსახურების მაგისტრი ნიკოლოზ არხანგელსკი, ვის შესახებაც ნ. დურნოვო ნაშრომში „ბედი ქართული ეკლესიისა“ (დურნოვო ნ.191 : http: //www.orthodoxy .ge) ქართული ეკლესიის ბედი) წერს, რომ იგი არის ქუთაისის სემინარიის ყოფილი რექტორი და პოლიტიკანობის გამო „მიაღწია იმას, რომ ყველა ქართული სასულიერო სასწავლებლიდან გააძევებინა ქართველი პედაგოგები. მის სიცრუეს, რომ ქართველ მასწავლებლებს ვნების მეტი არაფერი მოაქვთ, ქუთაისის სემინარიის მთელმა კორპორაციამ ერთხმად დაუჭირა მხარი და სასულიერო სასწავლებლებიდან უღმერთოდ გაყარეს ქართველი

მასწავლებლები.“ ხორციელდებოდა რელიგიური რუსიფიკაციის პროცესი, სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა და რუსეთის იმპერიულ ინტერესებს ექვემდებარებოდა. ნ. დურნოვოს სიტყვებით, ,,სასულიერო უწყება არარუსებისადმი შეუწყნარებელია“ და ზოგჯერ თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავს სასოწარკვეთილი და უიმედო პიროვნება, ტოვებს რა ყოველგვარი სახსრის გარეშე, რომ თავი ირჩინოს. რევიზია ჩაატარა ეპისკოპოსმა სტეფანემ, რომლის წარდგინებითაც განთავისუფლდა ყველა ქართველი. მისი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ქუთაისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა ეგზარქოსის წინაშე, რომ მომავალში ქართველები არ დაეშვათ სასულიერო სასწავლებლების ნორმალური კლასების მასწავლებლებად. ნ. დურნოვო სამართლიანად დასძენს: ,,რა თქმა უნდა, მეუფე ეგზარქოსმა იცის, რომ ქართველი მასწავლებლების გარეშე ძნელია რუსული ენა შეისწავლოს მცირეწლოვანმა. 6 ქართული სასულიერო სასწავლებლებიდან ყოველწლიურად გონებაჩლუნგობისა და წარუმატებლობისთვის ამაოდ კი არ ერეკებოდნენ ასეულობით ბავშვს. ესენი ანარქისტების მომავალი კადრები არიან.“

ავტორის მიერ სარევიზიო მასალებში წარმოდგენილია ინფორმაცია მოსწავლეთა საეკლესიო-რელიგიური სწავლა-აღზრდის, საეკლესიო-სლავური და ქართული საეკლესიო გალობის, საღმრთო ისტორიისა და კატეხიზმოს სწავლების საკითხების, საგნობრივი სისტემის, სწავლისა და სწავლების შედეგების, მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის მეთოდების, პედაგოგიური რესურსების, სწავლების დონის ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება დარღვევები სასწავლო პროცესში, მასწავლებელთა თანამდებობებზე დანიშვნისას, სამეურნეო ნაწილში, სარევიზიო კომიტეტების საქმიანობაში. გამოიკვეთა ყოვლადუსამღვდელოეს გაბრიელის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და ზედამხედველის მიმართ, სასწავლებლის მმართველობის საქმიანობის დეტალები.

მოცემულია სტატისტიკური მონაცემები სასწავლებელში მოსწავლეთა კონტიგენტის შესახებ კლასების მიხედვით, ასაკისა და აკადემიური მოსწრების

ჩვენებით, დაწვრილებითაა აღწერილი მოსწავლეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ფაქტია, რომ სკოლა არ გამოირჩეოდა დიდი ფინანსური შესაძლებლობებით და სოციალური საკითხების მოგვარებით.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მარტვილის სასულიერო სასწავლებელში იყო სამსაფეხურიანი სწავლება, რომელიც მოიცავდა 4 კლასს: ა) დაბალი (I-II კლასები) – 80 მოსწავლე, 10 წლიდან 16 წლამდე ასაკის; ბ) საშუალო – 34 მოსწავლე, 11 წლიდან 18 წლამდე; გ) უმაღლესი განყოფილების მოსამზადებელი – 50 მოსწავლე, 11 წლიდან 18 წლამდე. ამავე დროს, დიდი ასაკობრივი სხვაობა მოსწავლეებს შორის დასაშვები იყო.

ქვემოთ მივუთითებთ იმ მიზეზებს, რომლებმაც, რევიზორის დასკვნით, განაპირობა სასწავლებელში რელიგიური და საეკლესიო აღზრდის სავალალო მდგომარეობა:

პირველი არის ის, რომ სასწავლებელს არ ჰქონდა საკუთარი ეკლესია და მოსწავლეთა ნახევარი თითქმის მთელი წლის განმავლობაში მოკლებული იყო ლიტურგიაზე დასწრების შესაძლებლობას. თავადმა დ. მხეიძემ შესთავაზა სასწავლებელს, ესარგებლა მისი საკუთარი, ქალაქგარეთ მდებარე ეკლესიით, მაგრამ მას სასწავლებელი იშვიათად იყენებდა და უპირატესობას ანიჭებდა კლასებში მოკლე მსახურების ჩატარებას. ამავე დროს, მოსწავლეებმა არ იცოდნენ საეკლესიო კითხვა არც სლავურად, არც ქართულად და ეკლესიის წინამძღვრის მიერ ჩატარებულ მსახურებას ახასიათებდა ბევრი ნაკლი: გაუნათლებლობა, უცოდინრობა, უგულობა, დაუდევრობა, რის გამოც მასალებში უარყოფითადაა შეფასებული სასწავლებლის მღვდლის, მოსამზადებელი კლასის უმაღლესი განყოფილების პედაგოგ ვლადიმერ ელიავასა და ახალსენაკის ეკლესიის წინამძღვარ არისტარხ კალანდარაშვილის საქმიანობა.

მეორე და ყველაზე მთავარ მიზეზად რევიზორი მიიჩნევს ზედამხედველ გოლუბევის სრულ გულგრილობას ღვთისმსახურებისადმი, რომელიც სრულდებოდა ნაჩქარევად, უგულისყუროდ, წესების დარღვევით. საჭირო წიგნები არც ეკლესიაში იყო და არც სასწავლებელში. მეოთხე კლასის მოსწავლეებს წარმოდგენაც არ ჰქონიათ ზიარების შემდგომ ლოცვებზე.

ზედამხედველი მოსწავლეებს ცუდ მაგალითს აძლევდა: მარხვის დროს ბანქოს თამაშობდა, ნადირობდა, ზოგჯერ კი ახალსენაკის საზოგადოების მხრიდან შეურაცხყოფის ობიექტი ხდებოდა. რევიზორი ამხელს მას, როგორც ამორალურ პიროვნებას, რომელმაც განადგურებამდე მიიყვანა საცოდავი სასულიერო სასწავლებლის ინტერესები და შეარცხვინა რუსის სახელი „იმ მხარეში, სადაც რუსები მოწოდებულნი არიან განათლების, პატიოსნების და კულტურის გასატარებლად“, ამასთან, სამართლიანად მოითხოვა სასწრაფოდ მისი ჩამოშორება თანამდებობიდან.

ეს განცხადება, რევიზორის დასკვნის შედეგი, ემსახურება სასწავლებლის რეპუტაციის აღდგენასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. ნ. არხანგელსკი უკმაყოფილო იყო აღმზრდელთა რელიგიური განწყობით. მიაჩნდა, რომ რელიგია და ეკლესიურობა უკანა პლანზე იდგა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, რაზედაც მეტყველებდა თუნდაც ხატების არათვალსაჩინო ადგილას განთავსებისა და მათ მიმართ დაუდევრად მოპყრობის ფაქტი. ერთადერთი რამ, რაც დადებითად შეაფასა, იყო გულსაკიდი ჯვრების ტარება მოსწავლეების მიერ. არხანგელსკი სამწუხარო მოვლენად თვლიდა ლოცვის მიმართ არასწორ დამოკიდებულებას, რის გამოც ლოცვა აუჩქარებლად და გულმოდგინედ არ იკითხებოდა.ბუნებრივია,რელიგიური მოთხოვნილებებით დაუკმაყოფილებელი, ეკლესიის სათანადო ზეგავლენასა და ღვთისმსახურებას მოკლებული სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები მორალურ-ზნეობრივად უხეში და ძნელად აღსაზრდელები უნდა ყოფილიყვნენ.

პედაგოგიური პერსონალი შედგებოდა 12 ადამიანისაგან (ზედამხედველის გარდა). რევიზორის შენიშვნით, ამ დიდი ინტელიგენტური ძალის სწორად წარმართვა აუცილებლად მოიტანდა კარგ შედეგებს, მაგრამ რეალურად, აღნიშნული სასწავლებლიდან, რომელსაც ჰყავდა სამასამდე მოსწავლე, სემინარიაში სწავლას აგრძელებდა 3 ან 4. სემინარიაში საგამოცდო კომისია ხშირად აღნიშნავდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა ცოდნის დაბალ დონეს. მათ არ იცოდნენ მარხვის, დღესასწაულების, მართლმადიდებლური ტაძრის აგებულების, სადღესასწაულო

ღვთისმსახურებების, საეკლესიო მსახურების რიგის, ნეტარების მცნებების, სარწმუნოების სიმბოლოების შესახებ ბევრი რამ.

როგორც ჩანს, თავად პედაგოგებსაც აღელვებდათ სასწავლებელში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების საკითხი და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით სთავაზობდნენ მმართველობას სწავლების ახალ სისტემას, კერძოდ, კლასობრივის ნაცვლად საგნობრივი სისტემის შემოღებას. აღნიშნულის განხორციელება ხელს შეუწყობდა მასწავლებელთა დახელოვნებას და მოსწავლეთა უფრო უკეთ და სწრაფად განვითარებას, თითოეული საგნის სწავლებით მისი შესაბამისი მასწავლებლის მიერ. ამ მოსაზრებას ეთანხმება და სრულად ითვალისწინებს რევიზორი არხანგელსკი.

ჩვენთვის ასევე საყურადღებოა ინფორმაცია თავად მასწავლებელთა შესახებ, რომელთა დახასიათებასაც ვეცნობით სარევიზიო ნაშრომში.

უმცროსი განყოფილების მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი, ს. ძიმისტარიშვილი, მიუხედავად დაბალი ცენზისა, შეფასებულია, როგორც საკმაოდ გამოცდილი ადამიანი, რომლის წარმატებასაც ხელს უშლიდა სასწავლებელში შექმნილი უკონტროლობისა და განუკითხაობის გარემო, ამავე კლასის საშუალო განყოფილების პედაგოგი ტ. ჯოხთაბერიძე კი გაკრიტიკებულია ლოცვის მექანიკურად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სწავლების გამო.

თავად სტეფანე ძიმისტარაშვილს მარტვილის სასულიერო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, შემდეგ კი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიასა და თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს მასწავლებლობდა მარტვილში, სენაკსა და ქუთაისში. იგი ცნობილია, როგორც ღირსეული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც თავგამოდებით იცავდა სკოლებში ქართული ენის სწავლებას და იბრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორი აგენტებისა და მოხელეების წინააღმდეგ. XIX საუკუნის „90-იან წლებში, შავრაზმელი ხუცის ვოსტორგოვისა, სკოლების ზედამხედველ ლევიცკისა და მათი ადგილობრივ დამქაშთა გადაწყვეტილებით სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და რუსული ასოებით მეგრული ენის სწავლების დანერგვის წინააღმდეგ ამტყდარ სახალხო მოძრაობაში სტეფანე ძიმისტარაშვილი ერთი

თვალსაჩინო მებრძოლი იყო“ (სახალხო განათლება. 107 : 338). ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე სტ. ძიმისტარაშვილმა საკუთარი ინიციატივითა და ენერგიით შეძლო კულტურულ ცენტრს მოწყვეტილ და დაშორებულ მთელ რიგ სოფლებში დაეარსებინა სამრევლო სკოლები, სადაც ხერხდებოდა ქართული ენის სწავლება და ამ საგნის დამცველ მასწავლებელთა მოწყობაც. ამ საქმეში სტ. ძიმისტარაშვილს ხელს უწყობდა მისი პირადი მეგობარი და იმ ხანებში (1898-1909) სამრევლო სკოლების ზედამხედველი, ცნობილი პედაგოგი და ისტორიკოსი თედო ჟორდანია. მას მიღებული ჰქონდა განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ წარმატებით დაასრულა თბილისისა და მოსკოვის სასულიერო სემინარიები, სამშობლოში დაბრუნებული დანიშნეს თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და თბილისის სასულიერო სემინარიაში სიტყვიერების მასწავლებლად, საიდანაც გადაიყვანეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ.

ჩვენი მხრიდან მივუთითებთ, რომ თ. ჟორდანია მეტად შევიწროვებული იყო თვითმპყრობელობის ისეთი გავლენიანი აგენტების მიერ, როგორებიც იყვნენ მაშინდელი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, ცნობილი რუსიფიკატორი იანოვსკი და შემდეგ შავრაზმელი დეკანოზი ვოსტორგოვი. მას დიდი ბრძოლა დასჭირდა, რომ სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება დროებით მაინც დაეტოვებინა, სანამ ამ მიმართულებით შექმნილი ავტორიტეტული კომისია თავის სიტყვას იტყოდა. „ამ კომისიამ, ბესარიონ დადიანის თავმჯდომარეობით და გრიგოლ დადიანისა და თედო ჟორდანიას მონაწილეობით, საბოლოოდ უარყო საღვთო წერილის წიგნების მეგრულ ენაზე თარგმნა, როგორც შეუძლებელისა და მწვალებლობის გამოვლინება და სკოლებში მეგრული ენის შემოღება. მისი დამსახურებით ქართული ენის სწავლება სამეგრელოს სამრევლო სკოლებში კიდევ უფრო განმტკიცდა მაშინ, როცა ე.წ. სამინისტროს სკოლებში ეს საგანი სრულიად აღკვეთილი იყო“ (სახალხო განათლების. 107 : 227-230).

წარმოდგენილ ანგარიშში ვეცნობით, რომ ქართულ ენას ასწავლიდა სემინარიის სტუდენტი ს. მატარაძე და რომ ბევრმა მოსწავლემ არ იცოდა ზეპირად ლოცვები და გალობანი, სარწმუნოების სიმბოლოები, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი, არ ისწავლებოდა ზნეობრივ-რელიგიური შინაარსის სტატიები. სკოლა ვერ უზრუნველყოფდა ტაძრისთვის მკითხველების მომზადებას.

რევიზორი დამაკმაყოფილებლად აფასებს საღვთო ისტორიის სწავლების საკითხს, რომელსაც უძღვება ზედამხედველის თანაშემწე, ღვთისმეტყველების კანდიდატი, დ. ალადოვი. რაც შეეხება კატეხიზმოსა და საეკლესიო წესდების სწავლებას, ეს საკითხი წინა რევიზიის მასალებშიც მკაცრი კრიტიკის საგანია, გამომდინარე იქიდან, რომ მათი მასწავლებელი, სასწავლებლის ზედამხედველი თ. ბოგოლუბოვი ,,ხშირად არ ამთავრებს აზრს და უყურადღებოა მოსწავლეთა მიმართ... მოსწავლეთა ცოდნა შემოიფარგლება სახელმძღვანელოს დაზეპირებით“.

ქართულ საეკლესიო გალობას ასწავლიდა დ. ჭალაღანიძე, რომლის პედაგოგიური ნიჭისა და გულმოდგინების წყალობითაც ბავშვები კარგად მღეროდნენ, მაგრამ რევიზორს არ აკმაყოფილებს ეს ფაქტი და მიუთითებს ქართული სასულიერო სასწავლებლის დიდ როლსა და მნიშვნელობას ქართული და სლავური გალობის დაახლოების საქმეში, თვლის, რომ სლავური კილოებითა და მოტივებით უნდა შესრულდეს ქართული გალობა. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა ხელოვნურად შეამცირეს ეპარქიათა რიცხვი, გაუქმდა სამღვდელმთავრო გუნდები და სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში აიკრძალა ქართული გალობა. ეგზარქოსებს სურდათ, წირვა-ლოცვის დროს სლავური საგალობლები ეგალობათ. საკუთრივ დიმიტრი ჭალაგანიძე ერთ-ერთი იყო იმ ცნობილ მგალობელთა შორის, რომლებიც დაახვედრეს ქუთაისში ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანის საკითხთან დაკავშირებით ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის მიერ თბილისიდან მოწვეულ კომპოზიტორ ფილიმონ ქორიძეს.

აღნიშნული განხორციელდა 80-იან წლებში ქუთაისში ეპისკოპოს გაბრიელის თაოსნობით.

## § 3. რუსეთის იმპერიული ენობრივი პოლიტიკა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, გურია-სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების მიხედვით

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ქართული ენის სწავლების საქმემ გიმნაზიაში რამდენიმე საფეხური განვლო, სანამ მისი სწავლება სრულ უარყოფამდე მიაღწევდა:

,,1. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 50-იან წლების ნახევრამდე ქართული ენა სავალდებულო იყო თითქმის ყველა სასწავლებლის მოწაფეთათვის.

2. ყველა ათეული წლის მანძილზე (1855–1875 წ.წ.) ქართული ენა არაქართველთათვის მხოლოდ პირობითად არის სავალდებულო სასწავლებელში.

3. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული ენა მხოლოდ ქართველთათვის რჩება სავალდებულოდ.

4. 1873 წლის 22 ნოემბრის დებულებით ქართული ენა საშუალო სასწავლებლის მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში რჩება, და ისიც როგორც არა სავალდებულო საგანი.“

XIX საუკუნის მე-2 ნახევარში, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, არა თუ დაწყებითი სკოლებიდან დევნიდნენ ქართველ მასწავლებლებს, არამედ ე. წ. „ნატურალური მეთოდით“ კრძალავდნენ მშობლიური ენის გამოყენებას რუსულის შესასწავლად. „ყოველგვარის შესწავლა რუსულის საშულებით“ – ასეთი გახდა განათლების მესვეურთა ლოზუნგი დაწყებითი სკოლებისთვისაც კი.

გიმნაზიის ყველა კლასის ქართული ენის პროგრამაში და სწავლის პროცესში ქართულიდან რუსულზე თარგმნას დიდი ადგილი ეჭირა, რაც

ქართული ენის გაკვეთილს საკუთარ მიზანდასახულობას უკარგავდა. აღსანიშნავია, რომ 50-60-იან წლებში, მით უფრო მანამდე, ქართული ენისადმი მტრულ განწყობილებასა და გამოსვლებს იშვიათად ვხვდებით მეფის მოხელეთა შორის. ამ წლებში ხელმძღვანელ მოხელეთა მიერ ქართული ენის ქართველების მიერ შესწავლის საჭიროება ხაზგასმით არის აღნიშნული.

ქართული ენის შევიწროება 60–იანი წლების დასაწყისში დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ რუს მოწაფეთა ადგილობრივი ენების შესწავლისაგან განთავისუფლება მეფის მოხელეებმა მალე ქართულ ენაზე მიტანილი იერიშის საყრდენად გადააქციეს, მთავრობის ეს ნაბიჯი ქართული ენის შევიწროების აქტად არ ჩაითვლება. ეს იყო მხოლოდ ქართული ენის გავლენის სფეროს შეზღუდვა.

პირველი ნაბიჯი ქართული ენის შესაკვეცად გადადგმულ იქნა სასწავლო უწყების მიერ 1861 წელს, როდესაც საშუალო სასწავლებლებში ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა საკმაოდ შეამცირეს.

ქართული ენის სწავლების წარმატება, რა თქმა უნდა, მარტო საათების რაოდენობაზე არ იყო დამოკიდებული: ქართული ენის პროგრამას, სახლმძღვანელოების ხარისხს, მასწავლებლების მომზადებასა და სწავლების მეთოდებს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართული ენის სწავლების საქმეში, არანაკლები აგრეთვე – ქართული საზოგადოებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის დამოკიდებულებას მშობლიური ენის სწავლებისადმი. ამ მხრივ მდგომარეობა სრულიად არ უწყობდა ხელს ქართული ენის ავტორიტეტის განმტკიცებას, მოწაფეებში მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულის გაღვივებას.

სამწუხაროდ, 60-იან წლებამდე ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი აქტიურად არ ეხმაურებოდა ქართული ენის უნუგეშო მდგომარეობას სასწავლებლებში. ამ საკითხის შესახებ ხმა პირველად ივანე კერესელიძის ,,ცისკარმა'' ამოიღო. ჟურნალში რამდენიმე წერილია მოთავსებული მოსწავლე ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის გადაგვარების შესახებ.

ივანე კერესელიძე ,,ცისკარში“ წერს: ,,...უნდა მივაქციოთ ყურადღება ჯერ იმ სასწავლებლებს, რომელშიც სწავლობდნენ ქართულ ენას“. ივ. კერესელიძეს

მხედველობაში აქვს ძველად მონასტრებთან არსებული სკოლები, სადაც ,,მაშინდელნი აღზრდილნი ბევრ გზის გარდერმატებიან ახლანდელ მაღალ სასწავლებლებში აღზრდილთ. მე მოგახსენებ შესახებ ქართულისა ენისა.... გიმნაზიაში დანიშნულია ქართულის ენისათვის ერთი მასწავლებელი, რომელიცა ასწავლის მხოლოდ კითხვასა და წერას. ეს საკმაო არ გახლავთ. ქართულის მოსწავლის ქართველისათვის საჭიროა იცოდეს თავისი მამა-პაპის ისტორია, ისტორია თავისის ლიტერატურისა და კლასიკებისა, რომელთა სმენას ჩვენი შვილები სასწავლებლებში მიცემულნი არიან... საკუთარი სასწავლებლის დაფუძნება ყოვლის უეზდის ერთ-ერთ მონასტერში, სადაც იქნებიან მასწავლებლებად ქართული ენის მცოდნენი ბერები, აგრეთვე არ მოითხოვს ხარჯს, ამით მოვიგებთ ორს: პირველად, რომ დაწესდებიან საკუთარნი სასწავლებლები, სადაც ისწავლიან თავიანთი ბუნებითის ენის გარდა, რუსულს ენასაც, მეორედ დაწესდებიან ისევე მონასტრები, რომელნიცა ყოფილან ადრე დიდებაში და, რომელნიცა ახლა გაუქმებულნი არიან“ (ჟურ. ,,ცისკარი“, 186 : 338–345).

ივანე კერესელიძის აღნიშნული წერილი, რომლითაც ის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობას მიმართავს, საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში აღწერილია ქართული ენის სავალალო მდგომარეობა 60-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ, მითითებულია, რომ რუსულ სკოლაში აღზრდილი ქართველი ახალგაზრდობა ქართულად აზროვნებასა და საუბარს გადაჩვეული ყოფილა, გიმნაზიებში ქართულად მხოლოდ წერა-კითხვა ისწავლებოდა და რომ ბავშვებს პირველად თავიანთი მამა-პაპის ენა უნდა ესწავლათ. კერესელიძეს იმედი არ ჰქონდა, რომ ეს ენა საფუძვლიანად გიმნაზიებში იქნებოდა შესწავლილი (მშობლიურ ენაზე საგნების სწავლების საკითხს კერესელიძე არც აყენებდა), ამიტომ საკუთარი სასწავლებლის დაფუძნება მიაჩნდა საჭიროდ, მონასტრებთან, სადაც მცოდნე ბერები ქართულ ენას მუქთად ასწავლიდნენ და მონასტრებიც განახლდებოდნენ.

სასწავლო ოლქის ინსპექტორი ილია შენკო, რომელიც განსაკუთრებული სიძულვილით იყო განმსჭვალული ქართული ენისადმი და მოითხოვდა

ადგილობრივი ენების გიმნაზიის კურსიდან გაძევებას, ერთ-ერთ თავის მოხსენებაში 1869 წელს აღნიშნავდა, რომ გიმნაზიის ყველა კლასში ქართული ენიდან მხოლოდ წერა-კითხვასა და ცოტაოდენ გრამატიკას სწავლობენ, რადგან მასწავლებელს კურსის შესავსები მასალა არ გააჩნიაო.

ქართული ენა 1872–1873 წლებში გადარჩა სასულიერო სასწავლებლებიდან სრულ განდევნას და მისთვის თითოეულ კლასში 2-2 საათი იქნა განკუთვნილი. იგი დატოვებულ იქნა, როგორც დამხმარე და აუცილებელი, რუსული ენის შესასწავლად. ქართული ენა ისწავლებოდა აგრეთვე მოსამზადებელ კლასებში. ქართული ენის სავალალო მდგომარეობა სასულიერო სასწავლებლებში იქიდანაც ჩანს, რომ ამ საგნისათვის შტატის მასწავლებელი არ ინიშნებოდა და მას, თანახმად სინოდის ბრძანებისა (1873 წ. 21 ივლისი), ასწავლიდა სხვა საგნის შტატის მასწავლებელი ან მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი, რომელიც ამ შრომისათვის თითქმის არაფერს იღებდა.

1873 წლიდან სასულიერო სასწავლებელში ქართული ენისათვის დათმობილი საათები ხმარდებოდა მხოლოდ საერო მწერლობას და საერთოდ არ ისწავლებოდა ხუცური ანბანი და საეკლესიო წიგნები. ამიტომ სემინარიის მე-3 კლასის მოსწავლეებს ხუცურის კითხვა არ შეეძლოთ. მაგ., 1897 წლის 1 ნოემბერს მასწავლებელმა ნ. ტატიშვილმა სემინარიის გამგეობაში განცხადება შეიტანა, სადაც აღნიშნა, რომ ხუცურის კითხვა მხოლოდ იმ მოწაფეებმა იციან, ვინც ოჯახში ისწავლაო და წინადადებას იძლეოდა, სასულიერო სასწავლებლებში ესწავლებინათ არა მარტო მხედრული, არამედ ხუცურიც და ლოცვებიც.

1876 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სემინარიის დაუკითხავად ქართული ენის სახელმძღვანელოდ შემოუღიათ ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, რის გამოც სასწავლებლის ხელმძღვანელს ქიქოძეს საყვედური გამოუცხადეს ნ. ტატიშვილის წინადადებით. თავად ნ. ტატიშვილს სემინარიის გამგეობამ დაავალა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ანგარიშის განხილვა და მან, ჩინოვნიკური კარიერით თავბრუდახვეულმა, გამოთქვა მოსაზრება ქართული ენის რუსული ენის სახელმძღვანელოთი სწავლების შესახებ. სემინარიის საბჭომ „ბუნების კარის“ განხილვა მიანდო ხელიძესა და ტატიშვილს,

რომლებმაც საბჭოს მოახსენეს, რომ „ბუნების კარი“ თვალსაჩინო საუბრებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც დამხმარე წიგნი, ხოლო იქ მოთავსებული ლექსები შეიძლება ისწავლებოდეს დიდი შერჩევის შედეგადო.

1877 წელს სემინარიის გამგეობას ი. გოგებაშვილისთვის წინადადება მიუცია „ბუნების კარისთვის“ დაემატებინა წერილები ზნეობრივ-სარწმუნოებრივი და პატრიოტული შინაარსის. სემინარიის საბჭომ ი. გოგებაშვილის დედაენა აღიარა ქართული ენის სახელმძღვანელოდ მოსამზადებელი განყოფილებისთვის.

შეიძლება დავასკვნათ, რომ 1870-იან წლებში გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობა მეტად სავალალო იყო. ის შტატის საგნად არ ითვლებოდა. შემთხვევითი მასწავლებელი მცირე ანაზღაურებით ასწავლიდა. ქართული ენის საათები რუსული ენის სწავლებას ხმარდებოდა. „ბუნების კარი“ სასულიერო სასწავლებლებში სემინარიის გამგეობის მიერ ნებადართული არ იყო.

სასწავლო პროგრამის მიხედვით, „პირველ დაწყებით სკოლებში სწავლა რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო, ქართულ ენაზე სწავლება მხოლოდ პირველი წლის პირველი ნახევრის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო, პირველი წლის მეორე ნახევრიდან კი უნდა დაეწყოთ რუსულად პატარ-პატარა მოთხრობების სწავლა, ხოლო მეორე წელს ყველა საგნები რუსულ ენაზე უნდა ესწავლებინათ“ (გაზ.„ივერია“.1604: № 3). საშუალო სასწავლებლებში ოფიციალურად დადასტურდა, რომ ქართული ენის სწავლება არ იყო სავალდებულო.

ქართული ენის უფლებების დასაცავად სასწავლებლებში ქართულმა ინტელიგენციამ ბრძოლა გააჩაღა. ხშირად ქართული ენის სწავლების აუცილებლობის დასამტკიცებლად ქართველი მოღვაწენი მიმართავდნენ პედაგოგიკას და მისი უტყუარი დებულებების საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი თვალსაზრისის დამტკიცებას.

ვფიქრობთ, რომ ქვემოთ მოტანილი მაგალითებიც ნათლად დაახასიათებს იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა ქართული საზოგადოება

თვითმპყრობელური რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

1884 წელს გამოცემული სამრევლო სკოლების ახალი დებულების მიხედვით, სკოლების მიზანი იყო: „დამყარება ხალხში მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“, ხოლო მართლმადიდებლობა ქადაგებდა თვითმპყრობელობის მირონცხებას და მის ღვთაებრივ წარმოშობას.“ ამ დებულებით, სამრევლო სკოლებში ყველა საგნის სწავლება დაკანონებულ იქნა რუსულ ენაზე პირველი წლის მეორე ნახევრიდანვე. საეკლესიო-სამრევლო სკოლები იმყოფებოდნენ უშუალოდ ადგილობრივი მღვდლის მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო უზენაესი მეთვალყურეობა ამ სკოლებისადმი დავალებული ჰქონდა ეპარქიის მღვდელმთავარს და შემდეგ – საქართველოს ექზარქოსს.

მართალია, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გურია-სამეგრელოს ეპარქიაში ქართული ენის გაბატონებული მდგომარეობა აიძულებდა მთავრობას, გაეხადა ის სავალდებულო შესწავლის საგანი საქართველოს სკოლების ყველა ეროვნების მოწაფეთათვის, მეორე ნახევარში კი იწყება რუსული ენის გაძლიერება და გამარუსებელი პოლიტიკით გამოწვეული ქართული ენის თანდათანობით შევიწროება, რომელიც დასრულდა 1873 წლის 22 ნოემბრის დებულებით, რომლითაც ქართული ენა მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში რჩებოდა, როგორც არასავალდებულო საგანი.

ზოგადად, რუსეთის ხელისუფლება გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, ისე როგორც ყველა სხვა დაპყრობილ ქვეყანაში, სხვადასხვა ხერხს მიმართავდა ადგილობრივი ერების გარუსებისა და მათი დენაციონალიზაციის მიზნით. აღნიშნულის ერთ-ერთი გამოხატულება იყო სწორედ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კლერიკალურ საფუძველზე მოწყობისადმი თვითმპყრობელობის დიდი მხარდაჭერა: „საერო განათლება ადგილს უთმობდა საეკლესიო განათლებას, სწავლა-აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობდა სამღვდელოება, რომელსაც უნდა აღეზარდა ახალგაზრდა მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელური პრინციპების განუხრელი დაცვით, თვითმპყრობელობის იდეურ საფუძველზე კლერიკალიზმის ბუდეებიდან აპირებდა რეაქციული მთავრობა თვითმპყრობელური საყრდენი

ბურჯების გამოჩეკვას“ (ხუციშვილი მ. 142 : 20).

გარუსებულ საერო თუ სასულიერო სასწავლებლებში შეიზღუდა ქართული ენა. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ქართულ ენაზე საუბარი ეკრძალებოდათ. ცარიზმი სკოლიდან მოითხოვდა მორჩილი ადამიანის ფორმირებას, რასაც გარკვეულწილად ახერხებდა საზოგადოების ერთ ნაწილში. ამავდროულად, პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია სკოლას გადამწყვეტ, განსაკუთრებულ როლს აკისრებდა. „ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენი უღონობისა, უკან ჩამორჩენილობისა, ჩვენი უბედურებისა, უმეცრება და უსწავლელობააო,“ – წერდა ილია ჭავჭავაძე (ჭავჭავაძე ი., 132:156).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასვნათ, რომ თვითმპყრობელობამ საქართველოში, კერძოდ, გურია–სამეგრელოს ეპარქიაში, რუსეთის მსგავსი სასკოლო სისტემა შემოიღო ,,ტუზემური“ ენების გაძლიერებით, რაც ადგილობრივი მართვა-გამგეობის აპარატის საჭიროებით იყო გამოწვეული. თერგდალეულები ცდილობდნენ ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, მათში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სიყვარულის ჩანერგვას, მაგრამ პედაგოგთა პატრიოტიზმი ხელისუფალთა აღშფოთებას იწვევდა.

1884 წლის 13 ივნისის წმინდა სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევის მიერ შემუშავებული წესდების თანახმად, მკაცრად აიკრძალა ქართული ენის გამოყენება საეკლესიო სასწავლებლებში. ამავე დებულებით, ქართველ სამღვდელოებას მშობლიურ ენაზე კერძო ხასიათის საეკლესიო სკოლების გახსნის უფლება ეძლეოდა, მაგრამ ცოტა ხანში ხელისუფლებამ ეროვნული ხასიათის სკოლების შეზღუდვა დაიწყო.

1899 წლის სინოდის ახალი დებულების (ბრძ. 1207) თანახმად, უკიდურესად შეიზღუდა ქართული ენის გამოყენების შესაძლებლობები. ქართული არასავალდებულო ენად ცხადდება. მისი ცოდნა არც პედაგოგებს მოეთხოვება. თვითმპყრობელობას მზაკვრული მიზნები ჰქონდა – ცდილობდა ქართველი ერის დაქსაქსვას, ეროვნული კულტურის აღმოფხვრას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ქართული ენის დევნა განსაკუთრებული სიმძაფრით სამეგრელოში გამოვლინდა. ხელისუფლება სეპარატიზმის პოლიტიკის გამტარებელი იყო და ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქოს „მეგრელმა ბავშვებმა არ იცოდნენ ქართული ენა და რომ მეგრულ ენას უნდა გაეწია მათთვის რუსული ენის სწავლებაში დამხმარე როლი“. როგორც დეკანოზი დ. ღამბაშიძე მიუთითებდა, „თავისთავად შეცდომაა ისიც, როდესაც მეგრულს ქართულისაგან განსხვავებულ ენობრივ ჯგუფად თვლიან. და ეს მარტო უცოდინარობით როდი მოსდის მავანს, არამედ სრულიად შეგნებულად წინასწარგანზრახულად ხდებოდა ქართველთა ერთიანობის დარღვევა“. ფაქტია, რომ ხელისუფლებამ იანოვსკის საგანმანათლებლო პოლიტიკით ენერგიულად დაიწყო ქართული ენის საზიანო საქმე, ერთი თვის განმავლობაში „მეგრული ანბანი შეაკოწიწა“, მაგრამ მისი მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა.

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა კარგად იკითხება ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ლევიცკის მორიგ ცირკულარში (1885 წ. 11 იანვარი):

„1. თანახმად 1881 წლის 13 იანვარს დამტკიცებული გეგმისა პირველდაწყებით სკოლებში სწავლა მშობლიურ ენაზე უნდა იწყებოდეს.

2. სამეგრელოს სკოლებში სწავლა წარმოებს „მეგრელებისათვის სრულიად გაუგებარ“ ქართულ ენაზე.

3. რუსული ენა ისწავლება ქართულის და არა მეგრულის დახმარებით.

4. ამრიგად, მეგრელ ბავშვებს ორი ახალი ენის შესწავლა უხდებათ – რუსულის და ქართულის, ამიტომ რუსული ენის შესწავლას შეფერხება ემჩნევა.

5. „ამ წესის გამო, ვნება ადგება მთელს სასწავლო პროცესს“.

6. რუსული სიტყვები ქართულის საშუალებით უაზროდ და უნაყოფოდ ისწავლება.

7. საგანმანათლებლო პროცესის ცუდი ორგანიზების გამო შეიმჩნევა მეგრელი მოსახლეობის საერთო ჩამორჩენა.

8. „რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს მეგრულის საფუძველზე“.

9. რადგან მეგრულ ენაზე დამწერლობა არ არსებობს, მეგრული სიტყვები

გამოიხატოს რუსული ანბანით.

10. საჭირო ლოცვანი და საღმრთო ისტორია შეიძლება შესწავლილ იქნას რუსულ ენაზე, დედაენაზე (მეგრულზე) თარგმნით და ახსნით“.

ამდენად, ეს ცირკულარი ეყრდნობოდა 1881 წლის სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც რუსული ენის სწავლება უნდა წარმოებულიყო ადგილობრივი ენის საშუალებით. ცირკულარი ამტკიცებდა, რომ „სამეგრელოში ადგილობრივი ენა არის მეგრული და რუსული ენის სწავლებაც, თუ ის არ იწარმოებს მუნჯური მეთოდით, უნდა წარმოებდეს მეგრული ენის საშუალებითო, ამასთან, ქართული ენის ნაცვლად უნდა ისწავლებოდეს მეგრული ენა, ქართულ ენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს მეგრულ სკოლებში და მეგრული ენისთვის შეიძლება შემოღებულ იქნას რუსული ანბანიო“ (ჟურ. „მოამბე“. 181 : №59).

მოკლედ განვმარტავთ ე.წ. ,,მუნჯურ მეთოდს“: ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიცკიმ, იაკობ გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს „Русское Слово“–ს ნაცვლად შეადგინა ახალი სახელმძღვანელო, რომელიც „მუნჯურ მეთოდზე“ იყო აგებული: რუსული ენა ბავშვს ისე უნდა ესწავლა, რომ ქართული არ უნდა გაეგონა. ამ გზით ქართული ენის შესწავლის საშუალება სრულიად ისპობოდა, რაც სახელმძღვანელოს პოლიტიკური მხარე იყო, მეთოდურად კი სახელმძღვანელო მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა. სამოსწავლო უწყებამ, რასაკვირველია, მოიწონა ლევიცკის წიგნი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. ლევიცკი შეეცადა ი. გოგებაშვილის „Русское Слово“–ს ნაცვლად საკუთარი სახელმძღვანელოს გავრცელებას. ი. გოგებაშვილის პროტესტი პროტესტად დარჩა. ,,მუნჯური მეთოდი“ სამეგრულოს და სვანეთის სკოლებიდან ქართული ენის გამოძევების პოლიტიკას ემსახურებოდა. მთავრობა იღებდა ზომებს, გამოეგონებინა მეგრული ენისთვის ანბანი, იგივე რუსული ანბანი, გადათარგმნილიყო მეგრულად ლოცვები და საერთოდ წირვა-ლოცვა მეგრულ ენაზე წარმოებულიყო. ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდა იგი სვანებისა და აფხაზების მიმართ.

იანოვსკის მიერ 1881 წელს შემუშავებულმა პროგრამამ თავის მიზნებს ვერ მიაღწია, მაგრამ ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში უკიდურესად შეიზღუდა, რამაც მოსწავლეთა რიცხვი შეამცირა. სწავლების დონის მკვეთრი დაცემა მოჰყვა ქართული ენის შევიწროებას. მოსწავლეები იძულებით, გაუაზრებლად იზეპირებდნენ რუსულ ენაზე მიწოდებულ მასალას. ასეთი ვითარება დამახასიათებელი ყოფილა სამურზაყანოს სკოლებისათვის. იმდროინდელ პრესაში ვეცნობით: „ქ. ფოთში მომხდარ მასწავლებელთა კრებაზედ აშკარად დამტკიცდა, რომ მეგრულის ენის შემოღებამ უფრო გაუძნელა მოსწაფეთ რუსულის ენის შესწავლა და ამ მიზეზისა გამო ბევრმა მოწაფემ საერო სკოლას თავი დაანებეს და სამრევლო სკოლებში გადავიდნენ, საცა რუსულს ენას ქართულის შემწეობით ასწავლიდნენ...“

როგორც ცნობილია, 1889 წელს რუსული ანბანიდან მეგრული ანბანი შეთხზა აშორდიამ. იმავდროულად გაჩნდნენ „წმინდა მამებიც“, რომლებმაც იკისრეს საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე ახალი ანბანით გადათარგმნა. გაზ. ,,ივერია“ ილაშქრებს ასეთი მოქმედების წინააღმდეგ და იგონებს ოცი წლის წინანდელ ამბავს, „როცა მთავრობამ სცადა შემოეღო მეგრული წირვა-ლოცვა, მაგრამ ეს ხალხმა უარყო და ქართულ ენაზე მოითხოვა წირვა-ლოცვის შესრულებაო“ (გაზ. „ივერია“ 169 : № 3). მეგრულ ენაზე ზოგიერთი ლოცვა გადათარგმნილ იქნა, მაგრამ თარგმანი შეუფერებელი და მიუღებელი აღმოჩნდა ხალხისთვის, იმდენად შეუფერებელი რამ იყო, რომ თვით სამეგრელოს სამღვდელოების კრებამ უარყო მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება.

ქართული ენისათვის წარმოებულ ბრძოლაში დიდია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, გრიგოლ დადიანის ღვაწლი (დადიანი გ. 189: http: //church.ge). იგი იღვწოდა ღვთისმსახურების სფეროში ქართული ენის გამოყენების შესანარჩუნებლად, საყოველდღეო ლოცვათა და ათი მცნების მეგრულად გადაღების წინააღმდეგედ.

ეპისკოპოსმა გრიგოლმა გამანადგურებელი პასუხი გასცა კ. იანოვსკის, განსაკუთრებით მის ,,დებულებებს” მეგრელების არაქართველობისა და მეგრული ,,ენის” არსებობის შესახებ. იანოვსკის მეგრელთა არაქართველებად

გამოცხადებისა და მეგრული ენის არსებობის ,,მტკიცებაში" გამოცდილება უკვე ჰქონდა: 1880 წელს ახალსენაკის სკოლაში სტუმრობისას მან განაცხადა, რაკიღა მეგრელები ქართველები არ არიან, მათ ქართული ენა არ უნდა ვასწავლოთ და ბავშვებმა განათლება მეგრულად უნდა მიიღონ. ამ განცხადებამ ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. ინციდენტს გამოეხმაურა გაზეთი ,,დროება" (გაზ „დროება" 163 : , № 254), რასაც მოჰყვა საპროტესტო წერილები ,,დროებასა" და ,,ივერიაში" ილია ჭავჭავაძისა, სერგეი მესხისა, დიმიტრი ყიფიანისა, იაკობ გოგებაშვილისა, გერონტი ქიქოძისა, რაფიელ ერისთავისა. „იანოვსკი იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, შეტევა განაახლა უმაღლეს სახელისუფლო დონეზე 1892 წელს" (დადიანი დ. 189 : http: //church.ge). აქვე ვეცნობით, რომ ეპარქიაში მოქმედ 89 სამრევლო და ე.წ. წერა-კითხვის სკოლაში სწავლებას უძღვებიან აკადემიური განათლების მქონე პირები.

1890 წელს გაზეთი „ივერია" წერდა: „ყველამ იცის, რომ სამეგრელოს სკოლებში ქართულის ენის სწავლება აკრძალულია მთავრობის განკარგულებით. იქ რუსულს ენას ასწავლიან მეგრულის ენის შემწეობით. ზემოთხსენებულ სოფლებში, რაკი სენაკის მაზრაზეა მიწერილები, აკრძალულია ქართულის ენის სწავლება, თუმცა აქ მეგრული ენა სრულიად არ იციან. მარნის სამამასახლისომ დიდი ხანია თხოვნა მიართვა სწავლა–განათლების მზრუნველს შესახებ ქართულის ენის სწავლების ნება დართვისა, მაგრამ ჯერ არაფერი განკარგულება არ მიუღიათ" („ივერია"173 : 1890, №5).

დაჩქარებულად მკვიდრდებოდა მეგრული ენის სწავლება სამეგრელოს სკოლებში. მაგალითად, ფოთში „აქაურს ოთხ–კლასიანს სამოქალაქო სასწავლებელში მეგრული ენა შემოიღეს და მეგრულს ენაზე დააწყებინეს ბავშვებს სწავლება საგნებისა. ქართულს ენას ამ სკოლაში აღარ ასწავლიან". ფოთის ამ სკოლის მოსწავლეების ძირითადი ნაწილი გურიიდან და იმერეთიდან იყო და მათ მეგრული არ იცოდნენ. ბუნებრივია, სამეგრელოს სკოლების პედაგოგები აპროტესტებდნენ რუსიფიკატორულ პოლიტიკას და მისგან გამომდინარე სწავლების მოთხოვნებს, მიუთითებდნენ მათ მავნებლობას, რომელთა გამოც სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირდებოდა. საპროტესტო განწყობა

უპირველესად სამეგრელოს სკოლების მასწავლებლებიდან წამოვიდა, რის გამოც მათ სასტიკად უსწორდებოდა ხელისუფლება. პედაგოგები მშობლიურ ენას ფარულად ასწავლიდნენ მოწაფეებს, რასაც მმართველობა დანაშაულებრივ დარღვევად მიიჩნევდა და ურჩი მასწავლებლების დასჯას ითხოვდა. მეტიც, ათავისუფლებდა მათ სამსახურებიდან. მიუხედავად ასეთი რეჟიმისა, პედაგოგთა საუკეთესო ნაწილი თავდადებით ებრძოდა პედაგოგიური საფარით შენიღბულ „საგანმანათლებლო“ პოლიტიკას.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების შეუპოვარმა ბრძოლამ ქართული ენისათვის შედეგი გამოიღო. ხელისუფლებამ უკან დაიხია, მოერიდა მოსახლეობის პროტესტს, სამეგრელოს სკოლებში ქართული დამხმარე ენად დატოვა საღვთო სჯულისა და ლოცვების სწავლებისას. მიზეზი ამისა იყო ის, რომ მეგრულად ნათარგმნი წმინდა წერილი უხარისხო აღმოჩნდა, ხოლო რუსულ ენაზე ლოცვების გაზეპირება ბავშვს საღვთო სჯულის განათლებას ვერ მისცემდა.

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის 80-იან წლებში მეფის მთავრობამ საქართველოში გააძლიერა რეაქციული საასიმილაციო პოლიტიკა, რაც გამოიხატა არა მარტო ქართული ენის გაძლიერებულ დევნაში, არამედ მთავრობის ცდაში, დაერღვია, დაექუცმაცებინა ქართული ენის ეროვნული ორგანიზმი და ამით გაეადვილებინა მისი გადაგვარება. მეფის მოხელეებმა განიზრახეს მეგრელთა გათიშვა ქართული ეროვნული ორგანიზმიდან, თითქოს ისინი არაქართულ, სხვა წარმოშობის ხალხს წარმოადგენდნენ, გააძევეს ქართული ენა დაწყებითი სკოლებიდან, ვითომ, როგორც უცხო მეგრელ ბავშვთათვის და შეუდგნენ მეგრული ანბანის შედგენას რუსეთიდან გამოწერილი „ენათმეცნიერების“ - ალ. გრენისა და მთავრობის ადგილობრივი აგენტის, თადა აშორდიას ხელმძღვანელობით. ასეთი მეტად გართულებული და სახიფათო მდგომარეობის წინაშე იდგა ქართველი ერი, კერძოდ, სამეგრელოს მოსახლეობა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში.

რაც შეეხება რუსეთის იმპერიული ენობრივი პოლიტიკის საკითხს გურიაში, ჩვენ მიერ საგანგებოდ იქნა იგი მოძიებული საისტორიო წყაროებსა და

სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ცნობები ვერ მოვიპოვეთ, თუმცა რუსეთის რეაქციული საასიმილაციო პოლიტიკიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ გურიის სასწავლებლებშიც იგივე ვითარება იყო, რაც მთლიანად ეპარქიაში.

# თავი III.
# სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება მე-19 საუკუნის აფხაზეთში, გურია-სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობაში

## § 1. საეკლესიო-სამრევლო სკოლები აფხაზეთში

აფხაზეთის საეპისკოპოსო XIX საუკუნის მეორე ნახევარში გურია-იმერეთის ეპარქიის შემადგენელი ნაწილი გახდა, რის გამოც სასულიერო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების, კერძოდ, საეკლესიო-სამრევლო სკოლების, სასულიერო სასწავლებლებისა და იმპერიული ენობრივი პოლიტიკის საკითხს აღნიშნულ საეპისკოპოში მხოლოდ ამ პერიოდში განვიხილავთ, თუმცა აქვე მივუთითებთ იმ წინაპირობებს, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი კვლევის საგნის განსაზღვრას წარმოდგენილი სახით, საისტორიო წყაროების მიხედვით.

1831 წელს ნიკოლოზ I-ის ბრძანებით შეიქმნა აფხაზეთის ეპარქია, თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ვეცნობით, ნამდვილი ხელმძღვანელი, ეპისკოპოსი მან 20 წლის შემდეგ მიიღო, მანამდე კი აქ მისიონერული საქმიანობისთვის საეგზარქოსომ აფხაზეთში სამეგრელოს ეპარქიიდან მღვდლები გაგზავნა. მკვლევარ გ. როგავას შენიშვნით, ,,რუსეთის უწმინდესი სინოდი სამართლიანად თვლიდა, რომ ქრისტიანობის გავრცელებას აფხაზთა შორის დიდი ტრადიციები ჰქონდა ქართველებისა და ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი გავლენის გამო. XIX საუკუნის 30-იან წლებში აფხაზეთში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ეკლესია მოქმედებდა და ისიც აფხაზეთის მთავრის

შერვაშიძის საზაფხულო რეზიდენცია ლიხნში. 1831-1834 წლებში მისიონერული მოღვაწეობა აფხაზეთში, რომლის მიზანიც იყო იქ ქრისტიანობის აღდგენა, რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო ვერ გაიშალა... მე-19 საუკუნის 30-50-იან წლებში „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მიერ აფხაზეთში აშენდა სულ 13, ხოლო სამურზაყანოში – 16 ეკლესია“ (როგავა გ. 94 : 29). მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში მეფისნაცვალ ბარიატინსკის ინიციატივით შეიქმნა ორგანიზაცია „კავკასიაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება“, რომლის მიზანიც იყო კავკასიის გადაქცევა რუსეთის იარაღად მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. გ. როგავას ნაშრომში ვეცნობით, რომ აღნიშნული საზოგადოების მიმომხილველ ი. პლატონოვისა და აფხაზეთში მოღვაწე სხვა პირების – მღვდელ დ. მარღანიასა და მისიონერ ტ. ივანიცკის ინფორმაციით, აფხაზები ,,იყოფოდნენ ორ დიდ ჯგუფად: ქრისტიანებად და მაჰმადიანებად, ანუ მუსლიმანებად. აფხაზი ქრისტიანები იყოფოდნენ ასევე ორ ჯგუფად - პირველს მიეკუთვნებოდნენ კოდორის რეგიონში მცხოვრებლები, რომლებიც იცნობდნენ და იცავდნენ კიდევაც ქრისტიანული ცხოვრების წესებს, რაც გამოწვეული იყო სამურზაყანოს მეგრელებთან მათი სიახლოვით. მეორე ჯგუფს შეადგენდნენ გუდაუთის რეგიონის ქრისტიანი აფხაზები, რომლებიც ეკლესიისაგან განდგომის გზაზე იყვნენ შემდგარი. ერთ და იმავე დროს ისინი ქრისტიანებიც იყვნენ, წარმართებიც და მუსულმანებიც. მათ ჰქონდათ, თუ შეიძლება ითქვას, სამსახოვანი რელიგია – წარმართობის, ქრისტიანობის და მაჰმადიანობის ნარევი, მათი კონგლომერატი. მიაჩნდათ რა თავიანთი თავი ქრისტიანებად, სწამდათ იესო ქრისტე, ღვთისმშობელი მარიამი, წმინდა ხატები და ეკლესია, იმავე დროს აღიარებდნენ მაჰმადს, ყურანს, მეჩეთსა და მოლას... სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მათ შორის არ არსებობდა არავითარი კონფლიქტი“ (როგავა გ. 94 : 183). ასეთ ვითარებაში, მკვლევარ მ. ხუციშვილის ცნობით, „თურქეთიდან ჩამოსული მოლები, რომლებიც ქრისტიან აფხაზთა შორის ჩასახლდნენ, ძლიერ გავლენას ახდენდნენ მათ ქრისტიანულ, ჯერ კიდევ განუმტკიცებელ რწმენაზე და მას ისლამისკენ ეწეოდნენ. აფხაზთა შორის მუსულმანობის პროპაგანდას დიდი წარმატება ჰქონდა და ბევრი ქრისტიანი

აფხაზი მუსულმანი ხდებოდა... ყოველივე ზემოაღნიშნული ძალზე ართულებდა აფხაზთა შორის მისიონერულ საქმიანობას. ამას ზედ ერთვოდა ისეთი სიძნელეები, როგორიცაა მისიონერთა და სამღვდელო კადრების სიმცირე. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის აფხაზი სამღვდელო პირები თითქმის არ იყვნენ... 1851 წელს მეფისნაცვალმა ვორონცოვმა მოიწონა ქრისტიანული მისიის შექმნის იდეა აფხაზეთში" (ხუციშვილი მ. 141 : 59). ამდენად, აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების პროგრამა არსებითად კავკასიის დაპყრობის იმპერიული გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო.

„ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" საქმიანობის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ბავშვებისათვის სკოლების გახსნა და მათთვის ჭეშმარიტი ქრისტიანული განათლების მიწოდება. ამისთვის საჭირო იყო ეკლესიებთან სამრევლო სკოლების გახსნა და იქ არაქრისტიანი ბავშვების მიზიდვა, რათა ისინი აღეზარდათ ქრისტიანული მორალის პრინციპებზე. ისინი შემდეგში თვითონ გაავრცელებდნენ ქრისტიანობას ადგილობრივ მოსახლეობაში. საგულისხმოა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ამ საზოგადოების" მიერ გახსნილ სკოლებში ბავშვების რელიგიურად აღზრდის საქმეს, რისთვისაც მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევდა „საზოგადოებას". აფხაზეთისა და სვანეთის სასულიერო პირების უზრუნველყოფა ხდებოდა ხაზინიდან და ნაწილობრივ „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" სახსრებიდან.

1851 წელს საქართველოს ეგზარქოსის ბრძანებით დაბა ოქუმში სამურზაყანოსა და მთელი აფხაზეთის მასშტაბით პირველი სამრევლო სკოლა გაიხსნა (ცნობილია, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში აქ სკოლა არ არსებობდა). სკოლის დაარსება ცნობილი სასულიერო მოღვაწის, იმ დროისათვის განათლებული, მაგრამ წინააღმდეგობრივი პიროვნების, დავით მაჭავარიანის სახელს უკავშირდება. ამავე ეგზარქოსის ბრძანებით მეორე სკოლაც გაუხსნიათ გალის რაიონის სოფ. დიხაზურგაში 1856 წელს, ისევ დ. მაჭავარიანის თაოსნობით. 1850 წელს იგი ჯერ დიაკონის, შემდეგ მღვდლის ხარისხში აკურთხეს; იმავე წელს ოქუმის ხარების ეკლესიის მღვდელი და სამურზაყანოს

ბლაღოჩინი გახდა. პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება დაეხმარა ოქუმის სკოლის დაფუძნებაში. სასწავლებელს სასულიერო და საერო კადრები უნდა მოემზადებინა. თავიდან მან ფარდულში დაიწყო ფუნქციონირება; „შესაფერი შენობის ასაგებად მ. ვორონცოვმა 400 ვერცხლის მანეთი გამოყო. მანვე 1851 წელს ოქუმის ეკლესიის ახალი შენობის გეგმა დაამტკიცა" (როგავა გ. 94 : 113-114). „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სკოლების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. 1865 წლისთვის მას კავკასიაში ჰქონდა 58 დაწყებითი სკოლა, აქედან 32 – საქართველოს განაპირა კუთხეებსა და სამხრეთ ოსეთში. სწავლება უმთავრესად რუსულ ენაზე წარმოებდა. მოწაფეთა რიცხვი აღნიშნულ სკოლებში ამ დროისათვის 1007-ს აღწევდა. ... სკოლათა რიცხვის შემდგომი ზრდა ფერხდებოდა მასწავლებელთა სიმცირის გამო. განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენდა რუსულ ენაზე მოლაპარაკე პედაგოგიური კადრები. ამ გარემოებამ გამოიწვია თბილისში 1866 წელს „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიერ ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსება, რომელიც პირველი პედაგოგიური სასწავლებელი იყო XIX საუკუნის საქართველოში და მეორე – მთელს რუსეთის ომპერიაში. მის მიზანს შეადგენდა მასწავლებელთა კადრების მომზადება მთიანი რეგიონის სკოლებისთვის. ეს სკოლები განკუთვნილი იყო ორივე სქესის ბავშვებისთვის და შეიცავდა ორ, ზოგან –სამ კლასს. აქ ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული და ქართული (მშობლიური) ენები, ანგარიში, გალობა.

1869 წლის 30 მაისიდან აფხაზეთის ეპარქია კვლავ შეუერთდა იმერეთის ეპარქიას 1885 წლამდე. 1885 წლის 12 ივნისს სახელმწიფო საბჭოსა და წმინდა სინოდის დადგენილებით აღადგინეს აფხაზეთის ეპარქია, რომელსაც კათედრა ჰქონდა სოხუმში, ალექსანდრე ნეველის ტაძარში.

აფხაზეთის ეპარქიაში რეფორმის ჩატარების მიზნით, მეფისნაცვალთან შეთანხმებით, სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის ვ. გეიმანის ინიციატივით, რომელმაც 1867 წლის 14 ნოემბერს დააყენა საკითხი აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებისა და მისი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისათვის დაქვემდებარების შესახებ, ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1868 წლის მაისს-ივნისში

აფხაზეთში იმოგზაურა, ეკლესია-მონასტრები დაათვალიერა და კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას წარუდგინა დოკუმენტი „Обозрение абхазских и самурзаканских приходов“, რომლის დასკვნით ნაწილშიც ჩამოაყალიბა ზოგადი შენიშვნები აფხაზეთში მართლმადიდებლობის მდგომარეობის, მისი განმტკიცებისა და გავრცელებისათვის საჭირო ზომების შესახებ. 1868 წელს ივლისში მან მხარი არ დაუჭირა აფხაზეთის ეპარქიის გაუქმების იდეას, მაგრამ იმერეთის ეპარქიის გამგებლობაში მის გადაცემას დაეთანხმა.

„ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთში გაბრიელის სამისიონერო მოღვაწეობას. ეპისკოპოსი გაბრიელი თავის ქადაგებებში აფხაზთა შორის, არწმუნებდა რა მათ ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობაში... კიდევ უფრო ვრცლად და დამაჯერებლად უსაბუთებდა, რომ მათთვის აუცილებელია ქრისტიანად მოქცევა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც, მთავრობა ახლადმონათლულებს სხვადასხვა შეღავათებთან ერთად, აფხაზებს ათავისუფლებდა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან. „დღეს მართლმადიდებელ აფხაზთა და მათ სამღვდელოთა სასიხარულოდ უნდა გამოვუცხადოთ, რომ ახლად მონათლულნი აფხაზნი სალდათად არ გაიყვანებიანო,“ – წერდა ჟურნალი „მწყემსი“ 1890 წელს (ჟურ. ,,მწყემსი“, 182:6).

გაბრიელ ეპისკოპოსს ბრწყინვალედ ჰქონდა ათვისებული ადამიანთა სულის ფლობის ხელოვნება. გაეცნო რა ღრმად ადგილობრივი მცხოვრებლების ხასიათებსა და ჩვევებს, იგი ძალიან ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ დაადგა მათი გაქრისტიანების გზას. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა მისმა შრომებმა. ...მაგალითის მიმცემი იყო მისი პირადი ცხოვრება და საქმიანობა... გაბრიელმა საქრისტიანო სამწყსო და საფუძველი მოუმზადა საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას სოხუმში, გამოაცოცხლა და აღადგინა ძველი ბიჭვინთა, სული შთაბერა მრავალ დანგრეულ და უპატრონო ეკლესიას. 1869-1885 წლამდე ეწეოდა იგი სამისიონერო საქმიანობას აფხაზეთში, სანამ იქ არ დაარსდა ცალკე საეპისკოპოსო კათედრა.

მართლმადიდებლობის გავრცელების საქმეში დიდი მნიშვნელობა სკოლას ენიჭებოდა. როცა ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1868 წლის მაისს-ივნისში აფხაზეთი პირველად მოინახულა, სკოლები მხოლოდ სამურზაყანოში ნახა, რომლებშიც სწავლების დონე, მისი შეფასებით, არცთუ ისე მაღალი იყო, მთელს დანარჩენ აფხაზეთში მაშინ ერთი სამრევლო სკოლაც არ არსებობდა, მხოლოდ სოხუმში ფუნქციონირებდა 1863 წელს დაარსებული ცნობილი მთიელთა სკოლა (ხაზინის ანგარიშზე). 1868 წლის 7 ივლისის ბარათში მეუფე აღნიშნავდა, რომ აფხაზთა თანამედროვე თაობა მონათვლის შემთხვევაშიც საეჭვოა მართლმადიდებლობაში განმტკიცდეს. იგი მიანიშნებდა, რომ აფხაზეთში განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ახლახან შექმნილი დამწერლობის საფუძველზე უნდა განვითარდეს. მან დასვა ოქუმში ქალთა სასწავლებლის დაარსების საკითხი. სამურზაყანოს საზოგადოების წარმომადგენელთა თხოვნა სასწავლებლისათვის შენობის აგების თაობაზე გაბრიელ ეპისკოპოსმა 1868 წლის 6 სექტემბერს მართლმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას გაუგზავნა. მოგვიანებით ოქუმის სკოლასთან ქალთა განყოფილება გაიხსნა.

სასულიერო პირთა ერთ-ერთი ამოცანა ხალხში განათლების შეტანა იყო. მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ 1870 წელს ლიხნის სამრევლო სკოლის აღდგენა, მასთან საერთო საცხოვრებლის გახსნა, სადაც მოსწავლეები შედარებით კარგ პირობებში ცხოვრობდნენ. პედაგოგმა გ. ღოღობერიძემ, განათლებულმა ადამიანმა, რომელიც აფხაზთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ლიხნის სკოლა (30 ბავშვი სწავლობდა) ყველა მაჩვენებლით საუკეთესო სკოლად აქცია არა მხოლოდ აფხაზეთის მასშტაბით.

1870 წელს სოხუმში ქალთა სასწავლებლის ბაზაზე იხსნება ქალთა პროგიმნაზია, 1872 წელს – სკოლა ოჩამჩირეში, 1875 წელს – გუბში (დამფუძნებელი ვ. ინალ-იფა), 1876 წელს – ჭლოუში. იმავე წელს ახალი ათონის რუსმა ბერებმა 20 ბავშვზე სკოლა-ინტერნატი დააარსეს.

70-იან წლებში საუკეთესო მასწავლებლები (მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების შეფასებით) იყვნენ: ჯინჯიხაძე (გუდავა), საყვარელიძე

(ლიხნი), იოსელიანი (ოქუმი), გ. ემუხვარი (ოჩამჩირე), გ. შერვაშიძე (ბედია). საუკეთესო სასწავლებლად სოხუმის მთიელთა სკოლა ითვლებოდა, სადაც 1874 წელს 80 ბავში სწავლობდა. სკოლის მზრუნველი სამხედრო განყოფილების უფროსი იყო. 1875 წელს მთიელთა სკოლას სათავეში ჩუდგა კ. დ. მაჭავარიანი, რომელიც ცნობილი იყო ანტიქართული საქმიანობით (დაჟინებით ამტკიცებდა, სამურზაყანოელები აფსუები არიანო). სჯულის კანონს აფხაზეთის უფროსი ბლაღოჩინის დ. მაჭავარიანის თანაშემწე ი. ტიტვინიძე ასწავლიდა. დანარჩენი სამი მასწავლებელი რუსი იყო. სამურზაყანოელებს განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდათ სწავლისადმი, რაც განპირობებული იყო ქუთაისის გუბერნიასთან სიახლოვით, სადაც სწავლის დონე მაღალი იყო. გაბრიელ ეპისკოპოსმა 1870 წელს აფხაზეთში მოგზაურობისას შეიტყო თურქი და ყარაჩაელი მოლების აბჟუაში (ჯგერდასა და ჭლოუში) საქმიანობის შესახებ. ისინი მოსახლეობას ქრისტიანობის წინააღმდეგ განაწყობდნენ.

1877 წლის 12 აპრილს რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. მასში აქტიურ მონაწილეობას მუჰაჯირები ღებულობდნენ. აფხაზი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა. ქართული სამღვდელოება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, უმრავლესობამ აფხაზეთი იძულებით დატოვა. მრევლთან დარჩა სამურზაყანოს სამღვდელოება. აჯანყებულმა აფხაზებმა ახალი ათონის მონასტერი დაარბიეს, რომელიც რუს ბერებს ეკუთვნოდათ. აჯანყებულები თურქეთის ფლოტის დახმარებით სოხუმში შეიჭრნენ, ქალაქი გაძარცვეს და გადაწვეს. თითქმის მთელი აფხაზეთი თურქეთის ხელში აღმოჩნდა. მხოლოდ სამურზაყანომ შეინარჩუნა რუსეთისადმი ერთგულება. ომის შედეგად თურქების ხელით განადგურდა აფხაზეთის 16 ეკლესია, 26 ეკლესიაში დაწვეს საეკლესიო წიგნები და დოკუმენტები, მიწასთან გაასწორეს სოხუმის მთიელთა სკოლა, ქალთა პროგიმნაზია, კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 10 სკოლიდან 4 დაიწვა (ლიხნის, ჭლოუს, ოჩამჩირის, ახალი ათონის), ერთი (გუფის) დაზიანდა, ოქუმის ცნობილი სკოლა დროებით ჰოსპიტლად გადაკეთდდა და იქ სწავლა 1879 წელს განახლდა. სამურზაყანოს დანარჩენი ოთხი სკოლა (დიხაზურგის, საბერიოს, ბედიისა და გუდავის) არ

დაზარალებულა. სამურზაყანოელი პედაგოგები: ა. ემხვარი, გ. ემხვარი, გ. შერვაშიძე და ბ. ინალ-იფა ომის დროს ენგურის რაზმში მსახურობდნენ, რისთვისაც ოთხივე წმ. გიორგის ორდენებით დააჯილდოვეს. რუსთა მხარეს მებრძოლ მილიციაში მოზრდილი მოსწავლეებიც ირიცხებოდნენ. მთლიანობაში რუსეთ-თურქეთის ომს აფხაზი ხალხისთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვა.

აფხაზთა სარწმუნოებრივ შეხედულებებსა და მათ შორის გაშლილ მისიონერულ საქმიანობაზე ძალიან უარყოფითი გავლენა მოახდინა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა, რომლის დროსაც თურქებმა აფხაზეთში დაწვეს და დაანგრიეს 16 ეკლესია. ამ ომში აფხაზთა ერთი ნაწილი, რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილო, თურქებს თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა. „მეფის რუსეთმა თავისი კოლონიალური პოლიტიკით აიძულა 30000 აფხაზი თურქეთში გადახვეწილიყო. ათასობით ჰექტარი მათი ნაყოფიერი მიწები მეფის მთავრობამ თავის ერთგულ რუს ოფიცრებს აჩუქა. მართალია, თურქეთში გაქცეული აფხაზების თითქმის ნახევარი (15000-მდე სული) დროთა განმავლობაში კვლავ სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მათი განწყობა რუსების მიმართ აშკარად მტრული იყო, რის გამოც ხელისუფლებამ 1880 წელს მათ აუკრძალა სამკილომეტრიან ზღვისპირა ზოლში დასახლება, მთელი აფხაზი ხალხი გამოცხადდა „დამნაშავე ხალხად“ და „დროებითმაცხოვრებლად“. მთავრობა მათ არ ენდობოდა და ამის გამო აფხაზები მეფის არმიაში არ მიჰყავდათ“ (წვერავა ვლ., 131 : 91).

1877 წელს მთელს აფხაზეთში სკოლები თითქმის პარალიზებული იყო, მომდევნო წელს მოსწავლეთა კონტიგენტი ომისწინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა. 1878 წლის 11 ნოემბერს მთიელთა სამმართველოს უფროსმა გენერალმა კომაროვმა სოხუმში თათბირი ჩაატრა, სადაც ლიხნის, ოჩამჩირისა და ჭლოუს დამწვარი სკოლების აღდგენა გადაწყდა. 1879-1880 წლებში და შემდგომშიც ოჩამჩირის 5 სკოლა მოქმედებდა ძირითადად სამურზაყანოში: ოქუმის, დიხაძურგის, საბერიოს, ბედიის, გუდავის, გუფის.

1880 წლის მონაცემებით, აფხაზეთის სკოლებში 190 ქართველი (მეგრელი) და 36 აფხაზი სწავლობდა. 1885 წელს მართლმადიდებლობის აღმდგენი

საზოგადოების სკოლები საეკლესიო-სამრევლო სკოლებად გადაკეთდა, მაშინ, როდესაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია), – წერდა კირიონი, – საღვთო სჯულის სკოლებში სწავლების საკითხთან დაკავშირებით უკიდურესად გამწვავებული სიტუაცია შეიქმნა, 1884 წელს იმპერატორმა დაამტკიცა საეკლესიო-სამრევლო სკოლების წესდება. „საეკლესიო-სამრევლო სკოლებად იწოდებოდნენ მართლმადიდებელი სამღვდელოების მიერ გახსნილი დაწყებითი სკოლები. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლების ხანგრძლივობა 1885 წლის სასკოლო გეგმის მიხედვით სამწლიანი ვადით განისაზღვრა; ორკლასიან სკოლებში ყველასათვის ოთხწლიანი ვადა დაწესდა. ერთკლასიან სკოლაში ისწავლებოდა: სჯულის კანონი, გალობა, წერა-კითხვა, რუსული ენა, არითმეტიკა, ორკლასიან სკოლებში არითმეტიკას ასწავლიდნენ, საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიას, საჭირო პირობებისა და აუცილებლობის შემთხვევაში – ხელოსნობას და ა.შ.“ (Дудко 153:104).

1900 წელს მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოება აფხაზეთში 9 სკოლას აფინანსებდა. 1890 წლიდან გურიაში, სვანეთში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში საზოგადოების სკოლების ინსპექტორად არქიმანდრიტი ამბროსი კავსაძე დაინიშნა. მან არაერთხელ შემოიარა მთელი აფხაზეთი. „პირველსავე წელს იყო იგი ახალი ათონის სამონასტრო სკოლაში, ბიჭვინთაში მისი ინიციატივითა და მოსახლეობის მხარდაჭერით 1890 წელს ლიხნის სკოლა ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას გადაეცა. ამბროსი კავსაძემ თავის თავზე აიღო პედაგოგთა საკითხის მოგვარება, ასევე წიგნებითა და საჭირო ნივთებით სკოლის მომარაგება. მამა ამბროსი გუფის სკოლასაც ესტუმრა. იგი ხალხს სარწმუნოების ზნეობისა და განათლების საკითხებზე ესაუბრებოდა. ადგილობრივი სკოლა აფხაზი ბავშვებისთვის იყო გახსნილი, მაგრამ მოსწავლეთა ნახევარზე მეტი მეგრელი აღმოჩნდა, სკოლაში სულ 14 ბავშვი სწავლობდა. შემდეგ ოქუმის სკოლა დაათვალიერა, იქიდან დიხაზურგაში გადავიდა. დიდ ყურადღებას ამახვილებდა ქართული ენის სწავლების აუცილებლობაზე. საბერიოში მას ომის დროს გაუქმებული სკოლის აღდგენა სთხოვეს. ამბროსის შუამდგომლობამ გაჭრა და 1891 წელს საბერიოში მართლმადიდებლობის

აღმდგენი საზოგადოების სკოლამ დაიწყო ფუნქციონირება. აფხაზეთის სკოლებში, სადაც ის ჩავიდა, ქადაგებდა ქრისტიანული სარწმუნოების, სწავლა-განათლების, ზნეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის“ (გაზ.„ივერია“, 173 : 30. 04; 19.05; 2.06).

საკვლევ პერიოდში სასწავლებელთა ძირითად კატეგორიას მთელს იმპერიაში საეკლესიო-სამრევლო სკოლები შეადგენდა, რომლებიც სინოდისა და მასთან არსებული სასწავლო საბჭოს გამგებლობაში იმყოფებოდა. ადგილებზე ეს სკოლები საეპარქიო სასწავლო საბჭოებს და მათ სამაზრო განყოფილებებს ექვემდებარებოდა. აფხაზეთის სასკოლო განყოფილების ერთ-ერთ ამოცანას მაჰმადიანობასთან დაპირისპირება წარმოადგენდა. თურქეთიდან დაბრუნებული მუჰაჯირების წყალობით ისლამმა ღრმა ფესვები გაიდგა აацში, აჭანდარაში, ოთხარაში, აბღარხუკში, დურიფშში, ჯგერდაქში, ჭლოუში, მოგვში და სხვა სოფლებში. თურქეთიდან დაბრუნებული მოლები ხსნიდნენ მეჩეთებს და მაჰმადიანურ სკოლებს. საეკლესიო-სამრევლო სკოლები მსგავს მაჰმადიანურ „სასწავლებლებზე“ უკეთეს განათლებას იძლეოდნენ, მაგრამ მუსულმანური სოფლები თავისას არ იშლიდნენ.

ამ სოფელთაგან ერთ-ერთში „აацსში 1898 წელს ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა გაუხსნიათ, მაგრამ მოსახლეობა, რომელსაც კარგად ესმოდა განათლების მნიშვნელობა, არ სარგებლობდა სკოლით,“ წერს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 179 : 1903, 17 დეკემბერი). ამის ერთ-ერთი მიზეზი შოვინისტ ლევიტსკის ,,მუნჯური მეთოდია“, აკონკრეტებდა გაზეთი. სოფელ აацის მოსახლეობის უმეტესობა მოითხოვდა „მაჰმადის“ სჯულის სწავლებას“. როცა ბლაღოჩინი შეეკითხა სოფლელებს, ბავშვებს სკოლაში რატომ არ უშვებთო, უპასუხეს: „გაგვიმწესეთ სჯულის მასწავლებელი სკოლაში და ნახავთ, რომ მაშინ ბავშვების ტევა კი არ იქნება იქ, უმისოდ კი უსწავლელობას ვარჩევთო.“ ასეთი იყო იმპერიული საეკლესიო და საგანმანათლებლო პოლიტიკის პირველი შედეგი აფხაზეთში.

## § 2.სოხუმში სასულიერო სასწავლებლების გახსნის მცდელობა

1851წ. 30 მაისს რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე თვე-ნახევრით ადრე, 15 აპრილს, დასაარსებელი სასწავლებლის ზედამხედველად (დირექტორად) დაინიშნა ქართველი იერომონაზონი (შემდგომში ეპისკოპოსი), მომავალში გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, ყაზანის სასულიერო აკადემიადამთავრებული, ღვთისმეტყველების კანდიდატი, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი ალექსანდრე ოქროპირიძე. მან დიდი წვლილი შეიტანა აფხაზთა შორის ქრისტიანობის აღდგენისა და სასულიერო განათლების ორგანიზების საქმეში. მასვე მიენდო აფხაზეთის საეპისკოპოსოს მღვდელმსახურთა შორის მღვდელ-მონაზვნობა. ა. ოქროპირიძე ყოფილა სოფელ ილორში აფხაზი ბავშვებისათვის სკოლის გახსნის ინიციატორი და ამ სკოლის ხელმძღვანელიც, რისთვისაც იგი 1852 წლის 8 მაისს საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ სამხრეულით დააჯილდოვა.

ამავე წელს ალექსანდრე ოქროპირიძე ზემოთ დასახელებული ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის გახსნას განახლებულ ბიჭვინთის ტაძართან (სადაც ეპისკოპოსის დასაჯდომელიც იქნებოდა) გეგმავდა. ვინაიდან ტაძრის აღდგენა ჭიანურდებოდა, სასწავლებელი ლიხნში დააფუძნეს 1852 წლის 25 სექტემბერს და წლიური დაფინანსება 1525 მანეთი დაუნიშნეს.

ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამის მიხედვით ამ სასწავლებელში შემდეგ საგნებს ასწავლიდნენ: საღვთო სჯული, რუსული ენა, ქართული ენა (ხუცური და მხედრული წერა), სუფთა წერა რუსულსა და ქართულ ენებში, არითმეტიკა, რუსული და ქართული ენების გრამატიკა, საეკლესიო გალობა, გეოგრაფია, პრაქტიკული ვარჯიში აფხაზურ ენაში. ეს იყო ისტორიაში პირველი შემთხვევა აფხაზური ენის სწავლების შემოღებისა. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ესწავლებინათ აფხაზური ენა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ალექსანდრესა და სამურზაყანოს ბლაღოჩინის დ. მაჭავარიანის

სახელზე 1853 წლის 4 მარტს თბილისიდან გამოგზავნილი წერილი. მასში ნათქვამია, რომ ეგზარქოსმა, მიიღო რა მხედველობაში აფხაზური დამწერლობის არარსებობა, სიტყვიერი მარაგის შედარებითი სიმცირე, შეარჩია რამდენიმე სიტყვა, „Влизких понятиям грувого народа“ და ითხოვა ამ სიტყვის ქართულად თარგმნა, აგრეთვე ცხრილის შედგენა, სადაც „П ротив каждого слова написать авхазское слово русскими и грузинскими вуквами.“ (ჭიჭინაძე ზ.134 : 77).

1854 წლის გაზაფხულზე რუსეთი იძულებული გახდა საკუთარი ჯარის ნაწილები აფხაზეთიდან გამოეყვანა. ეს ოპერაცია ბრწყინვალედ განახორციელა მიხეილ შერვაშიძემ. აფხაზეთის თურქულმა ოკუპაციამ მისიონერებიც აიძულა ეს ტერიტორია დაეტოვებინათ. ეპისკოპოსი გერმანე გოგელაშვილი დროებით ხონში გადავიდა. ალექსანდრე ოქროპირიძე 1854-1855 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი იყო, ასევე – გაენათის მონასტრის წინამძღვარიც; 1854 წლის ბოლოს იგი ეპისკოპოს გერმანესთან ერთად ცდილობდა ლიხნის სასულიერო სასწავლებლის ხონში გახსნას, მაგრამ მიხეილ შერვაშიძემ ჭკადუაში მიიწვია. მთავარმა საკუთარი შვილი, 9 წლის გიორგი (1846-1918 წწ), რომელიც, ტრადიციისამებრ, კესარია დადიან შერვაშიძესთან იზრდებოდა, მას, როგორც გამოცდილ პედაგოგს, უაღრესად განათლებულ პიროვნებას, მიაბარა აღსაზრდელად. მალე მას აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის იღუმენობა ებოძა. ალექსანდრე ოქროპირიძემ ჭკადუაში გახსნა აფხაზეთის (ლიხნის) სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1855 წლის ოქტომბერში, როცა თურქებმა ომარ ფაშას სარდლობით სამეგრელო დაიკავეს, დაიხურა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი კონკრეტული მასალა ცხადყოფს მკვლევარ ჯ. გამახარიას შემდეგი დასკვნის ჭაშმარიტებას: ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სწავლა-განათლების საქმეს აფხაზთა შორის სწორედ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ჩაუყარა საფუძველი. სამწუხაროდ, ამ მოღვაწის დამსახურება აფხაზთა წინაშე დღეს მივიწყებულია.

ჩვენამდე მოღწეულია ა. ოქროპირიძის ხელით შედგენილი ლიხნის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა ნუსხა, რომელიც 1853 წლის 27 იანვრით თარიღდება. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ იმ დროს სასწავლებელში სულ 11

მოსწავლე ჰყოლიათ. ჩვენი ვარაუდით, მათგან ეროვნებით აფხაზი უნდა ყოფილიყო 6 მოსწავლე: სპირიდონ ბჟანია ილორიდან, თევდორე ლაკობა სოუქსუდან (ლიხნიდან), დავით მარშანია გუფიდან, მოსე ეშბა ჯირხვიდან, დავით სოსრანის ძე მარღანია (მისი სადაურობა მითითებული არ არის, მაგრამ აღნიშნულია, რომ იგი „თათარი", ე.ი. მაჰმადიანია, აფხაზეთში კი მაჰმადიანი ქართველები არ ცხოვრობდნენ), ფილიპე ლაკერბაია ოთჰარიდან. ამ ბავშვთა შორის ა. ოქროპირიძე საკუთარი ხარჯით ინახავდა ს. ბჟანიას. არსებობს 1867 წლის 29 მაისის ცნობა იმ 8 მოსწავლის შესახებ, რომლებმაც განათლება პირადად ა. ოქროპირიძის დაფინანსებით მიიღეს. ესენი ყოფილან: გიორგი მარშანია, გიორგი ეშბა, პეტრე იასკუა, პეტრე ფილია, პეტრე ანთია, ნესტორ გრიგოლია, დავით გვილია, გრიგოლ ტებლია.

ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ზრუნვით აღიზარდნენ შემდგომში სახელგანთქმული პირველი აფხაზი ქრისტიანი სასულიერო პირები: ივანე (იოანე) გეგია, იოანე არგუნი, პეტრე ფილია და სხვანი. მათგან ი. გეგია 1862 წელს მონაწილეობდა იმ კომისიის მუშაობაში, რომელსაც გენერალი ი. ბარტოლომეი ხელმძღვანელობდა და რომელმაც შეადგინა პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელო.

სასულიერო და პედაგოგიურ კადრებს აფხაზეთისათვის ძირითადად მეუფე გაბრიელის მიერ ქუთაისში 1894 წ. დაფუძნებული სასულიერო სემინარია ამზადებდა. მისი არსებობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს სასემინარიო ოლქში შემავალი დასავლეთ საქართველოს ეპარქიების ყოველწლიური შენატანები შეადგენდა, „სოხუმის ეპარქიას ყველაზე მცირე თანხა – 1000 მანეთი შეჰქონდა. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, სადაც ასევე სწავლობდნენ აფხაზეთის მკვიდრნი, ეპარქია ყოველწლიურად 689 მანეთს რიცხავდა“ (Кирион, 157 : 194-195).

XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან საერო და სასულიერო ხელისუფლება ზემდგომი ორგანოების წინაშე მუდმივად სვამდა საკითხს აფხაზეთში პედაგოგიური და სასულიერო სასწავლებლის გახსნის შესახებ. მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭო წლების მანძილზე

იხილავდა აფხაზეთში სასულიერო სასწავლებლის დაფუძნების საკითხს. ამის შესახებ საუბარი იყო საზოგადოების 1887 წლის ანგარიშში. მაშინ გადაწყვეტილება არ მიუღიათ. შემდგომ წლებში გაჩნდა ახალი იდეა – აფხაზებისათვის, სამურზაყანოელებისა და აგრეთვე სოხუმის ოლქში ჩამოსახლებული რუსებისათვის სასულიერო სასწავლებელი გაეხსნათ არა აფხაზეთში, არამედ ნოვოროსიისკში. „ამ პროექტის ავტორთა მთავარ მიზანს მოსწავლეთა გარუსება წარმოადგენდა. იგი აფხაზურ და ქართულ ენებზე სწავლებას არ ითვალისწინებდა მაშინ, როცა პროგრამებში ბერძნული ენის სწავლება სავსებით სამართლიანად იყო შეტანილი“ (სსცა. 106 : ფ.493. აღწ.1. ს.851 ფ #17-30).

სოხუმში სასულიერო სასწავლებლის დაფუძნებას სხვადასხვა მოსაზრებებით ხელისუფლება არ ჩქარობდა. გ. როგავას მონაცემებით, „1898 წლიდან მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში სასულიერო სასწავლებლის გახსნის საკითხი 10-ჯერ იყო დაყენებული უწმინდესი სინოდის სასწავლო საბჭოს წინაშე, მაგრამ უშედეგოდ“ ( როგავა გ. 95 : 132).

აფხაზეთში სასულიერო პირებისა და პედაგოგების დიდ უმრავლესობას, „მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ყოველივე ქართულის დევნისა და შევიწროებისა, მაინც ქართველები შეადგენდნენ. ეს ამუხრუჭებდა, აფერხებდა მოსახლეობის, მათ შორის, აფხაზების ასიმილაციის, გარუსების იმპერიული გეგმის განხორციელებას“ (გამახარია ჯ. 32 : 582).

## § 3. ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში

ასევე ცალკე უნდა აღინიშნოს სასულიერო განათლების სფეროში აფხაზური ენის მდგომარეობის საკითხი, რომლის სამწერლობო ენად შექმნის ისტორიაც სწორედ ჩვენი კვლევის პერიოდში, XIX საუკუნეში იწყება, კერძოდ, იგი 1862 წელს შექმნა გენერალმა პეტრე უსლარმა.

აფხაზებს ძველად არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, მწიგნობრობისა და დამწერლობის ენა აფხაზეთის სამთავროში იყო ქართული. ეს როლი, როგორც მკვლევარი ვ. წვერავა აღნიშნავს თავის ნაშრომში, ,,ქართულ ენას არ დაუკარგავს მაშინაც კი, როდესაც საქართველოს სამეფოს დარღვევის შემდეგ წარმოიშვა აფხაზეთის სამთავრო, განსაკუთრებული პოლიტიკური ცხოვრების მატარებელი. მე-19 საუკუნის აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულ ენაზე მუშაობდა. ქართული ოფიციალური ცნობებითაც, უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე კავკასიის მმართველობას და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივ ქართულად მიმართავდა“ (წვერავა ვლ., 131 : 139).

1810 წელს, როცა აფხაზეთის სამთავრო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ნომინალურ დამოუკიდებლობას, ისტორიაში პირველად წინადადება განათლების სფეროში აფხაზური ენის გამოყენების შესახებ წამოაყენა აფხაზეთის მთავრის პირადმა მოძღვარმა, ქართველმა დეკანოზმა, იოანე იოსელიანმა. მისი პროექტით, სოფელ ლიხნში, აფხაზეთის მთავრის რეზიდენციასთან უნდა გახსნილიყო სასულიერო სასწავლებელი, სადაც აფხაზ ბავშვებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, მიეღოთ სასულიერო განათლება დედაენაზე. ამ წინადადებას მხარს უჭერდა აფხაზეთის მთავარი, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ მასზე უარი განაცხადა.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო იყო არა მარტო სათანადო კადრები, არამედ სათანადო სახელმძღვანელოები და საღვთისმეტყველო ლიტერატურაც. თავდაპირველად მეფის ხელისუფლება დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ასეთ სკოლებში არაქრისტიანი ბავშვების მიზიდვის საქმეს. საჭირო იყო სათანადო მოქნილობა და ტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმართებაში, რომ ისინი არ დამფრთხალიყვნენ და ასეთ სკოლებში თავიანთი ბავშვის სწავლებაზე უარი არ ეთქვათ, მათი გარუსების შიშით. ამ მიზნით „საზოგადოებამ“ გადაწყვიტა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლება პირველ ხანებში ყოფილიყო ძირითადად მშობლიურ ენაზე.. ამისთვის კი საჭირო იყო იმ ხალხთა ენაზე დამწერლობის შექმნა, რომლებსაც ის ჯერ კიდევ არ ჰქონდათ, მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო რუსული ალფაბეტის საფუძველზე,

რათა შემდეგში გაადვილებულიყო მოწაფეთა სწავლება რუსულ ენაზე. „ამ მიზნით „საზოგადოებასთან“ შეიქმნა სპეციალური, ახალი დამწერლობის შემქმნელი კომისია, თავმჯდომარე იყო ცნობილი ლინგვისტი, გენერალ-მაიორი ბარტოლემეი, ხოლო ერთ-ერთი წევრი, ასევე ლინგვისტი და გენერალ-მაიორი უსლარი. „საზოგადოების“ აღნიშნულმა კომისიამ რუსული შრიფტის საფუძველზე შეადგინა და 1885 წელს გამოსცა აფხაზური ანბანი და სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემული იყო ქრისტიანობის ძირითადი პრინციპები – მცნებები. 1866 წლიდან აფხაზ ბავშვებს სკოლებში ასწავლიდნენ ამ ანბანით. 1868 წელს კომისიამ აფხაზური ენა იმდენად ახალგაზრდულად და განუვითარებლად მიიჩნია, რომ მასზე წმინდა წერილის გადათარგმნა შეწყვეტილ იქნა, მაგრამ 1899 წელს „საზოგადოება“ კვლავ უბრუნდება აფხაზური დამწერლობის საკითხს. ამ ენაზე გადაითარგმნა ზოგიერთი ლოცვა“ (წვერავა ვლ., 131:140).

1862 წელს „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ" თბილისში შექმნა კომისია აფხაზეთის სამრევლო სკოლებისათვის პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს შესადგენად. „კომისიას თავმჯდომარეობდა გენერალი ი. ბარტოლომეი, ხოლო წევრები იყვნენ: ქართველი
დ. ფურცელაძე და რუსი ვ. ტრიროგოვი. კომისიას დახმარებას უწევდნენ აფხაზი მოღვაწეები: უკვე ხსენებული მღვდელი იოანე გეგია, პრაპორშჩიკი გიორგი ქურციკიძე, აზნაური სიმონ ეშბა. კომისიის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს აფხაზური ტექსტი შეამოწმეს და შეასწორეს ჰასან მარღანიამ, კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძემ და გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძემ. წიგნი დაიბეჭდა თბილისში 1865 წელს. მასში აფხაზური საკითხავი მასალა თარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე“ (დადიანი გ.189 : http :/ /church.ge/).

1866 წელს რამდენიმე აფხაზური სოფლის სამრევლო სკოლაში შემოღებულ იქნა სწავლება აფხაზურ ენაზე, რაც უეჭველად დადებითი ფაქტი იყო, მაგრამ 1884 წელს „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა

საზოგადოებამ" საერთოდ აკრძალა სწავლება აფხაზურ ენაზე და არსებულ სამრევლო სკოლებში შემოიღო სწავლება რუსულ ენაზე.

1866 წელსვე აფხაზეთის სამრევლო სკოლებისათვის თბილისში გამოიცა „მოკლე საღვთო ისტორია", რომელშიც ტექსტი წარმოდგენილია აფხაზურ და რუსულ ენებზე. აფხაზური თარგმანი შეუსრულებიათ იოანე გეგიას, დავით კაცის ძე მარღანიასა და გიორგი ქურციკიძეს. 1892 წელს თბილისში გამოიცა აფხაზური ენის რიგით მეორე საანბანო სახელმძღვანელო. მისი ავტორები იყვნენ აფხაზური მხატვრული ლიტერატურის მომავალი ფუძემდებელი დიმიტრი გულია და მისი ქართველი მასწავლებელი კონსტანტინე მაჭავარიანი. წიგნში შევიდა რუსულიდან თარგმნილი ლოცვები, „ათი მცნება" და „მრწამსი". წინასიტყვაობაში მითითებულია, რომ სახელმძღვანელოს მიზანია, შეაყვაროს აფხაზ ბავშვებს დედაენა და გაუადვილოს მათ რუსული ენის შესწავლა.

უეჭველად პროგრესული მოვლენა იყო XIX საუკუნის შუა წლებიდან რამდენიმე აფხაზურ სოფელში სამრევლო და საერო სკოლების დაარსებაც, სადაც აფხაზ ბავშვებს ექმნებოდათ შესაძლებლობა, მიეღოთ დაწყებითი განათლება, მაგრამ ამ სკოლებში სწავლების ენა რუსული იყო, ხოლო აფხაზურს მხოლოდ დამხმარე ენის ფუნქცია ეკისრებოდა – მას ხელი უნდა შეეწყო რუსულის საფუძვლიანად შესწავლისათვის. აფხაზური ენის ეს ფუნქცია ცხადად ჩანს ზემოთ უკვე ხსენებული დ. გულიასა და კ. მაჭავარიანის მიერ შედგენილი საანბანო წიგნის წინასიტყვაობიდანაც. გარდა ამისა, აფხაზურ ენაზე სრულყოფილი განათლების მიღებას შეუძლებელს ხდიდა ის, რომ ამ ენაზე იმ დროისათვის საერთოდ არ არსებობდა მხატვრული ლიტერატურა, რომლის ნიმუშებსაც გამოიყენებდნენ სწავლებისას; საქმეს ისიც ართულებდა, რომ ხელისუფლება არანაირად არ იყო დაინტერესებული აფხაზურ ენაზე განათლების სისტემის შექმნით. მეტიც, ცარიზმი გეგმავდა აფხაზი ხალხის დაჩქარებული ტემპით გარუსებას და ამ გეგმას არ მალავდნენ არც ხელისუფლების წარმომადგენლები და არც მისი იდეოლოგები. მაგალითად, პ. უსლარის მიერ აფხაზური დამწერლობის შექმნიდან მეოცე საუკუნის 10-იან წლებამდე აფხაზური ენა პრაქტიკულად იშვიათად იხმარებოდა განათლების

